

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი  
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა



სალომე წურწუმია

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული  
მექანიზმების განვითარების პერსპექტივა საქართველოში

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, პაატა ტურავა

თბილისი

2022 წელი

## სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

### სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

ბოლო ათწლეულებში ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გამოწვევად იქცა დაგვიანება, სასამართლოების გადატვირთულობა, ინტერდისციპლინურ დავებში ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, რაც მართლმსაჯულების ხარისხს ამცირებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მართლმსაჯულების სისტემის მხარდამჭერი ახალი მექანიზმების კვლევის საჭიროება, რომლებმაც უნდა შეამცირონ დაგვიანებები, განტვირთონ სასამართლოები და ხელი შეუწყონ ხარისხიანი მართლმსაჯულების მიღებას.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ყოველდღიურად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალში ინსტიტუციონალურ კონტექსტში განხილვას საჭიროებს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტების დამკვიდრება. ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ სამართალში დამკვიდრება არასდროს არ გამხდარა ადმინისტრაციული სამართლის კვლევის საგანი, შესაბამისად პრაქტიკული საჭიროების კვლევა ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული მეცნიერების განვითარებას და წარმოადგენს ნოვაციას.

### კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოადგინოს ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრების პრაქტიკული საჭიროება და აღნიშნულის საფუძველზე განავითაროს მედიაციის, მორიგებისა და არბიტრაჟის ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მექანიზმად გამოყენების პერსპექტივა. ქართული ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ნაკლოვანების გამოსწორების საშუალება, რაც საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას და საკანონმდებლო მხარდამჭერას. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად ნაშრომი იკვლევს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების

საჭიროებას, განსაზღვრავს იმ ადმინისტრაციულ დავებს რომლებიც შესაძლოა განხილულ იქნეს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით, წარმოადგენს წინადადებას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ადმინისტრაციული პროგრამის ჩამოყალიბებაზე და განსაზღვრავს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით ადმინისტრაციული დავების განხილვის პროცედურულ ასპექტებს.

### **სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია**

სამეცნიერო ნაშრომი გარდა შესავლისა და დასკვნის თავებისა, შედგება ხუთი თავისაგან, ხოლო აღნიშნული თავები ჩაშლილია ქვეთავებად. კვლევის მიზნის მისაღწევად, ნაშრომში განხილულია მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, იდენტიფიცირებულია არსებული მართლმსაჯულების სისტემის გამოწვევები დაგვიანება, დარგობრივი კომპეტენცია და მოსამართლეთა კორუპციის ნაკლებობა. წარმოჩენილია არსებული ალტერნატიული მექანიზმების არასაკმარისობა გამოწვევების დაძლევის კუთხით. კვლევა წარმოაჩენს ადმინისტრაციულ სამართალში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრების საჭიროებას და გონივრულობას, როგორც მართლმსაჯულების მხარდამჭერ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია შეამციროს დაგვიანება და გაზარდოს მართლმსაჯულების ხარისხი. კვლევა განიხილავს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსს, დადებით და უარყოფით მხარეებს, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე განიხილავს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სახეებს და აიდენტიფიცირებს მორიგებას, მედიაციას და არბიტრაჟს, როგორც პერსპექტიულ ინსტიტუტებს, რომლებიც საჭიროებენ საკანონმდებლო რეგლამენტაციას. კვლევის მიზნის მისაღწევად ავტორისეული თეორიებით იდენტიფიცირდება იმ ადმინისტრაციული დავების კატეგორიები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით. კვლევას მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერის მიზნით შემოთავაზებული აქვს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამის დამკვიდრების საჭიროება, რომელიც პირველ ეტაპზე შესაძლოა დამკვიდრდეს სასამართლო სისტემის შიგნით. კვლევის მიზნის მისაღწევად ნაშრომში წარმოდგენილია საკანონმდებლო რეკომენდაცია

ადმინისტრაციული დავების მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით განხილვის პროცედურულ ასპექტებზე.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ზოგად სამეცნიერო და სპეციალური მეთოდები. ძირითადად არჩეულ იქნა ისეთი მეთოდები როგორც არის კრიტიკული ანალიზი, ქრონოლოგიური, შედარებით-სამართლებრივი კვლევები, ნორმატიული და სისტემური ანალიზის მეთოდები, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

### **კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომს აქვს სამეცნიერო ღირებულება ადმინისტრაციული სამართლის დარგში. ნაშრომმა გამოიკვლია ადმინისტრაციულ სამართალში დავების გადასაწყვეტად ახალი ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრების საჭიროება და პერსპექტივა. წარმოადგინა საკანონმდებლო რეკომენდაცია მედიაციის, მორიგებისა და არბიტრაჟის ინსტიტუტების ადმინისტრაციული დავებში დამკვიდრებაზე და მათ პროცედურულ ასპექტებზე. ფაქტობრივად საკანონმდებლო რეკომენდაცია იმგვარად არის მომზადებული, რომ შესაძლებელი მისი გამოყენება ახალი საკანონმდებლო ინიციატივის სახით, რაც დაეხმარება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემას დაგვიანების შემცირებაში და გაზრდის მართლმსაჯულების ხარისხს.

## **Thesis Abstract**

### **Actuality of the subject of the thesis, novelty and innovation of the research**

Delayed justice, overwhelmed courts, and a lack of technical knowledge and experience in interdisciplinary disputes, which reduce the quality of justice, have become a challenge to administrative justice in recent decades. Consequently, the need to consider new mechanisms supporting the justice system was on the agenda, which should reduce delays, unload judicial system, and facilitate the delivery of quality justice.

In modern democracies, alternative dispute resolution mechanisms are gaining ground on a daily basis. Consequently, the establishment of the institutions of conciliation, mediation, and arbitration requires consideration in administrative law within the institutional context. The establishment of alternative mechanisms in administrative law has never been the subject of administrative law research; therefore, research of practical need will contribute to the development of administrative science and is an innovation.

### **Goals and objectives of the research**

The paper aims to present the practical need for the establishment of alternative dispute resolution mechanisms in administrative disputes and, based on this, to develop the perspective of using mediation, conciliation, and arbitration as administrative dispute resolution mechanisms. Alternative dispute resolution mechanisms in the field of Georgian administrative law can be used as a remedy for deficiencies in the justice system, which require in-depth research and legislative support. To achieve the above goal, the paper examines the need for alternative dispute resolution mechanisms, identifies administrative disputes that may be settled through mediation, conciliation, and arbitration, proposes the establishment of an alternative administrative dispute resolution program, and defines the procedural aspects for the resolution of administrative disputes through mediation and arbitration.

### **Structure of the scientific paper and research methodology**

The scientific paper, besides the introduction and conclusion chapters, consists of five chapters, which are broken down into subchapters. For the purpose of the study, the paper discusses the importance of accessibility to the justice system and identifies challenges to the

existing justice system, delays, sectoral competence, and lack of judicial manpower. The inadequacy of the existing alternative mechanisms in terms of overcoming the challenges is demonstrated. The study demonstrates the need and reasonability for establishing alternative dispute resolution mechanisms in administrative law as a supporting mechanism for justice that can reduce delays and enhance the quality of justice. The study reviews the essence of alternative dispute resolution mechanisms, their pros and cons, based on the analysis of international experience, examines the types of alternative dispute resolution mechanisms, and identifies conciliation, mediation, and arbitration as promising institutions that need legislative regulation. To achieve the goal of the research, the theories of the author identify the categories of administrative disputes that can be adjudicated through conciliation, mediation, and arbitration. The study suggests the need to establish an administrative program of alternative dispute resolution mechanisms to support the justice system, which may initially be established within the judiciary system internally. For the purpose of the research, the paper provides a legislative recommendation on the procedural aspects of the resolution of administrative disputes through conciliation, mediation, and arbitration.

While working on the paper, general scientific and special methods were used. Methods such as critical analysis, chronological studies, comparative-legal studies, normative and systematic analysis methods, and induction and deduction methods were mainly selected.

### **The scientific value and potential practical significance of the research**

The paper has scientific value in the field of administrative law. The paper considers the need for and perspective of establishing new alternative mechanisms for resolving disputes in administrative law. It provides a legislative recommendation on the establishment of the institutions of mediation, conciliation, and arbitration in administrative disputes and their procedural aspects. In fact, the legislative recommendation is prepared in such a way that it can be used as a new legislative initiative, which will help the administrative justice system to reduce delays, and enhance the quality of justice.

შინაარსი	
შემოკლებანი .....	1
შესავალი.....	2
I. ადმინისტრაციული სამართალწარმოება და არსებული ალტერნატიული მექანიზმები	11
1. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა .....	11
1.1 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა .....	11
1.2 მართლმსაჯულების სისტემის ფარგლები .....	13
2. ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მექანიზმები - არსებული	
საკანონმდებლო ჩარჩო და გამოწვევები.....	16
2.1 ადმინისტრაციული დავის არსი .....	16
2.2 სასამართლო სისტემის ორგანიზაციული მოწყობის საკითხები.....	18
2.3 სასამართლო სისტემის გამოწვევები .....	21
2.3.1 დარგობრივი კომპეტენციის გამოწვევა.....	21
2.3.2 დაგვიანებული მართლმსაჯულება .....	24
2.3.3 სასამართლო კორპუსში მოსამართლეთა რესურსის ნაკლებობა .....	27
3. არსებული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები .....	29
3.1 ადმინისტრაციული საჩივარი.....	29
3.2 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის მექანიზმი ...	30
3.3 საგადასახადო დავების განხილვის მექანიზმი .....	33
3.4 განათლების სფეროში დავის განხილვის მექანიზმი .....	35
3.5 სასამართლო მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში .....	35
4. ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოშობილი დავის	
განხილვის საკითხი .....	37
4.1 ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დავის განხილვის მექანიზმები.....	37
4.2 საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში დავის	
განხილვის თავისებურებები.....	43
4.3 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით გაფორმებული	
ხელშეკრულებების დავის განხილვის მექანიზმები .....	46
II. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების საჭიროება და საერთაშორისო	
გამოცდილება .....	51
1. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსი .....	51

2. ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარება აწმ-ში .....	56
3. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მექანიზმებზე .....	62
4. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები .....	65
4.1 პოზიცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სასარგებლოდ.....	65
4.2 დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების უარყოფით მხარეები.....	69
4.3 საერთო პოზიცია და გასათვალისწინებელი ფაქტორები .....	72
5. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების საჭიროება ადმინისტრაციულ დავებში .....	75
5.1 საჭიროების ზოგადი ანალიზი .....	75
5.2 დავების განხილვის დროის შემცირების შესაძლებლობა .....	78
5.3 ხარისხიანი მართლმსაჯულების გამოწვევა .....	80
5.4 ადმინისტრაციულ ორგანოთა მიდგომა დავების მიმართ .....	81
5.5 ალტერნატიული მექანიზმების საჭიროების შეჯამება .....	82
III. ალტერნატიული მექანიზმების სახეები და დასამკვიდრებელი მექანიზმები.....	85
1. შიდა გადასაინჯვა.....	85
2. მოლაპარაკება.....	87
3. მორიგება და მედიაცია .....	90
3.1 მედიაცია/მორიგების არსი .....	90
3.2 მედიატორის/მომრიგებლის როლი პროცესში .....	95
3.3 მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები .....	98
4. არბიტრაჟი .....	101
4.1 არბიტრაჟის არსი.....	101
4.2 არბიტრაჟის გადაწყვეტილების ფარგლები .....	106
4.3 არბიტრაჟის დადებითი და უარყოფითი მხარეები .....	110
5. ომბუდსმენი .....	112
6. ადმინისტრაციულ სამართალში დასამკვიდრებელი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმები .....	115
IV. ალტერნატიულ მექანიზმებში განსახილველ დავათა შესაძლო კატეგორიზაცია.....	118



1.	ადმინისტრაციული დავების სახეები და საჯარო ინტერესი.....	118
1.1	ადმინისტრაციული სასამართლოების უწყებრივად ქვემდებარე საქმეები.....	118
1.2	დარგობრივი ადმინისტრაციული დავები .....	121
1.3	საჯარო ინტერესის მნიშვნელობა ადმინისტრაციული დავების განხილვისას..	122
2.	დავათა კატეგორიზაცია .....	126
2.1	კრიტერიუმების ზოგადი ანალიზი .....	126
2.2	აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდი.....	128
2.3	ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდი .....	130
2.4	არჩევანის თავისუფლების მეთოდი .....	137
2.5	რეკომენდაცია ადმინისტრაციული დავების კატეგორიზაციაზე .....	145
V.	საკანონმდებლო რეკომენდაცია ალტერნატიულ მექანიზმებზე.....	147
1.	საკანონმდებლო რეკომენდაციის მომზადების ანალიზი.....	147
1.1	საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობა .....	147
1.2	ალტერნატიული მექანიზმების ადგილის განსაზღვრა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სისტემაში.....	149
1.3	ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამის განსახორციელებლად გასათვალისწინებელი გარემოებები.....	150
2.	რეკომენდაცია საკანონმდებლო აქტის შინაარსის შესახებ .....	153
2.1	რეკომენდაციის ზოგადი განაცხადი .....	153
2.2	ზოგადი რეგულაციები და კანონის მიზანი .....	153
2.3	ალტერნატიული მექანიზმები და დავის სახეები .....	154
2.3.1	ალტერნატიულ მექანიზმთა ფუნქციური დამოუკიდებლობა .....	154
2.3.2	ადმინისტრაციულ დავათ სახეები .....	155
2.4	ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების დაუშვებლობა .....	156
2.5	ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების სავალდებულოობა.....	157
2.6	კონფიდენციალურობა.....	158
2.7	მომრიგებლების, მედიატორებისა და არბიტრების კრიტერიუმები.....	161
2.8	მედიაციისა და მორიგების პროცედურული ასპექტები.....	163
2.9	არბიტრაჟის პროცედურული ასპექტები .....	168
2.10	ინტერესთ კონფლიქტი .....	175
2.11	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხარჯების განაწილება ....	178

2.12 დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის მხარდაჭერა .....	179
დასკვნა.....	181
ბიბლიოგრაფია.....	188

## შემოკლებანი

იხ.	იხილეთ
სასკ	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სზაკ	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ევროპის საბჭოს რეკომენდაცია	2001 წლის 5 სექტემბერის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2001(9) „ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადაჭრის სასამართლო გარჩევის ალტერნატიულ საშუალებათა შესახებ“
ოსუ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ACUS	შეერთებული შტატების ადმინისტრაციული კონფერენცია
ADR	Alternative Dispute Resolution (ალტერნატიული დავის გადაწყვეტა)
CAA	Court Annexed Arbitration (სასამართლოზე ანექსირებული არბიტრაჟი)
ICC	International Chamber of Commerce (საერთაშორისო სავაჭრო პალატა)
p.	Page (გვერდი)
ECHR	European Court of Human Rights
FIDIC	Fédération Internationale Des Ingénieurs-Conseils (კონსულტანტ ინჟინერთა საერთაშორისო ფედერაცია)
Vol.	Volume (ტომი)
Sec.	Section (ნაწილი)
No.	Number (ნომერი)
UNCITRAL	United Nations Commission On International Trade Law (გაერთიანებული ერების კომისია საერთაშორისო სავაჭრო სამართალზე)

## შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოსაგან მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტური მექანიზმის შექმნას. კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არის მნიშვნელოვანი ელემენტები სახელმწიფოს სტაბილურობისა და განვითარებისათვის. კანონის უზენაესობის დაცვით მთავრობები მნიშვნელოვან ლეგიტიმაციას იძენენ,<sup>1</sup> ხოლო აღნიშნულის უზრუნველყოფა საჭიროებს ეფექტური მართლმსაჯულების სისტემის არსებობას.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში მართლმსაჯულების მექანიზმს წარმოადგენს სასამართლო. მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებს გარეთ არსებული დავის გადაწყვეტის ნებისმიერი ფორმა წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც ეხმარება მართლმსაჯულების სისტემას.

სასამართლოების გადატვირთულობის შემცირების, დავების ნაკლები დანახარჯებითა და გონივრულ ვადებში განხილვის მიზნით კანონმდებელმა შექმნა დამატებითი ალტერნატიული მექანიზმები როგორც არის ადმინისტრაციული საჩივარი და რამდენიმე ადმინისტრაციული დარგის ფარგლებში კვაზი ორგანოები, რომლებიც სასამართლოში დავის განხილვამდე განიხილავენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებს, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების და საგადასახადო დავების ფარგლებში დავების განმხილველი საბჭოები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არსებობს რამდენიმე სახის დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმი, ადმინისტრაციული სასამართლოების გადატვირთულობა და დაგვიანებული<sup>2</sup> მართლმსაჯულება

---

<sup>1</sup> *Davis W., Helga T., Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute Resolution, no. 1, 2011, p.47.*

<sup>2</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა სტატისტიკა <https://tcc.court.ge/ka/Statistics>, [06.02.2022]

გამოწვევად რჩება. დაგვიანება და პირდაპირი ხარჯების ზრდა სამართლიანობის მტრად არის მიჩნეული.<sup>3</sup>

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს სასამართლო სისტემაში განსაკუთრებით იმატა ადმინისტრაციული დავების რიცხვმა, რამაც განაპირობა ადმინისტრაციული სასამართლოების გადატვირთვა.<sup>4</sup> დავების განხილვა სასამართლოში გვიანდება და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის დასრულებას, მათ შორის, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებით, სჭირდება წლები<sup>5</sup>. აღნიშნული განსაკუთრებით კრიტიკულია ისეთი სახის დავებში, რომელთა გადაწყვეტა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგალითად: სოციალური სახის დავები, საგადასახადო დავები და სხვა. დავების რაოდენობის ზრდა ამცირებს მართლმსაჯულების ხარისხს და რთულ სამართლებრივ საკითხებზე პრეცედენტების დამკვიდრებს.

დაგვიანებული მართლმსაჯულების გარდა, მეორე მწვავე პრობლემა ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში არის შესაბამის დარგში სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების საკითხი. ადმინისტრაციული სამართლის დარგი ინტერდისციპლინურობით გამოირჩევა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამართლებრივი საკითხების ცოდნის აუცილებლობას, არამედ მოიცავს ისეთ რთულ დისციპლინებს როგორც არის გარემოს დაცვა, სამშენებლო სფერო, საგადასახადო სფერო და სხვა. შესაბამისად, ტექნიკურ საკითხებზე დავის შემთხვევაში, დარგში სპეციალური ცოდნის ქონა მოსამართლისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. არასპეციალიზირებული

---

<sup>3</sup> *Kaufman I.R.*, Reform for a System in Crisis: Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Fordham Law Review*, vol. 59, no. 1, 1990, p.6

<sup>4</sup> სასამართლოების დაგვიანებას და გადატვირთულობას ასახავს სტატისტიკური მონაცემები. თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად 2018 წელს სასამართლოში შევიდა 8329 საქმე, წარმოებაში იქნა მიღებული 6388, სულ დამთავრდა 8551 საქმე ხოლო დაუმთავრებელი საქმეების ნაშთი შეადგენდა 2572. 2019 წელს წელს სასამართლოში შევიდა 10453 საქმე, წარმოებაში იქნა მიღებული 8559, სულ დამთავრდა 8984 საქმე, ხოლო დაუმთავრებელი საქმეების ნაშთი შეადგენდა 4023. 2020 წელს სასამართლოში შევიდა 8610 საქმე, წარმოებაში იქნა მიღებული 6532, სულ დამთავრდა 6705 საქმე ხოლო დაუმთავრებელი საქმეების ნაშთი შეადგენდა 5877. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ყოველ მომდევნო წელს დაუმთავრებელი საქმეების ნაშთი უფრო მეტია ვიდრე წინა წელს. იხ. <https://tcc.court.ge/ka/Statistics>, [06.02.2022]

<sup>5</sup> იხ. სტატისტიკური მონაცემები <https://tcc.court.ge/ka/Statistics>, [06.02.2022]

სასამართლოების ფონზე, ინტერდისციპლინური ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა სირთულეს წარმოადგენს სასამართლო სისტემისათვის.

ამდენად, დაგვიანებული მართლმსაჯულება, არსებული ადმინისტრაციული დავების ალტერნატიული მექანიზმების ეფექტურობის არასაკმარისობა და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მიზნებისათვის დარგობრივი ცოდნის აუცილებლობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების გამოწვევას წარმოადგენს.

ოდესღაც დემოკრატია განისაზღვრა როგორც უთანხმოების გადაწყვეტის გზა მოლაპარაკებით და არა ძალით.<sup>6</sup> შესაბამისად, ზემოაღნიშნული გამოწვევის დაძლევის დემოკრატიული სახელმწიფოები სამართლებრივ სივრცეში ახალი მექანიზმების განსაზღვრით ცდილობენ. თანამედროვე მსოფლიოში დავების გადაწყვეტა უკვე გასცდა სასამართლოს შენობებს და სამართლებრივ სისტემაში თავის დამკვიდრებას ცდილობს დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული მექანიზმები როგორც არის: მორიგება, მედიაცია და არბიტრაჟი. ტერმინი „ADR“ - „Alternative Dispute Resolution“ ანუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტა მოიცავს პრობლემის გადაჭრის ტექნიკის ფართო სპექტრს და მიზნად ისახავს დავის გადაწყვეტას სასამართლო დავის გარეშე.<sup>7</sup> ADR-ს თავად სასამართლოებიც განიხილავენ, როგორც მნიშვნელოვან დახმარებას გადატვირთულობისა და დაგვიანების შესამცირებლად.<sup>8</sup>

ამჟამინდელი ინტერესი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მიმართ არის მტკიცებულება იმ ფართო აღიარებისა, რომელიც აღნიშნულმა ინსტიტუტებმა მოიპოვეს ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

აშშ-ში ჯერ კიდევ 1990 წელს იქნა აღიარებული ადმინისტრაციულ დავებში დავის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა და შეიქმნა ფედერალური დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროგრამა, რომელიც განახლდა 1996 წელს<sup>9</sup>. 2001

---

<sup>6</sup> *Stamato L., Jaffe S.*, Mediation and public policy: Variations on a consensus theme. *Mediation Quarterly*, vol. 9, no. 2, 1991, p.165

<sup>7</sup> *Silberman R. G.*, Alternative Dispute Resolution of Employment Discrimination Claims. *Louisiana Law Review*, vol. 54, no. 6, 1993-1994, p.1537

<sup>8</sup> *Dayton K.*, The Myth of Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Iowa Law Review*, vol. 76, no. 5, 1991, p. 914

<sup>9</sup> იხ. აშშ-ს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პროგრამის შესახებ ინფორმაცია <https://www.adr.gov/>.

წელს ევროპის მინისტრთა საბჭომ მიიღო რეკომენდაცია,<sup>10</sup> რომლითაც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ დავებში გამოყენებისაკენ. ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებად მიჩნეულ იქნა შიდა გადასინჯვა, მორიგება, მედიაცია, დავის შეთანხმებით მოგვარება და არბიტრაჟი.<sup>11</sup> რეკომენდაციით ევროპის საბჭომ ყურადღება გაამახვილა ქართული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრცისათვის შესაძლო საინტერესო ისეთ ახალ მექანიზმებზე როგორებიც არის მორიგება, მედიაცია და არბიტრაჟი, თუმცა დღეის მდგომარეობით აღნიშნული მექანიზმების გამოყენება ადმინისტრაციული დავების ფარგლებში არ ხდება და არც მათი გამოყენება არის რეგლამენტირებული.

გადატვირთული სასამართლოების, წლობით გაჭიანურებულ პროცესების, შემცირებული მართლმსაჯულების ხარისხისა და დარგობრივი კომპეტენციის გამოწვევების გათვალისწინებით, მართლმსაჯულების სისტემა საჭიროებს მხარდაჭერას ახალი პროგრამების განვითარებით, რომელიც შემოგვთავაზებს ადმინისტრაციული დავების განხილვის ახალ ალტერნატიულ მექანიზმებს. დავის გადაწყვეტის ახალი და უკეთესი მიდგომები არ არის სამართლიანობისკენ მიმავალი გზის მიტოვება, არამედ ეს არის მცდელობა, რომ მიაღწიო მას უფრო მტკიცედ.<sup>12</sup>

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის პროცესები განიხილება უფრო უკეთეს მეთოდად ვიდრე საჯარო პოლიტიკის ტრადიციული დავის გადაწყვეტის მექანიზმები, რადგანაც უფრო სწრაფია, იაფი, ნაკლებად შეჯიბრებითი და მიისწრაფვის კომპლექსური პრობლემის კრეატიული გადაწყვეტისაკენ.<sup>13</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც შესაბამისი შედეგი მიიღწევა უფრო დაბალ ფასად და ნაკლები პროცედურებით, გადასახადის გადამხდელი მოელის სახელმწიფოსაგან ამ ტექნიკის

---

<sup>10</sup> იხ. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> *Gellhorn W., Dunlop J.T., Edwards H.T., Kuhl C.B.* Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. *Administrative Law Journal*, 1, no. 2, 1987, p.461.

<sup>13</sup> *Winkle K.M.V.*, Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. *LBJ Journal of Public Affairs*, 9, 1997, p.17.

სამართლიან შესწავლას და მათი გამოყენების ხელშეწყობას.<sup>14</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი არ ანაცვლებს სასამართლოს, არამედ ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.

ქართულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში არსებული დავის გადაწყვეტის მექანიზმების პარალელურად, არსებობს სამართლებრივი პერსპექტივა დავების გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნეს ისეთი ახალი მექანიზმები, როგორებიც არის ზემოთაღნიშნული არბიტრაჟი, მედიაცია და მორიგება. დავის ახალი ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება სამეცნიერო კვლევის საგანი საქართველოში არ გამხდარა და არც ლიტერატურა არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ნაშრომი არის პირველი მცდელობა მსგავსი კვლევის ჩატარების, არსებითი და მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართლის განვითარებისა და პრაქტიკაში ახალი მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობისათვის.

მოცემული ნაშრომის კვლევის ობიექტია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებში გამოყენების შესაძლებლობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დაინტერესებულ პირებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან წარმოშობილი კონფლიქტები გადაწყვიტონ კონსესუსით ან სავალდებულო გადაწყვეტის გზით, დროისა და დანახარჯის შემცირებით. კვლევა ძირითად აქცენტებს აკეთებს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობაზე და სწორედ აღნიშნული სამი ინსტიტუტის ირგვლივ ავითარებს მსჯელობას საკანონმდებლო რეგლამენტაციის კუთხით.

თავისი არსით, ადმინისტრაციული დავები კომპლექსურია და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებში დამკვიდრებაზე მსჯელობისას კრიტიკული ასპექტი არის საჯარო ინტერესის დაცვა. ადმინისტრაციული დავის განხილვისას სასამართლოს მიზანი, მხოლოდ დავის გადაწყვეტა არ არის, არამედ ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ემსახურება საჯარო მიზნის დაცვასაც. შესაბამისად, გამოკვლევას საჭიროებს, რამდენად იქნება დავის

---

<sup>14</sup> *Riggs D.A., Dorminey E.K., Federal Agencies Use of Alternative Means of Dispute Resolution. Administrative Law Journal, 1, no. 1, 1987, p.139.*



გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში გამოყენება საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტური მექანიზმი და რა პერსპექტივა აქვს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში.

ნაშრომში შემოთავაზებული და გამოკვლეული იქნება მართლმსაჯულების სისტემის არსებული გამოწვევები, დრო, ტექნიკური კომპეტენციის ნაკლებობა და სასამართლო კორპუსის რესურსის სიმწირე; ალტერნატიული მექანიზმების საჭიროება ქართულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში საქმეების გონივრულ ვადაში განსახილველად და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღებად; ავტორისეული თეორიების საფუძველზე განისაზღვრება იმ ადმინისტრაციული დავების კატეგორიები, რომლებსაც აქვს მორიგების, მედიაციის ან/და არბიტრაჟის წესით განხილვის პერსპექტივა სასამართლოების გადატვირთულობის შემცირების, დავის გონივრულ ვადაში და ნაკლები დანახარჯებით გადაწყვეტის მიზნით, შემოთავაზებული იქნება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სავალდებულო წესით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა; ამასთან, ახალი საკანონმდებლო რეგლამენტაციის კუთხით, შემოთავაზებული იქნება რეკომენდაცია შემდგომში კანონმდებლობაში შესაძლო ცვლილებების განსახორციელებლად.

ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს და ადმინისტრაციულ სამართალში იკვლევს ინსტიტუტს, რომლის განვითარების პერსპექტივაზე ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მწირია და აქამდე არასდროს გამხდარა კვლევის საგანი. შესაბამისად, კვლევა გვთავაზობს ინოვაციურ სიახლეებს და ახალ სამეცნიერო შედეგებს ადმინისტრაციულ სამართალში.

კვლევის მიზნის მისაღწევად, ნაშრომი, გარდა შესავლისა და დასკვნის თავებისა, შედგება ხუთი თავისაგან. კერძოდ:

I თავი - განიხილავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის კონტექსტში, გაანალიზებულია ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემა და მისი გამოწვევები, კერძოდ, მართლმსაჯულების დაგვიანება, დარგობრივი კომპეტენციისა და მოსამართლეთა

რესურსის ნაკლებობა. მსჯელობის საგანია ადმინისტრაციული დავების განხილვის არსებული ალტერნატიული მექანიზმები, კერძოდ, ადმინისტრაციული საჩივარი, საგადასახადო, შესყიდვებისა და განათლების სფეროში დავების განხილველი კვაზი ორგანოები, მათი მიღწევები და როლი დაგვიანებისა და ხარჯების შემცირებაში. ცალკე ქვეთავი ეთმობა ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე მსჯელობას. აღნიშნულ ქვეთავში განხილულია ისეთი ხელშეკრულებები, რომლებშიც უკვე გამოიყენება ალტერნატიული მექანიზმები, კერძოდ საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაფინანსებით გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება. შეჯამებულია პრაქტიკის გავლენა სხვა სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში არბიტრაჟის მექანიზმის დამკვიდრებაზე.

II თავი - განიხილავს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ზოგად არსს, რა ადგილი უჭირავთ სამართლებრივ ურთიერთობებში, რა მიზანს ემსახურებიან და როგორ ხდება მათი გამოყენება. საუბარია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე, როგორც სწრაფ, ხარჯთეფექტურ და ტექნიკური დავების ეფექტური განხილვის საშუალებაზე. ამავე თავში განხილვის საგანია საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, აშშ-ში დამკვიდრებული დავის გადაწყვეტის ფედერალური პროგრამის რეგულაციები და ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესახებ, რომელიც შემდგომში განხილულია როგორც მაგალითი ქართული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სივრცისათვის და დასმულია საკითხი ევროპის საბჭოს რეკომენდაციის იმპლემენტაციის შესაძლებლობაზე. ამავე თავში განვითარებულია მსჯელობა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დადებით და უარყოფით მხარეებზე, აგრეთვე, მკვლევართა საერთო პოზიციაზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებში დავის განხილვას არ აქვს პრეცედენტული ხასიათი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები შეფასებულია, როგორც პოზიტიური გადაწყვეტა მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერის მიზნებისათვის. II თავში მსჯელობის

საგანია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების საჭიროება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში. დასაბუთებულია ალტერნატიული მექანიზმების აუცილებლობა იმისთვის, რომ შემცირდეს ადმინისტრაციული დავების სასამართლოში განხილვის დრო, განიტვირთოს სასამართლოები და მიღებულ იქნეს ხარისხიანი მართლმსაჯულება ტექნიკურ დავებში.

III თავში - საუბარია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სახეებზე. განხილულია ევროპის საბჭოს რეკომენდაციით განსაზღვრული ალტერნატიული მექანიზმები, შიდა გადასინჯვა, მოლაპარაკება, მორიგება, მედიაცია და არბიტრაჟი. ამასთან, დამატებით მსჯელობის საგანია ევროპულ ქვეყნებში ალტერნატიულ მექანიზმად აღიარებული ომბუდსმენის ინსტიტუტი. იდენტიფიცირდა, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაციით განსაზღვრული ალტერნატიული მექანიზმები როგორც არის მოლაპარაკება და შიდა გადასინჯვა, როგორც ქართულ კანონმდებლობაში უკვე არსებული მექანიზმები, არ საჭიროებს საკანონმდებლო რეგლამენტაციას, ისევე, როგორც ომბუდსმენის ინსტიტუტი. შესაბამისად, ნაშრომში ზოგადად შეჯამებულია მათი ადგილი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სისტემაში. წარმოჩენილია საკითხი, თუ რომელი ალტერნატიული საშუალების საკანონმდებლო რეგლამენტაცია დგას დღის წესრიგში და ასეთად მიჩნეულია მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის ინსტიტუტები, ვინაიდან სხვა მექანიზმები უკვე რეგლამენტირებულია ან მისი შინაარსის გათვალისწინებით არ საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას. შესაბამისად, ფართოდ არის განხილული მედიაციის/მორიგების/არბიტრაჟის არსი, მორიგების/მედიაციის როლი დავების მშვიდობიან გადაწყვეტაში, არბიტრაჟის გადაწყვეტილების ძალა და მისი სავალდებულოობის გარანტიები. შესაბამისად, შემდგომ თავებში მსჯელობები განვითარებულია აღნიშნული სამი ინსტიტუტის ირგვლივ და საუბარია მორიგების/მედიაციისა და არბიტრაჟის წესით განსახილველ დავებზე.

IV თავში - საუბარია ადმინისტრაციული დავების სახეებზე და დავების კატეგორიზაციაზე დარგების შესაბამისად. ფართოდ არის განხილულია საჯარო ინტერესის მნიშვნელობა ადმინისტრაციულ დავებში, ალტერნატიულ მექანიზმებში საჯარო ინტერესის დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები და მისი ხელყოფის თავიდან

აცილების გზები. ამავე თავში შემოთავაზებულია ავტორისეული თეორიები, თუ როგორ უნდა მოხდეს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით განსახილველი დავების კატეგორიზაცია, რა არის მათი იდენტიფიცირების მეთოდები და კრიტერიუმები. ამასთან, წარმოდგენილია ის ადმინისტრაციული დავები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს დავის გადაწყვეტის ადმინისტრაციულ მექანიზმებში.

V თავში - საუბარია ალტერნატიული მექანიზმების ადგილზე სამართლებრივ სისტემაში და განვითარებულია მსჯელობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ადმინისტრაციული პროგრამა, რომელიც შესთავაზებს მოდავე მხარეებს ადმინისტრაციული დავების განხილვის ალტერნატიულ პლატფორმას, აღნიშნული უნდა იყოს სასამართლო სისტემის ფარგლებში, თუ მის გარეთ. ამავე თავში წარმოდგენილია საკანონმდებლო რეკომენდაციის შინაარსი და ლოგიკა მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით დავების განხილვის პროცედურულ ასპექტებზე, განსახილველ დავებზე, კონფიდენციალურობის მნიშვნელობაზე, ინტერესთა კონფლიქტის საკითხებზე, ახალი ადმინისტრაციული პროგრამის გარანტიებზე.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ზოგად სამეცნიერო და სპეციალური მეთოდები. ძირითადად არჩეულ იქნა ისეთი მეთოდები როგორც არის კრიტიკული ანალიზი, ქრონოლოგიური, შედარებით-სამართლებრივი კვლევები, ნორმატიული და სისტემური ანალიზის მეთოდები, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

# I. ადმინისტრაციული სამართალწარმოება და არსებული ალტერნატიული მექანიზმები

## 1. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

### 1.1 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს მართლმსაჯულებაზე წვდომის შესაძლებლობას. ეფექტური ადმინისტრაციული მართლმსაჯულება არის თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობა<sup>15</sup> და არსებითად გულისხმობს ინდივიდუალების ფორმალურ უფლებას დავაზე და მოთხოვნებზე.<sup>16</sup> მართლმსაჯულების სისტემაზე წვდომა უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის დაცვას და საჯარო სერვისის ხელმისაწვდომობას მოქალაქეებისათვის. არსებობს სამი ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ბევრი მოქალაქისათვის ხელმიუწვდომელს ხდის სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებებს,<sup>17</sup> კერძოდ, ეკონომიკური, ორგანიზაციული და პროცედურული<sup>18</sup> დაბრკოლებები.

მართლმსაჯულება ხელმისაწვდომია, თუ იგი ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა სეგმენტისათვის და მის ეფექტურად განხორციელებას სახელმწიფო ხელს უწყობს. მართლმსაჯულების სისტემა უფრო ეფექტური ხდება, როდესაც მოქალაქეებს აქვთ სამართლებრივ კონულტაციებზე ხელისაწვდომობა.<sup>19</sup> მართლმსაჯულებაზე წვდომის

---

<sup>15</sup> *Ozbek M.S.*, Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition, 2009, p.455.

<sup>16</sup> იქვე, p.453.

<sup>17</sup> *Cappelletti M.*, Alternative Dispute Resolution Process within the Framework of the World-Wide Access-to-Justice Movement. Modern Law Review 56, no. 3, 1993, p.283

<sup>18</sup> იქვე, p.283-284.

<sup>19</sup> *Davis W., Turku H.*, Access to Justice and Alternative Dispute Resolution, Journal of Dispute Resolution 2011, no. 1, p. 49.

შესახებ ნაკლებმა ინფორმირებულობამ შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს საზოგადოების ნდობა სასამართლოსადმი და სახელმწიფო სისტემისადმი.<sup>20</sup>

ყველა ადამიანი აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ, კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით.<sup>21</sup> ეფექტური წვდომა მართლმსაჯულებაზე თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო მეტად განისაზღვრება როგორც ძირითადი სოციალური უფლება.<sup>22</sup> მართლმსაჯულება ეფექტური ვერ იქნება, თუ ადამიანები შეიზღუდებიან, დროით, ხარჯითა და სხვა დამაბრკოლებელი გარემოებებით, ხოლო არაეფექტური მართლმსაჯულება წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებების შემზღუდველ გარემოებას და ვერ უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის დაცვას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ მთავრობებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ მართლმსაჯულებისადმი წვდომა.<sup>23</sup>

ევროპული კონვენცია ადამიანის ძირითად უფლებებზე და თავისუფლებებზე „მიზნად ისახავს უზრუნველყოს, არა ისეთი უფლებები, რომლებიც არის თეორიული ან ილუზიური, არამედ უზრუნველყოს უფლებები, რომლებიც არის პრაქტიკული და ეფექტური. ეს არის პრაქტიკულად სასამართლოზე წვდომის უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში დაცული ადგილი უჭირავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას“.<sup>24</sup>

კანონის უზენაესობა, ფორმალური სასამართლო სისტემის ეფექტურობა და სასამართლო სისტემისადმი ნდობა იზომება სხვადასხვა ინდიკატორებით. ასეთი ინდიკატორები უმეტესად არის შემდეგი: დრო, რომელიც საჭიროა ვალდებულების შესრულებისათვისა, გამოითვლება კალენდარული დღეებით, იმ დღიდან, როდესაც

---

<sup>20</sup> *Ozbek M.S.*, Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice, Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition, 2009, p.453.

<sup>21</sup> მუხლი 6 (1), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

<sup>22</sup> *Ozbek M.S.*, Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition, 2009, p.454.

<sup>23</sup> *Davis W., Turku H.*, Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute Resolution 2011, no. 1, p.49.

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა მანამდე, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება გახდება საბოლოო, აღსრულებადი და ვალდებულება შესრულდება; *ფასი*, რომელიც განისაზღვრება პროცენტის სახით; *პროცედურული ნაბიჯების რაოდენობა*, რომელიც მოსარჩელემ სარჩელის შეტანიდან ვალდებულების შესრულებამდე უნდა გადადგას.<sup>25</sup>

მართლმსაჯულებაზე წვდომა სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. ამდენად, მისი განხორციელების ხელშეწყობა, წარმოადგენს დამატებით ბერკეტს დემოკრატიული ღირებულებების შესანარჩუნებლად.

## 1.2 მართლმსაჯულების სისტემის ფარგლები

საქართველოში მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.<sup>26</sup> საქართველოს სამართლებრივი სისტემა მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებს არ იცნობს, თუმცა აღიარებს საჩივრების განმხილველ სხვადასხვა მექანიზმებს, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის ნაწილი არ არის. ამასთან, ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, სასამართლოს არსის გათვალისწინებით, უდავოა, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით სასამართლოს გარეთ ვერ იარსებებს. თუმცა, თუ მართლმსაჯულების არსს უფრო ფართოდ განვიხილავთ და მის მნიშვნელობას მხოლოდ სასამართლო სისტემას არ დავუკავშირებთ, არამედ განვიხილავთ, როგორც დავის გადაწყვეტის ყველა ფორმის ერთობლიობას, შეგვიძლია ვათქვათ, რომ დავის გადაწყვეტის ნებისმიერი ალტერნატივა, მათ შორის, საჩივრების განმხილველი მექანიზმები და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმები შესაძლოა, განვიხილოთ იმ საშუალებებად, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა გონივრული ვადის ფარგლებში გადაწყვიტონ კონფლიქტური სიტუაციები - დავები.

ეფექტური მმართველობა მოითხოვს სისტემაში საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმის არსებობას, რომელიც ექვემდებარება რეაგირების, ანგარიშვალდებულებისა

<sup>25</sup> Spiroska E., Ristovska M., Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review 2, 2013, p.86

<sup>26</sup> მუხლი 59 (3), საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

და გამჭვირვალობის სტანდარტებს<sup>27</sup>. ის, ასევე, მოითხოვს შიდა და გარე მექანიზმების არსებობას, მოქალაქეთა საჩივრების განხილვის მიზნით.<sup>28</sup>

თანაბარი, სამართლიანი, ეფექტური და ხელმისაწვდომი სისტემის არსებობა ადმინისტრაციულ დავებში სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, ვინაიდან ადმინისტრაციულ დავებში ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის საჯარო სუბიექტი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მოქალაქის ნდობა სისტემისადმი განსაკუთრებით მაღალი უნდა იყოს, რომ მას არ ჩამოუყალიბდეს უსამართლობისა და არათანასწორობის განცდა სახელმწიფოს მიერ შექმნილი მექანიზმისადმი.

ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის არსებით ელემენტს წარმოადგენს ინდივიდთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ადმინისტრაციული აქტების ეფექტური სასამართლო განხილვა.<sup>29</sup> ადმინისტრაციული აქტების კონტროლის სხვა მეთოდები, რომლებიც მოიცავს შიდა საჩივრების მექანიზმს, ასევე, საჩივრის ალტერნატიულ მექანიზმში წარდგენის შესაძლებლობას, სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების განვითარებისა და ყველას უფლებების ეფექტურად დასაცავად არის გამოსადეგი საშუალება.<sup>30</sup>

ადმინისტრაციული დავების ეფექტური გადაწყვეტა, როგორც ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმი აღიარებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის არაერთი რეკომენდაციით. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაციები ადმინისტრაციულ დავებთან მიმართებით ადგენენ დავის განხილვის ეფექტურ საშუალებებს, მათ შორის, აღიარებენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს, როგორც ადმინისტრაციულ დავებში უფლების დაცვის საშუალებას.<sup>31</sup>

---

<sup>27</sup> *Detho I.A.*, *Alternative Dispute Resolution Mechanisms, Access in Community and Public Administrative Bodies: A Mapping of Select Districts in Sindh*, Legal Aid Society, 2018, p.6.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on judicial review of administrative acts, Rec(2004)20, 15 December 2004, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4)>, [06.02.2022].

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].



თანამედროვე სამყაროში განვითარების მთავარი აქცენტი არაფორმალურობაზე კეთდება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.<sup>32</sup> მხოლოდ სასამართლო პროცესები არ არის ხელშესახები პროცესები,<sup>33</sup> ადმინისტრაციული დავები შეიძლება გადაწყდეს სხვა ფორმითა და მექანიზმებით, თუ ასეთი მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება მიღწეულ იქნა კანონმდებლის პოლიტიკური ნებით. მართლმსაჯულებაზე წვდომა არ არის წვდომა მხოლოდ მართლმსაჯულების სისტემაზე, არამედ მოიცავს წვდომას ადეკვატურ დავის გადაწყვეტის პროცესზე.<sup>34</sup> შესაბამისად, ფართო მნიშვნელობით შეიძლება ვთქვათ, რომ მართლმსაჯულების სისტემა მოიცავს დავის გადაწყვეტის ნებისმიერ ფორმას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს მხარეთა შორის წარმოშობილი კონფლიქტის აღმოფხვრა, თუ ესეთი სისტემა იარსებებს სათანადო საკანონმდებლო საფუძვლით. აღნიშნულ კონტექსტში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა, როგორც მექანიზმი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის შიგნით, ასევე, მის გარეთ.

---

<sup>32</sup> *James M.*, Alternative Dispute Resolution and the Rule of Law in International Development Cooperation. *Journal of Dispute Resolution*, no. 1, 2011, p.21.

<sup>33</sup> *Gellhorn W., Dunlop J.T., Edwards H.T., Kuhl C.B.*, Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. *Administrative Law Journal*, 1, no. 2, 1987, p.460.

<sup>34</sup> *Ozbek M.S.*, Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. *Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi*, 11, no. Special Edition, 2009, p.455.

## 2. ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მექანიზმები - არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და გამოწვევები

### 2.1 ადმინისტრაციული დავის არსი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავების გადაწყვეტის საკანონმდებლო ჩარჩოს ქმნის ადმინისტრაციული კანონმდებლობა. ადმინისტრაციული კანონმდებლობა ერთი კოდიფიცირებული აქტის სახით არ არის წარმოდგენილი და მასში ერთიანდება ადმინისტრაციულ სამართლებრივ სფეროს მიკუთვნებული მრავალი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ადმინისტრაციული კანონმდებლობის ცნების რეგლამენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში არ მომხდარა, თუმცა სზაკ-ი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად „ადმინისტრაციულ კანონმდებლობას“ განსაზღვრავს.<sup>35</sup>

იმისთვის, რომ გაირკვეს კანონმდებლობა არის, თუ არა ადმინისტრაციული, ყურადღება უნდა მიექცეს სამართლებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ქცევის წესის/ნორმის ბუნებას - არის თუ არა ადმინისტრაციული.<sup>36</sup> ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული დოკუმენტები, თავისი შინაარსით, უკავშირდება საჯარო-სამართლებრივ სფეროს, შეიძლება განისაზღვროს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა გვაქვს სახეზე, თუ ნორმატიული აქტი განსაზღვრავს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ ასპექტებს, საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების შესრულების საფუძვლებს, წესებს და სხვა. ადმინისტრაციული კანონმდებლობა, თავისი არსით, აერთიანებს მრავალ საჯარო დარგს, რომელიც საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების

<sup>35</sup> მუხლი 2 (1)(დ), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.

<sup>36</sup> *კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ.* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018, გვ.12.

მომწესრიგებელი ნორმატიული შინაარსის დოკუმენტებია. მაგალითად, ადმინისტრაციული კანონმდებლობას მიეკუთვნება საგადასახადო სფეროს, განათლების სფეროს, სახელმწიფო შესყიდვების სფეროს, გარემოს დაცვის, სამშენებლო სფეროს მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები.

დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, თუ ის ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში, დავის მონაწილე ერთ-ერთ მხარედ აუცილებლად გვევლინება ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მეორე მხარე არის კერძო პირი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა ადმინისტრაციული ორგანოც.

იმისთვის, რომ განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავები და მათი გადაწყვეტის მექანიზმები, მნიშვნელოვანია განიმარტოს რა არის თავად „დავა“ და როდის მიიჩნევა იგი წარმოშობილად. დავა უნდა განვასხვავოთ საჩივრისა და პრეტენზიისაგან. საჩივრის წარდგენა ან პრეტენზიის დაყენება ყოველთვის არ ნიშნავს დავის წარმოშობას. დავა არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოება, შეუთანხმებლობა სამართლებრივ ან ფაქტობრივ გარემოებაზე, კონფლიქტი სამართლებრივ საკითხებზე ან ინტერესზე. დავა წარმოიშობა, იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ვერ იქნა შეთანხმება მიღწეული და დაინტერესებული პირი უკმაყოფილოა ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებით ან უმოქმედობით.

ზოგადად, დავის გადაწყვეტის სამი მიღებული მიდგომა არსებობს: ძალაუფლებაზე დაფუძნებული, უფლებებზე დაფუძნებული და ინტერესებზე დაფუძნებული.<sup>37</sup> ძალაუფლებაზე დაფუძნებული მიდგომით მხარეები ცდილობენ გამოიყენონ მათი ძალა შეჯიბრის გზით, რომელიც ხშირად იწვევს სიცოცხლის, დროის, ენერჯისა და რესურსის ხარჯვას.<sup>38</sup> უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს კონკრეტული სტანდარტის გამოყენებას იმის გასაზომად, თუ რომელი მხარის პოზიცია არის სწორი. ამ შემთხვევაში, ორივე მხარე წარმოადგენს მტკიცებულებებს მისი

---

<sup>37</sup> *Talibah P.*, *Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping*. *Thurgood Marshall Law Review* 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000, p.150

<sup>38</sup> იქვე.

სიმართლის დასამტკიცებლად.<sup>39</sup> ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომისას, მხარეები დგამენ ნაბიჯს იმისათვის, რომ იპოვონ გადაწყვეტები, რომელიც დააკმაყოფილებს მათ საჭიროებებს.<sup>40</sup> ამ შემთხვევაში, ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომა შეესაბამება ალტერნატიულ მექანიზმებს, ხოლო ძალაუფლებაზე და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები - სასამართლო მექანიზმებს.

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ძალაუფლებაზე და უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, ადმინისტრაციული დავების განმხილველ მექანიზმად განსაზღვრავს სასამართლოს. ამასთან, ითვალისწინებს სხვადასხვა სახის კოლეგიურ ორგანოებს<sup>41</sup> და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში/თანამდებობის პირთან ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას. თუმცა საჩივრის განხილვა არ არის ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელიც სასამართლოების მიერ ხორციელდება. კვაზი-ორგანოებში და ადმინისტრაციული საჩივრის წესით დავის განხილვა წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას. თუმცა როგორც სასამართლო, ასევე, ალტერნატიული მექანიზმები აღჭურვილნი არიან დავის გადაწყვეტის ფუნქციით.

## 2.2 სასამართლო სისტემის ორგანიზაციული მოწყობის საკითხები

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ. ხელისუფლების დანაწილების სისტემაში სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში მართლმსაჯულება

---

<sup>39</sup> Talibah P., Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. Thurgood Marshall Law Review 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000, p.150

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> კოლეგიურ ორგანოებს მიეკუთვნება დავების განხილვის საბჭო სახელმწიფო შესყიდვების დავებთან დაკავშირებით იხ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 23 (1); საგადასახადო დავების განმხილველი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 297 (1); საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასთან და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანო სააპელაციო საბჭო, იხ. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24<sup>1</sup> (1).

ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ.<sup>42</sup> სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს ყველა ადამიანს თავის უფლებათა დასაცავად, ხოლო საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.<sup>43</sup>

მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.<sup>44</sup>

ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება ადმინისტრაციული კატეგორიის დავის ფარგლებში. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ძალით პირები უზრუნველყოფენ მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო ქმედებებისაგან. ამასთან, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მიზანი არა მხოლოდ ერთი ინდივიდის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა არის, არამედ - ემსახურება საჯარო ინტერესის დაცვის მიზანსაც.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა აერთიანებს: რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს, სააპელაციო სასამართლოებს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.<sup>45</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში სპეციალიზირებული სასამართლო ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით შექმნილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სამართალი მოიცავს ფართო სფეროს და აერთიანებს სხვადასხვა რთული კატეგორიის მიმართულებას, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, საერთო სასამართლოების სისტემაში, ცალკე სფეროების მიხედვით ადმინისტრაციული დავები არ განიხილება. მაგალითად, ზოგიერთ სასამართლოში, საკადრო რესურსის სიმცირის გამო შესაძლოა, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე, სამოქალაქო დავას ერთი და იგივე მოსამართლე იხილავდეს. საქალაქო სასამართლოებში შესაძლოა შევხვდეთ ცალკე

---

<sup>42</sup> მუხლი 59(3), საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

<sup>43</sup> იქვე, მუხლი 31(1).

<sup>44</sup> მუხლი 1 (2), საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 08/12/2009.

<sup>45</sup> იქვე, მუხლი 2 (1).

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას<sup>46</sup>, ისიც გამონაკლის შემთხვევაში. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა<sup>47</sup> კატეგორიის საქმეებს.<sup>48</sup> მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.<sup>49</sup>

საქართველოს სააპელაციო სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების განხილვის მიზნით იქმნება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა,<sup>50</sup> ისევე, როგორც საქართველოს უზენაეს სასამართლოში.<sup>51</sup>

საზღვარგარეთის ქვეყნებში ზოგიერთი ადმინისტრაციული მიმართულების გათვალისწინებით ვხვდებით ადმინისტრაციული დავების განმხილველ რამდენიმე სასამართლოს, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სპეციალიზდება სამი სასამართლო: ფინანსური სასამართლოები (Finanzgerichte), რომელსაც აქვს იურისდიქცია საგადასახადო დავებზე, სოციალური სასამართლო (Sozialgerichte), რომელსაც აქვს იურისდიქცია სოციალურ დავებზე და ადმინისტრაციული სასამართლოები (Verwaltungsgerichte) რომელსაც აქვს იურისდიქცია ყველა სხვა ადმინისტრაციულ დავაზე.<sup>52</sup> საფრანგეთის რესპუბლიკაში ცალკე ადმინისტრაციული სასამართლოები არსებობს, როგორც პირველი ინსტანციის დონეზე, ასევე, ადმინისტრაციული სასამართლოები არსებობს სააპელაციო დონეზე.<sup>53</sup> მაგალითად, ნიდერლანდების სამეფოში, სააპელაციო ინსტანციის დონეზე ხდება ადმინისტრაციული დავების

---

<sup>46</sup> მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ დავებს განიხილავს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

<sup>47</sup> სხვა კატეგორიის საქმეები მოიცავს ადმინისტრაციულ დავებსაც.

<sup>48</sup> მუხლი 30 (1), საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 08/12/2009.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> იქვე, მუხლი 23(2)(ბ).

<sup>51</sup> იქვე, მუხლი 15(2)(ბ).

<sup>52</sup> *Stelkens U.*, Administrative Appeals in Germany. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.5.

<sup>53</sup> იხ. *Bousta R., Sagar A.*, Alternative Dispute Resolution in French Administrative Proceedings. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.61.

განმხილველი სასამართლოს სპეციალიზაცია ადმინისტრაციული სამართლის კონკრეტული მიმართულებით, კერძოდ, მეორე ინსტანციაში არის სპეციალიზირებული სასამართლო საგადასახადო დავებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის დავებისა და საჯარო მოსამსახურეების დავებისათვის, აგრეთვე დავებისათვის რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ საკითხებს საჯარო სამართალში.<sup>54</sup> აღნიშნულ სპეციალიზაციას მისი ლეგიტიმური მიზანი აქვს, ვინაიდან დავის სირთულე და შინაარსი, სპეციალური ცოდნის საჭიროება, აუცილებელია იმისათვის, რომ სათანადო მართლმსაჯულება იქნეს მიღებული.

## 2.3 სასამართლო სისტემის გამოწვევები

### 2.3.1 დარგობრივი კომპეტენციის გამოწვევა

მართლმსაჯულებასთან წვდომის პრობლემა არ არის ახალი. გადატვირთულობამ, ნელმა პროცესებმა და ხარჯმა, სასამართლო პროცესები გახადეს მწვავე კრიტიკის სამიზნე და მიმდინარე რეფორმების მცდელობის ობიექტი ბოლო ათწლეულებში.<sup>55</sup> მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ამ მიმართულებით სასამართლოს სისტემური რეფორმა საქართველოში დღემდე არ დაწყებულა.

არსებული სისტემის გამოწვევები პირდაპირ აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე, ხოლო მართლმსაჯულების ხარისხის ცვლილება იწვევს საზოგადოების უნდობლობას სასამართლოს სისტემისადმი. სისტემის ნაკლოვანების გამოძვევ გარემოებებს მიეკუთვნება, სფეროს მიხედვით, არასპეციალიზირებული სასამართლო კორპუსი, სასამართლო კორპუსში მოსამართლეთა ნაკლებობა, სასამართლოების გადატვირთულობა და დაგვიანებული მართლმსაჯულება.

---

<sup>54</sup> იხ. *Langbroek P., Remac M., Willemsen P.*, The Dutch System of Dispute Resolution in Administrative Law. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.128.

<sup>55</sup> *Rabinovich-Einy O., Katsh E.*, Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age. *Cardozo Journal of Conflict Resolution*, 18, no. 3, 2017, p.637.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული დავების სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ საქმე ეხება საგადასახადო, საბაჟო, სახელმწიფო შესყიდვების, გარემოსდაცვითი, ენერგეტიკის, სამშენებლო სფეროების დავებს მოსამართლე, საქმის შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა, საჭიროებდეს სპეციალურ ცოდნას სფეროში და მნიშვნელოვანი იყოს სასამართლოს სპეციალიზაცია კონკრეტული მიმართულებით. განსხვავებით არბიტრაჟისაგან, სადაც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ისეთ არბიტრზე, რომელსაც აქვს კონკრეტული სფეროს სპეციალური ცოდნა, სასამართლოში აღნიშნული შესაძლებლობა შეზღუდულია, ვინაიდან მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სფეროში შესაბამისი გამოცდილების მქონე მოსამართლე და არც სისტემა უშვებს სპეციალიზირებული სასამართლოების არსებობას. რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით.<sup>56</sup>

სასამართლოს სპეციალიზაცია და სფეროს ცოდნა მნიშვნელოვან როლს იძენს ადმინისტრაციულ დავებში, ვინაიდან, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო აქტიურ როლს თამაშობს უშუალოდ საქმის განხილვის, მტკიცებულებათა გამოკვლევის, დოკუმენტაციის მოძიებისა და მოთხოვნის ტრანსფორმაციის პროცესში და მისი მიზანი მხოლოდ დარღვეული უფლების აღდგენა არ არის.

სამართლებრივი სახელმწიფოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის არსი, პირველ რიგში, მის პრინციპებშია ასახული.<sup>57</sup> თუმცა, მხოლოდ ადმინისტრაციული მართლმსაჯულებისათვის არის დამახასიათებელი ინკვიზიციურობის პრინციპი. ინკვიზიციურობის პრინციპის ძალით სასამართლო ერთგვარად ხელს უწყობს მხარეთა პროცესუალური შესაძლებლობების გათანაბრებას, ამავე დროს ამ პრინციპის მიზანია დაიცვას ადმინისტრაციული ორგანოს კანონის საფუძველზე უფლებამოსილების

<sup>56</sup> მუხლი 58<sup>1</sup>(1), საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 08/12/2009.

<sup>57</sup> გაწერულია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ.პ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 3, თბილისი, 2016, გვ.159.



განხორციელებისადმი არსებული საჯარო ინტერესი.<sup>58</sup> ინკვიზიციური ხასიათი ვლინდება ასევე იმაში, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით თავად მოიპოვოს ადმინისტრაციული დავის განსახილველად საჭირო მტკიცებულებები.<sup>59</sup> საჯარო ინტერესი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემაში მოითხოვს, რომ სასამართლოს ჰქონდეს ყველა რელევანტური დოკუმენტი, რომ სასამართლო დარწმუნდეს მართლმსაჯულების განხორციელებაში და მინიმუმამდე დაიყვანოს შეცდომები.<sup>60</sup>

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განმხილველი სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მიერ მითითებული ფაქტებით და მტკიცებულებებით. დავის სწორად გადაწყვეტისთვის სასამართლოს ეკისრება საკუთარი ინიციატივით საქმის სრულყოფილად გამოკვლევისათვის საჭირო რელევანტური ფაქტების და მტკიცებულებების მოძიების და შეფასების ვალდებულება.<sup>61</sup> ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.<sup>62</sup>

შესაბამისად, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, სასამართლოს შეფასების საგანი ხდება საქმის სპეციფიური შინაარსი. ამ შემთხვევაში, მოსამართლე არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლის ცოდნით, არამედ მას სჭირდება დარგის სპეციფიკის ცოდნაც, ვინაიდან ადმინისტრაციული დავები

---

<sup>58</sup> *კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ.* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018, გვ.25.

<sup>59</sup> *გაწერელია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ.პ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ.* საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 3, თბილისი, 2016, გვ.160.

<sup>60</sup> *McGrath D.*, Public Interest Privilege, *Dublin University Law Journal* 22, 2000, p.79

<sup>61</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის №ბს-898-(კ-19) განჩინება.

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივნისის №ბს-305(კ-19) განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის №ბს-448(გ-19) განჩინება.

დარგობრივია, ინტერდისციპლინურია და მრავალ რთული კატეგორიის სფეროს აერთიანებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით დავის განხილვის მიზნებისათვის შესაძლოა მოწვეულ იქნეს სპეციალისტი ან ექსპერტი, რომლისგანაც სასამართლომ უნდა მიიღოს დარგის შესაბამისი განმარტება, აღნიშნული არ გამოირიცხავს სპეციალური ცოდნის საჭიროების გონივრულობას, ვინაიდან მოსამართლეებს ხშირად უწევთ რამდენიმე ექსპერტის ან სპეციალისტის მოსმენა და ჭეშმარიტების დადგენა რამდენიმე განსხვავებული პოზიციისაგან.

### 2.3.2 დაგვიანებული მართლმსაჯულება

ადმინისტრაციულ საქმეთა რაოდენობის ზრდამ განსაკუთრებით გადატვირთა სასამართლოები. ადმინისტრაციული დავების მზარდი ტენდენცია ასახულია სტატისტიკურ ანგარიშებში. თბილისის საქალაქო სამართლოს სტატისტიკური ანგარიშების შესაბამისად, 2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 9040 ადმინისტრაციული დავა, 2018 წელს - 8329; 2019 წელს - 10453, 2020 წელს – 8610, ამასთან, 2020 წელს დაუსრულებელი საქმეების ნაშთი შეადგენდა 5877-ს.<sup>63</sup> აღნიშნული სტატისტიკა კრიტიკულია, ვინაიდან ფაქტობრივად არცერთ საქმეზე არ ხდება საქმის განხილვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დაცვა. მსგავსი გადატვირთულობის ფონზე მართლმსაჯულების განხორციელება ფორმალურ-ტექნიკურ სახეს იღებს. ყველა სახის ადმინისტრაციული დავების სასამართლოების მიერ განხილვით სასამართლოები ვეღარ უთმობენ დროს რთული კატეგორიის დავებს, შესაბამისად, შეინიშნება სასამართლო გადაწყვეტილებების ნაკლებად დასაბუთებულობა, რაც სამართლის განვითარებაზეც აისახება. მაგალითად, ხშირად ვხვდებით ერთი და იმავე არგუმენტაციის სიტყვასიტყვით გამეორებას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში. სასამართლოების განმარტებები, არა მხოლოდ

<sup>63</sup> იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [06.02.2022]

პრევენდენტს ქმნის, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეფექტური მმართველობის ჩამოყალიბებაში.

ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოებში დავა გრძელდება წლობით და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეზე გადაწყვეტილება მხარეებმა შეიძლება მიიღონ 2-3 წელში, შესაბამისად, ზემდგომ ინსტანციებში საქმის განხილვა გრძელდება დამატებით მინიმუმ 1 წელი. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქმის „დროული“ განხილვის უფლება,<sup>64</sup> ხოლო ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციით ყველა ადამიანი აღჭურვილია „გონივრულ ვადაში“ მისი საქმის განხილვის უფლებით.<sup>65</sup>

პროცესების ხანგრძლივობა იზომება წლებით და არა დღეებით, კვირებით ან თუნდაც თვეებით.<sup>66</sup>

სასამართლოში საქმის გაჭიანურება ხელყოფს კონსტიტუციით დაცული უფლებების რეალიზაციას. რა თქმა უნდა საქმის სპეციფიკის, სირთულის, სასამართლოს მიერ რამდენიმე საპროცესო მოქმედებების განხორციელებით, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში, გამართლებულ იქნეს სასამართლოს მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა, თუმცა აღნიშნული არ უნდა გასცდეს გონივრულობის ფარგლებს. საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული, თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.<sup>67</sup> ამასთან, გონივრულობის შეფასებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი კრიტერიუმები როგორც არის: ფაქტობრივი და სამართლებრივი კომპლექსურობა,<sup>68</sup> საქმის კომპლექსურობა<sup>69</sup>, მომჩივნისა და შესაბამისი ორგანოების ქმედებები, რა იყო დავის საგანი<sup>70</sup> და სხვა.

<sup>64</sup> მუხლი 31(1), საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

<sup>65</sup> მუხლი 6 (1), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.

<sup>66</sup> *Pryor W., O'Boyle R.M.*, Public Policy ADR: Confidentiality in Conflict. SMU Law Review, vol. 46, no. 5, 1993, p. 2210

<sup>67</sup> *Frydlender v. France* [2000] ECHR, no. 30979/96, §43.

<sup>68</sup> *Katte Klitsche de la Grange v. Italy* [1994] ECHR, no.12539/86, §55.

<sup>69</sup> *Papachelas v. Greece* [1999] ECHR, no.31423/96, §39.

<sup>70</sup> *Comingersoll S.A v. Portugal* [2000] ECHR, no.35382/97, §19.

სასკ-ის შესაბამისად, თუ სასკ-ით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სსსკ-ის დებულებანი.<sup>71</sup> სსსკ-ის შესაბამისად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ხოლო ზოგიერთი კატეგორიის<sup>72</sup> დავის განხილვის ვადა არის - 1 თვე.<sup>73</sup> სასკ-ი განსხვავებულ ვადებს ადგენს საგადასახადო დავების განხილვისათვის, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვისა.<sup>74</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგადასახადო და საბაჟო დავების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განსხვავებული ვადები კანონმდებელმა 2009 წელს დააწესა. კანონის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენდა საგადასახადო და საბაჟო საქმეებზე არსებული საპროცესო ვადების შემცირების საჭიროება.<sup>75</sup> კანონმდებლის მიერ სწორედ ზემოაღნიშნული ვადები იქნა მიჩნეული საქმეთა განსახილველად გონივრულ ვადად, თუმცა არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ზემოაღნიშნული ვადები მიუღწევადია სასამართლო სისტემისათვის. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2020 წელს წადგენილ იქნა 367

<sup>71</sup> მუხლი 1 (2), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

<sup>72</sup> ასეთ დავებს მიეკუთვნება ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უპრავი ნივთის გამოთხოვის.

<sup>73</sup> მუხლი 59 (1), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

<sup>74</sup> მუხლი 13<sup>2</sup> (1), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

<sup>75</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/108240?>> [06.02.2022].

საგადასახადო საქმე, წინა წლის ნაშთი შეადგენდა 552 საქმეს და სულ 2020 წელს დასრულდა 159 საქმე.<sup>76</sup> აღნიშნული სტატისტიკის ანალიზით შეიძლება ვთქვათ, რომ ფაქტობრივად 12 თვის ვადაში 919 საქმიდან დასრულდა მისი 17 %, რაც შემაშფოთებელი სტატისტიკა არის ასეთი დავებისათვის.

საპროცესო ვადების დარღვევა არ არის ერთეული შემთხვევა და უკვე სასამართლოს პრაქტიკად იქცა დაგვიანებული მართლმსაჯულება, რაც იწვევს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უფლებადამცავი პოტენციალის შესუსტებას.

### 2.3.3 სასამართლო კორპუსში მოსამართლეთა რესურსის ნაკლებობა

სასამართლოში საქმეების გაჭიანურების მნიშვნელოვანი გარემოება არის სასამართლოს შიდა ფაქტორი, კერძოდ, მოსამართლის გადატვირთულობა და მოსამართლეთა ნაკლებობა, ანუ ეფექტური მართლმსაჯულებისათვის საჭირო მოსამართლეთა დეფიციტი.<sup>77</sup> საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა კორპუსის ნაკლებობა კიდევ უფრო კრიტიკული ხდება, ვინაიდან სასამართლო კორპუსში ზოგადი სპეციალიზაციის მოსამართლეთა რაოდენობაც არ არის საკმარისი საქმის განსახილველად.

მოსამართლეთა ნაკლებობის გამო მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებამ შესაძლოა, ხელყოს საჯარო ინტერესი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვა არაგონივრულ ვადებში გრძელდება, ამით ზიანი აღდება არა მხოლოდ მომჩივანის ინტერესს, არამედ საჯარო ინტერესსაც. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მიზანი საჯარო ინტერესისა და კანონის უზენაესობის დაცვა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ავსებს კანონის უზენაესობას.<sup>78</sup>

<sup>76</sup> იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>>, [06.02.2022]

<sup>77</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის №3/01-2018 გადაწყვეტილება.

<sup>78</sup> *Davis W., Turku H., Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute Resolution, no. 1, 2011, p.50.*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმეზე *Frydlender v. France* [2000] ECHR, no. 30979/96, §45 სახელმწიფოებმა იმგვარად უნდა მოაწიონ საკუთარი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, რომ მათმა სასამართლოებმა შეძლონ ყველას უზრუნველყოფა საბოლოო გადაწყვეტილებით გონივრულ ვადაში.<sup>79</sup> სასამართლოს გადატვირთულობისა და მართლმსაჯულების ხარისხის შემცირების ტვირთი არა მხოლოდ სასამართლო სისტემის ნაკლოვანება არის, არამედ აღნიშნული ცხადყოფს სტრატეგიული რეფორმისა და პროგრამების შემუშავების აუცილებლობას, რაც შეიძლება სხვადასხვა ფორმით განვითარდეს. მაგალითად აშშ-ში, ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა ფედერაციული ალტერნატიული დავის გადაწყვეტის პროგრამა, რომლის გამოყენებაც სასამართლო სისტემის ფარგლებში აქტიურად ხდება. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, სასამართლო სისტემას უფრო ეფექტურს ხდის.<sup>80</sup>

ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში გამოწვევების დაძლევის მიზნით, ცხადია, რომ არსებობს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის აუცილებლობა, რაც არ გულისხმობს მხოლოდ სასამართლო სისტემის რეფორმის აუცილებლობას, არამედ პარალელურად საჭირო ხდება აქცენტების ახალ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმზე გაკეთება, რომელიც სასამართლოებს აარიდებს გარკვეული კატეგორიის ადმინისტრაციულ დავებს და იქნება მართლმსაჯულების მექანიზმის მხარდამჭერი.

---

<sup>79</sup> *Frydlender v. France* [2000] ECHR, no. 30979/96, §45.

<sup>80</sup> *Singer L.R.*, Nonjudicial Dispute Resolution Mechanisms: The Effects on Justice for the Poor. *Clearinghouse Review*, 13, no. 8, 1979, p.571.

### 3. არსებული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები

#### 3.1 ადმინისტრაციული საჩივარი

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივრები, სასამართლო განხილვამდე, პრინციპულად შესაძლებელი უნდა იყოს და ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შეიძლება იყოს სავალდებულო.<sup>81</sup> სზაკ-ი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პირველად მექანიზმად განსაზღვრავს - ადმინისტრაციულ საჩივარს<sup>82</sup>. ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმი წარმოადგენს ზოგად წესს ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთჯერადად გასაჩივრების კუთხით. ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმი ზემდგომ თანამდებობის პირს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს საშუალებას გამოასწოროს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ დაშვებული შეცდომა, აძლევს მოქალაქეებს ეფექტურ (არა ძვირი) არასასამართლო პროცესით უფლების დაცვის შესაძლებლობას<sup>83</sup> და უზრუნველყოფს დავებისაგან სასამართლოების განტვირთვას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას წარმოადგენს სზაკ-ის შესაბამისად, საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება.<sup>84</sup> შესაბამისად, საქართველოს

---

<sup>81</sup> Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on good administration, CM/Rec(2007)720, June 2007, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=09000016805d5bb1](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016805d5bb1)>, [06.02.2022].

<sup>82</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში სზაკ-ით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

<sup>83</sup> იხ. *Stelkens U.*, Administrative Appeals in Germany. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.28.

<sup>84</sup> მუხლი 2(5), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

კანონმდებლობით საჩივრის წარდგენა ატარებს სავალდებულო ხასიათს სასამართლოში დავის დაწყებამდე. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით განსხვავებულია და ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო დასაშვებად ცნობს სარჩელს იმ შემთხვევაშიც, თუ მოქალაქეს არ აქვს გამოყენებული ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციული საჩივრების განხილვის მექანიზმი ეფექტური არ იქნება, თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიდგომა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიმართ არ იქნება სერიოზული. თუ ადმინისტრაციული ორგანოები ვერ გააცნობიერებენ ადმინისტრაციული საჩივრის ეფექტურობას საჯარო მმართველობის მიზნებისათვის, გასაჩივრება მხოლოდ ფორმალური მოთხოვნა იქნება და ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმის არსებობა ბიუროკრატია გახდება, რაც დამატებითი შემაფერხებელი გარემოება იქნება მოქალაქისათვის სასამართლომდე გზაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან თანამდებობის პირთან არის დავის გადაწყვეტის სასამართლო სისტემის გარეთ არსებული მექანიზმი, თუ ის ეფექტურად გამოიყენება და განიხილება როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატივა სასამართლოში დავის დაწყებამდე. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მათი ქმედებების სხვა დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრებას, რომელიც არსებობს ამ ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის გარეთ და რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ სასამართლოებში დავების შემცირების კუთხით.

### **3.2 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის მექანიზმი**

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრების მექანიზმს<sup>85</sup> დავის სწრაფად,

---

<sup>85</sup> მუხლი 23<sup>1</sup> (1), საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 18/05/2005.



ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით, კანონის საფუძველზე შექმნილ მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ ორგანოში – დავების განხილვის საბჭოში.<sup>86</sup> დავების განხილვის საბჭო არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს ან/და თანამდებობის პირს, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.<sup>87</sup> საბჭო შედგება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 5 წევრისაგან, ერთი და იგივე პირი საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორჯერ. საბჭოს წევრი სახელმწიფო მოსამსახურეა.<sup>88</sup> საბჭოს წევრად შესაძლებელია დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება/უმაღლესი ეკონომიკური განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. ამასთანავე, საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევარს უნდა ჰქონდეს იურიდიული განათლება.<sup>89</sup> საბჭოს წევრთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით. საბჭოს წევრობის კანდიდატთა ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში შერჩევის მიზნით შესარჩევი კომისია აცხადებს საჯარო კონკურსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.<sup>90</sup>

დავების განმხილველი საბჭო წარმოადგენს დავის გადაწყვეტის მექანიზმს, სასამართლოში დავის განხილვამდე. დავების განხილვის საბჭოს უფლებამოსილებები და გადაწყვეტილებების ფარგლები განისაზღვრება კანონმდებლობით. დავების განხილვის საბჭო უფლებამოსილია საჩივრისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი ან უარი თქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.<sup>91</sup> საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 10 სამუშაო

---

<sup>86</sup> მუხლი 23 (1), საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 18/05/2005.

<sup>87</sup> იქვე, მუხლი 23<sup>2</sup> (2).

<sup>88</sup> იქვე, მუხლი 23<sup>3</sup> (1).

<sup>89</sup> იქვე, მუხლი 23<sup>3</sup> (2).

<sup>90</sup> იქვე, მუხლი 23<sup>3</sup> (5).

<sup>91</sup> იქვე, მუხლი 23<sup>10</sup> (8).

დღის ვადაში.<sup>92</sup> დავების განხილვის საბჭოში საჩივრის წარდგენით სახელმწიფო შესყიდვის/შერჩევის პროცესის პროცედურები ჩერდება ავტომატურად.<sup>93</sup>

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველ ცალკე ორგანოებს ითვალისწინებს ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაც. მაგ.: გერმანიაში კანონმდებლობით გათვალისწინებულია საჯარო შესყიდვების ტრიბუნალი - *Vergabekammern*, რომელიც არის ტენდერში მონაწილეთა სამართლებრივი დაცვის ინსტრუმენტი და იგი განიხილავს ხელშეკრულების მინიჭების პროცესში საჯარო შესყიდვების ნორმების დაცვის საკითხს.<sup>94</sup> საქართველოში დავების განხილვის საბჭოს მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვა ამცირებს სასამართლოებში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს. დავების განხილვის საბჭოს მიერ განხილული საჩივრების რაოდენობა მზარდია, თუმცა შემცირებულია 2016-2017 წლებთან შედარებით.<sup>95</sup> 2019 წელს დავების განხილვის საბჭოს მიერ განხილულ იქნა 1245 საჩივარი. აღნიშნული საჩივრებიდან დაკმაყოფილდა 236, არ დაკმაყოფილდა 315, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 469, დაუშვებლად იქნა მიჩნეული 170, გაუქმდა 55 საჩივარი.<sup>96</sup> 2020 წელს საბჭოში წარდგენილ იქნა 1044 საჩივარი, საიდანაც დაკმაყოფილდა 199, არ დაკმაყოფილდა 287, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 360, დაუშვებლად იქნა მიჩნეული 166, გაუქმდა 33.<sup>97</sup> სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავების განხილვის საბჭო, როგორც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმი მნიშვნელოვნად ამცირებს სასამართლოებში დავებს სახელმწიფო შესყიდვების კუთხით.

---

<sup>92</sup> მუხლი 23<sup>9</sup> (1), საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 18/05/2005.

<sup>93</sup> იქვე, მუხლი 23<sup>7</sup> (9).

<sup>94</sup> *Stelkens U.*, Administrative Appeals in Germany. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.41.

<sup>95</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2020, გვ.29, <<http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=c2f122ad-9047-43a7-9f93-44d615a997ac>>, [06.02.2022].

<sup>96</sup> იქვე, გვ.30.

<sup>97</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2021, გვ.38, <<http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=19539b18-4d67-42d9-80a0-12b91622ca28>>, [06.02.2022].

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საბჭოში დავის განხილვა არის ხარჯთეფექტური და უფრო სწრაფი<sup>98</sup> მექანიზმი ვიდრე სასამართლოში დავა.

### 3.3 საგადასახადო დავების განხილვის მექანიზმი

საქართველოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები არიან შემოსავლების სამსახური და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო.<sup>99</sup> დავების განხილვის საბჭო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დავის განმხილველი ორგანო.<sup>100</sup> მოდავე მხარის მიერ საჩივრის წარდგენა ხდება შემოსავლების სამსახურში, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება დავების განხილვის საბჭოში. შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საჩივარი თავისი ბუნებით ადმინისტრაციული საჩივრის სახეს ატარებს. ხოლო მისი გადაწყვეტილების დავების განმხილველ საბჭოში გასაჩივრება, დავების განხილვის საბჭოს განუსაზღვრავს საგადასახადო დავების განხილვის ალტერნატიული მექანიზმის სახეს. დავების განხილვის საბჭო დამოუკიდებელია და მის შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.<sup>101</sup> 2019 წლის სტატისტიკური ანგარიშით დავების განხილვის საბჭოში განხილულ იქნა 2452 საჩივარი, საიდანაც სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1367, უარი ეთქვა 936 საჩივარს, ხოლო 303 საჩივარი დარჩა განუხილველი.<sup>102</sup> 2020 წელს დავების განმხილველ საბჭოში წარდგენილ იქნა 2090 საჩივარი<sup>103</sup>, განხილულ იქნა 1233 საჩივარი, სრულად და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა

<sup>98</sup> დავების განმხილველი საბჭო სახელმწიფო შესყიდვის პროცესთან დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 10 სამუშაო დღეში.

<sup>99</sup> მუხლი 297(1), საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 54, 12/10/2010.

<sup>100</sup> იქვე, მუხლი 297 (2).

<sup>101</sup> იქვე, მუხლი 297 (4).

<sup>102</sup> დავების განხილველი საბჭოს აპარატის სტატისტიკური ანგარიში, 2019, გვ.3, <<https://taxdisputes.gov.ge/4045>> [06.02.2022]

<sup>103</sup> დავების განხილველი საბჭოს აპარატის სტატისტიკური ანგარიში, 2020, გვ.1 <https://taxdisputes.gov.ge/4045> [06.02.2022]

346 საჩივარი, 589 მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო 298 საჩივარი დარჩა განუხილველი.<sup>104</sup>

საგადასახადო დავების განხილვის მექანიზმს იცნობს ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაც. იტალიაში 20 000 ევრომდე საგადასახადო დავებზე სავალდებულოა საგადასახადო ადმინისტრაციაში საჩივრის წარდგენა.<sup>105</sup> მნიშვნელოვანია, რომ იტალიაში საჩივრის წარდგენისას შესაძლოა მედიაციის მოთხოვნაც, რომელიც ცალკე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია და ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი იღებს სარგებელს საგადასახადო ჯარიმის 40 %-ის შემცირებით და იწყება შეთხმების პროცედურა საგადასახადო ორგანოსთან.<sup>106</sup> დანიაში ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი არის ეროვნული საგადასახადო ტრიბუნალი.<sup>107</sup> ესპანეთში ცალკე ადმინისტრაციული ორგანოებია შექმნილი საგადასახადო დავების ფარგლებში საჩივრების განხილვის მიზნით *Tribunales Económico Administrativos*.<sup>108</sup>

დავების განხილვის საბჭოს არასასურველი გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლოში და ამ შემთხვევაში, დავის განხილვა იქნება ხანგრძლივი და ხარჯიანი პროცესი. დავების განხილვის საბჭო სასამართლოსგან განსხვავებით არის უფრო სწრაფი<sup>109</sup> და ხარჯთეფექტური მოქალაქისათვის. დავების საბჭოს ეფექტურმა ფუნქციონირებამ შესაძლოა გაფილტროს დავების ნაწილი და დავა დასრულდეს საბჭოშივე. შესაბამისად, იგი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი მნიშვნელოვან როლის ასრულებს სასამართლოებში საგადასახადო დავების შემცირების კუთხით.

---

<sup>104</sup> დავების განხილველი საბჭოს აპარატის სტატისტიკური ანგარიში, 2020, გვ.3 <https://taxdisputes.gov.ge/4045> [06.02.2022]

<sup>105</sup> *Comba M., Caranta R.*, Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.90.

<sup>106</sup> იქვე, p.97.

<sup>107</sup> *Conradsen I. M., Gotze M.*, Administrative Appeals and ADR in Danish Administrative Law. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.164.

<sup>108</sup> *Galera S., Acosta P., Soletto H.*, ADR Tools in Spanish Administrative Law. *Dragos D.C., Neamatu B.*, Editors, Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.239.

<sup>109</sup> დავების განმხილველი საბჭო საგადასახადო დავებთან დაკავშირებით საჩივარს განიხილავს 20 დღის ვადაში.

### 3.4 განათლების სფეროში დავის განხილვის მექანიზმი

განათლების მიმართულებით განსაზღვრულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი და ამ მიზნით იქმნება სააპელაციო საბჭო.<sup>110</sup> სააპელაციო საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია სააპელაციო საბჭოს წევრთა ფუნქციური დამოუკიდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანოებისაგან.<sup>111</sup>

სააპელაციო საბჭო, არის დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმი, სასამართლოში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით დავის დაწყებამდე. სააპელაციო საბჭოს ეფეტურმა საქმიანობამ შესაძლოა განტვირთოს სასამართლოები აღნიშნული მიმართულებით დავებისაგან. ამასთან, სააპელაციო საბჭოში დავა არის უფრო სწრაფი უფლების დაცვის მექანიზმი მომჩივანისათვის ვიდრე სასამართლო, რომელშიც წლები შეიძლება გაგრძელდეს დავა. თუმცა სააპელაციო საბჭოს არასასურველ გადაწყვეტილებაზე შესაძლოა დავა გაგრძელდეს სასამართლოში. სააპელაციო საბჭო არ არის საბოლოო ინსტანცია, თუმცა მას აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეამციროს დავების რაოდენობა.

### 3.5 სასამართლო მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში

სასკ-ის შესაბამისად, თუ სასკ-ით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო

<sup>110</sup> მუხლი 24<sup>1</sup> (1), საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 47, 05/08/2010.

<sup>111</sup> იქვე, მუხლი 24<sup>1</sup> (2).

საპროცესო კოდექსის დებულებანი<sup>112</sup>. სასკ-ი აღიარებს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს,<sup>113</sup> თუმცა ამავე კოდექსით განსაზღვრულია იმ დავების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციას<sup>114</sup>, მათ შორის კანონი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მედიაციას დაექვემდებაროს ნებისმიერი სხვა დავა - მხარეთა შეთანხმებით<sup>115</sup>. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი სასამართლო სისტემის ნაწილია და მასში სასამართლო სისტემის მონაწილეობას ითვალისწინებს. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი არ არის ინსტიტუციური მედიაცია, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა იძლევა ადმინისტრაციულ დავებში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს ნორმები და, შესაბამისად, დავის გადაცემა მედიატორისათვის, ჯერჯერობით, პრაქტიკულად არასოდეს გამოუყენებიათ<sup>116</sup>. სავარაუდოდ აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი უკავშირდება სამოქალაქო დავებს და ადმინისტრაციულ დავებში მხარეები არ ცდილობენ სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის გამოყენებას, ვინაიდან ისედაც სასამართლო პროცესში არიან ჩაბმულნი. საჯარო უწყებები უნდა იყვნენ წახალისებული, იმისთვის რომ გამოიყენონ მედიაციის პროცედურა და მოახდინონ ადმინისტრაციული კონფლიქტის პრევენცია, შესაბამისად, ამ მიზნით კანონმდებლობა ადაპტირებული უნდა იყოს.<sup>117</sup>

---

<sup>112</sup> მუხლი 1 (2), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

<sup>113</sup> თავი XXI<sup>1</sup>, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

<sup>114</sup> იქვე, მუხლი 187<sup>3</sup>.

<sup>115</sup> იქვე, მუხლი 187<sup>3</sup> (1)(დ).

<sup>116</sup> *გეწაძე შ.* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ადმინისტრაციულ დავებში (საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივები). მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები, „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“. თბილისი, 2017, გვ. 116.

<sup>117</sup> *Bogdan F.*, The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court. *Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia*, 19, 2016, p.118

#### 4. ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოშობილი დავის განხილვის საკითხი

##### 4.1 ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დავის განხილვის მექანიზმები

„საჯარო ხელშეკრულებები“ საერთო სამართალში განიმარტება როგორც „საჯარო უწყებების მიერ სამართლებრივად აღსრულებადი ვალდებულება სამუშაოების ან გაუმჯობესების ღონისძიებებისათვის“.<sup>118</sup> ორივე ინგლისური და ამერიკული დოქტრინა იყენებს ტერმინს „სამთვრობო კონტრაქტი“ რადგანაც ტერმინი სამთვრობო მეტწილად აერთიანებს ცენტრალურ და ადგილობრივ ადმინისტრაციას.<sup>119</sup> „სამთვრობო ხელშეკრულებებს“, საქართველოს კანონმდებლობაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებები ეწოდება. ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.<sup>120</sup> ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის მიცემული ფორმა არის იურისპრუდენციისა და დოქტრინის მიღწევა, რომელიც შეივსო კანონმდებლობით.<sup>121</sup> ეს ევოლუცია კლასიკურად დაიწყო სახელმწიფოს სუვერენიტეტის თეორიიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების აღიარების ტენდენცია და შესაბამისად სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ვალდებულებებისათვის.<sup>122</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომლებიც იდება საჯარო ინტერესის მიზნის მისაღწევად, მათ კანონმდებლის მიერ მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი და

<sup>118</sup> *Pascariu L.T.*, Some Ideas for a Comparative Analysis of the Administrative Contracts, *European Journal of Law and Public Administration* 3, no. 1, 2016, p.117

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> მუხლი 2 (1)(ზ), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.

<sup>121</sup> *Langrod G.*, Administrative Contracts - A Comparative Study. *American Journal of Comparative Law* 4, no. 3, 1955, p.332.

<sup>122</sup> იქვე.

აღნიშნული განასხვავებს მათ კერძო სამართლის ხელშეკრულებებისაგან.<sup>123</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან ერთად, არის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, ადმინისტრაციული ორგანოები ასრულებენ მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებს.<sup>124</sup>

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების დეფინიციიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის არის ადმინისტრაციული ორგანო და ამასთან იგი იღება „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. „საჯარო უფლებამოსილების“ ცნება საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განმარტებული და იგი მიეკუთვნება განუსაზღვრელ ცნებას.<sup>125</sup> „საჯარო უფლებამოსილება“ განმარტებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითადი ამოცანებისა და საქმიანობის სფეროს კონტექსტში, რომელიც აისახება შესაბამის კანონმდებლობაში.<sup>126</sup> ადმინისტრაციულ ორგანოს უმეტეს შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს როგორც კომპეტენცია, ასევე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალება.<sup>127</sup> თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმება უკავშირდება მისი ძირითადი ფუნქციისა და ამოცანის შესრულებას, ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ფუნქციის შესრულების ფორმას, ასეთი ხელშეკრულება უნდა განვიხილოთ, როგორც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება<sup>128</sup>. ხელშეკრულების მიზანი

---

<sup>123</sup> *Kaltsa A., Kourtesi T.* Implementation of Private Law Principles in Administrative Contracts. *The European Public Law*, 6, no. 3, 2000, p. 322-323.

<sup>124</sup> *Sandu A. M., Pagarin M.S.*, Study on Administrative Contracts. *Contemporary Readings in Law and Social Justice*, 4, no. 2, 2012, p.904.

<sup>125</sup> *წურწუშია ს.*, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.132.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> *ტურავა კ.* ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, მესამე გამოცემა, თბილისი, 2020, გვ.208.

<sup>128</sup> ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე: ა. როდესაც ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება; ბ. როდესაც ის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს; გ. როდესაც ის მოქალაქის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს. იხ. *ტურავა კ.* ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, მესამე გამოცემა, თბილისი, 2020, გვ.209.



უნდა განისაზღვროს მისი შინაარსიდან გამომდინარე.<sup>129</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ელემენტი „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“, გულისხმობს, რომ ხელშეკრულება ემსახურება საჯარო ამოცანის განხორციელებას.<sup>130</sup>

ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში ხელშემკვრელი მხარეები არიან ადმინისტრაციული ორგანო და კერძო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სარგებლის მიმღები არის საზოგადოება. საჯარო უფლებამოსილების განხორციელება საზოგადოების ინტერესების დაცვასა და კეთილდღეობას ემსახურება.<sup>131</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოები შეზღუდულნი არიან ისარგებლონ სრული სახელშეკრულებო თავისუფლებით. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ადმინისტრაციულ ორგანოზე სრული მოცულობით გავრცელებას შეეძლო მისთვის უკონტროლო თავისუფლების მინიჭება, რაც გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს ამოვარდნას საჯარო-სამართლებრივი წესრიგის ერთიანი სისტემიდან.<sup>132</sup>

ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართალში, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვამ შეიძლება დააკნინოს პრინციპი *bona fides exigat ut, quod convenit fiat* (კეთილსინდისიერება მოითხოვს იმის შესრულებას, რაც იყო შეთანხმებული).<sup>133</sup> აღნიშნული პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალში დამარცხებულია იურისპრუდენციული და სამართლებრივი პრინციპებით<sup>134</sup>, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ხელშეკრულების დადებისას და მიმდინარეობისას საჯარო ინტერესის დაცვას სთხოვს. კერძო სამართლისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართალში ერევა პრინციპი: კარგი ადმინისტრაციის პრინციპი,

<sup>129</sup> ტურავა პ. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, მესამე გამოცემა, თბილისი, 2020, გვ.209.

<sup>130</sup> იქვე.

<sup>131</sup> წურწუშია ს., ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.136.

<sup>132</sup> კიკილაშვილი გ., ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016, გვ. 10. <[https://www.tsu.ge/gr\\_count.php/publishing-house/single/717](https://www.tsu.ge/gr_count.php/publishing-house/single/717)> [05.12.2021].

<sup>133</sup> Sararu C.S., The Interpretation of Administrative Contracts. Juridical Tribune, vol. 4, no. 1, 2014, p.153.

<sup>134</sup> იქვე.

რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს საჯარო სერვისის საჭიროების შესაბამისად.<sup>135</sup>

2005 წლამდე სასკ-ი განსაზღვრავდა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული გარიგების დადება ან შესრულება.<sup>136</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულებების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავების საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწამოების წესით განხილვის რეგულაცია სასკ-ში 2005 წელს აისახა.<sup>137</sup> ამასთან, განისაზღვა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადასცემოდა კერძო არბიტრაჟს. 2009 წელს ეს უკანასკნელი ჩანაწერი დაზუსტდა და ნაცვლად „კერძო არბიტრაჟისა“, მიეთითა „არბიტრაჟი“<sup>138</sup>. 2009 წელს კანონმდებელმა აღნიშნული ცვლილება დაუკავშირა ახალი არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მიღებას და კანონის პროექტის განმარტებით ბარათში მიუთითა რომ „ცნება „კერძო არბიტრაჟი“ შეიცვალა ცნებით „არბიტრაჟი“, რადგან აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, არბიტრაჟი შეიძლება იყოს მხოლოდ კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება“.<sup>139</sup> აღნიშნული განმარტება საყურადღებოა, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში უკვე მიღებული იყო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2001(9) „ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადაჭრის სასამართლო გარჩევის ალტერნატიულ საშუალებათა შესახებ“, რომელიც უშვებდა ადმინისტრაციულ დავებში,

---

<sup>135</sup> *Sararu C.S.*, The Interpretation of Administrative Contracts. Juridical Tribune, vol. 4, no. 1, 2014, p.154.

<sup>136</sup> მუხლი 2 (2)(ბ), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999, 2005 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია.

<sup>137</sup> მუხლი 1 (18), საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 37, 14/07/2005.

<sup>138</sup> მუხლი 1, საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009.

<sup>139</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტიზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/101770?>> [06.02.2022].

არბიტრაჟის როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას.<sup>140</sup>

დღეს მოქმედი კანონმდებლობა, ადმინისტრაციულ ორგანოებს არ ანიჭებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში, სრულ ავტონომიას, თავად აირჩიონ დავის გადაწყვეტის მექანიზმები.<sup>141</sup> ადმინისტრაციული ხელშეკრულებები ექცევა საჯარო-სამართლებრივი კონტროლის ქვეშ. ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში, ვალდებულებები ყოველთვის არის საჯარო ინტერესის დაცვის სასარგებლოდ, მიუხედავად მისი ფართო ინტერპრეტაციისა, ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებები უნდა განიმარტოს და გავრცელდეს, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი, რეგულარული და უწყვეტი საჯარო სერვისის ოპერირებისათვის.<sup>142</sup>

ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დაქვემდებარება და დავის ალტერნატიული მექანიზმის არჩევის შესაძლებლობის შეზღუდვა, ერთი მხრივ შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმით დაექვემდებაროს სასამართლოს კონტროლს.<sup>143</sup> ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, მოსამართლე არ გვევლინება როგორც დამოუკიდებელი არბიტრი. ადმინისტრაციული პროცესისათვის დამახასიათებელია ინკვიზიციურობის პრინციპი, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს აქვს უფლებამოსილება შეამოწმოს, ხომ არ იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება საჯარო ინტერესისათვის ზიანის მიყენებას, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა თავად გამოითხოვოს დოკუმენტები ან არ დაამტკიცოს მორიგება.<sup>144</sup> შესაბამისად, სასამართლო საჯარო ინტერესთან

<sup>140</sup> Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>141</sup> წურწუშია ს., ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.134.

<sup>142</sup> Sararu C.S., The Interpretation of Administrative Contracts. Juridical Tribune, vol. 4, no. 1, 2014, p.155.

<sup>143</sup> წურწუშია ს., ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.134.

<sup>144</sup> იქვე.

დაკავშირებული ხელშეკრულებების განხილვისას ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს.<sup>145</sup>

ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინაში, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დავებში არბიტრაჟის აკრძალვა ხშირად არის გამოხატული და აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად კომერციული არბიტრაჟის ინსტიტუტის სპეციფიურობა ხასიათდება და მხარეთა სამართლებრივად თანასწორი მდგომარეობა,<sup>146</sup> შესაბამისად, მიიჩნევა, რომ ადმინისტრაციულ დავებში მხარეები არათანასწორ მდგომარეობაში არიან და საჯარო ინტერესის დაცვის მიზანი, მხარეთა თანასწორობას გამორცხავს. ამ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების პუნქტების განმარტებისას გამოყენებულ იქნეს წესი, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ექვემდებარება საზოგადოებრივი ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპს.<sup>147</sup>

რუმინეთში, კანონმდებლობით სახელმწიფო და საჯარო უწყებები შეზღუდულნი არიან გააფორმონ საარბიტრაჟო შეთანხმება და შემოღებულია გამონაკლისი საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებაზე, როდესაც ეს კანონით ნებადართულია ან მოთხოვნილია იმ საერთაშორისო კონვენციით რომლის წევრიც არის რუმინეთი.<sup>148</sup>

საქართველოს სამართლებრივ პრაქტიკაშიც გვხვდება იმგვარი ხელშეკრულებები, რომლებიც თავისი არსით შეიძლება განიმარტოს, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულების კატეგორია და მათთან მიმართებით საგამონაკლისო წესით დაშვებულია არბიტრაჟის გამოყენება, შესაბამის საკანონმდებლო აქტში თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაში ასეთი მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით. აღნიშნული თავისებურება ახასიათებს საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების

---

<sup>145</sup> *წურწუშია ს.*, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.134.

<sup>146</sup> *Sararu C.S.*, Arbitration Settlement of Disputes concerning Administrative Contracts in Romania. *Juridical Tribune*, vol.8, no. Special Issue, 2018, p. 225-226.

<sup>147</sup> *Sararu C.S.*, The Interpretation of Administrative Contracts. *Juridical Tribune*, vol. 4, no. 1, 2014, p. 155

<sup>148</sup> *Sararu C.S.*, Arbitration Settlement of Disputes concerning Administrative Contracts in Romania. *Juridical Tribune*, vol.8, no. Special Issue, 2018, p. 223.

დაფინანსებით გაფორმებულ ხელშეკრულებებს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სახის ადმინისტრაციული ხელშეკრულებებისათვის დასაშვებია არბიტრაჟის დავის გადაწყვეტის მექანიზმად გამოყენება, მსჯელობას საჭიროებს ყველა სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმად, არბიტრაჟის გამოყენების შესაძლებლობის განხილვა შესაბამისი რისკების შეფასების საფუძველზე.

#### **4.2 საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში დავის განხილვის თავისებურებები**

2018 წელს მიღებულ იქნა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. საჯარო და კერძო თანამშრომლობა/საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი არის საჯარო პარტნიორსა და კერძო პარტნიორს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობა, რომელიც აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხორციელდება სამუშაოს შესრულების ან/და საჯარო მომსახურების გაწევის მიზნით, კონცესიის ან არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის სახით.<sup>149</sup>

კანონმა განსაზღვრა საჯარო მომსახურების ცნება და განმარტა იგი. კერძოდ, საჯარო მომსახურება არის საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი მომსახურება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც წესი, ახორციელებენ სახელმწიფო ორგანო, მუნიციპალიტეტის ორგანო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოების ფართო წრისთვის.<sup>150</sup> კანონის შესაბამისად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება არის საჯარო პარტნიორსა და კერძო პარტნიორს

---

<sup>149</sup> მუხლი 2 (ბ), საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო: 240080010.05.001.018845, 24/05/2018.

<sup>150</sup> იქვე, მუხლი 2 (წ).

შორის კონცესიის ან არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის სახით დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულება.<sup>151</sup>

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება იდება საჯარო მომსახურების განხორციელების მიზნით და იგი მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულება სრულად ემსახურება საჯარო მომსახურების მიღებას. საჯარო მომსახურება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, მათ შორის, ადმინისტრაციული მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა არის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რაც ამ შემთხვევაში საჯარო და კერძო პარტნიორობის ხელშეკრულებაში გამოიხატება.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების მიზნად კანონმდებელმა დაასახელა საჯარო და კერძო თანამშრომლობის გამჭვირვალე, ეფექტიანი და თანამედროვე სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და შექმნის ინვესტიციებისათვის მიმზიდველ გარემოს.<sup>152</sup>

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, კანონმდებელმა გამონაკლისი დააწესა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში დავები არბიტრაჟსაც დაუქვემდებარა, კერძოდ, მიუთითა, რომ არბიტრაჟის უფლებამოსილია განიხილოს „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა.<sup>153</sup> ამ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე

---

<sup>151</sup> მუხლი 2 (ვ), საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო: 240080010.05.001.018845, 24/05/2018.

<sup>152</sup> განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159500?>>, [06.02.2022].

<sup>153</sup> მუხლი 1(2) (ბ), საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009.

დავის განხილვის მექანიზმად განსაზღვრა, არ გამორიცხავს ასეთი ხელშეკრულებების ფარგლებში დავის სასამართლო წესით განხილვას. არბიტრაჟის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტა არის ასეთ ხელშეკრულებებში ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, კანონმდებელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, იმ გარემოებას, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებები არ მიეკუთვნება პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ხელშეკრულებებს,<sup>154</sup> ვინაიდან, თავად „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ცვლილებების განხორციელებამდეც არეგულირებდა, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილი იყო განეხილა პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.<sup>155</sup>

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი, წარმოადგენდა „კერძო და საჯარო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანმდევ კანონის პროექტს. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათში კანონმდებელმა მიუთითა, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამინდელი ვერსიით არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ კერძო ხასიათის ქონებრივი დავები, რამაც შესაძლებელია არ მოიცვას საჯარო და კერძო თანამშრომლობის ურთიერთობების ბუნების მქონე დავები.“<sup>156</sup> შესაბამისად, კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ადმინისტრაციული სახის ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე დავაც, არა მხოლოდ სასამართლომ შეიძლება განიხილოს, არამედ, აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში დავის განმხილველ მექანიზმად არბიტრაჟიც გვევლინება.

<sup>154</sup> *წურწუშია ს.*, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.135.

<sup>155</sup> მუხლი 1 (2) (ა), საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009.

<sup>156</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159511?>>, [06.02.2022].

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონმდებელმა პოლიტიკური ნება არბიტრაჟის გარკვეული კატეგორიის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში გამოყენებაზე გამოავლინა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ პრაქტიკაში გამოყენების კუთხით. აღნიშნული უფრო გაამარტივებს, გარკვეული კატეგორიის ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების საკითხის განვითარებაზე მსჯელობას.

#### **4.3 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით გაფორმებული ხელშეკრულებების დავის განხილვის მექანიზმები**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფო საჯარო ფუნქციის შესრულების მიზნით ხშირად იღებს სესხებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან/დონორი ორგანიზაციებისაგან. სესხის ხელშეკრულება საჭიროებს რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტის მიერ.<sup>157</sup> სასესხო ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია საერთაშორისო ორგანიზაციასთან არის საერთაშორისო ხელშეკრულება. სახელმწიფო სასესხო ხელშეკრულებებს არ აფორმებს კერძო მიზნებისათვის. სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში ფინანსური რესურსები გამოიყოფა სახელმწიფო ორგანოთა მიერ საჯარო უფლებამოსილებების შესრულების მიზნით, იმ ძირითადი სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც საჯარო სარგებლის მომტანია.<sup>158</sup> სასესხო ხელშეკრულებები ძირითადად ფორმდება მსოფლიო ბანკთან, ევროპის საინვესტიციო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და აზიის განვითარების ბანკთან. სახელმწიფო ამავე სასესხო ხელშეკრულებითვე იღებს ვალდებულებას შესაბამისი სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს ამავე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ან/და დონორი ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ასეთი შესყიდვები არ ექცევა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის

<sup>157</sup> მუხლი 47 (2)(დ), საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

<sup>158</sup> *წურწუშია ს.*, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.136.



მოქმედების სფეროში.<sup>159</sup> საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, საკონსულტაციო და სამშენებლო სამუშაოები შეასრულოს საერთაშორისოდ აღიარებული ტიპური ხელშეკრულებების გაფორმების გზით. ხელშეკრულებები ფორმდება როგორც საკონსულტაციო მომსახურებაზე, ასევე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს, ვინაიდან იგი ემსახურება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანს.<sup>160</sup> სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულებების ფარგლებში, გამოიყენება FIDIC-ის ტიპის ან თავად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის/დონორი ორგანიზაციის მიერ მომზადებული ტიპური ხელშეკრულებები.<sup>161</sup> ხელშეკრულებების მიზნებისათვის დავის განმხილველ მექანიზმად გათვალისწინებული არ არის სასამართლო, არამედ ხელშეკრულებების ფარგლებში დავის განმხილველ მექანიზმად განხილულია ალტერნატიული მექანიზმი, როგორც არის დავების განმხილველი საბჭო (Dispute Avoidance/Adjudication Board)<sup>162</sup> ან მომრიგებელი (Adjudicator)<sup>163</sup>, ხოლო მათი გადაწყვეტილებების შემდგომი გასაჩივრების მექანიზმი არის საერთაშორისო არბიტრაჟი.<sup>164</sup>

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია არბიტრაჟი როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებებში. გასათვალისწინებელია, რომ არც სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებებში და არც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში

---

<sup>159</sup> მუხლი 1 (4), საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 18/05/2005.

<sup>160</sup> წურწუშია ს., ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.136.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> Sub-Clause 1.1.22, General Conditions, FIDIC Conditions of Contract for Construction, for Building and Engineering Works Designed by the Employer. Published by International Federation of Consulting Engineers, Geneva, Switzerland, Second Edition, 2017, p.22

<sup>163</sup> Sub-Clause 23, General Conditions of Contract, Standart Procurment Document, Request for Bids Small Works (One-Envelope Bidding Process), p.150. <<http://pubdocs.worldbank.org/en/885201576685661155/SPDRequestforBidsSMALLWORKS-One-Envelope-December-2019.docx>> [06.02.2022].

<sup>164</sup> Sub-Clause 21.6, General Conditions, FIDIC Conditions of Contract for Construction, for Building and Engineering Works Designed by the Employer. Published by International Federation of Consulting Engineers, Geneva, Switzerland, Second Edition, 2017, p.104.

საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს დავების განმხილველ საბჭოს (Dispute Avoidance/Adjudication Board) ან მომრიგებელს (Adjudicator), როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმს.<sup>165</sup> არსებული რეალობით აღნიშნულმა ორმა ინსტიტუტმა ფეხი მოკიდა საერთშორისო სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში გაფორმებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში.<sup>166</sup> ამ შემთხვევაში, მხარეთა მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებისას, ხდება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმისათვის ლეგიტიმაციის მინიჭება და ისინი გვევლინებიან დავის განმხილველ მექანიზმებად საერთშორისო საფინანსო ინსტიტუტების/დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში.<sup>167</sup>

შესაბამისად, საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში, გარდა არბიტრაჟისა დამკვიდრებას ცდილობს ახალი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმს (დავების განმხილველი საბჭო (Dispute Avoidance/Adjudication Board), მომრიგებლის (Adjudicator)). აღნიშნული ალტერნატიული მექანიზმის საკანონმდებლო მოწესრიგების არ არსებობა უკავშირდება პრაქტიკულ სირთულეებს მათი გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების კუთხით. კერძოდ, სავალდებულო და საბოლოო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულება დამოკიდებულია მხარეთა კეთილსინდისიერებაზე რამდენად შეასრულებენ დავების განმხილველი საბჭოს (Dispute Avoidance/Adjudication Board) ან მომრიგებლის (Adjudicator) გადაწყვეტილებას. მათი საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების რომელიმე მხარის მიერ შეუსრულებელის შემთხვევაში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღსრულების მექანიზმებს.

პრაქტიკაში ზემოაღნიშნული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები არის ხარჯთეფექტური, სწრაფი და მოქნილი დავების გადასაწყვეტად. მაგალითად, დავების განმხილველ საბჭოებში დავის ხანგრძლივობა და გადაწყვეტილების მიღება 84

<sup>165</sup> *წურწუმია ს.*, ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021, გვ.136-137.

<sup>166</sup> იქვე, გვ.137.

<sup>167</sup> იქვე.

დღეს არ აღემატება, თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმდნენ<sup>168</sup>. დავის ალტერნატიული მექანიზმების როლი განსაკუთრებით იზრდება უშუალოდ ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული მექანიზმები, არა მხოლოდ დავების გადაწყვეტ ორგანოებად გვევლინებიან, არამედ ისინი მონაწილეობას იღებენ ხელშეკრულების შესრულების მთელ პროცესში. დავების განმხილველ საბჭოებთან და მომრიგებლებთან დაკავშირებული ურთიერთობები საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეული სახის რეგულაციების დაწესებას, რაც უნდა იქნეს განხილული სამომავლო პერსპექტივაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დავების განმხილველი საბჭოს (Dispute Avoidance/Adjudication Board) ან მომრიგებლის (Adjudicator) გადაწყვეტილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების/დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში საჩივრდება არბიტრაჟში. არბიტრაჟში გასაჩივრებამდე გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარე გასცემს უკმაყოფილების შეტყობინებას 28 დღის ვადაში.<sup>169</sup> ხოლო უკმაყოფილების შეტყობინების გაცემიდან 28 დღე მხარეებს განესაზღვრებათ შეთანხმების მისაღწევად და მოსარიგებლად.<sup>170</sup> აღნიშნული ვადების ამოწურვის შემდეგ, მხარეები დავის გადასაწყვეტად მიმართავენ არბიტრაჟს.<sup>171</sup>

ამდენად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების/დონორი ორგანიზაციების დაფინანსების ფარგლებში გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებები ითვალისწინებენ დავების განხილვას მხოლოდ ალტერნატიულ მექანიზმებში და არ არის აღიარებული სასამართლოების იურისდიქცია ასეთი ხელშეკრულებების ფარგლებში დავების განხილვაზე.

საქართველოში უკვე დაგროვდა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების გამოცდილება, რაც

---

<sup>168</sup> Sub-Clause 21.4.3 (a), General Conditions, FIDIC Conditions of Contract for Construction, for Building and Engineering Works Designed by the Employer. Published by International Federation of Consulting Engineers, Geneva, Switzerland, Second Edition, 2017, p.103.

<sup>169</sup> იქვე, Sub-Clause 21.4.4 (c), p.104.

<sup>170</sup> იქვე, Sub-Clause 21.5, p.104.

<sup>171</sup> იქვე, Sub-Clause 21.6, p.104.

ხელშემწყობი ფაქტობრივი გარემოება არის, იმისთვის, რომ განხილულ იქნეს ყველა სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში დავების გადასაწყვეტად ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა.

## II. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების საჭიროება და საერთაშორისო გამოცდილება

### 1. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსი

დავების გადაწყვეტის მნიშვნელობის გაზრდის გლობალური ანარეკლი არის დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, როგორც დავის მოგვარების სასურველი მეთოდი და აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდება 21-ე საუკუნეში.<sup>172</sup> რა არის დავის ალტერნატიული გადაწყვეტა? აღნიშნული თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან საკუთრი აბრევიატურა მოიპოვა „ADR“.<sup>173</sup> დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესის ფორმალურ სასამართლო სისტემაში ინსტიტუციონალიზაციით, მიღებულ იქნა მართლმსაჯულების ახალი სისტემა, აღიარებულ იქნა, რომ მართლმსაჯულება შეიძლება მიიღო „ბევრ ოთახში“, სასამართლო დარბაზს მიღმა.<sup>174</sup> დავის ალტერნატიული გადაწყვეტის (ADR) მოძრაობა სამართალში წარმოიშვა ადგილობრივად, რადგანაც სასამართლო სისტემის გადატვირთვით საფრთხე ემუქრებოდა ცალკეული მოქალაქეებისათვის „სასამართლო დღის“ ჩამორთმვას.<sup>175</sup>

ფრაზას „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“ ბევრი კონოტაცია აქვს და ხშირად იგი აღწერს ნებისმიერ სასამართლოგარეშე პროცედურას, რომლის მეშვეობითაც კერძო მხარეები შეთანხმდნენ სამართლებრივი დავების გადაწყვეტაზე.<sup>176</sup> ტერმინი „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“ გამოიყენება იმისთვის, რომ ფართოდ განსაზღვროს დავის

---

<sup>172</sup> Spiroska E., Ristovska M. Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review*, 2, 2013, p.84.

<sup>173</sup> Applebey G. What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.20.

<sup>174</sup> Rabinovich-Einy O., Katsh E., Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age. *Cardozo Journal of Conflict Resolution*, 18, no. 3, 2017, p.637-638.

<sup>175</sup> Mithcell G.J., Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988, p. 223

<sup>176</sup> Dayton K., The Myth of Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Iowa Law Review*, vol. 76, no. 5, 1991, p. 897

გადაწყვეტის ის მექანიზმები, რომლებიც არის უფრო მცირე პროცესები ვიდრე სასამართლო პროცესია.<sup>177</sup> მიუხედავად სასამართლოში საქმეების განხილვის უარყოფითი მხარეებისა, როგორც არის მაღალი ხარჯები, ხანგრძლივი პროცედურა, შეჯიბრებითობის პირობები, მოსამართლეთა ნაკლები ტექნიკური კომპეტენცია - სასამართლო სისტემა წარმოადგენს შეუფასებელ და შეუდარებელ მექანიზმს დავის გადასაწყვეტად გარკვეულ გარემოებებში.<sup>178</sup>

„დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების“ განვითარება არ გულისხმობს სასამართლო სისტემის ჩანაცვლებას, სასამართლო სისტემას მისი უკინალური ბუნება აქვს საჯარო სისტემაში. სასამართლო სისტემის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც დავის არსი ეფუძნება პრეცედენტს.<sup>179</sup> ADR არ უნდა იქნეს მიჩნეული პანაცეად, რომელიც გადაჭრის სამთავრობო ხელშეკრულებებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების უარყოფით მხარეებს.<sup>180</sup>

ADR პირველ რიგში *ექსპერიმენტულია* რადგან ეძებს (ა) დავის გადაწყვეტის ახალ მოდელებს (ბ) ახალ განაცხადებს ძველი მოდელების (გ) დავის მოგვარების ახალ ფორუმებს (დ) განსხვავებულ აქცენტებს იურიდიულ განათლებაში.<sup>181</sup> მეორეც ის მიზნად ისახავს უფრო მეტ ეფექტურობას, აღნიშნული უპირველესად სასამართლოების გადატვირთვისგან გათავისუფლებას გულისხმობს, დაგვიანებისა და ხარჯების შემცირებას.<sup>182</sup>

ADR *ალტერნატივაა* რადგანაც: (ა) მხარეები პირადად ირჩევენ იმას თუ როგორ აიცილონ სამართალწარმოება ან (ბ) წესები მოითხოვს ან უკრძალავს სასამართლოს გადაწყვეტოს დავა, მაგალითად თუ იგი განხილულ უნდა იქნეს არბიტრაჟის მიერ.<sup>183</sup>

---

<sup>177</sup> *Applebey G.*, What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.4.

<sup>178</sup> *Lamari M.R.*, The Role of Alternative Dispute Resolution in Government Construction Contract Disputes. *Hofstra Law Review*, Vol. 23, Iss. 1, 1994, p. 211.

<sup>179</sup> იქვე.

<sup>180</sup> *Warfield W.*, The Implications of Alternative Dispute Resolution Processes for Decisionmaking in Administrative Disputes, *Pepperdine Law Review* 16, no. 5, 1989, p.104.

<sup>181</sup> *Applebey G.*, What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.20.

<sup>182</sup> იქვე, p.20-21.

<sup>183</sup> იქვე, p.32.

ტერმინი „ალტერნატიული დავის გადაწყვეტა“ ან „ADR“ არის ქოლგა ტერმინი<sup>184</sup> და გამოიყენება დავების გადაწყვეტის სხვადასხვა მეთოდების აღსანიშნავად, რომელიც ტრადიციული სამართალწარმოების მიღმა არის. ADR გულისხმობს შესაფერისი გზების ძიებას დავების მოსაგვარებლად. ზოგჯერ არ არსებობს „A“<sup>185</sup>, მაგრამ ზოგადად ფრაზა „დავის გადაწყვეტა“ არის გზა, რომელიც აჩვენებს რომ დავის გადაწყვეტის ყველა პოტენციური მიდგომა მისაღებია მიუხედავად აბრევიატურისა.<sup>186</sup> ADR იძლევა უფრო ფართო შესაძლებლობებს, ვიდრე ამ აკრონიზმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა შეიძლება გულისხმობდეს თავის თავში.<sup>187</sup>

„ალტერნატიული დავების გადაწყვეტის“ კონცეფცია არის დავების მოგვარების შესაძლო ინსტრუმენტების გაფართოების საფუძველი<sup>188</sup> და სასამართლოს გარეთ დავების მოგვარების ტექნიკა.<sup>189</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი მოდავე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას აირჩიონ ფართო სპექტრის მექანიზმებიდან მექანიზმი, რომელიც დაეხმარებათ კონფლიქტის გადაწყვეტაში.<sup>190</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები არის საფუძველი, იმისა რომ განვიხილოთ ზოგიერთი ალტერნატივა ჩვენ სამართლებრივ სისტემაში.<sup>191</sup> მსოფლიო მასშტაბით ADR მექანიზმის განვითარება, სამართლებრივი კულტურის და ტრადიციების, ბიზნეს გარემოს, და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არის განსხვავებული, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სამართლებრივი სისტემის ქვეყნები შეიძლება იყვნენ.<sup>192</sup> ტერმინი - დავის

---

<sup>184</sup> *Levin A.L., Golash D.*, Alternative Dispute Resolution in Federal District Courts. University of Florida Law Review, vol. 37, no. 1, 1985, p.30

<sup>185</sup> „A“ - ში იგულისხმება ალტერნატივა.

<sup>186</sup> *Spiroska E., Ristovska M.*, Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review, 2, 2013, p.84.

<sup>187</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.27.

<sup>188</sup> *Spiroska E., Ristovska M.*, Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review, 2, 2013, p.84.

<sup>189</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. Cardozo Journal of Conflict Resolution 11, no. 2, 2010, p.438.

<sup>190</sup> *Talibah P.*, Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. Thurgood Marshall Law Review 25, no. Issues 1 & 2, 1999 -2000, p.139

<sup>191</sup> *Gellhorn W., Dunlop W.T., Edwards H.T., Kuhl C.B.* Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. Administrative Law Journal, 1, no. 2, 1987, p.466.

<sup>192</sup> *Cărăușan M.V.*, Alternative Dispute Resolutions Within Administrative Contracts: Attributes and Enforcements. Law Review, vol. VIII, issue 2, 2018, p.113.

ალტერნატიული გადაწყვეტა მიემართება ყველა მექანიზმს, რომელიც მოწოდებულია მოდავე მხარეებს შორის დავის მოლაპარაკებით გადაწყვეტისაკენ სანამ მოდავე მხარეები გადავლენ სამართლებრივ პროცედურებზე სასამართლოში.<sup>193</sup>

ADR უფრო ხშირად გამოიმუშავებს მდგრად გადაწყვეტას მხარეებისათვის ურთიერთობის აღდგენის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესების კუთხით.<sup>194</sup> ზოგიერთი კომენტატორის აზრით ADR-ს აქვს პედაგოგიური ეფექტი მხარეებისათვის.<sup>195</sup> ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ADR-ის პროცესი წარმოადგენს „ალტერნატივას“ სასამართლო დავების, მოიცავს არასამართლებრივ ასპექტებს ინტერპერსონალური კონფლიქტების და მიიღება მხარეებისათვის უფრო მისაღები გადაწყვეტილებები.<sup>196</sup> ADR-ის მიზანი არის გააუმჯობესოს წვდომა მართლმსაჯულებაზე, თუმცა ისინი ფაქტობრივად ავსებენ მართლმსაჯულების პროცედურებს, ეხმარებიან მხარეებს დაიწყონ დიალოგი და თავად შეაფასონ სასამართლოში წასვლის ღირებულება.<sup>197</sup>

ალტერნატიული მეთოდები მხარეებს სთავაზობს კონფლიქტის მოგვარების სწრაფ საშუალებას, სადაც მათ შეუძლიათ განსაზღვრონ მათი საკუთარი წესები, პროცედურები და მათ შორის ხელმისაწვდომი საშუალებები.<sup>198</sup> დავის ალტერნატიული გადაწყვეტა მათ სთავაზობს ფორმალური მართლმსაჯულების ყველა სარგებელს.<sup>199</sup>

ADR-ის ისტორიული განვითარების შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ ADR-ის წარმატებული დანერგვა, განხორციელება და განვითარება მოითხოვს მთავრობის კეთილგანწყობას და პოლიტიკური სტაბილურობის მინიმალურ დონეს.<sup>200</sup>

---

<sup>193</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.*, Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

<sup>194</sup> *Devine K.A.*, Alternative Dispute Resolution: Policies, Participation, and Proposals. Review of Litigation, vol. 11, no. 1, 1991, p.89.

<sup>195</sup> იქვე.

<sup>196</sup> *Langer R.*, The Juridification and Technicisation of Alternative Dispute Resolution Practices. Canadian Journal of Law and Society, 13, no. 1, 1998, p.171.

<sup>197</sup> *Cărăușan M.V.*, Alternative Dispute Resolutions Within Administrative Contracts: Attributes and Enforcements. Law Review, vol. VIII, issue 2, 2018, p.116-117

<sup>198</sup> *Blank N.D., Lansing C., Scriven L.C.*, Alternative Dispute Resolution: 1994 Survey of Florida Law, Nova Law Review, 19, no. 1, 1994, p.53.

<sup>199</sup> იქვე.

<sup>200</sup> *Spiroska E., Ristovska M.*, Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving, Balkan Social Science Review 2, 2013, p.88.



ადმინისტრაციულ სამართალში დავის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება იქნება ახალი სერიოზული გამოწვევა იმისთვის რომ შეიქმნას ეფექტური და სამართლიანი ალტერნატივა ტრადიციულ სამართლებრივ სისტემაში.<sup>201</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი არის მხოლოდ ალტერნატივა.<sup>202</sup> ის მუდამ სიფრთხილით უნდა შემოწმდეს, რომ არ იქნეს მიჩნეული საუკეთესოდ, არამედ მიჩნეულ ისეთივე კარგად როგორც არის.<sup>203</sup> დავის აგდაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მეშვეობით ეფექტურობის მიღწევა გულისხმობს, დავის გადაწყვეტის ორი ასპექტის გაუმჯობესებას: დაგვიანების შემცირება სარჩელის რეგისტრაციიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და ხარჯის შემცირებას მოდავეებისათვის და საზოგადოებისათვის.<sup>204</sup>

ადმინისტრაციული დავების სპეციფიკის გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სამართლებრივი სისტემისათვის მორგება მეტად რთული პროცესი იქნება, ვინაიდან ადმინისტრაციული დავების შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ყველა ალტერნატივა ვერ იქნეს მისადაგებული დავის შინაარსისათვის. თუმცა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები შესაძლოა იყოს წარმატებული ზოგიერთი კატეგორიის ადმინისტრაციულ დავაში. შესაბამისად, ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესწავლა და მათი დანერგვა საჭიროებს სახელმწიფო ორგანოების სათანადო მხარდაჭერას.

---

<sup>201</sup> *Lamari M.R.*, The Role of Alternative Dispute Resolution in Government Construction Contract Disputes. *Hofstra Law Review*, Vol. 23, Iss. 1, 1994, p.214.

<sup>202</sup> *Gellhorn W., Dunlop W.T., Edwards H.T., Kuhl C.B.* Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. *Administrative Law Journal*, 1, no. 2, 1987, p.461.

<sup>203</sup> იქვე.

<sup>204</sup> *Singer L.R.*, Nonjudicial Dispute Resolution Mechanisms: The Effects on Justice for the Poor, *Clearinghouse Review* 13, no. 8, 1979, p.572

## 2. ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარება აშშ-ში

ინტერესი ADR-ის მიმართ 1960 წელს შეერთებულ შტატებში სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში დაიწყო, რომლის მიზანიც სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესება იყო.<sup>205</sup> ADR-ის მოძრაობა აშშ-ში პროგრესირდა 1970 წლიდან.<sup>206</sup> თავდაპირველად, როგორც სოციალური მოძრაობა დაიწყო საზოგადოებაში სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული დავების მედიაციის გზით მოსაგვარებლად.<sup>207</sup> როგორც სამართლებრივი მოძრაობა, იგი მიმართული იყო გაზრდილი დაგვიანებებისა და ხარჯების შემცირებისაკენ გადატვირთულ სასამართლო სისტემაში.<sup>208</sup> აღნიშნული პროცესები მიზნად ისახავდა კონფლიქტების მოგვარების გზებს დავის ნაცვლად.<sup>209</sup>

ADR-ის მიღების სტიმული ძირითადად იზრდებოდა სასამართლოებზე უკმაყოფილებისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის სურვილის გამო.<sup>210</sup> პროფესორმა ფრენკ სარდერმა ჰარვარდის იურიდიული სკოლიდან წარმოადგინა მისი ხედვა „მრავალკარიანი სასამართლო-სახლის“ შესახებ, რომელიც შესთავაზებდა მრავალ პროცესს განსხვავებული სახისა და მახასიათებლების მქონე დავებისათვის,<sup>211</sup> აღნიშნულით განისაზღვრა, რომ სასამართლოები შეამცირებდნენ დატვირთვას, გადაწყვეტდნენ დავებს უფრო სწრაფად, ნაკლებად ძვირიანი და უფრო მოქნილი პროცესებით, რომელთათვისაც მხოლოდ სასამართლო იყო გადაჭრის გზა.<sup>212</sup>

<sup>205</sup> *Goss J.*, An Introduction to Alternative Dispute Resolution. *Alberta Law Review*, vol. 34, no. 1, 1995, p.2.

<sup>206</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p. 5.

<sup>207</sup> იქვე.

<sup>208</sup> იქვე.

<sup>209</sup> *Rabinovich-Einy O., Ethan Katsh E.*, Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age," *Cardozo Journal of Conflict Resolution* 18, no. 3, 2017, p. 639.

<sup>210</sup> იქვე.

<sup>211</sup> იქვე.

<sup>212</sup> იქვე, p.640.

მას შემდეგ როდესაც სამართლებრივი ADR-ის მოძრაობა აშშ-ში სწრაფად გაიზარდა, იგი ექსპერიმენტიდან, ინსტიტუციონალიზაციამდე მივიდა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის, აკადემიკოსების, სასამართლოსა და კონგრესის მხარდაჭერით.<sup>213</sup> 1980-იანი წლების ბოლოს, შეერთებული შტატების ადმინისტრაციული კონფერენცია (ACUS) რეკომენდაციას უწევდა ფედერალურ სააგენტოებს ADR-ის გამოყენების გაფართოებაზე.<sup>214</sup> 1990 წელს ფედერალური სასამართლოებისაგან მოთხოვნილ იქნა განვითარების გეგმების მიღება, რომლითაც შეამცირებდნენ ხარჯებს.<sup>215</sup>

ნიუ-ჯერსი იყო ლიდერი შტატი რომლის უმაღლესი სასამართლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დავის ყოვლისმომცველი გადაწყვეტის პროგრამის დასაწყებად.<sup>216</sup> უზენაესმა სასამართლომ მისი რეკომენდაციებით წახალისა და მხარი დაუჭირა მედიაციას, არბიტრაჟს და საფუძველი გახდა შესაბამისი პროგრამებისათვის.<sup>217</sup> შესაბამისად, უმეტესმა რაიონულმა სასამართლოებმა დააფუძნეს ADR-ის ფორმები მათ სისტემაში.<sup>218</sup> ADR-ის მოდელების ინოვაციამ, სახელისუფლებო მანდატმა, ADR-ში დავის ინტერესმა, სასამართლოზე დაფუძნებულმა ADR-მა ფედერალურ და სახელმწიფო სისტემაში აშშ აქცია უდიდეს წყაროდ ADR-ისათვის.<sup>219</sup> აშშ-ში სწორედ სასამართლოს საბოლოო რეკომენდაციამ გახადა ალტერნატიული საშუალებები სასამართლო სისტემის განუყოფელი ნაწილი.<sup>220</sup> სასამართლო სისტემაში ADR-ის დამკვიდრების შემდეგ, აღნიშნული ინსტიტუტი ინტენსიურად განვითარდა სასამართლო სისტემის გარეთაც.

---

<sup>213</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.5.

<sup>214</sup> *Evans R.J.*, The Administrative Dispute Resolution Act of 1996: Improving Federal Agency Use of Alternative Dispute Resolution Processes. *Administrative Law Review*, vol. 50, no. 1, 1998, p.220

<sup>215</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.5.

<sup>216</sup> *Stamato L., Jaffe S.*, Mediation and public policy: Variations on a consensus theme. *Mediation Quarterly*, vol. 9, no. 2, 1991, p.169

<sup>217</sup> იქვე.

<sup>218</sup> *Evans R.J.*, The Administrative Dispute Resolution Act of 1996: Improving Federal Agency Use of Alternative Dispute Resolution Processes. *Administrative Law Review*, vol. 50, no. 1, 1998, p.222

<sup>219</sup> იქვე.

<sup>220</sup> *Stamato L., Jaffe S.*, Mediation and public policy: Variations on a consensus theme. *Mediation Quarterly*, vol. 9, no. 2, 1991, p.169

ADR-ის ექსპერიმენტიდან ინსტიტუციონალიზაციაზე გადასვლამ გავლენა მოახდინა აშშ-ში ადმინისტრაციულ მმართველობასა და სამართალწარმოებაზე.<sup>221</sup> კანონები ნებას რთვენ და ახალისებენ ადმინისტრაციულ ორგანოებს გამოიყენონ მოკლაპარაკებისა და სხვა ADR-ის ფორმები გადაწყვეტილების მიღების, კონსულტაციებისა და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის დროს.<sup>222</sup>

ორმა კანონმა წახალისა ფედერალური სააგენტოები გამოიყენებინათ მედიაციის, მორიგების, არბიტრაჟისა და სხვა არაფორმალური დავის გადაწყვეტის მექანიზმები ადმინისტრაციულ დავებში: ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის აქტი და მოლაპარაკებების წესის შექმნის აქტი.<sup>223</sup>

აშშ-ში 1990 წელს შეერთებული შტატების ადმინისტრაციული კონფერენციის (ACUS) რეკომენდაციების საპასუხოდ, კონგრესმა მიიღო ADR-ის აქტი, რომელმაც დაადგინა ფედერალური სააგენტოებისათვის მისი გამოყენების ნორმატიული ჩარჩო.<sup>224</sup> ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის აქტით, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება დაშვებულ იქნა ადმინისტრაციულ დავებში.<sup>225</sup> აღნიშნული მოდიფიცირდა 1996 წელს.<sup>226</sup>

ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის აქტის შესაბამისად, კონგრესმა მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული პროცედურები სულ უფრო მეტად ფორმალური, ხარჯიანი და ხანგრძლივი გახდა, რაც ამცირებს კონსესუსით დავის გადაწყვეტას; ალტერნატივები გამოიყენება წლებია სამოქალაქო დავებში და მისი შედეგია სწრაფი, ნაკლებ ხარჯიანი და ნაკლებად ხანგრძლივი გადაწყვეტილებები; მსგავს ალტერნატივებს შეუძლია მიგვიყვანოს უფრო კრეატიულ, ეფექტურ და მნიშვნელოვან შედეგებამდე; მსგავსი ალტერნატივები სარგებლიანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციულ

---

<sup>221</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.5.

<sup>222</sup> იქვე.

<sup>223</sup> *Stamato L., Jaffe S.*, Mediation and public policy: Variations on a consensus theme. *Mediation Quarterly*, vol. 9, no. 2, 1991, p.171.

<sup>224</sup> *Evans R.J.*, The Administrative Dispute Resolution Act of 1996: Improving Federal Agency Use of Alternative Dispute Resolution Processes. *Administrative Law Review*, vol. 50, no. 1, 1998, p.222

<sup>225</sup> იბ. The Administrative Dispute Resolution Act of 1996. <<https://www.adr.gov/pdf/adra.pdf>> [06.02.2022]

<sup>226</sup> იქვე.

პროგრამებში; სააგენტოები არა მხოლოდ მიიღებენ სარგებელს ტექნიკისაგან, რომელიც განვითარდა კერძო სექტორში, არამედ მათ შეუძლიათ უხელმძღვანელონ ტექნიკის შემდგომ განვითარებას; დავის გადაწყვეტის რამდენიმე მექანიზმის არსებობა, გაზრდილი ცნობიერება, ასეთი პროცედურის ეფექტურად გამოყენება, განავითარებს ხელისუფლების ფუნქციონირებას.<sup>227</sup>

აღნიშნული აქტის შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატივა ნიშნავს, ნებისმიერ პროცედურას რომელიც საკითხის გადასაწყვეტად იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება კონსილაციით, ფასილიტაციით, მედიაციით, ფაქტის ანალიზით, მცირე პროცესებით, არბიტრაჟით, ომბუდსმენით ან მათი კომბინაციით.<sup>228</sup> ამავე აქტით განისაზღვრა, რომ ნებისმიერ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს საკითხის გადასაწყვეტად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, თუ ამაზე მხარეები შეთანხმებინ.<sup>229</sup>

1990 წლის აქტი აძლევდა შესაძლებლობას ფედერალურ სააგენტოებს მიემართათ კერძო არბიტრაჟისათვის სავალდებულო გადაწყვეტილების მისაღებად. 1990 წლის აქტზე დებატებისას წამოიჭრა კონსტიტუციური საკითხები სავალდებულო არბიტრაჟის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელთან დაკავშირებითაც მიღწეულ იქნა კომპრომისი და განისაზღვრა, რომ ნებისმიერ ფედერალურ სააგენტოს შეეძლო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება მისი გამოცემიდან 30 დღის ვადაში.<sup>230</sup> 1996 წლის ცვლილებებით ეს 30 დღიანი ვადა ამოღებულ იქნა, რამაც არბიტრაჟი უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანი გახადა სააგენტოების დავების გადასაწყვეტად.<sup>231</sup>

ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის აქტში განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც ნებისმიერმა სააგენტომ უნდა განიხილოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არ გამოყენების საკითხი. ასეთებს მიეკუთვნება შემდეგი შემთხვევები: როდესაც საკითხს პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს; საკითხი მოიცავს

---

<sup>227</sup> Sec.2, The Administrative Dispute Resolution Act of 1996. <<https://www.adr.gov/pdf/adra.pdf>> [06.02.2022]

<sup>228</sup> იქვე, §571 (3).

<sup>229</sup> იქვე, § 572 (a).

<sup>230</sup> *Evans R.J.*, The Administrative Dispute Resolution Act of 1996: Improving Federal Agency Use of Alternative Dispute Resolution Processes. *Administrative Law Review*, vol. 50, no. 1, 1998, p.228.

<sup>231</sup> იქვე, p.229.

ან შეიძლება მოიცვას სამთავრობო პოლიტიკის საკითხი, რომელსაც სჭირდება დამატებითი პროცედურა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე; მხარდაჭერილი პოლიტიკა არის სპეციალური მნიშვნელობის, შესაბამისად, ცვლილებები ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში არ იზრდება და ასეთი პროცედურები ვერ მიაღწევს შედეგს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში; საკითხი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს იმ ადამიანზე ან ორგანიზაციაზე, რომელიც პროცესში არ არის ჩაბმული; თუ შესაბამისმა სააგენტომ სამართლებრივი მხარდაჭერა უნდა განაგრძოს საკითხზე, რომ მიუსადაგოს შეცვლილ გარემოებას და აღნიშნული პროცესები ხელს შუშლის სააგენტოს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.<sup>232</sup>

კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის კუთხით 1996 წლის ცვლილებით ზუსტად განისაზღვრა, თუ რა საკითხები უნდა ყოფილიყო მიჩნეული კონფიდენციალურად და ასეთად იქნა მიჩნეული, მხარეთა შორის კომუნიკაცია და მიღწეული შეთანხმება, რითაც მოხდა ADR-ის კონფიდენციალურობის პრინციპისა და ღია მმართველობის პრინციპის დაცვა.<sup>233</sup>

აშშ-ში სპეციალიზირებული ADR პროგრამები ფოკუსირებულია გარემოსდაცვით, სამშენებლო და ინტელექტუალური საკუთრების დავებზე.<sup>234</sup> დავის ალტერნატიული გადაწყვეტა (ADR) მისასალმებელ მექანიზმად იქცა იმისთვის რომ შეემცირებინა ხანგრძლივი და ხარჯიანი დავები, სასამართლოებში უკონტროლო ჩამორჩენა და ზოგადად გაემლიერებინა აშშ-ს იურიდიული სისტემა.<sup>235</sup>

აშშ-ში ADR-ის განვითარებამ 80-იან წლებში გავლენა მოახდინა აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბებაზე კანადაშიც. 1988 წელს კანადის ადვოკატთა ასოციაციამ დააფუძნა სამუშაო ჯგუფი ADR-ის პროგრამასთან დაკავშირებით, შემდეგი მიზნებით: კანადელი იურისტებისათვის საინფორმაცია ბანკის შექმნა, როგორ განვითარდა ADR და

---

<sup>232</sup> § 572 (b), The Administrative Dispute Resolution Act of 1996. <<https://www.adr.gov/pdf/adra.pdf>> [06.02.2022]

<sup>233</sup> *Evans R.J.*, The Administrative Dispute Resolution Act of 1996: Improving Federal Agency Use of Alternative Dispute Resolution Processes. *Administrative Law Review*, vol. 50, no. 1, 1998, p.230-231.

<sup>234</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.10.

<sup>235</sup> *Hoffman Sh.*, Mandatory Arbitration: Alternative Dispute Resolution or Coercive Dispute Suppression, *Berkeley Journal of Employment and Labor Law*, vol. 17, no. 1, 1996, p.132.

მისი სტატუსი ქვეყანაში; კანადის ადვოკატთა ასოციაციისათვის წინადადების წარდგენა ADR-ის განვითარებასთან დაკავშირებით და იმის უზრუნველყოფა, რომ ADR-ის სისტემა განვითარებულიყო როგორც ალტერნატივა მართლმსაჯულების ან დამხმარე საშუალება; კანადის ადვოკატთა ასოციაციისათვის წინადადების წარდგენა სამომავლოდ ADR-ს კანადაში განვითარების პრესპექტივაზე, იურიდიული პროფესიის ჩართულობით სათანადო პროგრამის განვითარება.<sup>236</sup> სამუშაო ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია ADR-ის განვითარებას იურიდიულ პრაქტიკაში, სამართლებრივ და საზოგადოების პროგრესულად ინფორმირებულობას.<sup>237</sup>

აშშ-ში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის განვითარებამ გავლენა მოახდინა ADR-ის განვითარებაზე ევროპის ქვეყნებში და შესაბამისად აღნიშნული აისახა 2001 წლის ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში.

---

<sup>236</sup> *Goss J.*, An Introduction to Alternative Dispute Resolution. *Alberta Law Review*, vol. 34, no. 1, 1995, p.2-3.

<sup>237</sup> იქვე, p.3.

### 3. ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მექანიზმებზე

2001 წლის 5 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა რეკომენდაცია 2001(9) „ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადაჭრის სასამართლო გარეგნის ალტერნატიულ საშუალებათა შესახებ“.<sup>238</sup> აღნიშნულ რეკომენდაციაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ხაზი გაუსვა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ (i) საქმეთა რაოდენობის ზრდის გამო კომპეტენტური სასამართლოს უნარის შემცირებას, განიხილონ საქმეები გონივრულ ვადაში; (ii) სასამართლოში საქმის განხილვა ყოველთვის არ შეიძლება იყოს ყველაზე შესაფერისი საშუალება ადმინისტრაციული დავის გადასაჭრელად; (iii) ადმინისტრაციული დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებების ფართოდ გამოყენებას, როგორც სტიმულს პრობლემის განხილვისა და მოსახლეობასთან ადმინისტრაციული ორგანოების დაახლოების კუთხით; (iv) დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს როგორც უფრო სწრაფ და მოქნილ პროცედურას, უფრო ნაკლები დანახარჯით დავის გადაწყვეტის კუთხით, მშვიდობიანად ექსპერტთა მიერ დავის მოგვარებას, დავის გადაჭრას სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად, არა მკაცრი იურიდიული წესების შესაბამისად და დავის გადაწყვეტას გონივრულობით; (v) ცალკეულ ადმინისტრაციულ საქმეთა გადაწყვეტას არა მხოლოდ სასამართლოების მეშვეობით, არამედ სხვა საშუალებებითაც; (vi) ალტერნატიული საშუალებების გამოყენება არ უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო პირებისათვის თავიანთი ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდების ან კანონის უზენაესობის დაუცველობის საშუალება; (vii) ყველა ალტერნატიული საშუალებები უნდა იძლეოდეს საქმის სასამართლო გადასინჯვის შესაძლებლობას; (viii) ალტერნატიული საშუალებები

<sup>238</sup> იხ. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].



უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებსა, მხარეთ უფლებებს.<sup>239</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, წევრ სახელმწიფოებს მიეცათ რეკომენდაცია ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალებების კანონმდებლობაში და პრაქტიკაში გამოყენებაზე. ამასთან, რეკომენდაციამ მოიყვანა საუკეთესო პრაქტიკა აღნიშნული მიმართულებით და განსაზღვრა ის ალტერნატიული საშუალებები, რომელთა დამკვიდრებაც შეუძლიათ წევრ სახელმწიფოებს.<sup>240</sup> რეკომენდაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა დემოკრატიულ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმების პერსპექტივაზე მსჯელობა. დავის ალტერნატიული მექანიზმებს შესაძლოა ჰქონდეთ პერსპექტივა რომ გახდნენ „ადმინისტრაციული პროცესის სიცოცხლის სისხლი.“<sup>241</sup>

დავის ალტერნატიული მექანიზმების ზოგადი კატეგორიები შეიძლება დაიყოს მოლაპარაკების, მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის სისტემებად.<sup>242</sup> თუმცა აღნიშნული არ არის ამომწურავი და სხვადასხვა ქვეყანაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სხვადასხვა ფორმები ვითარდება. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმად განხილულია ასევე ომბუდსმენის ინსტიტუტი.

მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებას, მორიგებას, შერიგებას, მედიაციას, არბიტრაჟს და სხვა ფორმებს აქვთ სხვადასხვა მახასიათებლები, ისინი იზიარებენ რამდენიმე საერთო ელემენტს განსხვავებით ფორმალური სასამართლო სისტემისაგან.

---

<sup>239</sup> იხ. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>240</sup> იხ. იქვე.

<sup>241</sup> *Gellhorn W., Dunlop W.T., Edwards H.T., Kuhl C.B.*, Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. Administrative Law Journal, 1, no. 2, 1987, p.461.

<sup>242</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

აღნიშნული ელემენტები კი აძლევს მათ საშუალებას განვითარდნენ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში.<sup>243</sup>

რეკომენდაციაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა განსაზღვრა საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები და ადმინისტრაციული ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადასაწყვეტად წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა შემდეგი მექანიზმები: შიდა გადასინჯვა, მორიგება, მედიაცია, დავის შეთანხმებით მოგვარება და არბიტრაჟი. ამასთან, განისაზღვრა, რომ ალტერნატიულ საშუალებათა მიზანშეწონილობა დავის მიხედვით უნდა განისაზღვროს.<sup>244</sup> რეკომენდაციაში განისაზღვრა, რომ ზოგიერთი ალტერნატიული საშუალება, როგორც არის შიდა გადასინჯვა, მორიგება, მედიაცია და დავის შეთანხმებით მოგვარება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო გარჩევის დაწყებამდე,<sup>245</sup> ხოლო არბიტრაჟი პრაქტიკულად გამორიცხავს სასამართლო გარჩევას.<sup>246</sup>

როდესაც საუბარია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმზე ყველა ქვეყანას ერთი მექანიზმი არ ერგება.<sup>247</sup> თითოეული სახელმწიფო უნდა მუშაობდეს იმაზე, თუ როგორ შეუძლია გამოიყენოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი ეფექტურად.<sup>248</sup> აღნიშნული მიდგომა მიესადაგება ქართული სამართლებრივი სივრცესაც, სადაც პრაქტიკული გამოცდილების, დავების მახასიათებლების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იქნება განისაზღვროს ადმინისტრაციული დავების სახეები და კატეგორიები, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება.

---

<sup>243</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.6.

<sup>244</sup> Sec. I, 2, ii, Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>245</sup> იქვე, Sec. II, I.

<sup>246</sup> იქვე, Sec. II, iii.

<sup>247</sup> *Spiroska E., Ristovska M.* Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review*, 2, 2013, p.84.

<sup>248</sup> იქვე.

## 4. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები

### 4.1 პოზიცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სასარგებლოდ

იმისთვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს მხარეთ მიერ ADR-ის მინიმალური პატივისცემა, კანონის უზენაესობის დაცვა არის საჭირო, იმის მიუხედავად ADR სასამართლოს სისტემის შიგნით მიიღწევა თუ გარეთ.<sup>249</sup> ADR-ის ინტერვენცია ხშირად წარმოდგენილია სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში.<sup>250</sup> დავის ალტერნატიული გადაწყვეტა არ არის ჯადოსნური ან ყველაფრის განკურნების საშუალება,<sup>251</sup> არამედ ADR-ს შეუძლია მხარი დაუჭიროს სასამართლო სისტემის რეფორმას რამდენიმე გზით.<sup>252</sup> ADR სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს სასამართლოს სისტემის შიგნით, ან ასოცირებულ იქნეს სასამართლოსთან.<sup>253</sup> სასამართლოსთან დაკავშირებული ADR შეიძლება გახდეს კატალიზატორი სასამართლოს ვრცელი რეფორმისათვის.<sup>254</sup>

ADR-ის იმპლემენტაციის გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია პრაქტიკულად სასარგებლო იდეების გაცვლა და გამოცდილების გაზიარება მათთან ვინც პროცესის მონაწილეა.<sup>255</sup> მაგრამ უცხოური გამოცდილების დანერგვა უნდა იქნეს განხილული კრიტიკულად, არა მხოლოდ იმიტომ რომ განსხვავება არის იურიდიულ სისტემებს შორის, არამედ რადგანაც განსხვავება არის თითოეული სახელმწიფოს

---

<sup>249</sup> *Spiroska E., Ristovska M.* Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review*, 2, 2013, p.86.

<sup>250</sup> იქვე, p.96.

<sup>251</sup> *Zack A.M.*, Can Alternative Dispute Resolution Help Resolve Employment Disputes. *International Labour Review*, vol. 136, no. 1, 1997, p.107

<sup>252</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.9.

<sup>253</sup> იქვე.

<sup>254</sup> იქვე.

<sup>255</sup> *Spiroska E., Ristovska M.* Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review*, 2, 2013, p.97.

კონკრეტულ გარემოებებში.<sup>256</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები უნდა შეფასდეს თითოეული ქვეყნის სამართლებრივი სისტემისა და კულტურის გათვალისწინებით.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის წარმატებით განხორციელება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორც არის ეკონომიკის განვითარება, კერძო სექტორის სიძლიერე და ორგანიზაცია, პოლიტიკური სტაბილურობა, სამართლებრივი ჩარჩო დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მხარდასაჭერად, მაგრამ ასევე ნაკლებად რაოდენობრივი და უფრო ზოგადი ასპექტები, როგორც არის კანონის უზენაესობის პატივისცემა და მოწესრიგების კულტურა არსებული სასამართლო სისტემის ფარგლებში.<sup>257</sup>

ADR სასარგებლო არგუმენტების უმეტესობა არის ტრადიციული დავის კრიტიკა.<sup>258</sup> პრობლემები ტრადიციულ დავებთან დაკავშირებით კარგად არის დაფიქსირებული: სასამართლო ხარჯების ექსკალაცია და საადვოკატო ხარჯები თან ახლავს ხანგრძლივ დაგვიანებას, რომელიც არის შედეგი გადატვირთული სასამართლოების.<sup>259</sup> აღნიშნული მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯს იწვევს არა მხოლოდ მოდავე მხარეებისათვის, არამედ საზოგადოებისათვის, რადგანაც საზოგადოება იხდის სასამართლოს შენახვის ხარჯს.<sup>260</sup>

დავის შემთხვევაში, მხარეები ამჯობინებენ ფორუმებს რომლის ფარგლებშიც მათ აქვთ კონტროლი აირჩიონ კანონმდებლობა, ადგილმდებარეობა, არბიტრები, მმართველი ორგანო, ენა და პროცედურული წესები.<sup>261</sup>

თუმცა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ტექნიკის განვითარება გამოირჩევა რამდენიმე პერსპექტივით: (ა) მოსარჩელეებისათვის ხარჯების დაზოგვით (ბ)

---

<sup>256</sup> *Spiroska E., Ristovska M.* Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review*, 2, 2013, p.97.

<sup>257</sup> იქვე, p.84.

<sup>258</sup> *Devine K.A.*, Alternative Dispute Resolution: Policies, Participation, and Proposals. *Review of Litigation*, vol. 11, no. 1, 1991, p.88.

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> *Rayner W.B.*, Arbitration: Private Dispute Resolution as an Alternative to the Court. *University of Western Ontario Law Review*, vol. 22, no. 1, 1984, p.34.

<sup>261</sup> *Hoellering M.F.*, Alternative Dispute Resolution and International Trade. *New York University Review of Law & Social Change*, vol. 14, no. 3, 1986, p.786.

სასამართლოების რესურსების დაზოგვით (გ) ადვოკატებს უფრო მეტ საშუალებას მისცემს საქმეებს გაუმკლავდნენ (დ) გაზრდის „მედიაციით“ შედეგებს ვიდრე „დიქტომია“ შედეგებს (ორივე მხარეს შეუძლია რაღაცის მოგება) (ე) წინასწარი განხილვებისა და აპელაციების შემცირება.<sup>262</sup>

მხარეებს, რომლებიც ირჩევენ ADR-ს შეუძლიათ აკონტროლონ საქმისწარმოება, რადგანაც ADR შექმნილია ხელშეკრულებით, განსაკუთრებით პროცედურული წესების არჩევისა და მექანიზმების კუთხით.<sup>263</sup> სასამართლო დავის დროს მხარეებს აქვთ ნაკლები კონტროლის შესაძლებლობა და ემორჩილებიან სასამართლოს წესებს და შესაბამისი იურისდიქციის მატერიალურ კანონებს.<sup>264</sup> შეიძლება მხარეები შეთხმდნენ ყველაზე მნიშვნელოვან პროცედურულ წესებზე და პატივისცენ სამართლიანობის ზოგად წესებს, რომ შედეგი იყოს აღსრულებადი.<sup>265</sup> ADR-ის მომხრეები ამტკიცებენ, რომ იგი მხოლოდ იმ მხარეებს ტოვებს სასამართლოში, რომელსაც ნამდვილად სჭირდებათ საკითხის სასამართლო წესით გადაწყვეტა,<sup>266</sup> რაც სასამართლოების განტვირთვის უწყობს ხელს.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ფარგლებში მხარეებს შეუძლიათ ნეიტრალური პირი აირჩიონ პრაქტიკული ექსპერტიზისა და გამოცდილების შესაბამისად.<sup>267</sup> ამასთან, მხარეებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ როგორ ჩაერთვება ნეიტრალური პირი პროცესში და რომელ საკითხზე უნდათ გაამახვილონ ყურადღება.<sup>268</sup> ADR-ს შეუძლია მოერგოს სხვადასხვა სახის საქმეებს და მოდავე მხარეების მოთხოვნებს.<sup>269</sup> ნეიტრალურ პირს შეუძლია მხარეებს შესთავაზოს შემოქმედებითი გადაწყვეტილებები მხარეთა საჭიროების გათვალისწინებით.<sup>270</sup>

---

<sup>262</sup> *Applebey G.*, What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.33.

<sup>263</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.447.

<sup>264</sup> იქვე.

<sup>265</sup> იქვე, p. 448.

<sup>266</sup> *Talibah P.*, Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. *Thurgood Marshall Law Review* 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000, p.140.

<sup>267</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.448.

<sup>268</sup> იქვე.

<sup>269</sup> იქვე.

<sup>270</sup> იქვე.

ADR ჩვეულებრივ უფრო სწრაფია და ნაკლებად ხარჯიანი ვიდრე სასამართლო დარბაზში საქმისწარმოება.<sup>271</sup> ADR პროგრამას შეუძლია შეავსოს სასამართლო რეფორმა საქმეთ გადატვირთულობის შემცირებით.<sup>272</sup>

ADR კონფიდენციალურია.<sup>273</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში შესაბამისი პრეტენზია და გადაწყვეტილება არ არის საჯარო, როგორც ეს სასამართლო დავებშია. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აფასებენ კონფიდენციალურობას, ADR შეიძლება იყოს აღნიშნულის პასუხი.<sup>274</sup> დიალოგის წარმოებისათვის რომელიც აუცილებელია კონსესუსის მისაღწევად, მონაწილეებმა უნდა იგრძნონ თავი თავისუფლად მოლაპარაკებისას, იმის შიშის გარეშე, რომ შემდგომში მათი არგუმენტაცია იქნება გამოყენებული მათ საწინააღმდეგოდ.<sup>275</sup> კონფიდენციალურობის როლი ალტერნატიულ ტრიბუნალებში არის მნიშვნელოვანი ტრიბუნალების სარგებლიანობის დასადგენად.<sup>276</sup>

ADR-ის დადებით მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის ფაქტი, რომ როდესაც მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას მოლაპარაკებით ან მედიაციით, მხარეები ასრულებენ მათ ვალდებულებებს უფრო მეტად, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებებს.<sup>277</sup>

ADR-ის პოზიტიური მხარის გათვალისწინებით გრძელვადიან პერსპექტივაში იგი არის სახელმწიფოსთვის საშუალება, რომ მიიღოს სისწრაფე, თანასწორობა და სამართლიანობა ბევრად უფრო ფართო დიაპაზონში.<sup>278</sup>

---

<sup>271</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.448.

<sup>272</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.9.

<sup>273</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.448

<sup>274</sup> იქვე.

<sup>275</sup> *Winkle K.M.V.*, Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy, *LBJ Journal of Public Affairs*, 9, 1997, p.21.

<sup>276</sup> *Singer L.R.*, Nonjudicial Dispute Resolution Mechanisms: The Effects on Justice for the Poor, *Clearinghouse Review* 13, no. 8, 1979, p.577.

<sup>277</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.448.

<sup>278</sup> *Zack A.M.*, Can Alternative Dispute Resolution Help Resolve Employment Disputes. *International Labour Review*, vol. 136, no. 1, 1997, p.108.

ამდენად ADR-ის ძირითად დადებით მხარეებად მიჩნეულია სისწრაფე, ხარჯეფექტურობა, არბიტრთა არჩევისა და კონსესუსით დავის გადაწყვეტის შესაძლებლობა, კონფიდენციალურობა, არბიტრთა/მედიატორთა ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება.

#### 4.2 დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების უარყოფით მხარეები

ADR-ის გაფართოებულ გამოყენებას თან ახლავს კრიტიკა, რომლიც ეჭვქვეშ აყენებს პროცესის ხარისხს და „მართლმსაჯულებაზე წვდომას“. უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი არის რწმენა იმისა, რომ სასამართლოები უნდა იყოს ის ძირითადი არენა სადაც დავა წყდება<sup>279</sup> და ADR სთავაზობს მეორე კლასის სამართლიანობას ადამიანებს.<sup>280</sup> ეს მიდგომა გამორჩეულად გამოხატა პროფესორმა ოუნ ფისმა იელის სამართლის სკოლიდან, და განაცხადა, რომ მხოლოდ სასამართლოები არიან საჯარო ორგანოები, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლობა საჩივრები გადაწყვიტონ სამართლიანად.<sup>281</sup> ზოგიერთისათვის ADR-ის კონფიდენციალური ბუნება საფრთხეს უქმნის ასეთი პროცესების „სამართლიანობის“ ხარისხს.<sup>282</sup> ADR მისი კონფიდენციალური ბუნების გათვალისწინებით ვერ უზრუნველყოფს საჯარო მოსაზრების გამოქვეყნებას.<sup>283</sup>

ADR-ის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ იგი არა მხოლოდ უზურპაციას ახდენს სასამართლოსი, არამედ ანადგურებს მტკიცებულებებს და იძლევა მცირე აღმოჩენების შესაძლებლობას.<sup>284</sup> ამასთან, მიიჩნევა რომ ADR უგულებელყოფს ბალანსს

---

<sup>279</sup> *Rabinovich-Einy O., Katsh E.*, Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 18, no. 3, 2017, p.642.

<sup>280</sup> *Zollers F.E.*, Alternative Dispute Resolution and Product Liability Reform. *American Business Law Journal*, vol. 26, no. 3, Fall 1988, p.481.

<sup>281</sup> *Rabinovich-Einy O., Katsh E.*, Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 18, no. 3, 2017, p. 642.

<sup>282</sup> იქვე.

<sup>283</sup> *Pryor W., O'Boyle R.M.*, Public Policy ADR: Confidentiality in Conflict. *SMU Law Review*, vol. 46, no. 5, 1993, p. 2208.

<sup>284</sup> *Talibah P.*, Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. *Thurgood Marshall Law Review* 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000, p.140.

ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის და ასეთი ბალანსის შესანარჩუნებელ მექანიზმად სასამართლო არის მიჩნეული.<sup>285</sup>

ზოგიერთი კომენტატორი თვლის რომ ADR საბოლოოდ ჩაანაცვლებს სასამართლო სისტემას, უფრო მეტიც ზოგიერთი შიშობს, რომ კერძო ADR შეამცირებს სასამართლო სისტემის დაფინანსებას და შექმნის სისტემას, რომელიც მხოლოდ პრივილეგირებულთათვის იქნება.<sup>286</sup> აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კონსტიტუციური საკითხი, რომელიც წამოიჭრა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სავალდებულობის ფარგლებში, არის პოტენციურად ზიანის მიყენება სასამართლოთი სარგებლობის უფლებისათვის.<sup>287</sup>

გარდა კონსტიტუციური არგუმენტაციისა, ADR-ის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ ასეთი მექანიზმი რეალურად: (ა) ამატებს დროს და ხარჯს მორიგების პროცესს (ბ) ავითრებს ტენდენციებს ძლიერი სუსტის საწინააღმდეგოდ (გ) წარმოშობს სირთულეებს არბიტრების/მედიატორების მოძიებაში.<sup>288</sup>

მესამე არგუმენტი ADR-ის წინააღმდეგ არის ის, რომ იგი კონფიდენციალურია და ADR კოლიზიაში არის ღია მმართველობის მხარდამჭერ ტენდენციასთან,<sup>289</sup> რითაც ADR არღვევს ღია მმართველობის პრინციპებს.<sup>290</sup>

ADR-ს აქვს მისი უარყოფითი მხარეები, რომელმაც შესაძლოა პრაქტიკული პრობლემა შექმნას. სავალდებულო საარბიტრაჟო ნორმები უკრძალავს მოსარჩელებს დავას სასამართლოში. შესაბამისად, არბიტრაჟმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ერთ მხარეზე და უარი თქვას საკვანძო ვადაზე.<sup>291</sup> შეცდომამ ნეიტრალური პირის არჩევაში,

---

<sup>285</sup> *Kaufman I.R.*, Reform for a System in Crisis: Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Fordham Law Review*, vol. 59, no. 1, 1990, p.30.

<sup>286</sup> *Talibah P.*, Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. *Thurgood Marshall Law Review* 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000, p.140.

<sup>287</sup> *Dwight G.*, Making Alternative Dispute Resolution Mandatory: The Constitutional Issues. *Oregon Law Review*, vol. 68, no. 2, 1989, p.502.

<sup>288</sup> *Applebey G.*, What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.33-34.

<sup>289</sup> *Pryor W., O'Boyle R.M.*, Public Policy ADR: Confidentiality in Conflict. *SMU Law Review*, vol. 46, no. 5, 1993, p. 2208.

<sup>290</sup> იქვე.

<sup>291</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.449.



რომელსაც არ აქვს კანონი გაცნობიერებული შეიძლება გამოიწვიოს უკანონობა, არა შესრულებადი შეთანხმება, დროისა და თანხის ხარჯვა, მხარეთა უკმაყოფილება.<sup>292</sup> კრიტიკოსები მიიჩნევენ რომ ADR წარმატებას აღწევს მხოლოდ გაურთულებელ დავებში.<sup>293</sup> მედიაციის/მორიგებით გზით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება არ იყოს სასამართლო გადაწყვეტილების, დადგენილების, განჩინების ექვივალენტი, რასაც მხარეთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეიძლება მოჰყვეს.<sup>294</sup>

ADR-ის ერთ-ერთ უარყოფი მხარედ მიიჩნევა ის ფაქტი, რომ საარბიტრაჟო დავებს არ აქვს პრეცედენტული მნიშვნელობა სამომავლო დავის მიზნებისათვის.<sup>295</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ADR ართმევს სასამართლოებს კონსტიტუციური ღირებულებების არტიკულაციის შესაძლებლობას, პრეცედენტების დაფუძნებისა და წესების განვითარების შესაძლებლობას.<sup>296</sup>

ADR-ის მოწინააღმდეგეების მოსაზრებით, ასევე არსებობს საშიშროება, რომ ზოგიერთი არბიტრის გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ნაწილობრივ მოტივირებული, იმის შიშით, რომ დაიცვას მისი სამომავლო დასაქმების საკითხი.<sup>297</sup> ყველაზე სერიოზული პრეტენზია კრიტიკოსების არის ის რომ ADR-ის პროცედურა მოსარჩელებს ართმევს ფუნდამენტალურ უფლებებს.<sup>298</sup>

---

<sup>292</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.449.

<sup>293</sup> *Devine K.A.* Alternative Dispute Resolution: Policies, Participation, and Proposals. *Review of Litigation*, vol. 11, no. 1, 1991, p.91.

<sup>294</sup> *ოქროპირიძე ბ.*, მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადური 2012, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ.31.

<sup>295</sup> *Hoffman Sh.*, Mandatory Arbitration: Alternative Dispute Resolution or Coercive Dispute Suppression. *Berkeley Journal of Employment and Labor Law*, vol. 17, no. 1, 1996, p.135.

<sup>296</sup> *Pryor W., O'Boyle R.M.*, Public Policy ADR: Confidentiality in Conflict. *SMU Law Review*, vol. 46, no. 5, 1993, p. 2208.

<sup>297</sup> *Hoffman Sh.*, Mandatory Arbitration: Alternative Dispute Resolution or Coercive Dispute Suppression. *Berkeley Journal of Employment and Labor Law*, vol. 17, no. 1, 1996, p. 132.

<sup>298</sup> *Devine K.A.*, Alternative Dispute Resolution: Policies, Participation, and Proposals. *Review of Litigation*, vol. 11, no. 1, 1991, p.92.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის უარყოფით მხარეებად ძირითადად მიჩნეულია სასამართლოს სისტემის როლის შესუსტება, მედიაციის/მორიგების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში დროის ხარჯი, კონფიდენციალურობის ღია მმართველობის პრინციპთან შეუსაბამობა, მისი არა პრევენციული ბუნება.

#### 4.3 საერთო პოზიცია და გასათვალისწინებელი ფაქტორები

ეტაპობრივად დებატები მართლმსაჯულების პრივატიზაციაზე, სასამართლოს როლზე და ADR-ის საჭიროებაზე გაქრა და ფართოდ იქნა მიღებული ხედვა „მართლმსაჯულება ბევრ ოთახში“.<sup>299</sup> ADR-ის ინსტიტუციონალიზაციამ სასამართლოებში და სამართლებრივი ნორმების შეჭრამ ADR-ში შეამცირა წინააღმდეგობა ფორმალურ და არაფორმალურ მართლმსაჯულებას შორის, რომელიც თან ახლდა დებატებს ADR-თან დაკავშირებით წლების განმავლობაში.<sup>300</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ADR ტექნიკის მომხრეები და მოწინააღმდეგეები აღიარებენ, რომ ტექნიკა უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ კარგად დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპების შემთხვევებში, როდესაც მთავარი დავა მოიცავს კონკრეტული შემთხვევების ფაქტებს.<sup>301</sup>

ADR-ის მომხრეები და მოწინააღმდეგეები გარემოსდაცვით დავებში ზოგადად თანხმდებიან, რომ მას შემდეგ, რაც სამართალწარმოება მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოში, ADR მექანიზმები დავების გადაწყვეტის უფრო შესაბამისი საშუალება არის, ვიდრე ტრადიციული სამართალწარმოება, რადგან ADR მექანიზმები კონცენტრირებულია კომპრომისებზე.<sup>302</sup>

---

<sup>299</sup> *Rabinovich-Einy O., Katsh E., Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age, Cardozo Journal of Conflict Resolution* 18, no. 3, 2017, p.643.

<sup>300</sup> იქვე.

<sup>301</sup> *Stukenborg Ch., The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts, University of Dayton Law Review* 19, no. 3, 1994, p. 1336.

<sup>302</sup> იქვე.

იმისთვის, რომ დავაჩქაროთ და ეფექტური გავხადოთ მართლმსაჯულების სისტემა, არ ნიშნავს რომ სისტემა გავხადოთ იძულებითი და არ უნდა დავუკარგოთ დავის გადაწყვეტის მექანიზმს ძირითადი მიზანი, ეს არის სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.<sup>303</sup>

ADR-ის განვითარების ფარგლებში სავალდებულოდ გასათვალისწინებელია როგორც კონსტიტუციური, ასევე ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, არსებული მწირი რესურსები და სახელმწიფოს პრიორიტეტები.<sup>304</sup>

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სისტემის ეფექტურობისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის შესრულება, კერძოდ, ადეკვატური პოლიტიკური მხარდაჭერა,<sup>305</sup> მხარდამჭერი კულტურული ნორმები,<sup>306</sup> ადეკვატური ადამიანური რესურსი,<sup>307</sup> ფინანსური რესურსი,<sup>308</sup> პარიტეტულობა მოდავეთა შესაძლებლობებში.<sup>309</sup>

ADR-ის შეფასებისას გასათვალისწინებელია ხუთი სტრატეგიული გარემოება: რესურსი, საჯარო ფინანსები, წარმომადგენლობა, პრევენდენტული ღირებულება, შედეგები.<sup>310</sup>

ის შედეგები რომელსაც იწვევს ADR უპირატესობას ანიჭებს მას სასამართლო პროცესებთან ან არაფორმალურ პროცესებთან მიმართებით: (ა) ADR-ს შეუძლია კრეატიული გადაწყვეტის შემოთავაზება - ახალი გზები დავების გადასაწყვეტად; (ბ) მხარეთა შორის მოლაპარაკება არის უფრო ეფექტური, ვიდრე იურისტებს შორის; (გ) მხარეთა უშუალო მონაწილეობამ შეიძლება ხელი შეუწყოს დავის გადაწყვეტას; (დ) ADR-ის ტექნიკას უპირატესობა აქვს „horse trading“-ით მორიგებასთან შედარებით, რომელიც დაფუძნებულია გარიგების უთანასწორობაზე; (ე) შეთანხმებამ შეიძლება უკეთესად

---

<sup>303</sup> *Hoffman Sh.*, Mandatory Arbitration: Alternative Dispute Resolution or Coercive Dispute Suppression. Berkeley Journal of Employment and Labor Law, vol. 17, no. 1, 1996, p.157.

<sup>304</sup> *Sossin L.*, Designing Administrative Justice, Windsor Yearbook of Access to Justice 34, no. 1, 2017, p.102.

<sup>305</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.24.

<sup>306</sup> იქვე, p.27.

<sup>307</sup> იქვე, p.29.

<sup>308</sup> იქვე, p.30.

<sup>309</sup> იქვე, p.31.

<sup>310</sup> *Winkle K.M.V.*, Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy, LBJ Journal of Public Affairs 9, 1997, p.18

ასახოს დავის არსებითი მხარე; (ვ) ADR-ის ოპონენტები არ კამათობენ, ADR-ის ფარგლებში გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი და ეფექტური; (ზ) უკეთესი შედეგი, რადგანაც ნეიტრალურ ექსპერტს შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი ინფორმაცია პრობლემების შესახებ ვიდრე მოსამართლეს ან თავად მხარეებს.<sup>311</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ახალი სისტემის დამკვიდრებას მისი დადებით და უარყოფითი მხარეები აქვს. შესაბამისად, ახალი ინსტიტუტის სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრების მიზნებისათვის, სიფრთხილით უნდა მოხდეს იმ საკითხის იდენტიფიცირება, თუ რა სახის დავები შეიძლება განიხილოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულმა მექანიზმმა ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში. ადმინისტრაციულ დავაში ერთ-ერთი მოდავე მხარე ყოველთვის იქნება საჯარო სუბიექტი და მხარეთა თანასწორი შესაძლებლობები დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში საკითხის განხილვისას გადამწყვეტ გარემოებას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის იდენტიფიცირებამდე, მნიშვნელოვანია მსჯელობის საგანი გახდეს ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების საჭიროების არსებობა/არასებობის საკითხი.

---

<sup>311</sup> *Applebey G.*, What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.32-33.

## 5. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების საჭიროება ადმინისტრაციულ დავებში

### 5.1 საჭიროების ზოგადი ანალიზი

ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრება საჭიროებს სამართლებრივი სისტემის მზაობას. მექანიზმი, რომელსაც კანონმდებლობა არ აღიარებს ვერ იქნება შესრულებადი. საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულებები დავების მედიაციის, მოლპარაკებისა და არბიტრაჟის მექანიზმებით გადაწყვეტის კუთხით<sup>312</sup>, თუმცა აღნიშნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს დაამკვიდროს ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები ადმინისტრაციულ დავებში<sup>313</sup>.

ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრება გონივრული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის ლეგიტიმური საფუძველი და შესაძლებელი იქნება მისი პრაქტიკული გამოყენება. ეფექტური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მკაფიოდ განხორციელება ამარტივებს მოქალაქეთა ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე.<sup>314</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე - პრობლემის გადაუდებლობა, ხარჯი, დავის სახე, ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმი, გარემოებები, რეგისტრირებული დაგვიანება

<sup>312</sup> იხ. თავი 14, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 11/09/2014.

<sup>313</sup> ვალდებულებები უკავშირდება თავისუფალი ვაჭრობის სფეროსა და ენერჯეტიკის სფეროში დავებს.

<sup>314</sup> *Ozbek M.S.*, Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition, 2009, p. 455.

და სხვა.<sup>315</sup> წარმატებული ADR-ის შესაძლებლობის განსასაზღვრად საჭიროა იდენტიფიცირებულ იქნეს პარამეტრები: ეკონომიკის განვითარება, კერძო სექტორის სიძლიერე და ორგანიზაცია, პოლიტიკური სტაბილურობა, სამართლებრივი ჩარჩო ADR-ის მხარდასაჭერად, ასევე ნაკლებად რაოდენობრივი, თუმცა ზოგადი ასპექტები, როგორცაა კანონის უზენაესობის პატივისცემა და მორიგების კულტურა არსებულ სამართლებრივ სისტემაში.<sup>316</sup>

მოქალაქე შეიძლება ენდოს საჯარო უწყებას, თუ ისინი მზად არიან ღია დიალოგისათვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურის ფარგლებში, პროფესიონალი, ნეიტრალური პირის დახმარებით.<sup>317</sup>

მართლმსაჯულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ყველა საჭიროების განსაზღვრა, და საშუალება მისცეს ნებისმიერ ალტერნატივას, არაფორმალური პროცედურისათვის, როდესაც არსებობს ორივე მხარის საჭიროება.<sup>318</sup> მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრებაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრება ისევ გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოებისათვის. პრაქტიკულად ყველა თანხმდება, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ პროცესი გვთვავობს დავის მოგვარების უფრო სწრაფ და ეკონომიკურ საშუალებას, ვიდრე ტრადიციული პროცესებია. კერძო სექტორი და სახელმწიფო დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს თეორიულად მიმზიდველად თვლიან თუმცა მათ ნაკლებად სურთ ამ ტექნიკის გამოყენება იქ სადაც მეორე მხარე საჯარო უწყება არის.<sup>319</sup>

---

<sup>315</sup> *Cărăușan M.V.*, Alternative Dispute Resolutions Within Administrative Contracts: Attributes and Enforcements. Law Review, vol. VIII, issue 2, 2018, p.113.

<sup>316</sup> *Spiroska E., Ristovska M.*, Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review 2, 2013, p.96.

<sup>317</sup> *Bogdan F.*, The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 19, 2016, p.112.

<sup>318</sup> *Riggs D.A., Dorminey E.K.*, Federal Agencies' Use of Alternative Means of Dispute Resolution. Administrative Law Journal, 1, no. 1, 1987, p. 130.

<sup>319</sup> *Smith W.F.*, Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. Missouri Journal of Dispute Resolution, 1984, p.21.

ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის როლის ანალიზისას აუცილებელია დაისვას ორი კითხვა: (1) გადაჭრის თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი საჯარო სამართლებრივ დავებს ისევე მკაცრად როგორც კერძო სამართლებრივ დავებს? (2) იქნება, თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები სააგენტოებზე ან სასამართლოზე დამოკიდებული, თუ ის სრულიად დამოუკიდებელი იქნება არსებულ სამართლებრივ სისტემაში?<sup>320</sup>

ალტერნატიული ტექნიკის გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცესებში ბევრად მეტად ვითარდება, მაგრამ არცერთი განსაკუთრებული თეორია არ განვითარებულა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ისინი, როგორ უკავშირდება ისინი ტრადიციულ პროცესებს, პროცედურების რა ფორმები უნდა იქნეს გამოყენებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა და ადმინისტრაციულ ორგანოთა დაცვა, რა არის მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.<sup>321</sup> სწორად შემუშავებულ ADR-ის სისტემას, რომელშიც გათვალისწინებულია შესაბამისი პირობები შეუძლია გაზარდოს დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება შედეგების მიხედვით, შეამციროს დაგვიანებები და შეამციროს დავების გადაწყვეტის ხარჯები.<sup>322</sup>

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გადაწყვეტილების შეფასებისას, სამი ფაქტორი ახდენს გავლენას სამართლებრივი გადაწყვეტილების შეფასებაზე<sup>323</sup>, პირველ რიგში პირებს უნდა სწამდეთ რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმართება მათი შეხედულებების გათვალისწინებით,<sup>324</sup> მეორე გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს ნეიტრალური და ყველა მოსაზრებას უნდა მიენიჭოს თანაბარი

---

<sup>320</sup> *Gellhorn W., Dunlop W.T., Edwards H.T., Kuhl C.B.* Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. *Administrative Law Journal*, 1, no. 2, 1987, p.468.

<sup>321</sup> *Harter P.J.*, Disput Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. *Villanova Law Review*, Vol.29, Isu.6, 1983, p.1402.

<sup>322</sup> *Spiroska E., Ristovska M.*, Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review* 2, 2013, p.97

<sup>323</sup> *Gangl A.*, Procedural Justice Theory and Evaluations of the Lawmaking Process. *Journal Political Behavior* 25, 2003, p.119-121

<sup>324</sup> იქვე.

შესაძლებლობა ფავორიტიზმის გარეშე,<sup>325</sup> მესამე მოქალაქეები უნდა ენდობოდნენ სამართლებრივ სისტემას და მის წარმომადგენლებს.<sup>326</sup>

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად რეკომენდირებულია ალტერნატიული საშუალებების გამოყენება დავის დაწყებამდე, რეკომენდაცია ასევე განსაზღვრავს სასამართლოს შესაძლებლობას მიუთითოს მხარეებს ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებაზე. რეკომენდაცია მხოლოდ არბიტრაჟის შემთხვევაში გამორიცხავს სასამართლოს ჩართულობას.<sup>327</sup> ADR არის ერთი ასპექტი იმ ფართო პროცესისა, რომელიც არის სასამართლო სისტემის რეფორმირება. შესაბამისად, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან ნელ-ნელა შესაბამისობაში მოყვანის მიზანი გარეგნულად შეიძლება ნელი გამოჩნდეს, მაგრამ უწყვეტი და არსებითია.<sup>328</sup> დავის გადაწყვეტის მექანიზმების „ინსტიტუციონალიზაციამ“ ბევრი რამე შეიძლება ისწავლოს ადმინისტრაციული პროცესიდან, ამასთან ადმინისტრაციული პროცესი მომგებიანია დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებზე მოსაზრებების მისაღებად.<sup>329</sup>

შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმებს ადმინისტრაციულ სამართალში ექნებათ ადმინისტრაციული პროცესის შევსების ფუნქცია.

## 5.2 დავების განხილვის დროის შემცირების შესაძლებლობა

სხვადასხვა ქვეყანაში სამართალწარმოების ხანგრძლივობა განსხვავებულია და დამოკიდებულია უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზე: პროცედურული საკითხები, ადამიანური და ფინანსური რესურსები, სასამართლო პროცესის ხარისხის

---

<sup>325</sup> *Gangl A.*, Procedural Justice Theory and Evaluations of the Lawmaking Process. *Journal Political Behavior* 25, 2003, p.119-121

<sup>326</sup> იქვე.

<sup>327</sup> Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>328</sup> *Applebey G.*, What is Alternative Dispute Resolution. *Holdsworth Law Review*, vol. 15, no. 1, 1991-1992, p.26-27

<sup>329</sup> *Harter J.P.*, Disput Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. *Villanova Law Review*, Vol.29, Isu.6, 1983, p. 1395



მენეჯმენტის სტრატეგია და პოლიტიკა რომლის მიზანია საქმის განხილვის გაჭიანურება.<sup>330</sup> როგორც აღინიშნა უკანასკნელ წლებში სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების რაოდენობა ყოველწლიურად ათასებს აჭარბებს<sup>331</sup>, რამაც გამოიწვია სასამართლო სისტემის გადატვირთვა და საქმეთა განხილვის გაჭიანურება.

ფაქტობრივად მარტივი ადმინისტრაციული დავებიც კი, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში გრძელდება 2-3 წელი. დიდ პრობლემას წარმოადგენს დასრულებულ საქმეზე მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, რაც იმდენად ხანგრძლივი პროცესია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქემ ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 9-12 თვის შემდეგ.<sup>332</sup> თუ სასამართლო სისტემა ვერ უმკლავდება საქმეების რაოდენობას, ვადაგადაცილებული საქმეები ქმნის შეფერხებებს.<sup>333</sup>

ადმინისტრაციული დავების განხილვის დროსთან დაკავშირებული პრობლემა უფრო მკაფიოდ ჩანს სოციალური სახის დავებში, როდესაც მაგალითად იხილება პირის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი, ასევე დროსთან დაკავშირებული პრობლემა გავლენას ახდენს საგადასახადო დავებზე, სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებზე და სხვა დავებზე, რომელთა ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება დაუყოვნებლივ მნიშვნელოვანია.<sup>334</sup> მსგავსი გაჭიანურებული დავები ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ვინაიდან მოქალაქეებს არ აქვთ შესაძლებლობა „გონივრულ ვადაში“ მიიღონ მართლმსაჯულება, რაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ.<sup>335</sup>

---

<sup>330</sup> Spiroska E., Ristovska M., Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review 2, 2013, p.84

<sup>331</sup> ადმინისტრაციული დავების მზარდი ტენდენცია ასახულია სტატისტიკურ ანგარიშებში. ამ მიზნით შეგვიძლია გავეცნოთ თბილისის საქალაქო სამართლოს სტატისტიკურ ანგარიშს. იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [06.02.2022]

<sup>332</sup> წურწუშია ს., მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.149-150.

<sup>333</sup> Spiroska E., Ristovska M., Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review 2, 2013, p.84

<sup>334</sup> წურწუშია ს., მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.150.

<sup>335</sup> იქვე.

შესაბამისად, დროსთან და გონივრულ ვადებში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული გამოწვევა ქმნის ახალი პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

### 5.3 ხარისხიანი მართლმსაჯულების გამოწვევა

საქმეთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით სასამართლოები ორიენტირებული ხდებიან ტექნიკურ ასპექტებზე და იკარგება მართლმსაჯულების ხარისხი, რაც მოიცავს იმას, რომ სასამართლოები უფრო ნაკლებ დროს უთმობენ რთული კატეგორიის დავებს, რომლებსაც სამართლის განვითარებისათვის შესაძლოა პრეცედენტული მნიშვნელობა ჰქონდეს.<sup>336</sup> ამ შემთხვევაში, სასამართლოები არ ზრუნავენ მყარად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, სამართლის განვითარებაზე, რაც იწვევს საქმეების ზემოდგომ ინსტანციაში გასაჩივრების აუცილებლობას.<sup>337</sup> დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრების შემთხვევაში ადმინისტრაციული საქმეების მოსამართლეებს ექნებათ უფრო მეტი დრო კონცენტრირდნენ იმ საქმეებზე სადაც საკითხი პრეცედენტულად ნამდვილად მნიშვნელოვანია.<sup>338</sup>

მართლმსაჯულების ხარისხს ამცირებს სასამართლო კორპუსში არასაკმარისი დარგობრივი ცოდნა. მოსამართლეები პროფესიით იურისტები არიან, ხოლო ინტერდისციპლინური დავების ფარგლებში არა მხოლოდ სამართლებრივი ცოდნის საჭიროება დგას, არამედ აუცილებელია ტექნიკური დარგის ცოდნაც. ისეთი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებისას, როგორც არის არბიტრაჟი, მორიგება ან მედიაცია, მხარეთა მიერ შესაძლოა ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტი იქნეს შერჩეული, რაც ამარტივებს კომპლექსურ საკითხზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, ან მხარეთ მიერ შეთანხმების მიღწევას.

<sup>336</sup> *წურწუმია ს.*, მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.150.

<sup>337</sup> იქვე.

<sup>338</sup> *Warfield W.*, The Implications of Alternative Dispute Resolution Processes for Decisionmaking in Administrative Disputes, *Pepperdine Law Review* 16, no. 5, 1989, p.97.

#### 5.4 ადმინისტრაციულ ორგანოთა მიდგომა დავების მიმართ

რეგულარულმა კონფლიქტებმა სამთავრობო უწყებებსა და კერძო მხარეებს შორის გამოიწვია არაეფექტური რეგულაციები და კიდევ უფრო რთული, ხანგრძლივი პროცესები სასამართლოებში.<sup>339</sup> მუდმივი დავები ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სასამართლოებში ადმინისტრაციული კატეგორიის დავების ზრდა უარყოფითად აისახება სახელმწიფო მმართველობის სისტემაზე.<sup>340</sup> აღნიშნული ნიშნავს, რომ სახელმწიფო მექანიზმი და ადმინისტრაციული ორგანოები მათ ფუნქციას ვერ ასრულებენ და მოქალაქეთა უკმაყოფილება სასამართლოებში გაზრდილ დავებში აისახება.<sup>341</sup> სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების ზრდით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოქალაქეები არ ენდობიან ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა არა ეფექტურია, ისინი არ იყენებენ მედიაციის ყველა რესურს და მოქალაქეებისათვის მათი ინტერესების დასაცავად ყველა გზა მხოლოდ სასამართლომდე მიდის.<sup>342</sup> ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ნდობის დაკარგვა იწვევს არა ხოლოდ დავების ზრდას, არამედ შეუქცევადს ხდის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს.<sup>343</sup>

პრობლემას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიდგომა დავებთან დაკავშირებით, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები ყველა საკითხს ასაჩივრებენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაცია არ გააჩნიათ, რაც იწვევს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადატვირთვასაც.<sup>344</sup> შესაბამისად, ჯამურად ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას შეიძლება დასჭირდეს 3 წელი და მეტი.

---

<sup>339</sup> *Smith W.F.*, *Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government*. Missouri Journal of Dispute Resolution, 1984, p.23.

<sup>340</sup> *წურწუმია ს.*, მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.145.

<sup>341</sup> იქვე.

<sup>342</sup> იქვე, გვ.145-146.

<sup>343</sup> იქვე, გვ.146.

<sup>344</sup> იქვე.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული დავების ზრდის მსგავსი ტენდენცია ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სისტემაში რეფორმის საჭიროებას.<sup>345</sup> მართლმსაჯულების რეფორმა არ მოიცავს მხოლოდ სასამართლო სისტემის რეფორმას, არამედ სახელმწიფომ უნდა იფიქროს სხვა ალტერნატივებზე რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების შემცირებას.<sup>346</sup> მართლმსაჯულების სისტემაზე წვდომა გულისხმობს კონფლიქტების მოგვარების გზების შექმნას, ფორმალურ იურიდიულ სტრუქტურაში სხვადასხვა სტრატეგიების მეშვეობით,<sup>347</sup> ასეთ სტრატეგიებად, კი შეგვიძლია განვიხილოთ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სხვადასხვა ფორმები.

## 5.5 ალტერნატიული მექანიზმების საჭიროების შეჯამება

სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების შემცირების მიზნით, უნდა შეიქმნას საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც გაითვალისწინებს ევროპის საბჭოს რეკომენდაციას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვაზე, ვიანიდან დღეს, აღნიშნულის აქტიური საჭიროება დგას. თითოეული საქმის სასამართლოში წარმოება მართლმსაჯულებისაგან მოითხოვს ადამიანურ, მატერიალურ და დროის საკმაოდ დიდ რესურსს.<sup>348</sup> შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დახმარებით სამართლებრივი დავების რეგულირება მართლმსაჯულებისათვის გამართლებულია როგორც ეკონომიკური პარამეტრებით, ასევე - ხარისხობრივადაც.<sup>349</sup>

<sup>345</sup> *წურწუშია ს.*, მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.146.

<sup>346</sup> იქვე.

<sup>347</sup> *Davis W., Turku H.* Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute Resolution, no. 1, 2011, p.50.

<sup>348</sup> *წულაძე ა.*, „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“. სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016, გვ.23.

<sup>349</sup> იქვე.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში განსაზღვრული დავის გადაწყვეტის ყველა ალტერნატიული მექანიზმი<sup>350</sup> შესაძლოა არ საჭიროებდეს ინსტიტუციურ რეგლამენტაციას კანონმდებლობაში, თუმცა კანონმდებლობა უნდა ავალდებულებდეს ადმინისტრაციულ ორგანოებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას. ამასთან, ისეთი მექანიზმები როგორც არის არბიტრაჟი, მედიაცია და მორიგება, საჭიროებს ინსტიტუციურ რეგლამენტაციას, იმდენად რამდენადაც აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ სხვა მესამე ნეიტრალური პირები და მხარეთა მოლაპარაკების უნარებზე არ არის დამოკიდებული მოლაპარაკება/მორიგება. თუმცა, ახალი ინსტიტუციების დამკვიდრება მოითხოვს სიფრთხილეს, დროსა და სწავლებას, რომელიც ახალი მექანიზმების თანმდევი პროცესია.<sup>351</sup>

დავა არ არის გამოსავალი და არც სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა არის საჭირო ყველა საკითხზე. საკითხები, რომლებიც სხვა მეთოდების გამოყენებით შეიძლება გადაწყდეს არ უნდა იქცეს სასამართლოს დარბაზში მსჯელობის საგნად. ADR სასურველი მექანიზმია, რადგანაც სთავაზობს მოქალაქეებს მართლმსაჯულებაზე წვდომის გადაჭირის გზას. სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს მის აუცილებლობას: ა) სასამართლო დავების გაზრდილი მოცულობა; ბ) ხანგრძლივობა და პროცესის ხარჯები; გ) რაოდენობა, კომპლექსურობა და ტექნიკური სირთულეები.<sup>352</sup>

ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას სიფრთხილითა და სკეპტიციზმით შეიძლება შეხვდნენ ადმინისტრაციული ორგანოები, რაც თავიდანვე საჭიროებს გარკვეული სახის რეგლამენტაციას.<sup>353</sup> ზოგიერთი ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება, წინააღმდეგობა გაუწიოს ზოგიერთი

---

<sup>350</sup> საქმის შიდა გადასინჯვა, მორიგება (კონსილაცია), მედიაცია, დავის შეთანხმებით მოგვარება და არბიტრაჟი.

<sup>351</sup> *წურწუმია ს.*, მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.148.

<sup>352</sup> *Cărăușan M.V.*, Alternative Dispute Resolutions Within Administrative Contracts: Attributes and Enforcements. *Law Review*, vol. VIII, issue 2, 2018, p.115.

<sup>353</sup> *წურწუმია ს.*, მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.147.

ალტერნატივის გამოყენებას იმ მოტივით, რომ ისინი არ შეესაბამება უწყების სუვერენულ როლს.<sup>354</sup>

შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი ღონისძიებებს, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს წახალისებს გამოიყენონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები დავების მოსაგვარებლად. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს მოლაპარაკების წარმოების დავალდებულება სასამართლოსთვის მიმართვამდე, ან მედიაციის/მორიგების ინსტიტუტის გამოყენება, თუმცა აღნიშნული რეგლამენტირებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო დონეზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება დავის ალტერნატიულ მექანიზმში გადაწყვეტაზე.

გადაჭარბებულ სასამართლო წარმოებას შედეგად მოჰყვება არასაჭირო ანტაგონიზმი სამთავრობო უწყებებსა და საზოგადოებას შორის.<sup>355</sup> ალტერნატიულ ფორმები არ უნდა იყოს სასამართლოს შენობის ჩრდილში.<sup>356</sup> შესაბამისად, არსებული საჭიროების, საქმის გონვრულ ვადაში განხილვის, ტექნიკურ საქმეებზე ხარისხიანი გადაწყვეტილების მიღებისა და სასამართლო სისტემის გადატვირთულობის შემცირების მიზნით, ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების განვითარება საჭიროებს ადეკვატურ პოლიტიკური მხარდაჭერას.

---

<sup>354</sup> *Harter J.P.*, Disput Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. Villanova Law Review, Vol.29, Isu.6, 1983, p. 1418.

<sup>355</sup> *Smith W.F.*, Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. Missouri Journal of Dispute Resolution, 1984, p.23.

<sup>356</sup> *Nelson D.W.*, Alternative Dispute Resolution: A Supermart for Law Reform, New Mexico Law Review 14, no. 3, 1984, p.473.

### III. ალტერნატიული მექანიზმების სახეები და დასამკვიდრებელი მექანიზმები

#### 1. შიდა გადასინჯვა

შიდა გადასინჯვა, წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ერთ-ერთ სახეს. შიდა გადასინჯვა არის იგივე ადმინისტრაციული საჩივარი, რომლის რეგულაციაც საქართველოს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში განსაზღვრულია.

ადმინისტრაციული საჩივარი როგორც უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადამოწმების საშუალება საჯარო მმართველობის სისტემის შიგნით.<sup>357</sup> ადმინისტრაციული საჩივრის ძირითადი ფუნქციებია: უფლების დაცვა, თვითკონტროლის განხორციელება, სასამართლოების განტვირთვა.<sup>358</sup> სწორედ მსგავს მექანიზმზე მიუთითებს ევროპის საბჭოს რეკომენდაცია.<sup>359</sup> ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა და მმართველობითი ღონისძიების გასაჩივრება საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა არის.<sup>360</sup>

რეკომენდაციის შესაბამისად, შიდა გადასინჯვა ნებისმიერი აქტის მიმართ უნდა იყოს შესაძლებელი,<sup>361</sup> ამასთან, გადაწყვეტილებების შიდა გადასინჯვა ზოგიერთ

---

<sup>357</sup> გაწერელია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ.პ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ.. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 3, თბილისი, 2016, გვ.143-144.

<sup>358</sup> იქვე.

<sup>359</sup> ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მე-3 სექციის 1 (i)(ii) პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებების შიდა გადასინჯვა ნებისმიერი აქტის მიმართ უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილებების შიდა გადასინჯვა სავალდებულო უნდა იყოს როგორც სასამართლო გარჩევის წინამძღვარი. იხ. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>360</sup> მუხლი 2(5), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

<sup>361</sup> Sec.III (1)(i), Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

შემთხვევაში სავალდებულო უნდა იყოს, როგორც სასამართლო გარჩევის წინამძღვარი<sup>362</sup> და მას უნდა წყვეტდნენ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები.<sup>363</sup>

შიდა გადასინჯვა, როგორც ალტერნატიული მექანიზმი არ საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობაში დამკვიდრებას, ვინაიდან აღნიშნული უკვე დამკვიდრებულია ადმინისტრაციული საჩივრის სახით.

---

<sup>362</sup> Sec. III (1)(ii), Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>363</sup> იქვე, Sec.III (1)(iii).



## 2. მოლაპარაკება

მოლაპარაკება არის არასავალდებულო პროცედურა სადაც ორი ან მეტი მონაწილე ცდილობს მიაღწიოს ერთობლივ გადაწყვეტილებას საერთო საკითხებზე, როდესაც მათ აქვთ აქტიური ან პოტენციური უთანხმოება ან კონფლიქტი.<sup>364</sup> მოლაპარაკება არის არაფორმალური პროცესი და არ საჭიროებს მესამე ნეიტრალურ მხარის ჩართულობას.<sup>365</sup> მოლაპარაკება, კონკრეტული ფორმის გამოყენების გარეშე მხარეების ერთმანეთთან საუბარს წარმოადგენს, რამაც შეიძლება რიგი ფაქტორების გათვალისწინებით შედეგი არ მოიტანოს.<sup>366</sup>

მოლაპარაკება არ არის სავალდებულო პროცედურა და დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე ნებაყოფლობით მიაღწიონ შეთანხმებას.<sup>367</sup> ამ შემთხვევაში მოდავე მხარეები ცდილობენ შეთანხმების მიღწევას მათი მოლაპარაკების უნარებისა და ბერკეტების გამოყენებით.<sup>368</sup> მოლაპარაკება მოიცავს ძალისხმევას დამყარდეს მხარეთ შორის კომუნიკაცია მორიგების აქტივობების გარეშე, ფაქტის მოძიებას.<sup>369</sup> მოლაპარაკება ყველაზე სწრაფი ADR მექანიზმია.<sup>370</sup> ვადის დაწესებამ მოლაპარაკებისათვის შეიძლება გააუმჯობესოს მისი საიმედოობა და ეფექტურობა.<sup>371</sup>

მოლაპარაკება იგივე რეკომენდაციაში განსაზღვრული დავის შეთანხმებით მოგვარება არის, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასამართლო პროცესის დაწყებამდე და მას შემდეგაც, რაც სასამართლო პროცესი დაიწყება. რეკომენდაციის

---

<sup>364</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.439.

<sup>365</sup> იქვე.

<sup>366</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.29.

<sup>367</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

<sup>368</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution*, 11, no. 2, 2010, p.439.

<sup>369</sup> *Singer L.R.*, Nonjudicial Dispute Resolution Mechanisms: The Effects on Justice for the Poor, *Clearinghouse Review* 13, no. 8, 1979, p.570

<sup>370</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.448.

<sup>371</sup> იქვე.

შესაბამისად, თუ კანონმდებლობით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული, ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ უნდა მიმართონ დავის შეთანხმებით მოგვარებას იმისთვის, რომ უგულბელყონ თავიანთი მოვალეობები.<sup>372</sup> ამასთან, კანონმდებლობის შესაბამისად, იმ სასამართლო გარჩევაში მონაწილე პირებს, რომლის მიზანიც არის დავის შეთანხმებით მოგვარება მინიჭებული უნდა ჰქონდეთ საკმარისი უფლებამოსილება, რათა შეთანხმდნენ კომპრომისზე.<sup>373</sup>

მოლაპარაკების მიზანია ძვირი დავების თავიდან აცილება.<sup>374</sup> მოლაპარაკებამ შეიძლება შეამციროს მტრობა მხარეებს შორის, რადგანაც ისინი ეცდებიან იპოვონ საერთო ენა, რომლითაც მიაღწევენ ორივე მხარისათვის სასურველ შეთანხმებას.<sup>375</sup> დადებითი მხარე მოლაპარაკების არის ის, რომ მხარეები შეამცირებენ მესამე ნეიტრალური პირის ხარჯებს.<sup>376</sup>

აღსანიშნავია, რომ თუ მოლაპარაკება ვერ შედგა მაშინ მხარეები იწყებენ სხვა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალების (ADR) პროცედურას ან დავას.<sup>377</sup>

მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას აქვს რამდენიმე ნათელი უპირატესობა: კმაყოფილება - გამოსავალი არის თავად მხარეთა მიერ შექმნილი; სისწრაფე - მოლაპარაკება შეიძლება დაიწყოს და დაასრულოს ნებისმიერ დროს; ხარჯი - დრო და თანხა დაიზოგება, თუ შედეგი მიღწეულ იქნა სწრაფად; კონფიდენციალურობა - მოლაპარაკება ყოველთვის ხდება კონფიდენციალურად, შემდგომში გამჟღავნებული ინფორმაციის გამოყენების უფლების გარეშე; ურთიერთობები - მოლაპარაკებით შედეგის მიღწევამ შესაძლოა განავითაროს ურთიერთობა მხარეებს შორის.<sup>378</sup>

თუმცა ყველა მოლაპარაკება არ შეიძლება იყოს წარმატებული, შესაბამისად, მოლაპარაკების პროცესს შესაძლოა ჰქონდეს მისი ურაცოფითი მხარეებიც.

---

<sup>372</sup> Sec. III (3)(i), Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>373</sup> იქვე, Sec. III (3)(ii).

<sup>374</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.439.

<sup>375</sup> იქვე.

<sup>376</sup> იქვე.

<sup>377</sup> იქვე.

<sup>378</sup> *Goss J.*, An Introduction to Alternative Dispute Resolution. *Alberta Law Review*, vol. 34, no. 1, 1995, p.4.

მოლაპარაკების პროცესის უარყოფითი მხარე შეიძლება იყოს: არაეფექტურობა - მოლაპარაკება სერიოზულად შეიძლება არ იქნეს აღქმული ერთი მხარის ან ორივე მხარის მიერ. ხშირად მოლაპარაკება ნაადრევად იშლება; კონფლიქტის ესკალაცია - მოლაპარაკება ხშირად არ მიმდინარეობს კონტროლირებად გარემოში და შესაბამისად შეიძლება გამოიწვიოს ემოციების ესკალაცია და კონფლიქტი; დაგვიანება - წარუმატებელ მოლაპარაკებას შეუძლია გამოიწვიოს დაგვიანება.<sup>379</sup>

მოლაპარაკების დადებითი ეფექტია არის ის გარემოება, რომ მოლაპარაკებით მიღწეულ შეთანხმებას მხარეები ასრულებენ, ხოლო დავის გადაწყვეტის მექანიზმების, არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილებები, შესაძლოა დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას.

მოლაპარაკება, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება საქართველოს კანონმდებლობაში არ საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას, აღნიშნული ისედაც წარმოადგენს პასუხისმგებლიანი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას.

---

<sup>379</sup> *Goss J., An Introduction to Alternative Dispute Resolution. Alberta Law Review, vol. 34, no. 1, 1995, p.4.*

### 3. მორიგება და მედიაცია

#### 3.1 მედიაცია/მორიგების არსი

მედიაცია და მორიგება, კიდევ ერთი ADR-ის გავრცელებული ტექნიკა არის, რომელიც პროცესში იყენებს მესამე მხარეს, იმგვარად, რომ ეს მხარე არ წყვეტს საკითხებს.<sup>380</sup> მედიატორი მხოლოდ დამხმარე ფუნქციის მატარებელია, არ არის რაიმე სახის პასუხისმგებლობის მატარებელი პირი,<sup>381</sup> არ აქვს სავალდებულო ხასიათის ძალაუფლება, მხარეებს ხელს უწყობს თვითგამორკვევისა და შეთანხმების საფუძვლების გამონახვაში, მხარეთა მიერ ერთმანეთის ინტერესების შესწავლასა და კონფლიქტის მიზეზების იდენტიფიცირებაში.<sup>382</sup>

იმ შემთხვევაში, თუ მედიაცია/მორიგება მხარდაჭერილია სახელმწიფო პოლიტიკით, მაშინ მისი წარმატებული ფუნქციონირება დავის გადაწყვეტის მექანიზმების ერთიან სისტემაში საჯარო ინტერესის გამოხატულება არის.<sup>383</sup>

მორიგებისა და მედიაციის სისტემა ერთმანეთ ჰგავს და ორივე მათგანი გულისხმობს პროცესს, როდესაც მხარეები მიმართავენ მესამე პირს- შუამავალს.<sup>384</sup>

---

<sup>380</sup> *Stukenborg Ch.*, The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts, University of Dayton Law Review 19, no. 3, 1994, p. 1307

<sup>381</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.70.

<sup>382</sup> *ადეიშვილი ქ.*, კონფიდენციალურობის როლი მედიაციის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.58.

<sup>383</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.13.

<sup>384</sup> *ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.37.

მთავარი განსხვავება მოლაპარაკებასა და მედიაცია/მორიგებას შორის არის ის, რომ ზოგიერთი სახის გადაწყვეტილებას მოლაპარაკების დროს მხარეები თავად ვერ განიხილავენ და საჭირო ხდება მესამე პირის დახმარებით დამატებითი პროცედურები.<sup>385</sup>

სამართლის თეორიაში მედიაცია განისაზღვრება როგორც სწრაფი და იაფი მექანიზმი სხვადასხვა სახის დავის გადასაწყვეტად.<sup>386</sup>

მედიაცია/მორიგება თავისი არსით მოიცავს მესამე პირის აქტიური მონაწილეობით დავის გადაწყვეტას და დავის საბოლოოდ მორიგებით დასრულებას.<sup>387</sup> მედიაციის პროცესში მედიატორი თავისუფალია მედიაციის სტილის არჩევაში, თუმცა იგი ვალდებულია პროცედურული წესების შესახებ აცნობოს მხარეებს, რომ სწორი წარმოდგენა და მოლოდინები შეექმნათ პროცესის შესახებ.<sup>388</sup>

მედიაციის/მორიგების პროცესით მესამე მხარის როლი შეიძლება იყოს ან ხელშემწყობი ან შეფასებითი.<sup>389</sup> მედიაცია/მორიგება არის დავის გადაწყვეტის ნებაყოფლობითი არაფორმალური პროცესი, სადაც ნეიტრალური მესამე პირი ეხმარება მხარეებს მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას დავაში,<sup>390</sup> ამლევს კონფლიქტში მყოფ მხარეებს შესაძლებლობას, დავის რეალურად და სრულყოფილად ამოწურვის და შეთანხმების მიღწევის კუთხით.<sup>391</sup>

ნეიტრალური პირის განზრახვა არის დაეხმაროს მხარეებს მიაღწიონ შემოქმედებით გადაწყვეტას, რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის, ნაცვლად

---

<sup>385</sup> *Harter J.P.*, Disput Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. Villanova Law Review, Vol.29, Isu.6, 1983, p. 1411

<sup>386</sup> *Vučetić D.*, Is Mediation Viable in Administrative Matters?. Law and Politics Vol. 14, No 4, 2016, p.495.

<sup>387</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

<sup>388</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.86.

<sup>389</sup> *Kleefeld J.C.*, Class Actions as Alternative Dispute Resolution. Osgoode Hall Law Journal, vol. 39, no. 4, 2001, p.819.

<sup>390</sup> *Winkle V.K.M.* Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. LBJ Journal of Public Affairs, 1997, 9, p 18.

<sup>391</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.109

იმისა, რომ მიიღოს გადაწყვეტილება.<sup>392</sup> მხარეებს არ სჭირდებათ შეასრულონ მედიატორის გადაწყვეტილება, მათ უნდა იპოვონ გამოსავალი, რომელიც მათ დააკმაყოფილებს.<sup>393</sup> მედიაციის ფარგლებში მხარეებმა არ უნდა ეძიონ აბსოლიტური სამართლიანობა, არამედ არსებული კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით დასრულება უნდა მოახერხონ.<sup>394</sup>

მედიაცია ხშირად გამოიყენება როგორც სასამართლო დავის ალტერნატივა.<sup>395</sup> მედიაცია არის კონფლიქტების მოგვარების შესანიშნავი საშუალება საჯარო სექტორში, ხოლო მხარეები რომლებიც ჩართული არიან საერთაშორისო ვაჭრობაში აღიარებენ მის უპირატესობებს მათ დავებში.<sup>396</sup> განასაკუთრებით დიდ, კომპლექსურ დავებში, მედიაცია სულ უფრო ხშირად გამოიყენება როგორც პირველი ნაბიჯი მორიგებისათვის.<sup>397</sup> მედიაციის დროს მთავარი გადაწყვეტილების მიმღებნი არიან მოდავე მხარეები.<sup>398</sup> თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მედიატორს უფრო აქტიური როლიც შეუძლია შეასრულოს მისი კომენტარებისა და მორიგების პირობების შეთავაზებით.<sup>399</sup>

მედიაცია ძირითადად იმართება ნეიტრალურ ადგილას, ოფისის ოთხში, ნაკლებად ფორმალურ ადგილას ვიდრე სასამართლოს დარბაზია.<sup>400</sup> არაფორმალური და ნაკლებად სტრესული გარემოს შექმნა ეხმარება მხარეებს, დარწმუნდნენ, რომ მათ მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია მათივე თანხმობის გარეშე არ გასაჯაროვდება.<sup>401</sup> მედიაცია

---

<sup>392</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.440.

<sup>393</sup> იქვე.

<sup>394</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.59

<sup>395</sup> *Winkle V.K.M.* Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. *LBJ Journal of Public Affairs*, 1997, 9, p.18.

<sup>396</sup> *Hoellering M.F.*, Alternative Dispute Resolution and International Trade. *New York University Review of Law & Social Change*, vol. 14, no. 3, 1986, p.791.

<sup>397</sup> იქვე.

<sup>398</sup> *Talibah P.*, Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. *Thurgood Marshall Law Review* 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000, p.151.

<sup>399</sup> იქვე.

<sup>400</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.440.

<sup>401</sup> *კალანდაძე დ.*, კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.35.

შეიძლება გაგრძელდეს ერთ ან რამდენიმე სესიაზე, აღნიშნული დამოკიდებულია საკითხის კომპლექსურობაზე, მედიატორის უნარებზე, მხარეთა მომრიგებლურ პოზიციებზე და მხარეთა სურვილზე მიაღწიონ შეთანხმებას.<sup>402</sup> ზოგიერთი სახის მედიაციაში პროცესს წინასწარ განსაზღვრული რთული სტრუქტურა აქვს და მედიატორი ერთადერთია, ვინც აკონტროლებს დღის წესრიგს.<sup>403</sup>

იმ შემთხვევაშიც კი როდესაც შეუძლებელია მთელი დავის გადაწყვეტა მედიაციით, მხარეები ხშირად აღწევენ შეთანხმებას რამდენიმე ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებაზე, რაც ამარტივებს დარჩენილ საკითხებზე სასამართლო ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების მიღებას.<sup>404</sup> მედიაციას შეუძლია შექმნას სამომავლო დამოკიდებულება და მორიგების სცენა, შეამციროს საკითხი, გამოამჟღავნოს ზოგიერთი ძირითადი ინტერესი.<sup>405</sup>

ეფექტური მედიაცია მოითხოვს ყველა მხარის განწყობას მორიგებაზე.<sup>406</sup> ზოგადად შეთანხმებულია, რომ მედიაცია არათანაბარპირობებში მყოფ მხარეებს შორის შეუსაბამოა.<sup>407</sup> თუ არ არის შეთანხმების მიღწევაზე ჭეშმარიტი განზრახვა, მედიაცია ვერ შედგება.<sup>408</sup> რეკომენდაციის შესაბამისად, მორიგებაში შუამავლები და მედიატორები შეხვედრების შესახებ ყოველ მხარესთან ცალკე ან ერთდროულად უნდა შეთანხმდნენ დავის გადასაჭრელად.<sup>409</sup>

---

<sup>402</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.441.

<sup>403</sup> *ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.151

<sup>404</sup> *Hoellering M.F.* Alternative Dispute Resolution and International Trade. *New York University Review of Law & Social Change*, vol. 14, no. 3, 1986, p.791.

<sup>405</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.441.

<sup>406</sup> იქვე.

<sup>407</sup> *Singer L.R.*, Nonjudicial Dispute Resolution Mechanisms: The Effects on Justice for the Poor, *Clearinghouse Review* 13, 1979, no. 8, p.575.

<sup>408</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.441

<sup>409</sup> Sec. III, 2 (ii), Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

მედიაციას სამი ძირითადი ელემენტი ახასიათებს ნებაყოფლობითობა, მიუკერძოებლობა და კონფიდენციალობა.<sup>410</sup> ეს სამი ელემენტი სათავეს იღებს 1980 წლის UNCITRAL-ის მოდალური წესებიდან შერიგების შესახებ და ისინი აუცილებელი ელემენტია ევროპის ქვეყნების მედიაციის შესახებ საკანონმდებლო აქტებში.<sup>411</sup> მედიაციის ცნება ტერმინის დონეზე მოიცავს მითითებას ნებაყოფლობითობის შესახებ, რომელიც არის მედიაციის არსის ქვაკუთხედი.<sup>412</sup>

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, მორიგებისა და მედიაციის ინიცირებას უნდა ახდენდნენ მონაწილე მხარეები, მოსამართლეები ან სავალდებულო წესით გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით.<sup>413</sup> შესაბამისად, რეკომენდაციამ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა მორიგებისა და მედიაციის სავალდებულო წესით გათვალისწინებისაკენ, იმისათვის, რომ მოხდეს დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. მედიაცია დროის მაქსიმალური ეკონომიის შემთხვევაშიც კი, დავის ინსტიტუციური გზით გადაჭრის საშუალებაა.<sup>414</sup>

საჯარო ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულ დავებში მედიაციაზე/მორიგებაზე მოწვევის მიღება ან მედიაციის ინიცირება მნიშვნელოვნად შეძლებს სასამართლო დავების შემცირებას.<sup>415</sup> აღნიშნულს შესაძლოა ჰქონდეს უფრო სწრაფი ეფექტი, ვიდრე დავის სასამართლო წესით ან არბიტრაჟში დავის გადაწყვეტა არის. საჯარო უწყებებისა და ინსტიტუტების მიერ მედიაციის დაწყება და გამოყენება შეიძლება იყოს მაგალითი კერძო პირებისათვის სხვებთან ურთიერთობისას. ამ გზით

---

<sup>410</sup> Vučetić D., Is Mediation Viable in Administrative Matters?. Law and Politics Vol. 14, No 4, 2016, p.496

<sup>411</sup> იქვე.

<sup>412</sup> ყანდაშვილი ი., „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.70.

<sup>413</sup> Sec. III, 2, i., Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>414</sup> თოხაძე ა., „მედიაციის სამართლებრივი პრესპექტივა მცირე და დომინანტ აქციონერთა ურთიერთბალანსის შენარჩუნების კონტექსტში“. თანამედროვე სამართლის მიმოხილვა №1, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2013, გვ.23.

<sup>415</sup> Bogdan F., The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court. Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 19, 2016, p.109.



საჯარო უწყებებს შეუძლიათ რეალურად შეუწყონ ხელი მედიაციის როგორც ალტერნატივას მართლმსაჯულების სისტემაში.<sup>416</sup>

პირი, რომელიც მიაღწევს მორიგების შეთანხმებას საჯარო უწყებასთან მედიაციის მეშვეობით, გამოიყენებს იგივე პროცედურას სამომავლო კონფლიქტებში და წახალისებს სხვებს გამოიყენონ მედიაცია საჯარო უწყებებთან კონფლიქტის დროს.<sup>417</sup>

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრებები, რომ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხი შეიძლება გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მედიაციის ტექნიკის გამოყენებით.<sup>418</sup>

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მედიაციას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საჯარო დავების გადაწყვეტაში, მაგრამ ის არ უნდა იყოს კონფიდენციალური, რადგან დავების ეფექტური გადაწყვეტის პოლიტიკა შედარებით ფერმკრთალია მმართველობის ღიაობის ფუნდამენტურ პოლიტიკასთან მიმართებით.<sup>419</sup>

მედიაცია/მორიგება თავისი არსით კონფიდენციალური პროცესია და მხარეებს მედიაციის/მორიგების დროს გამჟღავნებული ინფორმაციის შემდგომში გამოყენების შესაძლებლობა არ აქვთ.

### 3.2 მედიატორის/მომრიგებლის როლი პროცესში

მედიაციის/მორიგებისადმი საზოგადოების და მომხმარებლის ნდობის განმაპირობებელი მედიატორის/მომრიგებლის ნეიტრალურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არის.<sup>420</sup> მედიატორი/მომრიგებელი წარმოადგენს დამოუკიდებელ

---

<sup>416</sup> *Bogdan F.*, The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court. *Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia*, 19, 2016, p.112.

<sup>417</sup> იქვე.

<sup>418</sup> *Vučetić D.*, Is Mediation Viable in Administrative Matters?. *Law and Politics* Vol. 14, No 4, 2016, p.496.

<sup>419</sup> *Leatherbury Th.S., Cover M.A.*, Keeping Public Mediation Public: Exploring the Conflict between Confidential Mediation and Open Government. *SMU Law Review*, vol. 46, no. 5, 1993, p.2234.

<sup>420</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.82.

მიუკერძოებელ პირს, რომელიც უპირატესად მიმართულია დავის შეთანხმებით დასრულებისკენ.<sup>421</sup>

მედიატორს/მომრიგებელს შეუძლია შეითავსოს ბევრი როლი მოლაპარაკების პროცესში, მათ შორის: მმართველი და დამხმარე კომუნიკაციაში, პროცესის მმართველი რომელიც წარმართავს პროცედურას და ფორმალურად თავმჯდომარეობს მოლაპარაკებას; მწვრთნელი, რომელიც ასწავლის ახალბედა, არაკვალიფიციურ ან მოუმზადებელ მომლაპარაკებლებს; რესურსების გამფართოებელი, რომელიც უზრუნველყოფს პროცედურულ მხარდაჭერას მხარეებისათვის და მხარს უჭერს მათ გარე ექსპერტიზით და რესურსებით, როგორც არის იურისტები, ტექნიკური ექსპერტები, გადაწყვეტილებების მიმღებნი, რომ მხარეებს მიეცეთ ფართო შესაძლებლობა მორიგებისათვის; პრობლემების აღმწერი, რომელიც აძლევს მოდავე მხარეებს შესაძლებლობას შეხედონ პრობლემებს სხვადასხვა მხრიდან, ეხმარება მათ მოახდინონ ძირითადი საკითხებისა და ინეტრესების იდენტიფიცირება, და პოულობს მისაღებ შესაძლებლობებს; აგენტი რომელიც რეალურად აშენებს გონივრულ და შესრულებად მორიგებას მხარეებისათვის, რომლებსაც აქვთ არარეალური მიზნები.<sup>422</sup> მედიატორი დამატებითი მექანიზმია, მისი სპეციალური ცოდნის და უნარების გამოყენებით იმისა, რათა მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას და სრულად ამოწურონ კონფლიქტური სიტუაცია.<sup>423</sup> მედიატორის/მომრიგებლის დამკვირვებლობამ, განათლებამ და პროფესიონალიზმმა შეიძლება განაწყოს მხარეები მოლაპარაკების წარმოებისათვის.<sup>424</sup>

---

<sup>421</sup> *ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.35.

<sup>422</sup> *Gibson K.*, Promises and Problems in Alternative Dispute Resolution for the Elderly. *Elder's Advisor* 2, no. 3, 2001, p.86.

<sup>423</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.29.

<sup>424</sup> *ოქროპირიძე ბ.*, მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2012, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ.52.

მედიატორი ხელს უწყობს მოლაპარაკებას, მაგრამ არ აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება და ჩვეულებრივ არ გამოთქვამს აზრს დავის არსზე.<sup>425</sup> მიუხედავად იმისა, რომ ხელშემწყობი მედიაცია ყველაზე გავრცელებული ფორმა არის, პრაქტიკაში მედიაციის სხვა ფორმებიც არის ხელმისაწვდომი.<sup>426</sup> ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს შეფასებითი მედიაცია, რომელიც მსგავსია მოსამართლის წინაშე მორიგებისა.<sup>427</sup> ამ მეთოდის დროს დამოუკიდებელი პირი აფასებს საქმის არსს და წარმოადგენს მოსაზრებას თუ რა ღირს საქმე.<sup>428</sup> ნაკლებად ცნობილი მეთოდია ტრანსფორმაციული მედიაცია, რომელიც ფოკუსირებულია მხარეთა გაძლიერებაზე განსხვავებით მორიგებისა ან პრობლემის გადაჭრისა.<sup>429</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარუმატებელი მედიაციის შემთხვევაში, მედიატორს შეიძლება სთხოვონ მოსაზრება არსებითად სადავო საკითხზე.<sup>430</sup> მედიატორმა/მომრიგებელმა პროცესში უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი და არ უნდა მოექცეს, რაიმე სახის გავლენის ან ინტერესის ქვეშ რომელიმე მხარის სასარგებლოდ.<sup>431</sup>

მორიგებაში შუამავლებსა და მედიატორებს შეუძლიათ ადმინისტრაციულ ორგანოებს შესთავაზონ უარი თქვან, გაითხოვონ ან სახე უცვალონ აქტს მიზანშეწონილობისა და კანონიერების საფუძველზე.<sup>432</sup> მედიაციის პროცესში მედიატორი არ არის რომელიმე მხარის წარმომადგენელი, ან მრჩეველი.<sup>433</sup>

---

<sup>425</sup> *Dwight G.*, Making Alternative Dispute Resolution Mandatory: The Constitutional Issues. *Oregon Law Review*, vol. 68, no. 2, 1989, p.497.

<sup>426</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.440.

<sup>427</sup> იქვე.

<sup>428</sup> იქვე.

<sup>429</sup> იქვე.

<sup>430</sup> *Dwight G.*, Making Alternative Dispute Resolution Mandatory: The Constitutional Issues. *Oregon Law Review*, vol. 68, no. 2, 1989, p.502.

<sup>431</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.78.

<sup>432</sup> Sec. III, 2, iii., Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>433</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.112.

შესაბამისად, მედიაციის/მორიგების პროცესში მედიატორებს/მომრიგებლებს აქვთ ნეიტრალური როლი და არ არიან გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილნი.

### **3.3 მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები**

მედიაცია/მორიგების პროცესს, ისევე როგორც ყველა ინსტიტუტს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მედიაციის/მორიგების სარგებლად მიჩნეულია: ეფექტური პროცესი - მედიაციის საშუალოდ 80 დან 85 პროცენტამდე წარმატებით სრულდება; უკეთესი შედეგები - შედეგი მიიღწევა მხარეთა შეთანხმებით და შესაბამისად ერგება მათ საჭიროებებს; სისწრაფე - მედიაცია შეიძლება განხორციელდეს უმოკლეს ვადაში, რადგანაც მოლაპარაკება მიმდინარეობს მხარეთა შორის; ხარჯი - დრო, თანხა და ემოცია შეიძლება დაზოგილ იქნეს დავის ადრეული გადაწყვეტით; მედიატორის არჩევითობა - მედიატორად შეიძლება აირჩეს პირი რომელსაც აქვს მოლაპარაკების წარმოების, დავის ეფექტურად გადაწყვეტის და შესაბამის სფეროში გამოცდილება. ასეთმა საექსპერტო გამოცდილებამ შეიძლება მხარი დაუჭიროს მხარეებს დავის გადაწყვეტაში; პრობლემის ცენტრირება - მედიაციის პროცესი ფოკუსირებულია მხარეთა ინტერესებზე და ყურადღებას ამახვილებს მხარეთა საჭიროებებზე; კონტროლი - თითოეული მხარე თავად აკონტროლებს დავას და მის გადაწყვეტილებებს, თავად ქმნიან მორიგების პირობას და თანხმდებიან ამ პირობებზე; კონფიდენციალურობა - მედიაცია არის კონფიდენციალური პროცესი და დავის დეტალების გახმაურება დაუშვებელია საჯაროდ; მოლაპარაკების თავისუფლება - ვინაიდან მოლაპარაკება არის კონფიდენციალური და მიმდინარეობს შემდეგში მოლაპარაკების პროცესში გამჟღავნებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობის გარეშე, მხარეებს შეუძლიათ განავითარონ მორიგების პირობები; მოლაპარაკების განვითარება - მედიატორის ფოკუსირებას მოლაპარაკებაზე შეუძლია მოლაპარაკება დააყენოს სწორ გზაზე იმისთვის რომ წინ წავიდეს; არაფორმალური ატმოსფერო - არაფორმალური ატმოსფერო მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თავისუფლად ისაუბრონ მორიგების პირობებზე; გაუმჯობესებული ურთიერთობა - მედიაციას შეუძლია დაიცვას ან განავითაროს

მხარეთა შორის ურთიერთობები. ნებაყოფლობითობა - მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია და თითოეულ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს იგი.<sup>434</sup>

მედიაციის უარყოფით მხარეებად არის მიჩნეულ შემდეგი: ნებაყოფლობითობა - ყველა მხარე უნდა შეთანხმდეს მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე და აქტიურად უნდა მიიღონ მასში მონაწილეობა; მონაწილეობის გარეშე შედეგის მიღწევა შეუძლებელია; ძალთა დაუბალანსებლობა - იმ შემთხვევაში, თუ ძალა დაუბალანსებელია მხარეთა შორის და ეს არ დაბალანსდა მედიაციის დროს, მედიაცია არა ეფექტური იქნება; ფორმალური ხელშეკრულება - მედიაცია თავისთავად არ არის შეთანხმება, ამისთვის მაინც საჭირო იქნებიან იურისტები, რომ მისი დასრულების შემდეგ მოხდეს ფორმალური შეთანხმების გაფორმება; არაოფიციალური აღმოჩენა - ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება მიიღოს დამატებითი ინფორმაცია დავის ფარგლებში; დაგვიანება - თუ მედიაცია არაწარმატებულია მაშინ დაგვიანებას იწვევს; პრეცედენტის არარსებობა - დავის გადაწყვეტა არ არის პრეცედენტი სხვა მსგავსი დავებისათვის; არაფორმალური მართლმსაჯულება - კერძო დავის გადაწყვეტას არ შეუძლია დაიცვას პირთა უფლებები. მას ასევე მოიხსენიებენ „მეორე კლასის მართლმსაჯულებად“ შეზღუდული ჯგუფებისათვის.<sup>435</sup> მედიაციის უარყოფით მხარედ არის მიჩნეული მართლმსაჯულების „პრივატიზაციის“ შესაძლებლობა და მართლმსაჯულების განხორციელების კერძო პირთა ხელში აღმოჩენა.<sup>436</sup> მედიაციის უარყოფით მხარეს რიგ შემთხვევაში მისი ზედმეტად რეგულირებასაც მიიჩნევენ, რადგანაც კარგავს იმ ლავირებად ბუნებას, რაც მას განასხვავებს სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული სასამართლო საქმისწარმოებასა და თუნდაც ნებისმიერი სხვა სახის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმებისაგან.<sup>437</sup>

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მედიაციის/მორიგების ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარეები, მედიაცია მაინც საუკეთესო საშუალება არის ემოციური

<sup>434</sup> Goss J., An Introduction to Alternative Dispute Resolution. Alberta Law Review, vol. 34, no. 1, 1995, p.8-10

<sup>435</sup> იქვე, p.10

<sup>436</sup> ყანდაშვილი ი., „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.53.

<sup>437</sup> იქვე, გვ.54.

განხეთქილების აღმოსაფხვრელად და მხარეთა შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.<sup>438</sup> მედიაცია/მორიგება მხარეებს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ იურიდიული ფაქტებით განსაზღვრონ მომავალი შედეგი, არამედ პირადი გრძნობების, მოსაზრებების საფუძველზე მივიდნენ ერთობლივ დასკვნამდე.<sup>439</sup> კონსესუსით დავის გადაწყვეტას უფრო მეტი დადებითი მხარე აქვს, ვინაიდან უზრუნველყოფს დავის მშვიდობიან, ორივე მხარისათვის მისაღები შედეგით გადაწყვეტას.

---

<sup>438</sup> *Rosenfeld S. J.*, It's Time for an Alternative Dispute Resolution Procedure. *Journal of the National Association of Administrative Law Judiciary*, vol. 32, no. 2, 2012, p. 548.

<sup>439</sup> *ოქროპირიძე ბ.*, მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2012, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ.31.

## 4. არბიტრაჟი

### 4.1 არბიტრაჟის არსი

არბიტრაჟი არის სისტემა, რომელიც ყველაზე ახლოს დგას სასამართლო პროცესთან,<sup>440</sup> იგი არის სავალდებულო გადაწყვეტა მხარეთა მოთხოვნების და მიიღება დამოუკიდებელი არბიტრის ან არბიტრთა ჯგუფის მიერ.<sup>441</sup> „უფლებებზე საუბრის“ პარადიგმა როგორც წესი არის სასამართლო გადაწყვეტილება, სასამართლო დარბაზში, მაგრამ ასევე მოიცავს არბიტრაჟს.<sup>442</sup> არბიტრაჟი არის ანტითეზისი მონაწილეობის, დისკუსიისა და კომპრომისის, მაგრამ არბიტრაჟის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს: უფრო დაბალანსებულ „წვდომას მართლმსაჯულებაზე“, სწრაფ და საბოლოო გადაწყვეტილებებს.<sup>443</sup>

არბიტრები წყვეტენ საქმეს ფაქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, როგორც მოსამართლე,<sup>444</sup> ხოლო მხარეები ნებაყოფლობით ექვემდებარებიან მესამე პირის მიერ მიღებულ სავალდებულო გადაწყვეტილებას.<sup>445</sup>

სასამართლოსა და არბიტრაჟის საერთო ატრიბუტი არის ის, რომ დავას წყვეტს მიუკერძოებელი პირი.<sup>446</sup> მაშინ როცა მედიატორის როლი არის მხარეთა დახმარება მიაღწიონ შეთანხმებას, არბიტრი ვალდებულია მისი ქმედებები შეესაბამებოდეს წესებს, რეგულაციებს, პროცედურას, ვალდებულია დანიშნოს მოსმენის დრო და ადგილი,

---

<sup>440</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

<sup>441</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.441.

<sup>442</sup> *Kleefeld J.C.*, Class Actions as Alternative Dispute Resolution. *Osgoode Hall Law Journal*, vol. 39, no. 4, 2001, p.819.

<sup>443</sup> *Rosenfeld S. J.*, It's Time for an Alternative Dispute Resolution Procedure. *Journal of the National Association of Administrative Law Judiciary*, vol. 32, no. 2, 2012, p. 545.

<sup>444</sup> *Readey J.A.*, Alternative Dispute Resolution - A Trial Lawyer's Primer. *Insurance Counsel Journal*, vol. 53, no. 2, 1986, p.303.

<sup>445</sup> *Thompson L.C.*, International Dispute Resolution in the United States and Mexico: A Practical Guide to Terms, Arbitration Clauses, and the Enforcement of Judgments, 24 *SYRACUSE J. IN T'LL. & CoM.* 1, 1997, p.15

<sup>446</sup> *Kleefeld J.C.*, Class Actions as Alternative Dispute Resolution. *Osgoode Hall Law Journal*, vol. 39, no. 4, 2001, p.819.

უზრუნველყოს სხდომაზე წესრიგის დაცვა, გამოსცეს საარბიტრაჟო განჩინებები, დაიცვას პროცედურული წესები, მიიღოს წერილობითი დასკვნა და გამოსცეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არბიტრაჟში წარდგენილ საკითხზე.<sup>447</sup> არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ პრეცედენტის ძალა, მაშინ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებას ასეთი ძალა აქვს.<sup>448</sup>

არბიტრაჟი არის ფორუმი რომელიც დაფუძნებულია მხარეთა ავტონომიურობაზე - მხარეები თანხმდებიან არბიტრაჟის პროცესზე მათი საჭიროებებისა და პრაქტიკის შესაბამისად.<sup>449</sup> არბიტრი წყვეტს ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს და სხვა საკითხებს, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან.<sup>450</sup>

არბიტრაჟი სხვადასხვა საჭიროებებს აკმაყოფილებს. მიუხედავად იმისა, რომ უფრო ჰგავს სასამართლო დავას, ის ასევე მხარეებს აძლევს კონტროლის უპირატესობას: ისინი ირჩევენ პროცესს; თანხმდებიან არბიტრზე; განსაზღვრავენ ჩართულობის წესებს და თანახმა არიან მისი გადაწყვეტილება იყოს საბოლოო.<sup>451</sup>

საარბიტრაჟო სასამართლო საქმეს არ განიხილავს მხარეთა შეთანხმების გარეშე. არბიტრაჟზე თანხმობისას პირი უნდა იყოს ინფორმირებული და თანხმობა უნდა იყოს სრულად ნებაყოფლობითი.<sup>452</sup> იმისთვის, რომ საქმე განსახილველად არბიტრაჟს გადაეცეს აუცილებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე. არბიტრაჟი მიიჩნევა სახელშეკრულებო ქმნილებად.<sup>453</sup>

---

<sup>447</sup> *Zack A.M.*, Can Alternative Dispute Resolution Help Resolve Employment Disputes. *International Labour Review*, vol. 136, no. 1, 1997, p.104

<sup>448</sup> *ფიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან. სადისერტაციო ნაშრომი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, გვ.68

<sup>449</sup> *Hoellering M.F.* Alternative Dispute Resolution and International Trade. *New York University Review of Law & Social Change*, vol. 14, no. 3, 1986, p.785.

<sup>450</sup> *Stukenborg Ch.*, The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts, *University of Dayton Law Review* 19, no. 3, 1994, p.1306.

<sup>451</sup> *Zack A.M.*, Can Alternative Dispute Resolution Help Resolve Employment Disputes. *International Labour Review*, vol. 136, no. 1, 1997, p.106.

<sup>452</sup> *Rosenfeld S. J.*, It's Time for an Alternative Dispute Resolution Procedure. *Journal of the National Association of Administrative Law Judiciary*, vol. 32, no. 2, 2012, p. 552.

<sup>453</sup> *De Werra J.*, Can Alternative Dispute Resolution Mechanisms Become the Default Method for Solving International Intellectual Property Disputes. *California Western International Law Journal*, vol. 43, no. 1, Fall 2012, p.62



არბიტრაჟი შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, ასევე არასავალდებულო. აღნიშნული დამოკიდებულება მხარეთა შეთანხმებაზე. სავალდებულო არბიტრაჟის დროს გადაწყვეტილებას იღებს მესამე მხარე და მოდავე მხარეები ვალდებული არიან გადაწყვეტილება დაიცვან, მაშინაც კი თუ არ ეთნხმებიან მას, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებას წააგავს.<sup>454</sup> არბიტრაჟში ტრადიციული განსჯის გარეშე, მხარეები თანხმდებიან, რომ მისცენ უფლებამოსილება არბიტრს გადაწყვიტოს სადავო საკითხი გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც ექვემდებარება ლიმიტირებულ აპელაციას.<sup>455</sup> არასავალდებულო არბიტრაჟის დროს მესამე მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება უარყონ მხარეებმა<sup>456</sup> და გადაწყვეტილება იქნება უფრო რეკომენდაციის ხასიათის.<sup>457</sup> ნებაყოფლობითი არბიტრაჟის კონცეფცია, როგორც სიცოცხლისუნარიანი საშუალება სახელშეკრულებო დავების გადასაწყვეტად ვითარდება საჯარო სექტორში.<sup>458</sup>

აშშ-ში გათვალისწინებულია არბიტრაჟის არსებობა სასამართლოს სისტემაში, რომელსაც „სასამართლოსადმი ანექსირებულ არბიტრაჟს“ უწოდებენ. სასამართლოს მიერ ანექსირებული არბიტრაჟი („CAA“) არის დამატებითი ინოვაციური პროცედურა რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო დროის დაზოგვას, დავების გადაწყვეტის დაჩქარებას და მხარეების ხარჯების შემცირებას.<sup>459</sup> მიჩნეულია, რომ სასამართლოზე ანექსირებულ არბიტრაჟს ექნება სამი შედეგი: ა) ზოგიერთი დავა გადაწყდება საარბიტრაჟო მოსმენამდე; ბ) ზოგიერთი დავა გადაწყდება არბიტრის მიერ

---

<sup>454</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

<sup>455</sup> *Thompson L.C.*, International Dispute Resolution in the United States and Mexico: A Practical Guide to Terms, Arbitration Clauses, and the Enforcement of Judgments, 24 SYRACUSE J.IN T'LL. &CoM. 1, 1997, p.15.

<sup>456</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.4.

<sup>457</sup> *ფიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან. სადისერტაციო ნაშრომი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, გვ.70

<sup>458</sup> *Howlett R.G.*, Contract Negotiation Arbitration in the Public Sector. University of Cincinnati Law Review, vol. 42, no. 1, 1973, p. 52.

<sup>459</sup> *Kaufman I.R.*, Reform for a System in Crisis: Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. Fordham Law Review, vol. 59, no. 1, 1990, p.17

გადაწყვეტილების მიღებით; გ) ზოგიერთი დავა გადაწყდება მოსმენის შემდეგ და გადაწყვეტილება იქნება დამხმარე სახის.<sup>460</sup>

საარბიტრაჟო პროცესი, განსხვავებით სასამართლო პროცესისაგან და არასაჯარო სახის არის.<sup>461</sup> შესაბამისად, არბიტრაჟის კონფიდენციალური ბუნება მის სასარგებლო არგუმენტია.

საარბიტრაჟო განხილვა მიზანდ ისახავს უფრო ეფექტური იყოს ვიდრე სასამართლო განხილვა, ვინაიდან ფაზები, რომლებსაც თვეები და ზოგჯერ წლები სჭირდება დავაში ჩვეულებრივ შეზღუდულია და ზოგჯერ არ არსებული არბიტრაჟში.<sup>462</sup>

აღიარებულია, რომ არბიტრაჟი შესაფერისია საერთაშორისო გარემოსათვის, პირველ რიგში იმიტომ ეს არის დავის გადაწყვეტის ნეიტრალური მექანიზმი და კერძო ფორმა მართლმსაჯულების.<sup>463</sup>

არბიტრები არიან კერძო პირები მცირე რაოდენობის საქმეებით ვიდრე სასამართლოა, შესაბამისად, არბიტრაჟის პროცესი ზოგადად უფრო სწრაფად ისმინება და უფრო სწრაფად პროგრესირებადია.<sup>464</sup> საწყის ეტაპზე არბიტრები და მხარეები თანხმდებიან პროცედურულ კალენდარზე და ძირითად წესებზე.<sup>465</sup> კონკრეტული საქმის გათვალისწინებით მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟის ადაპტირება საკუთარ მოთხოვნებზე და საჭიროებებზე.<sup>466</sup> მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ არბიტრის კვალიფიკაციაზე და აღნიშნული შეიძლება აისახოს საარბიტრაჟო შეთანხმების მუხლში.<sup>467</sup>

---

<sup>460</sup> *Kaufman I.R.*, Reform for a System in Crisis: Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Fordham Law Review*, vol. 59, no. 1, 1990, p.20.

<sup>461</sup> *Mithcell G.J.*, Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988, p. 230

<sup>462</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.442.

<sup>463</sup> *Mithcell G.J.*, Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988, p. 230

<sup>464</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.442.

<sup>465</sup> იქვე, p.443.

<sup>466</sup> იქვე.

<sup>467</sup> *ფიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან. სადისერტაციო ნაშრომი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, გვ.86

არბიტრაჟი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თავად გადაწყვიტონ პროცედურული წესები, მოქმედი არსებითი სამართალი და ვინ იქნება არბიტრი.<sup>468</sup> როდესაც საქმე ინტენსიურია და ტექნიკური, მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ სპეციალისტის რჩევით და ამ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ დაეყრდნონ არბიტრაჟის სპეციალიზირებულ გადაწყვეტილებას.<sup>469</sup> ტექნიკურ სფეროში შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე არბიტრის არჩევა წარმოადგენს არბიტრაჟის პროცესის უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით.

საარბიტრაჟო განხილვებს აქვს საუკეთესო შანსი, რომ მიაღწიოს მის პროცედურულ და არსებით მიზნებს, თუ არბიტრები წარმოაჩენენ მოქნილობას გადაწყვეტილებების მიღებასა და მოსმენების წარმართვაში.<sup>470</sup>

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად, მხარეებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეარჩიონ არბიტრაჟისათვის კანონები და პროცედურები კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში. ამასთან, კანონისა და მხარეთა სურვილების მიხედვით საარბიტრაჟო მოსამართლეების გადაწყვეტილებანი სამართლიანი პრინციპების საფუძველზე უნდა მიიღებოდეს.<sup>471</sup>

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად საარბიტრაჟო მოსამართლეებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაანალიზონ აქტის, როგორც წინასწარი საკითხის კანონიერება არსებითად გადაწყვეტილების მიღების მიზნით, თუნდაც ისინი არ იყვნენ უფლებამოსილნი მიიღონ გადაწყვეტილება მისი კანონიერების მიხედვით, რათა აქტი ჩაითვალოს ბათილად.<sup>472</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არბიტრაჟთან მიმართებით რეკომენდაცია შედარებით ფრთხილია და უშვებს მნიშვნელოვანი შეზღუდვის შესაძლებლობას კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ერთი მხრივ სავარაუდოდ

---

<sup>468</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.*, Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience, *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.443.

<sup>469</sup> იქვე.

<sup>470</sup> *Rosenfeld S. J.*, It's Time for an Alternative Dispute Resolution Procedure. *Journal of the National Association of Administrative Law Judiciary*, vol. 32, no. 2, 2012, p. 559.

<sup>471</sup> Sec. III, 4, I, Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)>. [06.02.2022].

<sup>472</sup> იქვე, Sec. III, 4, ii.

გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა შეზღუდულია, ამასთან, ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში ადმინისტრაციულ სასამართლოებს არ აქვთ მხოლოდ დავის გადაწყვეტი ორგანოს ფუნქცია და მათი მიზანი საჯარო ინტერესის დაცვა არის. შესაბამისად, რეკომენდაცია სახელმწიფოებს აძლევს თავისუფლებას დაადგინოს შეზღუდვები კანონმდებლობით არბიტრაჟთან მიმართებით.

#### 4.2 არბიტრაჟის გადაწყვეტილების ფარგლები

არბიტრთა დადგენილებები და გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეთათვის, მას საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების სახე აქვს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება იყოს სავალდებულო ან მხოლოდ საკონსულტაციო.<sup>473</sup>

გადაწყვეტილების მიმღები გადაწყვეტილებას იღებს უფლებებისა და მოვალეობებზე მითითებით, ან წესებისა ან პრეცედენტების ერთობლიობის გამოყენებით. თუმცა, როგორც სასამართლოში ასევე არბიტრაჟში მოსამართლემ, ან არბიტრმა შეიძლება იხელმძღვანელოს უბრალოდ განზოგადებული სამართლიანობის გრძნობით.<sup>474</sup>

არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით გამარჯვებული მხარე მიმართავს სასამართლოს. მას შემდეგ რაც არბიტრაჟი გახდა პოპულარული როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უფრო სწრაფად და ადვილად ხდება.

1958 წელს მიღებული იქნა ნიუ-იორკის კონვენცია უცხო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ.<sup>475</sup> 1958 წლის ნიუ-იორკის საარბიტრაჟო კონვენცია, ასახავს და ხელს უწყობს

---

<sup>473</sup> *Readey J.A.*, Alternative Dispute Resolution - A Trial Lawyer's Primer. Insurance Counsel Journal, vol. 53, no. 2, 1986, p.303.

<sup>474</sup> *Kleefeld J.C.*, Class Actions as Alternative Dispute Resolution. Osgoode Hall Law Journal, vol. 39, no. 4, 2001, p.819.

<sup>475</sup> *ib.* Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, New-York, 10 June 1958. <<https://www.newyorkconvention.org/english>> [22.01.2022]

საერთაშორისო კონსენსუსს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სიცოცხლისუნარიანობისა და სარგებლიანობის შესახებ.<sup>476</sup> ამასთან, უცხო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება უფრო მარტივი ხდება 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლითაც განსაზღვრულია უცხო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პრინციპები და პროცედურული ასპექტები.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო სახეს ატარებს. შეზღუდული გასაჩივრების შესაძლებლობა და ლიმიტირებული შეტევის შესაძლებლობა მხარეებს აძლევს შესაძლებლობას დავა გადაწყვიტონ მოკლე დროში.<sup>477</sup>

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საარბიტრაჟო სამართალში არის პროცესის ავტონომიურობა სასამართლო ზედამხედველობისაგან.<sup>478</sup> არბიტრაჟის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მათი გადაწყვეტილებების გადახედვა ზემდგომი ინსტანციის ან სხვა პირთა მიერ შეუძლებელია.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადახედვა სასამართლოს მიერ ვიწრო საფუძვლებზე არის შესაძლებელი და ასეთი სახის ჩარევას ყველა სამართლებრივი სისტემა იცნობს.<sup>479</sup> მაგალითად, არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გადაიხედოს ისეთი საფუძვლით როგორც არის თაღლითობა ან იძულება, ვინაიდან საარბიტრაჟო შეთხმება ხელშეკრულების ანალოგიურია<sup>480</sup> ან თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არღვევს საჯარო წესრიგს.<sup>481</sup> როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს პრაქტიკაში საჯარო წესრიგი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შედავების ყველაზე ხშირად

---

<sup>476</sup> *Mithcell G.J.*, Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988, p. 231.

<sup>477</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.443

<sup>478</sup> *Mithcell G.J.*, Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988, p. 231.

<sup>479</sup> *ფიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან. სადისერტაციო ნაშრომი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, გვ.121

<sup>480</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.441.

<sup>481</sup> მუხ.42 (2)(ბ)(ბ.ბ), „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009

გამოყენებული საფუძველია.<sup>482</sup> ამავე დროს, საჯარო წესრიგი ის საფუძველია, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში არ იზიარებენ სასამართლოები.<sup>483</sup> საჯარო წესრიგის ცნება ყველა სახელმწიფოსათვის ინდივიდუალურია.

„საჯარო წესრიგი“ მოიცავს იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომელზე დაფუძნებულაც არის ქვეყნის კანონმდებლობა.<sup>484</sup> „საჯარო წესრიგის“ ცნება საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საჯარო წესრიგთან მიმართებით განმარტა, რომ „თეორიაში და პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომაა, რომ ის არ გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის გადასინჯვას და ამ თვალსაზრისით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დასაბუთების მართებულობის შეფასებას სასამართლოს მხრიდან; მოცემული საკითხისადმი ამ პოზიციის შეუსაბამო მიდგომა, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან; ამ მსჯელობიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას საჯარო წესრიგზე მითითებით არ შეიძლება გადაისინჯოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ასახული სახელშეკრულებო დებულებების განმარტება, მტკიცებულებათა შეფასება, სამართლებრივი ურთიერთობების კვალიფიკაცია, რადგან საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი სახის დარღვევას, არამედ სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფას; ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, იმისათვის რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველით იქნას გაუქმებული, იგი წინააღმდეგობაში უნდა მოდიოდეს უფრო მაღალ ღირებულებებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგი გადაიქცევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აპელაციის

---

<sup>482</sup> ტყემალაძე ს., კობლაძე მ., მალიძე მ., მყავანაძე მ., გაგუნაშვილი ე., გველესიანი თ., არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2018, გვ. 34. [file:///C:/Users/s.tsurtsunia/Downloads/UNDP\\_GE\\_DG\\_Arbitration\\_Study\\_20180312\\_geo%20\(1\).pdf](file:///C:/Users/s.tsurtsunia/Downloads/UNDP_GE_DG_Arbitration_Study_20180312_geo%20(1).pdf) [06.02.2022]

<sup>483</sup> ტყემალაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მისი ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მიმოხილვა)“, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, გვ.16. [http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian\\_Commercial\\_Law\\_Review\\_II\\_Issue\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian_Commercial_Law_Review_II_Issue_GEO.pdf) [06.02.2022]

<sup>484</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2013, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ.101.

მექანიზმად. ასეთი მიდგომა კი წინააღმდეგობაშია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანთან – უზრუნველყოფილი იქნას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საბოლოობა“. <sup>485</sup> იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ დაიწყო იმის შემოწმება, თუ რამდენად წინააღმდეგობაშია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება თითოეულ, თუნდაც მხოლოდ იმპერატიულ ნორმასთან ჩაითვლება, რომ მართლმსაჯულების ამ ორგანო არ მხოლოდ ცნობა-აღსრულების, არამედ ზედა ინსტანციის ფუნქცია აქვს. <sup>486</sup>

„საჯარო წესრიგის“ მსგავსი განმარტება სარგებლიანია სამოქალაქო დავებისათვის, თუმცა ადმინისტრაციული დავების შინაარსის გათვალისწინებით, თუ საკითხი შეეხება საჯარო ინტერესის დაცვას შესაძლოა სასამართლოს მიდგომა განსხვავებული იყოს. „საჯარო ინტერესის“ შინაარსის გათვალისწინებით სასამართლომ შეიძლება „საჯარო წესრიგის“ ცნებაში მოაქციოს საჯარო ინტერესი და აღნიშნული შესაძლოა ადმინისტრაციული დავების ფარგლებში არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდეს. შესაბამისად, ადმინისტრაციული დავების ფარგლებში არბიტრაჟის დამკვიდრებისას გამოწვევა იქნება „საჯარო ინტერესის“ განმარტება და არბიტრები იმ დავების გადაწყვეტას, რომელიც „საჯარო ინტერესს“ ეხება განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდებიან. საჯარო წესრიგი მოიცავს არა ნებისმიერი ნორმის დარღვევას, არამედ სამართლის „ფუნდამენტურ“ პრინციპებს <sup>487</sup> ანუ სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს, თუ რამდენად არის წინააღმდეგობაში არბიტრაჟის გადაწყვეტილება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ძირითად პრინციპებთან. <sup>488</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ იმუშავებს, თუ სახელმწიფოები არ დააკანონებენ პროცესს და არ

---

<sup>485</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის №28/5858-13 განჩინება.

<sup>486</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2013, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ.101.

<sup>487</sup> ტყემლაძე ს., „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მისი ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მიმოხილვა)“, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013, გვ.18.

<sup>488</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2013, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2014, გვ.101.

აუკრძალავენ სასამართლოებს ჩაერინო საარბიტრაჟო წარმოებაში და გადაწყვეტილების აღსრულებაში.<sup>489</sup> თუმცა, თუ სასამართლოს ჩარევის საფუძველი გონივრულია და ემსახურება საჯარო წესრიგის დაცვას, თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების გონივრული საფუძველი.

#### 4.3 არბიტრაჟის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მიუხედავად იმისა რომ არბიტრაჟის პოპულარობა თანამედროვე სამყაროში ყოველდღიურად იზრდება, არბიტრაჟისთვისაც დამახასიათებელია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

არბიტრაჟის სასარგებლო არგუმენტაციას მიეკუთვნება: ექსპერტული გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების საბოლოობა, პროცესის კონფიდენციალურობა, სისწრაფე, ტექნიკური/პროფესიული გადაწყვეტილება სამართლებრივი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, შესაძლებლობა სასამართლოდან რჩევის მიღების, მოლაპარაკებით მორიგების ფასილიტაცია, ადაპტირებული პროცესი, მოხერხებულობა, აღსრულება, წარმომადგენლობის თავისუფლება, კრეატიულობა.<sup>490</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში არბიტრაჟის უარყოფით მხარედ მიჩნეულია: აღსრულებადობა - არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მხარეებისათვის და არა მესამე პირებისათვის; ხარჯი - არბიტრაჟს ხშირად აკრიტიკებენ გაზრდილი ხარჯებისა და დროში ხანგრძლივობისათვის; კომპრომისი - შეიძლება არბიტრმა არ იმოქმედოს მიუკერძოებლად და დაიჭიროს ერთ-ერთი მოდავის მხარე; რეგულაციის არ არსებობა - არბიტრთა კვალიფიკაციის გადამოწმების შეუძლებლობა; სანდობა - სანდობაში ეჭვის შემთხვევაში არბიტრაჟი არაეფექტურია; არ ქმნის პრეცედენტს - „stare decisis“ პრინციპი არ მოქმედებს; არ არის შემაჯამებელი

<sup>489</sup> *Mithcell G.J.*, Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988, p. 231.

<sup>490</sup> *Goss J.*, An Introduction to Alternative Dispute Resolution. *Alberta Law Review*, vol. 34, no. 1, 1995, p.13-14.



პროცედურები - შუალედური გადაწყვეტილებები ნაკლებად არის შესაძლებელი არბიტრაჟში.<sup>491</sup>

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ არბიტრაჟს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარეები, იგი საერთაშორისოდ ყველაზე მზარდი და ხშირად გამოყენებადი ინსტიტუტია. მისი გადაწყვეტილებების საბოლოობა და სავალდებულობა კიდევ უფრო ამყარებს მისი პრაქტიკაში ინტენსიურად გამოყენების არგუმენტაციას.

---

<sup>491</sup> *Goss J.*, An Introduction to Alternative Dispute Resolution. *Alberta Law Review*, vol. 34, no. 1, 1995, p.15.

## 5. ომბუდსმენი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმად განიხილავენ ასევე ომბუდსმენის ინსტიტუტს. ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად შეედეთში გაჩნდა 1809 წელს. სხვა ქვეყნების ომბუდსმენის ინსტიტუტებს შორის, სკანდინავიური ომბუდსმენის ინსტიტუცია ყველაზე დახვეწილი და განვითარებულია. ომბუდსმენი განიხილავს არა მხოლოდ საჩივრებს, არამედ განიხილავს ყველა სახის პრობლემას. ხშირ შემთხვევაში ომბუდსმენი ცდილობს დაიცვას ის პირები, რომლებიც ნაკლებად შესაძლებლობის მქონენ არიან.<sup>492</sup> ზოგიერთ შემთხვევაში პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს პირდაპირ ომბუდსმენთან რომელიც აღიარებულია საჯარო რესურსად და ვინც წარმოადგენს რეფერალურ აგენტს ან ფაქტის აღმომჩენს.<sup>493</sup>

გერმანიაში ბევრმა მუნიციპალიტეტმა და ადმინისტრაციულმა ორგანომ ნებაყოფლობით დააფუძნა „საჩივრების დეპარტამენტი“, რომლის ხელმძღვანელსაც უწოდებენ ომბუდსმენს (Burgerbeauftragter) და არის საკონტაქტო პირი ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრებთან დაკავშირებით.<sup>494</sup> „ომბუდსმენები“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასრულებენ თავიანთ დავალებებს სერიოზულად და შესაძლოა მათი ფუნქციონირება სარგებლიანი იყოს მოქალაქეებისათვის - არიან მხოლოდ ორგანიზაციული გადაწყვეტის შედეგი და არ აქვს სამართლებრივი საფუძველი.<sup>495</sup> „ნამდვილი“ ომბუდსმენი რომელიც ფოკუსირებულია ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმოდგენილია ოთხ მიწაზე: Mecklenburg-Vorpommern, Rheinland-Pfalz, Thuringen და ლიმიტირებული კომპეტენციით - Schleswig-Holstein-ში.<sup>496</sup> მათი გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო.<sup>497</sup> ეროვნული ომბუდსმენის ინსტიტუტს

---

<sup>492</sup> Gibson K. Promises and Problems in Alternative Dispute Resolution for the Elderly. Elder's Advisor, 2, no. 3, 2001, p.84.

<sup>493</sup> Nelson D. W., Alternative Dispute Resolution: A Supermart for Law Reform, New Mexico Law Review 14, no. 3, 1984, p.473

<sup>494</sup> Stelkens U., Administrative Appeals in Germany. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.34-35.

<sup>495</sup> იქვე, p.35.

<sup>496</sup> იქვე.

<sup>497</sup> იქვე, p.36.

იცნობს საფრანგეთის კანონმდებლობაც, კერძოდ თავდაპირველად საფრანგეთში არსებობდა ეროვნული მედიატორის ინსტიტუტი (Mediateur de la Republique), რომელიც 2008 კონსტიტუციური რეფორმით ჩაანაცვლა უფლებადამცველმა (Defenseur des droits).<sup>498</sup> იტალიაში, იტალიის კანონმდებლობა არ იცნობს ეროვნული ომბუდსმენის ინსტიტუტს, თუმცა რეგიონულ დონეზე რეგიონული ხელისუფლებებისა და მუნიციპალიტეტების მიერ დამკვიდრებულ იქნა ომბუდსმენის ინსტიტუტი.<sup>499</sup> ნიდერლანდებში ეროვნულ ომბუდსმენს აქვს სტაბილური ადგილი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, როგორც გარე საჩივრების განმხილველ მექანიზმს. იგი არ განიხილავს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შინაარს, არამედ განიხილავს ადმინისტრაციის ქმედებებს რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილებას ან აქტს.<sup>500</sup> სკანდინავიური ტრადიციული ომბუდსმენის ინსტიტუტს მიეკუთვნება დანიის საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტიტუტი (Folketingets Ombudsmand). დანიაში არ არის ადმინისტრაციული სასამართლოები და ომბუდსმენი არის უბადლო ძირითადი სპეციალისტი შიდასამართლებრივ სცენაზე კარგი ადმინისტრაციის უზრუნველსაყოფად.<sup>501</sup>

ზემოაღნიშნული ინსტიტუტების მსგავსია საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომლის უფლებამოსილებასაც მიეკუთვნება განიხილოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ განცხადებები და საჩივარები იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას.<sup>502</sup> განცხადების ან საჩივრის მიღების შემთხვევაში სახალხო დამცველი

---

<sup>498</sup> იხ. *Bousta R., Sagar A.* Alternative Dispute Resolution in French Administrative Proceedings. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p. 75-80.

<sup>499</sup> იხ. *Comba M., Caranta R.*, Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.98-107.

<sup>500</sup> იხ. *Langbroek P., Remac M., Willemsen P.* The Dutch System of Dispute Resolution in Administrative Law. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.130-136.

<sup>501</sup> იხ. *Conradsen I. M., Gotze M.* Administrative Appeals and ADR in Danish Administrative Law. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.169-173.

<sup>502</sup> მუხლი 14 (1)(ა), საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996.

იღებს გადაწყვეტილებას შემოწმების დაწყების თაობაზე<sup>503</sup>, ხოლო შემოწმების დასრულების შემდეგ ახორციელებს ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათის ღონისძიებებს, რომელიც გულისხმობს შესაბამისი უწყებისათვის მიმართვას<sup>504</sup>.

ცალკე ინსტიტუტის სახით არსებობს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი. ბიზნესომბუდსმენი განიხილავს განცხადებას, რომელიც შეეხება პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვევას.<sup>505</sup> პირის უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ბიზნესომბუდსმენი შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართავს რეკომენდაციით.<sup>506</sup> ბიზნესომბუდსმენს არ აქვს უფლებამოსილება შეცვალოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება და იგი შემოიფარგლება რეკომენდაციის გაცემით.

---

<sup>503</sup> მუხლი 17(1), საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996.

<sup>504</sup> საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები შემოწმების შედეგების მიხედვით განისაზღვრება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად.

<sup>505</sup> მუხლი 8 (1), საქართველოს კანონი „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 240140000.05.001.017771, 04/06/2015.

<sup>506</sup> იქვე, მუხლი 8 (11).

## 6. ადმინისტრაციულ სამართალში დასამკვიდრებელი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმები

ნაშრომში განვითარებული მსჯელობისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, შეგვიძლია განისაზღვროს, რომ დავის გადაწყვეტის ზოგიერთი ალტერნატიული მექანიზმი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დავის სასამართლო წესით განხილვის დაწყებამდე, ასეთ მექანიზმებს მიეკუთვნება: საქმის შიდა გადასინჯვა, მორიგება, მედიაცია და დავის შეთანხმებით მოგვარება.

საქმის შიდა გადასინჯვა წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ საჩივარს და დავის სასამართლო წესით განხილვამდე სავალდებულო ეტაპია მომჩივანისათვის. შესაბამისად, აღნიშნული არ საჭიროებს დამატებით მოწესრიგებას საქართველოს კანონმდებლობაში.

დავის შეთანხმებით მოგვარება, ეს არის მოლაპარაკების ეტაპი მხარეებს შორის, რაც მესამე პირის ჩარევის გარეშე ხორციელდება. აღნიშნულის უზრუნველყოფა მხარეებს თავად შეუძლიათ მოლაპარაკების წარმოებით, რაც პასუხისმგებლიანი ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებაც არის. შესაბამისად, მოლაპარაკების პროცესი საკანონმდებლო რეგულაციას არ საჭიროებს.

ომბუდსმენის ინსტიტუტი წარმოადგენს დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელსაც აქვს ფაქტების ანალიზისა და დარღვევების გამოვლენის ფუნქცია და ასეთი ინსტიტუტი უკვე არსებობს საქართველოში. შესაბამისად, აღნიშნული ინსტიტუტი არ საჭიროებს საკანონმდებლო რეგლამენტაციას.

მხარეთა სურვილი გამოიყენონ მორიგების ან მედიაციის ინსტიტუტები საჭიროებს როგორც კერძო პირთა ნებას, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს ნებას, თუმცა მხოლოდ ნება არ იქნება საკმარისი და აღნიშნული საჭიროებს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მხარდაჭერას. მორიგებისა და მედიაციის გამოყენების შემთხვევაში, მესამე ნეიტრალური პირი უნდა შემოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობაში და არ

არსებობს აღნიშნული მექანიზმების პროცედურულად მომწესრიგებელი ნორმატიული რეგულაცია.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის გადაწყვეტილებაც შესასრულებლად სავალდებულო ხდება მხარეებისათვის არის არბიტრაჟი და მისი გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული გამორიცხავს სასამართლო წესით საქმის განხილვას. არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადახედვა შეიძლება მოხდეს ვიწრო საფუძვლით. არბიტრაჟში ადმინისტრაციული დავის განხილვისათვის სავალდებულოა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა. მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების უფლებამოსილება საჭიროებს საკანონმდებლო რეგლამენტაციას. ამასთან მოწესრიგებას საჭიროებს არბიტრაჟში დავის განხილვის პროცედურული ასპექტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების განხილვის კუთხით რეგლამენტაციას საჭიროებს მედიაციის, მორიგებისა და არბიტრაჟის ინსტიტუტები.

მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის პირველ ეტაპზე ასეთი მექანიზმები იყვნენ ინსტიტუციურები და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პროგრამა განვითარდეს სასამართლო სისტემის ფარგლებში. პროგრამის წარმატებით განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი ეტაპობრივად განკერძოება, საპილოტე შედეგების გათვალისწინებით. სწორედ მსგავსი სახით ჰპოვა განვითარება აშშ-ში ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიულმა მექანიზმებმა.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის შესაბამისი მეთოდის არჩევისას მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ დრო, ხარჯთეფექტურობა, კონფიდენციალურობის საჭიროება, და პროცესის დასრულების ბოლოს სავალდებულო გადაწყვეტილების საკითხი.<sup>507</sup> ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება იმის განსაზღვრა რისი მიღწევა სურთ მხარეებს.

შესაბამისად, შემდგომ ეტაპზე უნდა მოხდეს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით განსახილველი ადმინისტრაციული დავების იდენტიფიცირება და

---

<sup>507</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010, p.439.

მსჯელობის განვითარება აღნიშნული ინსტიტუტების საქმიანობის პროცედურულ ასპექტებზე.

#### IV. ალტერნატიულ მექანიზმებში განსახილველ დავათა შესაძლო კატეგორიზაცია

##### 1. ადმინისტრაციული დავების სახეები და საჯარო ინტერესი

###### 1.1 ადმინისტრაციული სასამართლოების უწყებრივად ქვემდებარე საქმეები

სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობილიობაა, რომელთა ფარგლებშიც სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები.<sup>508</sup> ყველა საჯარო-სამართლებრივი დავა, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის დავებისა, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება.<sup>509</sup> საჯარო-სამართლებრივია დავა იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე და სახელისუფლებო სუბიექტი ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ ურთიერთობაში იმყოფებიან, სწორედ ეს ფაქტორი და არა ნორმის ამა თუ იმ აქტში განთავსება განაპირობებს სამართალურთიერთობის ბუნებას.<sup>510</sup> დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს.<sup>511</sup>

კომპეტენციის გამიჯვნის პოზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით სასკ-ი იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს.<sup>512</sup> კერძოდ, სასკ-ის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა;

<sup>508</sup> კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018, გვ.60.

<sup>509</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 აგვისტოს განჩინება №ზს-377-374 (გ-17).

<sup>510</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება №ზს-610-604 (გ-16).

<sup>511</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განჩინება №ზს-515(გ-19).

<sup>512</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 9 ივლისის განჩინება №ზს-807 (გ-19).



ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.<sup>513</sup> სასკ-ში სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პოზიტიური ტაქსაციის მეთოდით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაექვემდებარა სასკ-ის VII<sup>1</sup>-VII<sup>21</sup> თავებში განსაზღვრული დავები.<sup>514</sup> სასკ-ს პერიოდულად ემატება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განსახილველი დავები და მათი რაოდენობა იზრდება. აღნიშნული სამართალწარმოება არის განკერძოებული სამართალწარმოებები ადმინისტრაციულ პროცესში, რაც იმას ნიშნავს რომ მათთვის სამართალწარმოების სპეციალური წესი არის განსაზღვრული.

<sup>513</sup> მუხლი 2 (1), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

<sup>514</sup> სასკ-ის VII<sup>1</sup>-VII<sup>21</sup> თავებში განსაზღვრულ დავებს მიეკუთვნება: მეწარმის საქმიანობის შემოწმება, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად სანქციადაკისრებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოება, უცხოელის საქართველოდან გამეგებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე სამართალწარმოება, საგადასახადო ორგანოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კომერციული ბანკისგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების თაობაზე, „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის არანებაყოფლობით იზოლაციასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით სამართალწარმოება, ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხებთან დაკავშირებით სამართალწარმოება. იხ. VII<sup>1</sup>-VII<sup>21</sup> თავები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება სამართლის კომპლექსური ინსტიტუტია, რომელიც არეგულირებს სასამართლო ორგანოების საქმიანობას საჯარო-სამართლებრივი დავების განხილვასთან დაკავშირებით. მოცემული დავების გადაწყვეტას დარგთაშორისი ხასიათი აქვს იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით, სისხლის სამართლის, სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით, ხდება არა მხოლოდ ერთი დარგის - ადმინისტრაციული სამართლის, არამედ მიწის, საფინანსო, მუნიციპალური და სამართლის სხვა დარგების ნორმების რეალიზაცია.<sup>515</sup> შესაბამისად, პოზიტიური ტაქსაციის მეთოდით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.<sup>516</sup> კერძოდ, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებზე იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.<sup>517</sup> ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის აღნიშნული დანაწესი აფართოებს ადმინისტრაციულ დავათა არეალს და შესაბამისად სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას ქვემდებარეობის დადგენის ეტაპზე განსაზღვროს გამომდინარეობს თუ არა დავის საგანი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული კანონმდებლობის განმარტება ერთიანი უნფიცირებული სახით საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული არ არის და არც ადმინისტრაციულ კანონმდებლობის კოდიფიცირება მოახდინა კანონმდებელმა ერთ სამართლებრივ აქტში. ადმინისტრაციული კანონმდებლობის შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით,

---

<sup>515</sup> კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა სიესტა, 2008, გვ.38.

<sup>516</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 9 ივლისის განჩინება №ბს-807 (გ-19).

<sup>517</sup> მუხლი 2 (3), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა გვაქვს სახეზე, თუ შესაბამისი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი განსაზღვრავს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურასა და წესს, მათ მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების სამართლებრივ საფუძვლებს.

ის გარემოება, რომ დავის საგანი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს ერთ-ერთ ძირითადი ასპექტია იმისათვის, რომ დავა ადმინისტრაციული წესით იქნეს განხილული. თუ დავის საგანი არ აკმაყოფილებს უწყებრივი ქვემდებარეობის მოთხოვნას, აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.<sup>518</sup> სასამართლოსადმი უწყებრივად არაქვემდებარე საქმის განხილვა წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლიტურ საფუძველს.<sup>519</sup>

ნეგატიური ტაქსაციის მეთოდი არის, კანონმდებლობაში იმ დავათა კატეგორიის მითითება, რომელიც არ შეძლება განხილულ იქნეს სასამართლოში. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ნეგატიური ტაქსაციის მეთოდით განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება.<sup>520</sup>

სასკ-ით განსაზღვრულ დავებზე სასკ-ის 22-ე-25<sup>1</sup> მუხლები აწესებს ადმინისტრაციული სარჩელის სახეებს.

## 1.2 დარგობრივი ადმინისტრაციული დავები

ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები შეიძლება დაიყოს სამართლის კონკრეტული დარგების მიხედვით, კერძოდ, ადმინისტრაციული დავების

---

<sup>518</sup> მუხლი 272 (ა), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.

<sup>519</sup> იქვე, მუხლი 394 (გ).

<sup>520</sup> მუხლი 2 (4), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

უმრავლესობა გამომდინარეობს შემდეგი კანონმდებლობიდან: საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა; საჯარო შესყიდვების კანონმდებლობა; გარემოსდაცვითი კანონმდებლობა; სამშენებლო კანონმდებლობა; განათლების კანონმდებლობა; საჯარო სამსახურის კანონმდებლობა; ენერგეტიკის სფეროს კანონმდებლობა; სოციალური კანონმდებლობა; ქონების პრივატიზაციისა და რეგისტრაციის კანონმდებლობა; მუნიციპალური კანონმდებლობა; სამოქალაქო აქტების კანონმდებლობა. ამასთან, სასამართლოებში ხშირი დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებში დარგობრივი ნიშანი მის ინტერდისციპლინურობას განაპირობებს, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არის შესაბამის დარგში ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების ქონა. მაგალითად, თუ დავა მიმდინარეობს ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით და დავის საგანია უკვე აშენებული შენობის ტექნიკური მახასიათებელი, გარდა სამშენებლო სამართლის ცოდნისა მნიშვნელოვანია თავად კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტა და საინჟინრო გამოცდილების ქონა.

### **1.3 საჯარო ინტერესის მნიშვნელობა ადმინისტრაციული დავების განხილვისას**

ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისათვის და შესაბამისი სახის სარჩელის დასაშვებობისათვის მნიშვნელოვანია, მოსარჩელის კანონიერი უფლებისა და ინტერესისათვის ზიანის მიყენება ან მისი უკანონო შეზღუდვა. ამ შემთხვევაში კანონიერი უფლებისა და ინტერესის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ერთი პირი, ასევე, პირთა გარკვეული წრე.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული დავის შინაარსის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანი, არა მხოლოდ კერძო პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა არის, არამედ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მიზანი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე საჯარო ინტერესის დაცვაც არის. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე შეიძლება დავის ფარგლებში ერთი პირი იყოს,

ადმინისტრაციული დავის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოს შეფასების საგანი გახდება საჯარო ინტერესისათვის ზიანის მიყენების მინიმალიზება და მისი დაცვა.

საჯარო ინტერესის ზოგადი განმარტება საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული არ არის. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი „საჯარო ინტერესის“ მიზნებისათვის უშვებს საკუთრების უფლების შეზღუდვას. ამასთან, სზაკ-ის ერთ-ერთ მიზნადაც განსაზღვრულია „საჯარო ინტერესების დაცვა“<sup>521</sup>. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ 2018 წელს მიღებული კანონით, ამავე კანონის მიზნებისათვის განიმარტა ტერმინი „საჯარო ინტერესი“ და განისაზღვრა რომ საჯარო ინტერესი არის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში საჯარო ინფრასტრუქტურით ან საჯარო მომსახურების გაწევით საზოგადოების ფართო წრის მიერ მისაღები/მიღებული სარგებელი.<sup>522</sup> აღნიშნული განმარტება ერთი კანონის მიზნებისათვის სრულად არ მოიცავს საჯარო ინტერესის შინაარსს და მისი მნიშვნელობა უფრო ფართო და გლობალურია ადმინისტრაციული სამართლის მიზნებისათვის. საჯარო ინტერესი განუსაზღვრელ<sup>523</sup> ცნებათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი მისადაგება ინდივიდუალურად, კონკრეტული გარემოებებისადმი შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით ხდება. „საჯარო ინტერესის“ განუსაზღვრელობა მას მეტად მოქნილს ხდის მისი განმარტების კუთხით. თანამედროვე საზოგადოებისა და სამართლის სხვადასხვა მეცნიერებების განვითარების ფონზე, „საჯარო ინტერესის“ ცნების ვიწრო განმარტება აღნიშნულ ცნებას ჩარჩოებში მოაქცევდა და ვერ უზრუნველყოფდა სახელმწიფოს განვითარების საფუძველზე დამდგარი გამოწვევების გადაჭრას.

შესაბამისად, განუსაზღვრელი ცნების განმარტებისას გასათვალისწინებელია ფაქტობრივი მოცემულობები და მტკიცების ტვირთი. საკითხის საჯარო ინტერესისადმი მიკუთვნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ორი ელემენტი: პირველი - პირთა წრე და

---

<sup>521</sup> მუხლი 2 (2), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.

<sup>522</sup> მუხლი 2 (ე), საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო: 240080010.05.001.018845, 24/05/2018

<sup>523</sup> იხ. <<https://www.icaew.com/-/media/corporate/files/technical/ethics/public-int-rep-web.ashx?la=en>> [06/02/2022]

მეორე - სარგებელი, რომელიც მისი დაცვით მიიღება. საჯარო ინტერესის ადრესატი ინდივიდუალური ვერ იქნება და ის მიმართულია პირთა ფართო წრისაკენ, ზოგადად, საზოგადოებისაკენ. საჯარო ინტერესის სუბიექტია წარმოსახვითი ინდივიდუალები, ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ნაწილი არიან თუმცა, არაიდენტიფიცირებულნი ინდივიდუალურად. შესაბამისად, ისინი შესაძლოა უშუალოდ კომუნიკაციაში წარმოდგენილნი არ იყვნენ, თუმცა დავის განმხილველ სუბიექტს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე მათი დაცვის ვალდებულება გააჩნია. რაც შეეხება მეორე ელემენტს მისი განსაზღვრა ფრიად კომპლექსურია, ვინაიდან იდენტიფიცირებას საჭიროებს პირთა ფართო წრის კეთილდღეობა, სარგებელი, როგორც მიღებული, ასევე სამომავლოდ მისაღები. კონკრეტული ქმედება თუ უმოქმედობა მიეკუთვნება, თუ არა პირთა ფართო წრის კეთილდღეობას/სარგებელს უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. საზოგადოებრივი კეთილდღეობა/სარგებელი ვერ იქნება მხოლოდ საჯარო ინფრასტრუქტურა ან ეკონომიკური სარგებელი, საზოგადოებრივი კეთილდღეობა/სარგებელი შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი საკითხები, სამშენებლო საკითხები, საჯარო წესრიგი, მართლწესრიგი და სხვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო ინტერესად მიიჩნია სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შეუფერხებელი განხორციელება, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა და დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა.<sup>524</sup> შესაბამისად, საჯარო ინტერესის დაცვის განაცხადით დაცვის ღირს სიკეთეს მიეკუთვნება ზოგადი სახალხო/საზოგადოებრივი სარგებელი/კეთილდღეობა შესაბამის სფეროში და მიმართულებით, რომლის იდენტიფიცირება და საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევაც შეუძლებელია. საჯარო ინტერესის უნივერსალური სტანდარტის დაწესება მისი შინაარსის განუსაზღვრელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილობის ჩარჩოში ვერ ექცევა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დავის საგნის გათვალისწინებით, შესაძლოა სასამართლოს სახეზე არ ჰქონდეს საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულება, თუ დავის

---

<sup>524</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება.

საგნის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლოში დაცვის საგანი ერთი პირის ინტერესია და აღნიშნული არ უკავშირდება საჯარო წესრიგს, კეთილდღეობას და ისეთ მმართველობით ღონისძიებას, რომელიც პირთა ფართო წრეზე ვრცელდება. მაგალითად, თუ დავა ეხება პირისათვის საჯარო სამსახურში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს, ამ შემთხვევაში დავის საგანი კონკრეტული ერთი პირის კანონიერი ინტერესისა და უფლების დაცვა არის და მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა გავლენას არ ახდენს სხვა პირთა კანონიერ უფლებებზე და ინტერესებზე. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს სასამართლოს უფლებამოსილებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე იმსჯელოს ზოგადად საჯარო სამსახურის სისტემაზე ან მოწყობაზე, უწყებების ვალდებულებებზე და ა.შ. სასამართლო არ არის შეზღუდული შეაფასოს ზოგადად საჯარო სამსახურის მიდგომა და პრეცედენტული ხასიათი მისცეს მის გადაწყვეტილებას. თუმცა, ამ შემთხვევაში სასამართლო არ მსჯელობს საჯარო ინტერესის დაცვაზე.

მეორეს მხრივ, მაგალითად, გარემოსდაცვითი კანონმდებლობიდან გამომდინარე ადმინისტრაციული დავის ფარგლებში, თუ ადმინისტრაციული წესით იხილება ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის ფარგლებში გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების კანონიერება, მომჩივან პირთა წრის მიუხედავად და გარდა იმისა, რომ სასამართლო იმსჯელებს კონკრეტულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვაზე, სასამართლო იმსჯელებს საჯარო ინტერესზეც. ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიზანი გახდება ასევე საჯარო ინტერესის დაცვა, იმდენად, რამდენადაც ასეთი გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საზოგადოების გარკვეულ კატეგორიაზე, მათ კეთილდღეობაზე და განვითარების შესაძლებლობებზე.

ამდენად, მიზნის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავები შეგვიძლია დავყოთ დავებად, რომლის ფარგლებში სასამართლოს მიზანს წარმოადგენს ერთი კონკრეტული პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა და დავები რომლის ფარგლებშიც სასამართლოს მიზანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა არის, არამედ საჯარო ინტერესის დაცვაც არის.

## 2. დავათა კატეგორიზაცია

### 2.1 კრიტერიუმების ზოგადი ანალიზი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებაში გამოყენების შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდება ორი მნიშვნელოვანი ღირებულებითი საკითხი: პირველი „ფესვადგმული კონსტიტუციონალიზმი“, რომელიც მხარს უჭერს კანონის უზენაესობას, სამართლიან და ხარისხიან მართლმსაჯულებას, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი საკითხია დავის ეფექტურად გადაწყვეტის მიღწევა.<sup>525</sup> ამ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს ბალანსი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებასა და კონსტიტუციური პრინციპების დაცვის აუცილებლობას შორის.

ამ ნაშრომში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს იმ დავათა იდენტიფიცირება, რომლებიც განხილული იქნება მედიაციის, მორიგებისა და არბიტრაჟის წესით. შესაბამისად, სწორედ ამ სამი ინსტიტუტის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს კრიტერიუმების განსაზღვრა.

მედიაციის, მორიგებისა და არბიტრაჟის წესით განსახილველი ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განსაზღვრა მეტად რთული ეტაპია. პრაქტიკულად, მნიშვნელოვანია რომ ყურადღება მიექცეს სიტუაციას, რომელიც შეიძლება იყოს საფრთხე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმისათვის, კერძოდ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გადაწყვეტილებები საჯარო სამართლებრივ დავებში იქნება სრულიად დამოუკიდებელი სასამართლოებისა და მარეგულირებელი ორგანოებისაგან.<sup>526</sup>

---

<sup>525</sup> *Marrani D., Farah Y.* ADR in the Administrative Law: A Perspective from the United Kingdom. *Administrative Dispute Resolution in European Administrative Law*, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014, p.266.

<sup>526</sup> *Gellhorn W., Dunlop J.T., Edwards H.T., Kuhl C.B.* Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. *Administrative Law Journal*, 1987, 1, no. 2, p.468.



ADR-ის ინტერვენცია ხშირად წარმოდგენილია სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში ან გამომდინარეობს საზოგადოებრივი სექტორის სურვილიდან დაწეროს დავების ეფექტური გადაწყვეტა.<sup>527</sup> რა მიდგომაც არ უნდა აირჩიოს სახელმწიფომ ჩნდება რიგი კითხვები, კერძოდ, მოთხოვნები სამართლიანობასთან დაკავშირებით, მინიმალური ხარისხის სტანდარტი და მესამე პირების სტატუსი.<sup>528</sup>

მედიაციის, მორიგებისა და არბიტრაჟის წესით განსახილველი ადმინისტრაციული დავის კატეგორიზაციის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც წარმოაჩენს რა შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმი და რომელი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება არის გონივრული.

კრიტერიუმის განსაზღვრავმდე უნდა მოხდეს იმ საკითხების გამოკვეთა, რაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმებს არ გააჩნია, კერძოდ:

ა) არ უზრუნველყოფს პრეცედენტის შექმნას, სამართლებრივი ნორმების დახვეწას, ეროვნული სტანდარტის შექმნას და არც თანმიმდევრულ განაცხადს ქმნის კანონის უზენაესობის პოპულარიზაციისათვის;

ბ) არ შეუძლია გამოასწოროს სისტემური უსამართლობა, დისკრიმინაცია ან ადამიანის უფლებების დარღვევა;

გ) არ მუშაობს კარგად თუ მხარეებს შორის ძალაუფლების უკიდურესი დისბალანსია;

დ) არ აქვთ საგანმანათლებლო, სადამსჯელო ან შემაკავებელი ეფექტი მოსახლეობაში;

ე) შეუსაბამოა მისი გამოყენება მრავალმხარიანი დავის გადაწყვეტისას, როდესაც ზოგიერთი მხარე და დაინტერესებული პირი მასში არ მონაწილეობს.<sup>529</sup>

---

<sup>527</sup> Spiroska E., Ristovska M. Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review 2, 2013, p.96.

<sup>528</sup> იქვე.

<sup>529</sup> Brown S., Cervenak Ch., Fairman D., Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.21-22.

დავების კატეგორიზაციისათვის შესაძლებელია სამი მეთოდის განსაზღვრა: ა) აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდი, ბ) ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდი და გ) არჩევანის თავისუფლების მეთოდი.

აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გამორიცხავს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენების შესაძლებლობას.

ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდი, ითვალისწინებს დარგისა და საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით მედიაციის ან მორიგების ინსტიტუტის გამოყენებას, მაგრამ არ უშვებს არბიტრაჟის გამოყენებას და დავა განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ.

არჩევანის თავისუფლების მეთოდი, ითვალისწინებს შესაძლებლობას პირველ ეტაპზე მოხდეს მორიგების ან მედიაციის მექანიზმის გამოყენება, ხოლო შემდეგ არბიტრაჟისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა.

ზემოაღნიშნულ სამივე მეთოდს მათი სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები.

## 2.2 აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდი

აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდით შესაძლებელი იქნება იმ დავათა კატეგორიზაცია, რომელიც მათი სპეციფიკის გათვალისწინებით არ უნდა იქნეს განხილული მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით და მათი განმხილველი ორგანო სასამართლოა. აღნიშნული გამოწვეულია დავების შინაარსით, დავებში მონაწილე პირთა წრით, მართლწესრიგის მექანიზმით.

აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდის განსაზღვრისათვის უნდა დადგინდეს მისი კრიტერიუმები. აბსოლუტური განსაზღვრის მეთოდის კრიტერიუმი შეიძლება იყოს:

ა) სამართალდარღვევა. სამართალდარღვევების კრიტერიუმის ქვეშ უნდა გაერთიანდეს ის სამართალდარღვევის საქმეები, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას. ასეთი სახის სამართალდარღვევის საქმეების განხილვა სასამართლოს კომპეტენცია არის, ვინაიდან

ითვალისწინებს პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის მექანიზმის გამოყენებას. მართლწესრიგის აღნიშნულ მექანიზმს მედიატორი ან მომრიგებელი ვერ გამოიყენებს და ვერც არბიტრაჟი იქნება მისი განმხილველი ინსტიტუტი. პატიმრობის მექანიზმი არ ეფუძნება მხარეთა შეთანხმებას და იძულებით ღონისძიებას წარმოადგენს.

ბ) *საკითხის სასკ-ის VII<sup>1</sup>- VII<sup>2</sup> თავებში განსაზღვრული საქმისათვის მიკუთვნება.* სასკ-ის VII<sup>1</sup>- VII<sup>2</sup> თავებით განისაზღვრება ისეთი ხასიათის დავები, რომელიც საჭიროებს სასამართლოს ნებართვას, დადგენილებას, ბრძანებას, თანხმობას გარკვეულ მოქმედებათა შესასრულებლად. ასეთი თანხმობები სჭიროა გარკვეული იძულებითი ღონისძიებების განსახორციელებლად. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის მიზანი არ არის, რაიმე იძულებითი ღონისძიების განსახორციელებლად ნებართვის გაცემაზე შეთანხმება და არ გამოსცემენ ისეთი სახის სამართლებრივ დოკუმენტს, გადაწყვეტილების სახით, რომელიც რომელიმე მხარის ნების საწინააღმდეგოდ არის. მათი მიზანი, საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა არის, სადაც მხარეთა მოლაპარაკებისა და პოზიციების გაცვლით შესაძლებელია კონკრეტული მიზნის მიღწევა.

გ) *სააღსრულებო წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება.* სააღსრულებო წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც უკავშირდება იძულებითი ღონისძიებების განხორციელებას ვერ გახდება მორიგების, მედიაციის ან არბიტრაჟის განხილვის საგანი. ამ ინსტიტუტების დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ბუნებისა და მხარეთა შეთანხმების აუცილებლობის გათვალისწინებით, იძულებითი ღონისძიებების განხორციელებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების გაცემა ვერ იქნება მათი კომპეტენცია.

დ) *მოდავე კერძო ფიზიკური ან იურიდიული პირის უარი.* თუ მედიაციაზე, მორიგებაზე ან არბიტრაჟზე, კერძო, ფიზიკური ან იურიდიული პირი უარს იტყვის ზეპირად ან წერილობით, აღნიშნული გამორიცხავს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში დავის განხილვას.

ე) *პოპულარული სარჩელი.* დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში საკითხის განხილვის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის მისი კონფიდენციალურობა. სასამართლო სხდომები, საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად, საჯაროა, ასევე მისი ჩანაწერები. შესაბამისად, თუ მსჯელობის საგანია პოპულარული სარჩელი და საკითხს აქვს იმდაგვარი შინაარსი, რომ მის განხილვის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა აუცილებელია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება არ იქნება გონივრული. მაგალითად თუ ერთ-ერთ რეგიონში შეიძლება მიმდინარეობდეს დავა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე და ამ მშენებლობის ნებართვის მიმართ ინტერესი სხვა რეგიონების მოსახლეობასაც გააჩნდეთ. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მედიაციის პროცესს ვერ დაესწროს დაინტერესებული რეგიონის მოსახლეობა და მედიაციის კონფიდენციალურობის გათვალისწინებით მათ ვერ მიიღონ ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცესები სასამართლოში გაიმართებოდა მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ინფორმაცია მიეღოთ სხდომის ოქმის სახით, რასაც მედიაციის შემთხვევაში ვერ მიიღებენ. ამ შემთხვევაში მსგავს საკითხებს უპირისპირდება განსაკუთრებული საჯარო ინტერესი, რომლის დაცვაც პოპულარული სარჩელის მიზანი არის.

### **2.3 ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდი**

*ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდი* უშვებს, მედიაციის ან მორიგების ინსტიტუტების გამოყენებას, თუმცა იმ დათქმით, რომ ასეთი სახის დავა შემდგომში განსახილველად არბიტრაჟს ვერ გადაეცემა. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის დანერგვის პირველ ეტაპზე ზუსტად უნდა განისაზღვროს ის დავები, რომელთა განხილვაც არბიტრაჟის წესით იქნება შესაძლებელი. ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდით განსაზღვრული დავების შემთხვევაში არ გამოირიცხება სამომავლოდ მისი არბიტრაჟის წესით განხილვა, თუ აღნიშნული პროგრამა წარმატებული იქნა და მიაღწია დასახულ მიზანს. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრებაზე მსჯელობისას უნდა ვიზრუნოთ მხოლოდ იმ მექანიზმების დამკვიდრებაზე, რომლებიც სასამართლო პროცესების ღირებულების შემცირებას და მისი ტემპის გაზრდას

ემსახურება.<sup>530</sup> შესაბამისად, თუ არბიტრაჟის გამოყენება წარმატებული აღმოჩნდება არჩევანის თავისუფლების მეთოდით განსაზღვრული დავების შემთხვევაში, იარსებებს იმის გონივრული საფუძველი, რომ განხილულ იქნეს სხვა დავების არბიტრაჟის წესით განხილვის შესაძლებლობაც. ამასთან, არბიტრაჟის წესით განსახილველი დავები ზუსტად უნდა განისაზღვროს კანონმდებლობაში, რაც ეტაპობრივად განხორციელდება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში. როგორც აღინიშნა არბიტრაჟი ძალიან ჰგავს სასამართლო პროცესს. შესაბამისად, თუ სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული სარჩელის ნებისმიერ სახეს, ანალოგიურის შესაძლებლობა არბიტრაჟსაც შეიძლება ჰქონდეს, რაც სამომავლოდ პერსპექტივის სახით შეიძლება განხილულ იქნეს, ალტერნატიული მექანიზმების პროგრამის წარმატებულობის შემთხვევაში.

ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის ფარგლებში კონკრეტული ადმინისტრაციული დარგის გამოყოფა, რომელშიც უფრო პოპულარობას მოიპოვებს ეს მეთოდი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება იქნება. მედიაცია და მორიგება, არაფორმალური პროცესია და არ გამოირიცხავს შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავის სასამართლო წესით განხილვას.

*აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდისაგან განსხვავებით, ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდით განისაზღვრება ის კრიტერიუმები, რომელიც იძლევა მედიაციისა ან მორიგების გამოყენების შესაძლებლობას და პირველ ეტაპზე გამორიცხავს არბიტრაჟის გამოყენებას.*

*ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ყველა სახის დავის განხილვა, რომელიც გამოირიცხება აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდით.*

*ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს ისეთი კრიტერიუმები რომლის არსებობის შემთხვევაში, გონივრული იქნება დავის დაწყებამდე სავალდებულო წესით მედიაციის ან მორიგების ინსტიტუციური მექანიზმის გამოყენება:*

---

<sup>530</sup> *Kaufman I.R.*, Reform for a System in Crisis: Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Fordham Law Review*, vol. 59, no. 1, 1990, p.10

ა) *ზიანის ანაზღაურება*. სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურება კონსტიტუციით აღიარებული პრინციპია. იმ შემთხვევაში, თუ ზიანი გვექნება ბრალეული ქმედების საფუძველზე, მომრიგებლის ან მედიაციის ინსტიტუტის გამოყენებით, რომელიც მხარეებს მისცემს შესაბამის რეკომენდაციას, შესაძლებელია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სასამართლოში დავის დაწყების გარეშე. ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მოქალაქისათვის მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში კომპენსაციის გადაცემის მიზნით, მედიაციას შეუძლია იპოვოს ბალანსი კერძო პრეტენზიასა და სწორ ღირებულებას შორის, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი საჯარო უწყების მიერ, როცა მისი ბრალი დამტკიცებული ან აღიარებულია.<sup>531</sup> ამგვარი დავების მედიაციით გადაჭრა გავლენას იქონიებს საჯარო სახსრების დაზოგვაზე, რომელიც ხშირად უკავშირდება ექსპერტისა და ადვოკატის მაღალ ხარჯებს.<sup>532</sup>

თუ მედიაციით ან მორიგებით ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება კონკრეტული მოცულობის ზიანზე, მისი განხილვა არბიტრაჟის მიერ უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან, ამ შემთხვევაში შესაძლოა მატერიალური სახის ზიანი დოკუმენტურად დადასტურდეს, თუმცა მორალური სახის ზიანი შეფასებითი კატეგორია არის და სასამართლოები ადგენენ პრაქტიკას მისი ანაზღაურების კუთხით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟი არ არის პრაქტიკის განმსაზღვრელი და მხოლოდ ინდივიდუალურ გარემოებებს განიხილავს, მორალური ზიანის ანაზღაურების კუთხით ასეთმა განხილვამ შეიძლება დაამკვიდროს არა ერთგვაროვანი მიდგომები. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო სისტემაში არსებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის პროგრამის ფარგლებში, არბიტრაჟის გამოყენება ზიანის ანაზღაურების დავებზე დასაშვებია თუ ზიანის მოცულობა 100 000 აშშ დოლარს არ აღემატება.<sup>533</sup> თუმცა საქართველოში ზიანის ანაზღაურების არათანმიმდევრული პრაქტიკის გამო, აღნიშნული დავები არ არის მზად იმისათვის, რომ მხარეთა

<sup>531</sup> *Bogdan F.*, The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court. *Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia*, 19, 2016, p.109.

<sup>532</sup> იქვე.

<sup>533</sup> Sec.8. The Administrative Dispute Resolution Act of 1996. <<https://www.adr.gov/pdf/adra.pdf>> [06.02.2022].

შეთანხმებით განხილულ იქნეს არბიტრაჟში. თუმცა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებს შესაძლოა ჰქონდეს არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა, თუ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამა სასამართლო სისტემის შიგნით ეფექტურად განვითარდა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს დავის გამიჯვნა. თუ დავა მხოლოდ მატერიალურ ზიანს ეხება შესაძლოა იგი გახდეს არბიტრაჟში მსჯელობის საგანი. ხოლო თუ დავა მოიცავს მორალური და მატერიალური ზიანის ერთობლივად ანაზღაურებას, ამ შემთხვევაში იგი სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს. აღნიშნული მნიშვნელოვნად განტვირთავს სასამართლოებს. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით 2020 წელს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავების ნაშთი შეადგენდა 132 საქმეს, ხოლო 2020 წელს აღნიშნულს დაემატა 118 საქმე, საიდანაც დასრულდა მხოლოდ 49 საქმე<sup>534</sup>, რაც პროპორციულად მხოლოდ 19 % არის. შესაბამისად, სასამართლოს ჩამორჩენა აღნიშნულ საქმეებში მნიშვნელოვნად მაღალია.

ბ) *დარგის სპეციფიკა*. აღნიშნულ დარგებს შეიძლება მივაკუთნოთ გარემოსდაცვითი სფერო და სამშენებლო და სივრცითი დაგეგმარების სფერო, რომელიც სპეციალური დარგებია, ინტერდისციპლინურია და ხასიათდება არა მხოლოდ სამართლის ცოდნის საჭიროებით, არამედ დარგის სპეციფიკის ცოდნის აუცილებლობით. ამასთან, აღნიშნული დარგები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ითხოვს საჯარო განხილვების ჩატარებას, მოსახლეობის ჩართულობას და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, ამ დარგებში შესაძლოა მედიაციისა და მორიგების ინსტიტუტი უფრო პოპულარული გახდეს ვიდრე სხვა დარგებში.

მედიაციის/მორიგების პროცესში არაფორმალური გარემო განაპირობებს კონფლიქტში მყოფი მხარეების პროცესში უფრო აქტიურად ჩართულობას.<sup>535</sup> მაგალითად, გარემოსდაცვით სფეროში პირველად მედიაცია 1970 წელს იქნა გამოყენებული აშშ-ში. კერძოდ ეს იყო ფორდის ფონდის ექსპერიმენტული პროგრამა, რომელმაც უზრუნველყო ამ პროექტის დაფინანსება. საკითხი ეხებოდა წყალდიდობის

<sup>534</sup> იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [06.02.2022]

<sup>535</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.110

მაკონტროლებელი დამბის მოწყობას ვაშინგტონის შტატში მდინარე სნოქვალმიეზე, რაზეც უკმაყოფილება გამოხატა რამდენიმე პირმა. დამბის მშენებლობაზე უკმაყოფილებას გამოხატავდნენ გარემოს დამცველები. დამბის მოწყობა მიზნად ისახავდა ახლოს მცხოვრები მოსახლეობის დაცვას. აღნიშნულ დავაში 1973 წელს მედიატორები ჩაერთვნენ. მედიაციისა და მხარეებთან ორიგანიზებული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, დავა დასრულდა მორიგებით. აღნიშნული მედიაციის შემდეგ განისაზღვრა, რომ გარემოსდაცვით საკითხებში მედიაცია იყო წარმატებული ნაბიჯი.<sup>536</sup> გარემოსდაცვით საკითხებში მედიაცია წარმატებით იქნა გამოყენებული აშშ-ში ასევე გედის ტბაზე ჰიდროელექტროსადგურის დამბის მშენებლობისას წარმოშობილი დავის ფარგლებში, ვაშინგტონიდან სიეტლამდე შიდასახელმწიფოებრივი მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში გარემოსდაცვით საკითხებზე წარმოშობილი დავის ფარგლებში და სხვა<sup>537</sup>. დღეს აშშ-ში გარემოსდაცვით საკითხებზე აქტიურად იყენებენ მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმს. ზემოაღნიშნულ ყველა დავაში მედიაციის დროს წამოჭრილი იყო გარემოსდაცვით სფეროში ტექნიკური არგუმენტები და ჩართულნი იყვნენ გარემოსდაცვის სფეროს მცოდნეები, საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება ალტერნატიულ მეთოდებზე. რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია დავის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის. დავის შემთხვევაში სწორედ სხვადასხვა ალტერნატივების შეთავაზება არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ერთ-ერთი ელემენტი რაც მის წარმატებას განაპირობებს.

აშშ-ში სპეციალიზირებული ADR პროგრამები ფოკუსირებულია გარემოსდაცვით და სამშენებლო დავებზე.<sup>538</sup> სამშენებლო დავებში მხარეებმა უნდა მოძებნონ სხვა გზა, ვიდრე სასამართლოა, მათი დავის გადასაწყვეტად, რადგანაც იურიდიული გზის არჩევით ზიანი შეიძლება მიადგეს საერთო სულისკვეთებას და გაზრდის უფსკრულს მათ

---

<sup>536</sup> იხ. *Stukenborg Ch.* The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. *University of Dayton Law Review*, 1994, 19, no. 3, p. 1310-1312.

<sup>537</sup> იქვე, p. 1313-1319.

<sup>538</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.*, Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.10.



სპეციფიკურ ინტერესს შორის.<sup>539</sup> ამასთან, სამშენებლო დავებისათვის შესაძლებელი განისაზღვროს ADR-ის მნიშვნელოვანი ატრიბუტები: ხარჯი, მოქნილობა, ნეიტრალიტეტი, ურთიერთობის შენარჩუნება, კონფიდენციალურობა და სისწრაფე.<sup>540</sup> საქართველოში სამშენებლო ხელშეკრულებების ფარგლებში დავები, რომლებიც არის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ფარგლებში დავების სამოქალაქო წესით განხილვა დავის საგანი შეიძლება იყო მათი ბუნებიდან გამომდინარე. თუმცა მიუხედავად იმისა რომ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის ფარგლებში წარმოშობილი დავები სამოქალაქო წესით განიხილება, სასამართლოში ადმინისტრაციული წესით განსახილველი სამშენებლო დავების წილი ყოველდღიურად იზრდება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სახის დავები მედიაციით ან მორიგებით მშვიდობიანად გადაწყდება მათი რაოდენობის შემცირებას დიდი წვლილი ექნება სასამართლოების განტვირთვაში. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური ანგარიშით, 2020 წელს სასამართლოში წარდგენილ იქნა სამშენებლო ურთიერთობიდან გამომდინარე 289 დავა, ამ მიმართულებით საქმეების ნაშთი 2020 წელს შეადგენდა 356, ხოლო დასრულდა 145 დავა.<sup>541</sup>

დავის მედაციის ან მორიგების წესით განხილვისას საჯარო ინტერესის დაცვა აქტუალურ საკითხად შეიძლება იქცეს. მედაციის/მორიგების ფარგლებში შეთანხმება უკანონოა თუ, მისი დებულებები ეწინააღმდეგება სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, საჯარო წესრიგს.<sup>542</sup> თუ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მედაცია ან მორიგება ისეთი დავების მიმართ იქნა გამოყენებული მაგალითად, როგორც არის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების კანონიერება, დავის ფარგლებში დაცვის ღირსი

---

<sup>539</sup> *Cărăușan M. V.*, Alternative Dispute Resolutions Within Administrative Contracts: Attributes and Enforcements. Law Review, vol. VIII, issue 2, 2018, p.114

<sup>540</sup> იქვე, p.118

<sup>541</sup> იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [06.02.2022]

<sup>542</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.17.

პირთა ფართო წრის ინტერესები იქნება. ვინაიდან მედიაცია და მორიგება დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა არის და კონსესუსი მიღწევას ისახავს მიზნად, საბოლოო შედეგი საჯარო ინტერესის საწინააღმდეგო ვერ იქნება. იქ, სადაც საჯარო ინტერესი კერძო ინტერესზე მაღალია, აუცილებელია მხარეები დაეყრდნონ საჯარო სამართალს.<sup>543</sup>

იმ შემთხვევაში, თუ პირი ამ პროცესის მონაწილე ვერ იქნება, ეს არ გამორიცხავს შემდგომში ამ პირის ინტერესების გათვალისწინებით მედიაციის/მორიგების პროცესის ხელახლა წარმოებას. ამასთან, მედიაციისა და მორიგების პროცესის არაფორმალურობა ზრდის საზოგადოების ნდობას და ჩართულობას პროცესში. მედიაციის/მორიგების პროცესში ჩართულ საზოგადოებრივ ჯგუფებს, პროცესის მონაწილეებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევათ შესაძლებლობა ფორმალური მოთხოვნების გარეშე დააფიქსირონ მათი პოზიცია. ამასთან, საზოგადოების თავისუფალ ჩართულობას პროცესებში განაპირობებს მედიაციის/მორიგების კონფიდენციალურობა, ვინაიდან ფორმალური კანონისმიერი მოთხოვნების მიღმა მხარეებს უჩნდებათ პოზიციების თავისუფლად, მათ საწინააღმდეგოდ გამოყენების გარეშე დაფიქსირების შესაძლებლობა. შესაბამისად, მედიაციის/მორიგების პროცესი საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით შესაფერის პროცესია. საზოგადოების მიმართ არსებული მედიატორის/მომრიგებლის ვალდებულება განისაზღვრება არა მედიაციის/მორიგების მიმართ დადებითი საზოგადოებრივი აზრის შექმნით, არამედ ის გულისხმობს საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულებას მედიატორის/მომრიგებლის მხრიდან.<sup>544</sup>

მედიაცია და მორიგება, როგორც მექანიზმები აქტიურად გამოიყენება საჯარო პოლიტიკის დავებში, ზოგიერთ შემთხვევაში, მედიატორების დახმარებით, რთული საჯარო პოლიტიკისა და მთავრობათაშორისი დავები შეთანხმებით დასრულებულა. მათ შორის მაგალითად, განათლებისა და სატრანსპორტო პოლიტიკის, როგორც არის მაგისტრალის მდებარეობა, პორტის განვითარება, ურბანული განახლების გეგმები და

---

<sup>543</sup> *ადეიშვილი ქ.*, კონფიდენციალურობის როლი მედიაციის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.67

<sup>544</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.22

ატომური ელექტროსადგურის განლაგება.<sup>545</sup> საზოგადოების მიმართ მედიატორის ვალდებულებას მიეკუთვნება, საჯარო ინტერესი შესაძლო ზიანისაგან დაცვა.<sup>546</sup> მორიგება/მედიაცი აქტიურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჯარო ინტერესის მატარებელი საკითხების წინასწარი განხილვისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დავა სასამართლოში ნორმატიული აქტების კანონიერებასთან ან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

## 2.4 არჩევანის თავისუფლების მეთოდი

*არჩევანის თავისუფლების მეთოდი*, ითვალისწინებს შესაძლებლობას დავის წარმოშობის პირველ ეტაპზე მოხდეს მორიგების ან მედიაციის მექანიზმის გამოყენება, ხოლო მხარეთა შეთანხმების ან სავალდებულო წესით არბიტრაჟის შემთხვევაში დავა განხილულ იქნეს არბიტრაჟის მიერ. *არჩევანის თავისუფლების მეთოდის* კრიტერიუმების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი ელემენტია სუბიექტთა წრე და დავის შინაარსი. კრიტერიუმები იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მიღწევადი იყოს საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმება მხარეთა შეთანხმებით ან კანონისმიერი დავალდებულება ადმინისტრაციული ორგანოების, თუ ამას მოსარჩელე მოითხოვს. არჩევანის თავისუფლების მეთოდის კრიტერიუმი შეიძლება იყოს:

ა) *ერთი პირის კანონიერი უფლება და ინტერესი განათლების, საჯარო სამსახურის ან საგადასახადო დარგში*. იმ შემთხვევაში თუ დავის საგნიდან გამომდინარე საკითხი ეხება მხოლოდ ერთი პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს შესაძლებელია განხილულ იქნეს მორიგების ან მედიაციის გამოყენება, ხოლო თუ მხარეთა შორის მედიაცია ან მორიგება ვერ შედგა ასეთ შემთხვევაში მათივე თანხმობით ან მოსარჩელის მოთხოვნით გამოყენებულ იქნეს არბიტრაჟის ინსტიტუტი დავის გადასაწყვეტად. ამ კრიტერიუმის

<sup>545</sup> *Stamato L., Jaffe S., Mediation and public policy: Variations on a consensus theme. Mediation Quarterly, vol. 9, no. 2, 1991, p.170.*

<sup>546</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.21.

მხედველობაში მიღებისას ყოველგვარად უნდა გამოირიცხოს მესამე პირის მონაწილეობა პროცესში, ან რაიმე სახით მესამე პირზე დავის საგნის გავლენა.

განათლების დარგის განსაზღვრა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განათლების სფეროში ძირითადად დავები მიმდინარეობს პირის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე, აპოსტილით დამოწმებაზე და ა.შ, რომელიც კონკრეტული პირის კერძო ინტერესია. ამასთან, აღნიშნული საქმეები არ იწვევს ფინანსურ შედეგებს რაც აადვილებს საარბიტრაჟო წესით საქმის განხილვას. ამ შემთხვევაში, არბიტრი შეასრულებს ფაქტების დამდგენის როლს და გადაწყვეტს არსებული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა, თუ არა იმის საშუალებას დაუდასტურდეს პირს განათლება. მსგავსი სახის დავები მიეკუთვნება მარტივი კატეგორიის დავებს, შესაბამისად აღნიშნული დავებით სასამართლოს გადატვირთვა არაგონივრულია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასეთი დავების გადაწყვეტა მოსარჩელისათვის დროის კუთხით მნიშვნელოვანია, რადგანაც მას შეიძლება შეეზღუდოს განათლების მიღების შესაძლებლობა, მაგალითად სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამასთან, თუ ადმინისტრაციული ორგანო მეორე ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას აღნიშნული პროცესი უფრო ხანგრძლივი ხდება, რაც ყოველდღიურად ზრდის მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების რისკს.

საჯარო სამსახურის კანონმდებლობის განსაზღვრა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აწესრიგებს ერთ პირსა და საჯარო დაწესებულებას შორის სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს. საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლოებში არსებული დავები ძირითადად უკავშირდება პირის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და აღდგენის მოთხოვნებს, ასევე პირისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს. აღნიშნული წარმოადგენს ისეთ საკითხებს, რომელიც უნდა გადაწყდეს უმოკლეს ვადებში. გაჭიანურებული სასამართლო პროცესები ზრდის ასევე საჯარო დაწესებულების ხარჯს, რადგანაც პირის მოთხოვნის 4 წლის შემდეგ დაკმაყოფილების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებას უწევს ამ 4 წლის ხარჯის

ანაზღაურება.<sup>547</sup> საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის ალტერნატიულ მექანიზმში გამოყენების ერთ-ერთი პოზიტიური არგუმენტია ის ფაქტიც, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები აქტიურად გამოიყენება შრომით დავებში. კანადასა და აშშ-ში ADR დიდი ხანია არის ინსტრუმენტი კოლექტიური და ხელშეკრულებების შესახებ დავების გადაწყვეტად, ზოგადად მედიაცია გამოიყენება ინტერესთან დაკავშირებულ დავებში, ხოლო არბიტრაჟი უფლებებთან დაკავშირებულ დავებში.<sup>548</sup> სამოხელეო მიმართულებისათვის არბიტრაჟი უფრო მოქნილი და ეფექტური იქნება, თუ იარსებებს მხარეთა შეთანხმება ან თუ მოსარჩელე მოითხოვს დავის არბიტრაჟის წესით განხილვას. თუ საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე მხარე საჯარო მოხელეა მასთან შესაძლოა არბიტრაჟის გამოყენებაზე ცალკე შეთანხმების გაფორმება, ვინაიდან მოხელე საჯარო დაწესებულებაში ინიშნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული პირი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირია, თავად შრომით ხელშეკრულებაში შესაძლებელია არბიტრაჟზე შეთანხმება.

საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები სასამართლოში ყოველდღიურად მზარდია, მაგალითად 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით სასამართლოში წარდგენილ იქნა 186 საქმე, წინა წლის ნაშთი შეადგენდა 125, ხოლო დასრულდა მხოლოდ 127 საქმე.<sup>549</sup> აღნიშნულ საქმეებს შორის არ არის გამიჯნული დასრულებული საქმეები მხოლოდ 2020 წელს არის თუ არა წარდგენილი სასამართლოში. ნაკლებ სავარაუდოა, რომ 127 საქმე რომელიც დასრულდა 2020 წელს იყო წარდგენილი, რადგანაც წინა წლის ნაშთთან შედარებით მხოლოდ ორი საქმით მეტია დასრულებული. სოციალური ხასიათის დავებში დრო დავის გადასაწყვეტად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული პირის თანამდებობაზე აღდგენის შემთხვევაში შეძლებს, თუ არა აღნიშნული პირი იმავე

<sup>547</sup> *წურწუმია ს.*, მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021, გვ.147.

<sup>548</sup> *Zack A.M.*, Can Alternative Dispute Resolution Help Resolve Employment Disputes. *International Labour Review*, vol. 136, no. 1, 1997, p.95

<sup>549</sup> იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [06.02.2022]

თანამდებობის დაკავებას და ხომ არ დახვდება აღნიშნული თანამდებობა დაკავებული. ამდენად, სამოხელეო დავები იქნება კარგი მაგალითი არბიტრაჟისათვის.

საჯარო სამსახურთან, განათლების დარგთან დაკავშირებული დავების განხილვა არბიტრაჟში გამართლებული არის ასევე კონფიდენციალურობის პრინციპით, რადგანაც, ამ შემთხვევაში განხილვის საგანია პირის პირადი ინფორმაცია რაც, კანონმდებლობით დაცვის ღირსი ინფორმაცია არის. სასამართლოში აღნიშნული საქმეების განხილვა გამორიცხავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს, საგადასახადო დავები თანამედროვე ბიზნეს გარემოს საერთო და გარდაუვალი მახასიათებელია.<sup>550</sup> საგადასახადო დავები ხშირად გულისხმობს ასიმეტრიას გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის რესურსებისა და ძალაუფლების თვალსაზრისით.<sup>551</sup> შესაბამისად, ეფექტური საგადასახადო დავების სისტემა არის მნიშვნელოვანი სამართლიანი, კომპეტენტური და დამოუკიდებელი განსაზღვრებისათვის შეუთანხმებლობისას.<sup>552</sup> ამასთან, ალტერნატივების ქონა დავების გადასაწყვეტად საგადასახადო კანონმდებლობის საზღვრებს გარეთ არის უკიდურესად ხელსაყრელი, ვინაიდან ის საშუალებას იძლევა საქმეები განხილულ იქნეს უფრო ფართ გაგებით.<sup>553</sup>

2004 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი. 2004 წელს კანონმდებელმა გაითვალისწინა არბიტრაჟი, როგორც საგადასახადო დავების განმხილველი მექანიზმი. კანონის პროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ სადაო საკითხების განხილვის გამჭვირვალობისა და მარტივი მექანიზმის ფორმირების მიზნით, ცალსახად ჩამოყალიბდა დავების განხილვის პროცედურები და სტადიები, ფინანსთა სამინისტროს სისტემა, საგადასახადო

---

<sup>550</sup> *Guglyuvatyy E., Evans Ch.* Administrative Approaches to Tax Dispute Resolution: Alternative Perspectives from Australia and Russia. *Journal of Comparative Law*, 10, no. 2, 2015, p.365.

<sup>551</sup> იქვე.

<sup>552</sup> იქვე.

<sup>553</sup> *Aaran F.*, Alternative Dispute Resolution: Alleviating Burdens All Round. *International Tax Review*, vol. 25, no. 7, 2014, p.28

არბიტრაჟი, საოლქო სასამართლო, ხოლო საგადასახადო არბიტრაჟის ან სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადამხდელს არ ეკისრება სანქცია-საურავების გადახდა.<sup>554</sup> არბიტრაჟი როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი 2004 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსიდან მალევე, 2005 წელს ამოღებულ იქნა.<sup>555</sup> აღნიშნული ცვლილების არგუმენტაცია საჯაროდ ხელისაწვდომ რესურსებზე მოცემული არ არის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგადასახადო სფერო წარმოადგენს ინტერდისციპლინურ დარგს, სადაც ეკონომიკის, ბუღალტერიისა და სამართლის მეცნიერებები ერთიანდებიან. შესაბამისად, საგადასახადო დავები ხასიათდება იმგვარი სპეციფიკით, რომ სამართლის ცოდნა არსებითი და გადამწყვეტი არ არის საქმის განსახილველად. სტატისტიკის შესაბამისად 2020 წლის პირველ 9 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საგადასახადო სფეროში განხილულ იქნა 1098 საქმე, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში 1243 საქმე.<sup>556</sup> უზენაესი სასამართლოს მიერ 2020 წლის პირველ 9 თვეში განხილულ იქნა საგადასახადო დავების ფარგლებში 105 საკასაციო საჩივარი, ხოლო აქედან 78 საქმე დასრულდა კერძო პირის სასარგებლოდ.<sup>557</sup> აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ განხილულ და დასრულებულ საქმეთა რაოდენობას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო დავები ერთ-ერთი ყველაზე ხშირია სასამართლოებში, ხოლო გადატვირთული სასამართლოების ფონზე, დავის ხანგრძლივობა წლებს აჭარბებს. ვინაიდან საგადასახადო დავები ხასიათდება სპეციფიკური ნიშნით, შეიძლება სასამართლო სისტემაში ინსტიტუციური არბიტრაჟის პროგრამის ჩამოყალიბების შემთხვევაში ამ დარგის დავების განხილვა არბიტრაჟების მიერ.

არასაკმარისმა წვდომამ საგადასახადო ორგნოებში საგადასახადო დავების მოგვარების დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ფრუმებზე შეიძლება უარყოფითად

<sup>554</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/112411>> [06.02.2022].

<sup>555</sup> იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19, 28/04/2005.

<sup>556</sup> მონაცემები საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული საგადასახადო საქმეების შესახებ. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-14.pdf>> [06.02.2022].

<sup>557</sup> მონაცემები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2020 წლის 9 თვეში საგადასახადო დავებზე განხილული საკასაციო საჩივრების შესახებ <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-20.pdf>> [06.02.2022].

იმოქმედოს გადასახადის გადამხდელთა შეხედულებებზე პროცედურული სამართლიანობის შესახებ.<sup>558</sup>

თუ გადასახადის გადამხდელებს არ აქვთ სათანადო წვდომა პროცედურულ სამართლიანობასთან ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ მიერ გადასახადების ნებაყოფლობით გადახდაზე, რაც აუცილებელია ეფექტური საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებისათვის.<sup>559</sup> საგადასახადო დავები შეიძლება განხილულ იქნეს საგადასახადო ოფიცრების მიერ, რომელთაც აქვთ კომპეტენცია სფეროში გადაწყვეტილებების კუთხით, უზრუნველყოფენ საქმის ხარისხიანად, თანმიმდევრულად<sup>560</sup> და მოკლე დროში განხილვას.

საგადასახადო დავები მისი ინტერდისციპლინურობით ძირითადად უკავშირდება ანგარიშგებას და აუდიტს, გადასახადების დარიცხვას, ჩათვლა არ ჩათვლას. შესაბამისად, ამ მიმართულებით იურიდიული განათლების მქონე პირზე მეტად კომპეტენტური იქნება სპეციალიზირებული არბიტრი. შესაბამისად, ასეთ დავებში სათანადო გამოცდილების მქონე პირის შერჩევა მეტად მნიშვნელოვანია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო დავებიც შეიძლება მივაკუთვნოთ იმ დავის კატეგორიას, რომელიც შეიძლება განხილული იყოს არბიტრაჟის მიერ მხარეთა შეთანხმებით, ან მოსარჩელის მიერ სავალდებულო წესით არბიტრაჟის მოთხოვნის შემთხვევაში.

ბ) *ადმინისტრაციული ხელშეკრულებები*. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების დეფინიციიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის არის ადმინისტრაციული ორგანო და იგი იდება „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. როგორც გონივრულად გამოიკვეთა ბოლოდროინდელი დოქტრინებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების წილი მზარდია საჯარო მმართველობის აქტივობებში.<sup>561</sup> ერთის მხრივ საზოგადოების

---

<sup>558</sup> *Guglyuvatyy E., Evans Ch.* Administrative Approaches to Tax Dispute Resolution: Alternative Perspectives from Australia and Russia. *Journal of Comparative Law*, 10, no. 2, 2015, p.366.

<sup>559</sup> იქვე.

<sup>560</sup> იქვე, p. 377.

<sup>561</sup> *Pascariu L.T.* Some Ideas for a Comparative Analysis of the Administrative Contracts. *European Journal of Law and Public Administration*, 2016, 3, no. 1, p.116.



კეთილდღეობა მოითხოვდა ადმინისტრაციული მნიშვნელობის შეთანხმებებს, მეორეს მხრივ პოლიტიკური და ფილოსოფიური კონცეფცია „სუვერენიტეტის“ ავალდებულებს სახელმწიფოს პატივი სცეს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.<sup>562</sup>

როგორც აღინიშნა არბიტრაჟისა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება საქართველოში ხდება ისეთი სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში, რომლებიც გაფორმებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით სესხების ფარგლებში, ასევე არბიტრაჟის გამოყენება დასაშვებია საჯარო-კერძო პარტნიორობის ხელშეკრულებებში. შესაბამისად, არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი გამოყენებადია და ქმედითია ზოგიერთი ადმინისტრაციული ხელშეკრულებებისათვის, რაც უფრო ამარტივებს იმაზე მსჯელობას თუ რატომ უნდა იყოს ყველა სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში არბიტრაჟის გამოყენება შესაძლებელი.

ზოგიერთი ქვეყანა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში უშვებს არბიტრაჟის გამოყენებას. მაგალითად, რუმინეთში საჯარო შესყიდვების ხელშეკრულებებისა<sup>563</sup> და კონცესიების ხელშეკრულებების ფარგლებში დასაშვებია დავის გადაწყვეტის მექანიზმად არბიტრაჟის გამოყენება.<sup>564</sup> რუმინეთში ასევე დასაშვებია საჯარო ქონებასთან დაკავშირებულ კონცესიის ხელშეკრულებებში არბიტრაჟის გამოყენება.<sup>565</sup>

საქართველოს კანონმდებლობით როგორც ეს აღინიშნა მხოლოდ ორი სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში გამოიყენება არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით გაფორმებული ხელშეკრულებები და საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებები. სხვა სახის ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში დავის

---

<sup>562</sup> Langrod G. Administrative Contracts - A Comparative Study. American Journal of Comparative Law, 4, no. 3, 1955, p.333.

<sup>563</sup> მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოების უმრავლესობა საჯარო შესყიდვების ხელშეკრულებებს აღიარებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები განსჯადობით დაქვემდებარებულია სამოქალაქო პალატებისათვის.

<sup>564</sup> Sararu C.S., Arbitration Settlement of Disputes concerning Administrative Contracts in Romania. Juridical Tribune, vol.8, no. Special Issue, 2018, p.224.

<sup>565</sup> იქვე.

არბიტრაჟის მიერ განხილვის გამორიცხვა შესაძლებელია გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას არბიტრები შეიძლება მიუდგნენ როგორც წმინდა კომერციულს და გამორიცხონ საჯარო ინტერესის დაცვა. თუმცა, აღნიშნული არ არის დადასტურებული და მხოლოდ თეორიული განაცხადია.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სასამართლო არ აღიარებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, რომელიც არღვევს საჯარო წესრიგს. საჯარო ინტერესის ხელყოფა საჯარო წესრიგის დარღვევის კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან საჯარო ინტერესის ხელყოფით ხდება საზოგადოებრივი ინტერესის ხელყოფა. მსგავსი საფუძვლით საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებას. შესაბამისად, აღნიშნული გამორიცხავს არბიტრთა მიერ საჯარო ინტერესის საკითხების გაუთვალისწინებლობას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟებში აღიარებულია სახელმწიფოების მიერ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის ვალდებულება და მათი კეთილდროების უზრუნველყოფა *parens patriae*-ს პრინციპის საფუძველზე, რომლის ძალითაც სახელმწიფოს, სახელმწიფო ორგანოებს, აქვთ უფლებამოსილება წარადგინონ სარჩელი კვაზი-სუვერენული ინტერესის დასაცავად, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა ეკონომიკური, სოციალური და სხვა ინტერესების დაცვას.<sup>566</sup> აშშ-ს ერთ-ერთი შტატის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ არბიტრს რომელსაც უფლებამოსილება გადაეცემა არის საჯარო და არა კერძო პირი, ექვემდებარება სახელმწიფო სუვერენიტეტის ნაწილს და უფლებამოსილია თავისუფლად განახორციელოს მისი უფლებამოსილებები კონტროლისა და ზედამხედველობის გარეშე.<sup>567</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით არ მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს და მასზე იურისდიქცია დადგენილი აქვს სამოქალაქო კოლეგიებს, ადმინისტრაციულ საქმეებში ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები

<sup>566</sup> *Brans E.H.P.*, Liability for Damage to Public Natural Resources - Standing, Damage and Damage Assessment. Kluwer Law International, 2001, p. 55.

<sup>567</sup> *Howlett R.G.*, Contract Negotiation Arbitration in the Public Sector. University of Cincinnati Law Review, 1973, 42, no. 1, p.56.

მოცულობითია. 2020 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა 305 საქმე, წინა წლის ნაშთი შეადგენდა 322 საქმეს, სულ დასრულდა 179 საქმე და ნაშთად 2021 წლისათვის დარჩა 448 საქმე.<sup>568</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არსებობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებების არბიტრაჟის მიერ განხილვის გამომრიცხავი ფაქტობრივი საფუძვლები. ამდენად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და იმ გარემოების გამო, რომ არსებობს არბიტრთა მიერ საჯარო ინტერესის ხელყოფის შემთხვევაში მათი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი ბერკეტი, შესაძლებელი უნდა იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვა, თუ აღნიშნულზე მხარეები შეთანხმდებიან.

## 2.5 რეკომენდაცია ადმინისტრაციული დავების კატეგორიზაციაზე

ნაშრომში განვითარებული მსჯელობების შედეგად კონკრეტულად განისაზღვრა ადმინისტრაციული დავები, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება. ამასთან, ასეთი გამოყენების თაობაზე აუცილებელი იქნება საკანონმდებლო აქტის პროექტის შემუშავება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მხარეებს ადმინისტრაციული დავები გადაწყვიტონ დავის განმხილველი ალტერნატიული მექანიზმის მეშვეობით. საკანონმდებლო აქტის კარგ მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს აშშ-ს ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის აქტი. ამასთან, საჭირო იქნება დარგების შესაბამისად, სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანაც.

როგორც აღინიშნა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში განსახილველ დავათა კატეგორიზაციისათვის შემუშავდა სამი მეთოდი, *აბსოლუტურად გამორიცხვის*

---

<sup>568</sup> იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [06.02.2022]

*მეთოდი, ალტერნატივის შესაძლებლობის მეთოდი და არჩევანის თავისუფლების მეთოდი.* თითოეულ მეთოდს განესაზღვრა კრიტერიუმები.

*აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდის* კრიტერიუმებით სრულად გამოირიცხა დავების მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით განხილვა. ასეთ დავებად იქნა მიჩნეული სამართალდარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, საკითხის სასკ-ის VII<sup>1</sup>- VII<sup>21</sup> თავებში განსაზღვრული საქმისათვის მიკუთვნება, სააღსრულებო წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, მოდავე კერძო ფიზიკური ან იურიდიული პირის უარი, პოპულარული სარჩელი.

*ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის კრიტერიუმებით* განისაზღვრა დავები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მედიაციისა და მორიგების ინსტიტუტების გამოყენება და გამოირიცხა არბიტრაჟის გამოყენება, ხოლო *არჩევანის თავისუფლების მეთოდის* კრიტერიუმებით განისაზღვრა დავები რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მხარეთა არჩევანით მედიაციის, მორიგების გამოყენება, მხარეთა შეთანხმებისა და მოსარჩელის მიერ სავალდებულო წესით მოთხოვნის შემთხვევაში არბიტრაჟის გამოყენება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იდენტიფიცირდა განათლების, საჯარო სამსახურისა და საგადასახდო სამართლის დარგები, სადაც მხოლოდ ერთი კერძო პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვის მიზნით წარმოებული დავა შეიძლება განხილულ იქნეს არბიტრაჟის მიერ. ამასთან, გამოიკვეთა რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოშობილი დავებიც შესაძლებელია განხილულ იქნეს არბიტრაჟში.

მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია ეტაპობრივად სათანადო ნაბიჯების გადადგმა, საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავება და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ბერკეტების განსაზღვრა.

## V. საკანონმდებლო რეკომენდაცია ალტერნატიულ მექანიზმებზე

### 1. საკანონმდებლო რეკომენდაციის მომზადების ანალიზი

#### 1.1 საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობა

ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დამკვიდრება სამართლებრივ სივრცეში საჭიროებს საკანონმდებლო რეგულაციას. ნებისმიერ სამართლებრივ ცვლილებას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ თუ არსებული კანონები საკმარისია ცვლილების საჭიროება არ არსებობს.<sup>569</sup>

საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა მხარს არ უჭერს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენებას ადმინისტრაციულ დავებში, შესაბამისად, აუცილებელი ხდება საკანონმდებლო წინადადების მომზადება ახალი რეფორმის ინიცირებისათვის. ლორდ ბეკონმა აღნიშნა: „[ის], რომელიც არ გამოიყენებს ახალ სამკურნალო საშუალებებს, უნდა ელოდოს ახალ ბოროტებას; დრო არის უდიდესი ინოვაციური; და თუ დრო, რა თქმა უნდა ცუდად შეცვლის საკითხებს, სიბრძნე და რჩევა არ შეცვლის მათ უკეთესობისკენ, რა იქნება დასასრული?“ ჩვენთვის ამკარად დროა გამოვიყენოთ „სიბრძნე და რჩევა“, რომ განვიხილოთ დავის გადაწყვეტის სისტემის რეფორმა და არ შეგვეშინდეს გამოვიყენოთ „ახალი საშუალებები“ რომ მივაღწიოთ ამ რეფორმას.<sup>570</sup> ამდენად, De legeferenda-ს პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია კანონმდებლობის ცვლილება.<sup>571</sup>

---

<sup>569</sup> Spiroska E., Ristovska M., Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. Balkan Social Science Review 2, 2013, p.89

<sup>570</sup> Smith W.F., Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. Missouri Journal of Dispute Resolution, 1984, p.23

<sup>571</sup> Bogdan F., The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 19, 2016, p.11

ადმინისტრაციული დავების ალტერნატიულ მექანიზმში დავის გადაწყვეტის საკანონმდებლო რეკომენდაცია შემუშავდება ნაშრომში განვითარებული ლოგიკისა და მიგნებების საფუძველზე და მას საფუძვლად უდევს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში განსახილველ დავათა კატეგორიზაციის მიგნებები.

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ახალი მექანიზმების დასამკვიდრებლად საჭიროა საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ არის წარმოდგენილი ერთი ნორმატიული აქტის სახით, გონივრული იქნება ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მომწესრიგებელი ერთი სამართლებრივი აქტის შექმნა აშშ-ს მაგალითზე. შესაბამისად საკანონმდებლო აქტი იქნება პოლიტიკური და სტრატეგიული განაცხადი კანონმდებლის, ხოლო დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო იქნება თანმდები საკანონმდებლო აქტის სახით შესაბამისი სფეროს მომწესრიგებელი კანონების ცვლილება.

საკანონმდებლო აქტის სახელწოდებად შეიძლება განისაზღვროს საქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესახებ“. აღნიშნულმა კანონმა უნდა მოაწესრიგოს სხვა და სხვა სფეროებში მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენების შესაძლებლობის საკითხს, მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენების მიზნებს, მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით დავის განხილვის პროცედურულ ასპექტებს, და შექმნის ახალ ადმინისტრაციულ პროგრამას. თუმცა აღნიშნული კანონის პროექტის მომზადების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია განისაზღვროს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის ადგილი არსებულ მართლმსაჯულების სისტემაში, კერძოდ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამა სასამართლოს სისტემის შიგნით უნდა დამკვიდრდეს თუ მის გარეთ.

## 1.2 ალტერნატიული მექანიზმების ადგილის განსაზღვრა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სისტემაში

ადმინისტრაციულ დავებში ალტერნატიული მექანიზმების დასამკვიდრებლად აუცილებელი იქნება შესაბამისი ადმინისტრაციული პროგრამის შემუშავება. ახალი ადმინისტრაციული პროგრამა განხილულ უნდა იქნეს მართლმსაჯულების რეფორმის კონტექსტში, იმდენად რამდენადაც ახალმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულების სისტემაში დაგვიანებების შემცირება, სასამართლოების განტვირთვა ადმინისტრაციული დავებისაგან და ხარისხიანი მართლმსაჯულების მიღება. აღნიშნულის გათვალისწინებით, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამა საპილოტედ შეიძლება შემუშავდეს სასამართლოს სისტემის შიგნით, იმგვარად რომ იგი სრულად დამოუკიდებელი იყოს სასამართლო სისტემისაგან.

სასამართლო სისტემის შიგნით საპილოტე პროგრამის განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს შემდგომში აღნიშნული პროგრამის სასამართლოს სისტემის გარეთაც განხორციელება, იმ შემთხვევაში თუ პროგრამა წარმატებით განხორციელდა.

აღნიშნულის მაგალითი არის აშშ-ს სისტემა, სადაც როგორც აღინიშნა ადმინისტრაციული დავების ალტერნატიული პროგრამა განვითარდა სასამართლო სისტემის შიგნით. აშშ-ში მას შემდეგ რაც სასამართლოსთან დაკავშირებული ADR განვითარდა, სამართლებრივ სისტემაში, ADR-ის მომხრეებმა დაინახეს მისი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლოს გარეთ, იმისთვის რომ რთული პრობლემების გადაჭრა მომხდარიყო მოდავეების საჭიროების გათვალისწინებით.<sup>572</sup>

---

<sup>572</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.*, Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.5

### 1.3 ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამის განსახორციელებლად გასათვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო სისტემაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად გასათვალისწინებელი იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება:

ა) *სასამართლოსგან დამოუკიდებლობა*. მოსამართლეებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა დავის განხილვაში და არც სასამართლო სისტემაში დასაქმებული პირები, როგორც არიან მოსამართლის თანაშემწეები, მდივნები არ უნდა იყვნენ პროცესის მონაწილეები. აღნიშნული მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები სრულად იყვნენ გამიჯნულნი სასამართლო სისტემისაგან.

ბ) *ინფორმაციის მიწოდება*. მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობაზე ადმინისტრაციულ დავებში. ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. მოქალაქეებმა და იურიდიულმა პირებმა უნდა მიიღონ საკმარისი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მიმართონ ალტერნატიულ მექანიზმებს და ასევე, რომ ეს ალტერნატიული მექანიზმები დამოუკიდებლები არიან სასამართლოსაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოდავე მხარეს არ აქვს სასამართლოსადმი ნდობა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე ინფორმაციის ნაკლებობამ, შესაძლოა შეაფერხოს იგი მიმართოს მორიგების, მედიაციის ან არბიტრაჟის ინსტიტუტს.

გ) *დავის განმხილველ პირთა კორპუსი*. გამოცდილი მედიატორის/მომრიგებლის/არბიტრის არჩევა პროცესის წარმატებით დასრულების საწინდარია.<sup>573</sup> დავის გადაწყვეტის ადმინისტრაციულმა პროგრამამ უნდა შექმნას დავის განმხილველი პირთა კორპუსი - მედიატორები, არბიტრები, მომრიგებლები. აღნიშნული

<sup>573</sup> *ოქროპირიძე ბ.*, მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2012, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ.41



პირები პროგრამის ფარგლებში შეიძლება შერჩეულ იქნენ მათი განათლების, გამოცდილებისა და ცოდნის შესაბამისად, თუმცა მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ სხვა მესამე პირი, რომელიც არ იქნება ადმინისტრაციული კორპუსის შემადგენლობაში. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კორპუსის შემადგენლობაში შემავალი პირები არ იყვნენ განათლების ცენზით შეზღუდული, კერძოდ, ისე როგორც მოსამართლეებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ სავალდებულო იურიდიული განათლება. მედიატორებისა და არბიტრების მთავარი უპირატესობა საერთაშორისო გამოცდილებაში სწორედ ის არის, რომ მათ გააჩნიათ სადავო დარგის სპეციალური ცოდნა და არ არის სავალდებულო იურიდიული განათლების ქონა. მაგალითად, სამშენებლო დავის შემთხვევაში, ინჟინერი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა დარგში უფრო ეფექტურად შეძლებს საკითხის გადაწყვეტას, ისევე როგორც გარემოსდაცვითი დავის გადაწყვეტას გარემოსდაცვის სპეციალისტი.

დ) *კონფიდენციალურობა*. დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებში განსახილველი დავები უნდა იყოს კონფიდენციალური და მხარეთა თანხმობის გარეშე არავის არ უნდა ჰქონდეს წვდომა მიმდინარე დავის შინაარსზე, პროცესზე, მხარეთა პოზიციებზე და დავასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. აღნიშნული იქნება დამატებითი ნდობის საფუძველი ალტერნატიული მექანიზმებისადმი. დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებში კონფიდენციალურობის პრინციპთან დაკავშირებით მთავარი სირთულე კონფიდენციალურობის დაცვასა და საჯაროობას შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნება იქნება.<sup>574</sup>

ე) *მატერიალური ბაზა*. სახელმწიფომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციული პროგრამის მიზნების მისაღწევად ახალი მატერიალური ბაზის შექმნა, როგორც არის შენობის გამოყოფა, შეხვედრების ოთახის მოწყობა და სხვა. ადგილი სადაც მოხდება დავის განხილვა ალტერნატიული მექანიზმების მიერ არ უნდა ასოცირდებოდეს სასამართლო სხდომის დარბაზთან, ფორმალურ ადგილთან. თავად დავის განსახილველი ადგილი უნდა

---

<sup>574</sup> კალანდაძე დ., კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.47.

ქმნიდეს არაფორმალურობის განცდას, ეს შეიძლება იყოს დავის განმხილველი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას და ასევე მხარეებს მისცემს შესაძლებლობას გამოიყენონ მათი ბაზა შეხვედრებისა და მოსმენების გასამართად. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ შესაბამის მატერიალური ბაზის შექმნა ვერ უზრუნველყო და მოდავე მხარეებს დამატებითი ხარჯის გაღება მოუწიათ ბაზის დასაქირავებლად, შესაძლოა მათ ხარჯების დაზოგვის მიზნით არ გამოიყენონ ალტერნატიულ მექანიზმები.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამის დამკვიდრება დაუკავშირდება სახელმწიფოს მიერ დამატებითი ხარჯის გაღებას. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ხარჯი გამართლებულია, თუ მოქალაქეებს ექნებათ გონივრულ ვადაში საქმის გადაწყვეტის მოლოდინი და პროგრამა იქნება ეფექტური. ამასთან, ახალი ადმინისტრაციული პროგრამა განხილული იქნება მართლმსაჯულების რეფორმის კონტექსტში და უზრუნველყოფს ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებას.

## **2. რეკომენდაცია საკანონმდებლო აქტის შინაარსის შესახებ**

### **2.1 რეკომენდაციის ზოგადი განაცხადი**

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ადმინისტრაციული პროგრამის მხარდასაჭერად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო წინადადების მომზადება. საკანონმდებლო აქტის პროექტი უნდა იყოს თანმიმდევრული და ასახავდეს პროგრამის განხორციელების როგორც შინაარსობრივ საკითხებს, ასევე პროცედურულ ასპექტებს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პროგრამა ითვალისწინებს არაფორმალური გარემოს შექმნას მოდავე მხარეებისათვის, რომ მიაღწიონ კონსესუსს ან გადაწყვიტონ დავა არბიტრაჟში მათივე შეთანხმებული პროცედურებით, კანონის პროექტი უნდა იყოს მეტად მოქნილი და არ უნდა ზღუდავდეს მოდავე მხარეებს გადაჭარბებული ფორმალური პროცედურებით. კანონი მინიმალურ დონეზე უნდა ითვალისწინებდეს შეზღუდვებს და რეგულაციებს, რომ პროცესმა არ მიიღოს თვითნებური სახე, დაცული იყოს სამართლიანობის, თანასწორობის, საჯარო ინტერესის დაცვის საკითხები.

კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს პრემბულას სადაც გაცხადებული იქნება სახელმწიფოს მიზანი, თუ რატომ შეიმუშავებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის დამკვიდრების რეგულაციას, ძირითად ნაწილს სადაც განსაზღვრული იქნება პროცედურული ასპექტები და რეგულაციები, კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### **2.2 ზოგადი რეგულაციები და კანონის მიზანი**

საკანონმდებლო აქტის პროექტის პრემბულაში გაცხადებული უნდა იყოს სახელმწიფოს ხედვა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პროგრამის

შემუშავებაზე, რისი მიღწევა სურს სახელმწიფოს წარმოდგენილი პროგრამით. ამასთან, შესაძლებელია პრეამბულაში განვითარდეს განაცხადი ევროპის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით და მითითება გაკეთდეს მის სულისკვეთებაზე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო განაცხადებს იმ ევროპულ ღირებულებებს, რომლის თანმიმდევრულად შესრულებაც სურს. აღნიშნული მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ევროპული კურსის გათვალისწინებით. კანონის პროექტში უნდა განისაზღვროს კანონის მიზანი, კერძოდ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ზოგიერთ ადმინისტრაციულ დავაში გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა, მათ მიერ დავების განხილვის პროცედურულ საკითხთა ჩამოყალიბება, გადაწყვეტილებების აღსრულებისა და სავალდებულოდ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

კანონის მიზნებისათვის უნდა განიმარტოს ისეთი ტერმინები რომლებიც სიახლეა ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, მაგალითად, ისეთი ტერმინები როგორც არის „ადმინისტრაციული პროგრამა“, „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი“, „დავა“, „მედიაცია“, „არბიტრაჟა“, „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსი“, „დავის გადაწყვეტის პროცედურა“, „კორპუსის რეესტრი“, „არბიტრი“, „მომრიგებელი“, „მედიატორი“ და სხვა.

## **2.3 ალტერნატიული მექანიზმები და დავის სახეები**

### **2.3.1 ალტერნატიულ მექანიზმთა ფუნქციური დამოუკიდებლობა**

კანონის პროექტმა უნდა მოიცვას და განსაზღვროს, თუ რა არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ადმინისტრაციული პროგრამის მიზანი და სად განისაზღვრება მისი ადგილი. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ადმინისტრაციული პროგრამის დამოუკიდებლობა სავალდებულოა მიეთითოს, რომ ადმინისტრაციული პროგრამა იქმნება სასამართლოს სისტემის შიგნით, თუმცა პროგრამა დამოუკიდებელია სასამართლო სისტემისაგან, მოსამართლეებისაგან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან. აღნიშნული იქნება იმის გარანტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ

პროგრამა იარსებებს სასამართლო სისტემის შიგნით პროგრამა ფუნქციურად და ინსტიტუციურად გამიჯნული იქნება მართლმსაჯულების სისტემისაგან. კანონის პროექტით სავალდებულოა განისაზღვროს ადმინისტრაციული პროგრამის მიზანი, რომ გამოჩნდეს სახელმწიფოს სულისკვეთება ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრებით. პროგრამის მიზანად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების შეთავაზება მოდავე მხარეებისათვის იმისთვის, რომ უზრუნველყონ მედიაციის/მორიგების წესით კონსესუსის მიღწევა და დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა.

ნაშრომის შესაბამისად, საკანონმდებლო რეგლამენტაციის საჭიროების მქონე მექანიზმებად განისაზღვრა მედიაცია, მორიგება, არბიტრაჟი. სწაროდ ამ სამი მექანიზმის გამოყენება უნდა იყოს კანონის პროექტის ძირითადი სულისკვეთება. მედიაცია და მორიგება, როგორც ნაშრომში აღინიშნა არის ნებაყოფლობითი მექანიზმები და არ უზღუდავს კერძო პირებს უფლებას ადმინისტრაციული ორგანოების წინააღმდეგ მიმართონ სასამართლოს, თუმცა სასამართლოსთვის მიმართვა გამორიცხული იქნება, თუ იარსებებს მხარეთა შეთანხმება არბიტრაჟის თაობაზე.

### **2.3.2 ადმინისტრაციულ დავათ სახეები**

კანონმა უნდა განისაზღვროს იმ ადმინისტრაციულ დავათა ჩამონათვალი, რომელთა მიზნებისათვის შესაძლებელი იქნება ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება. იდენტიფიცირება შესაძლებელია ნაშრომში განსაზღვრული ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდითა და არჩევანის თავისუფლების მეთოდით განსაზღვრული დავებიდან. კერძოდ, შესაძლებელი უნდა იყოს მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში მედიაციისა და მორიგების გამოყენება ყველა სახის დავაში, გარდა იმ დავებისა, რომელთა ფარგლებში შეზღუდული იქნება ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდით.

ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია მედიაცია/მორიგება გამოიყენონ სამშენებლო

სფეროს დავებში; გარემოსდაცვით სფეროს დავებში; სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში.

არჩევანის თავისუფლების მეთოდის გათვალისწინებით, არბიტრაჟის მიერ განსახილველ დავებად უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები, განათლების, საგადასახადო და საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები, რომლებიც უკავშირდება ერთი პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. აღნიშნულს საფუძვლად უდევს ნაშრომში არჩევანის თავისუფლების მეთოდთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობა.

## **2.4 ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების დაუშვებლობა**

ნაშრომში მსჯელობა განვითარებულია აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდზე და იმ დავების ჩამონათვალზე, რომლებთან მიმართებითაც დაუშვებელია ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება. ამ შემთხვევაში, კანონის პროექტში უნდა განისაზღვროს, თუ როდის იქნება დაუშვებელი ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება.

კანონის პროექტში სათანადო ნორმის ჩამოყალიბებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდით იდენტიფიცირებული საკითხები და კანონის პროექტმა ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ ასეთი დავების შემთხვევაში ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება დაუშვებელია. ასეთ დავებად უნდა განისაზღვროს სამართალდარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, საკითხის სასკ-ის VII<sup>1</sup>- VII<sup>21</sup> თავებში განსაზღვრული საქმისათვის მიკუთვნება, სააღსრულებო წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, მოდავე კერძო ფიზიკური ან იურიდიული პირის უარი, პოპულარული სარჩელი.

## 2.5 ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების სავალდებულობა

კანონის პროექტში უნდა აისახოს რეგულაცია, რომელიც დაავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოებს კერძო პირის თანხმობის შემთხვევაში სავალდებულო წესით გამოიყენონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, იმ ადმინისტრაციულ დავებში, რომელშიც მათი გამოყენება იქნება ნებადართული.

მედიაცია/მორიგება თავისი არსით ნებაყოფლობითი პროცედურებია, შესაბამისად, მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ეს მექანიზმი თავად აირჩიონ, თუმცა თუ დავა პარალელურად სასამართლოში იქნა წარდგენილი მოსამართლესაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დავის შინაარსის გათვალისწინებით მხარეებს მიუთითოს მედიაცია/მორიგებაზე. ასეთ შემთხვევაში მხარეებმა სავალდებულო წესით უნდა გაითვალისწინონ მედიაციის/მორიგების ინსტიტუტისათვის მიმართვა. სავალდებულო მედიაციის დაწესება მხარეთა და საზოგადოების ინტერესებისათვის სასარგებლოა.<sup>575</sup> სავალდებულო მედიაციის დროს სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებით, მედიატორისათვის ჰონორარის გადახდით, ხანდაზმულობის ვადის შეჩერებით და ა.შ. სავალდებულო მედიაციის უარყოფითი ასპექტები შემცირებულია.<sup>576</sup> აღნიშნული განტვირთავს სასამართლოს, თუ არსებობს იმის მინიმალური საფუძველი, რომ დავა შეიძლება დასრულდეს მშვიდობიანად მორიგების/მედიაციის წესით.

რაც შეეხება არბიტრაჟს, როგორც აღინიშნა ზოგადად არბიტრაჟის დაწყების საფუძველი არის მხარეთა შეთანხმება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე. თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოები შეიძლება არ დათანხმდნენ კერძო პირს დავის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ბერკეტი, როდესაც არჩევანის თავისუფლების მეთოდით განსაზღვრული დავების შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ არბიტრაჟის მოთხოვნის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყოს დათანხმდეს მოსარჩელეს დავის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების

<sup>575</sup> წულაძე ა., „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“. სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016, გვ.22.

<sup>576</sup> იქვე.

შესაძლებლობა გონივრულ საფუძველს იქნება მოკლებული, თუ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უარი უთხრეს მოდავე პირს მის გამოყენებაზე და სასამართლოს ხანგრძლივი გზა შესთავაზეს, ამ შემთხვევაში ვერ იქნება ეფექტური მართლმსაჯულების მიზანი მიღწეული.

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს იტყვის საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებაზე, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას დათანხმდეს კერძო პირს დავის არბიტრაჟში განხილვაზე. პასუხისმგებლიანი ადმინისტრაციული ორგანოს შემთხვევაში აღნიშნული საკითხი არ უნდა დადგეს დღისწესრიგში, თუმცა ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, კანონმდებელმა შესაძლოა გაითვალისწინოს დამატებითი ბერკეტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის პროექტით უნდა განისაზღვროს არბიტრაჟში დავის დაწყების სამი საფუძველი მხარეთა შეთანხმება, შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე მოითხოვს არჩევანის თავისუფლების მეთოდით განსაზღვრული დავის არბიტრაჟში განხილვას ან თუ სასამართლო მიუთითებს მხარეებს დავის გადასაწყვეტად მიმართონ არბიტრაჟს.

## 2.6 კონფიდენციალურობა

კანონის პროექტმა უნდა მოაწესრიგოს მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის წესით ადმინისტრაციული დავის განხილვის შემთხვევაში, დავის შინაარსის კონფიდენციალურობა. ალტერნატიული მექანიზმების არსი სწორედ ის არის, რომ მხარეებმა მესამე პირების დაკვირვების გარეშე კონსესუსით მიაღწიონ შეთანხმებას.

კონფიდენციალურობა უზრუნველყოფს პროცესის მონაწილე მხარეებისათვის თავისუფლების მინიჭებას, ისინი არ იქნებიან შებოჭილნი იმ გარემოებით, რომ მესამე პირების დაკვირვების საგანი იქნებიან.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები მოიცავს მოდავეთ უფრო მეტ პირდაპირ მონაწილეობას პროცესში და მორიგების მომზადებაში, მეტი პირდაპირი დიალოგი და შერიგების შესაძლებლობა არის მოდავეებს შორის, პოტენციურად უფრო



მაღალი ხარისხია კონფიდენციალურობის, ვინაიდან საჯარო ჩანაწერები არ კეთდება, მეტი მოქნილობა არის მორიგების მომზადებაში, ნაკლები პირდაპირი შესაძლებლობაა ინფორმაციის გამოთხოვის.<sup>577</sup> შესაბამისად, კანონის პროექტმა უნდა მოაწესრიგოს კონფიდენციალურობის პრინციპის საკითხები. იმისთვის, რომ არ იქნეს გამჟღავნებული მორიგების/მედიაციის/არბიტრაჟის პროცესების მიმდინარეობა, სავალდებულოა კანონით აიკრძალოს ასეთი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობა. გარკვეული პრეცედენტებისა და ინფორმაციის გაუჟღავნებლობა, წარმოადგენს მხარეთა კერძო ინტერესების უპირატესობის დემონსტრირებას.<sup>578</sup>

კანონის შესაბამისად, დავის ალტერნატიულ მექანიზმში განხილვის შემთხვევაში, ნებისმიერი კომუნიკაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში, მხარეთა პოზიციები, წარდგენილი დოკუმენტაცია, მხარეთა მიმოწერა უნდა იყოს კონფიდენციალური და დაუშვებელი უნდა იყოს ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა.

მორიგების/მედიაციის/არბიტრაჟის პროცესში კონფიდენციალურობის ტენდენცია მედიაციაში ძლიერია,<sup>579</sup> თუმცა არსებობს რიგი გამონაკლისები, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების სავალდებულოება დგება<sup>580</sup> და ინფორმაცია პრივილეგიით არ არის დაცული.<sup>581</sup>

კონფიდენციალურობის დაცვასა და საჯაროობას შორის ბალანსის დადგენისთვის აუცილებელია საგამონაკლისო შემთხვევების დადგენა და მათი ფარგლების ზუსტი

---

<sup>577</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.*, Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.6

<sup>578</sup> *ადეიშვილი ქ.*, კონფიდენციალურობის როლი მედიაციის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.63.

<sup>579</sup> *ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., გიბლაძე ბ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.31.

<sup>580</sup> *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018, გვ.77.

<sup>581</sup> *მაისურაძე თ.*, თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპთა ურთიერთმიმართება მედიაციის ეთიკური ურღვევობის უზრუნველყოფის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.175.

განსაზღვრა, რათა მხარეთა ნების ავტონომიიდან გამომდინარე, კერძო ინტერესების აბსოლუტურმა და შეუზღუდავმა მოქმედებამ არ ხელყოს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის საჭირო ინტერესები.<sup>582</sup>

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა გაუმართლებელია იმ შემთხვევაში როცა საფრთხე ექმნება საჯარო წესრიგს, ბავშვის უპირატეს ინტერესებს ან თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას.<sup>583</sup>

შესაბამისად, კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს, შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა გაუმართლებელია იმ შემთხვევაში, როცა საფრთხე ექმნება საჯარო წესრიგს.<sup>584</sup> ასეთ შემთხვევად შეიძლება განისაზღვროს, მხარეთა შეთანხმება, სასამართლოს გადაწყვეტილება, ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობა საგამომიებო მოქმედებების მიზნებისათვის, თუ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობით ზიანი მიადგება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სიკეთეს ან/და მესამე პირთა კანონიერ უფლებებს ან/და ინტერესებს ან/და ჯანმრთელობას, თუ კანონმდებლობით არის მოთხოვნილი ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობა. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს მტკიცებულებად და ასეთი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია უნდა იყოს დაუშვებელი მტკიცებულება.

მიუხედავად იმისა რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში მიმდინარე პროცესები იქნება კონფიდენციალური, შესაძლოა დაინტერესებულმა პირმა მოითხოვოს ასეთი ინფორმაციის მიღება ნებისმიერი პროცესში მონაწილე პირისგან. თუ მედიატორმა, მომრიგებელმა ან არბიტრმა ან ნებისმიერმა მხარემ, როგორც კერძო პირმა,

---

<sup>582</sup> *ადეიშვილი ქ.*, კონფიდენციალურობის როლი მედიაციის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.76.

<sup>583</sup> *მაისურაძე თ.*, თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპთა ურთიერთმიმართება მედიაციის ეთიკური ურღვევების უზრუნველყოფის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.175.

<sup>584</sup> *ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.26.

ასევე ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო მოთხოვნა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, სავალდებულო უნდა იყოს, რომ აღნიშნულის შესახებ ეცნობოს მხარეებს/მეორე მხარეს. მხარეების/მეორე მხარის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებაზე 15 დღის განმავლობაში პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში მხარეს/მედიატორს/ მომრიგებელს/არბიტრს უნდა შეეძლოს ამ ინფორმაციის გამჟღავნება ზემოაღნიშნული აუცილებელი მიზნებისათვის.

კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფუძვლოდ გამჟღავნების შემთხვევაში იმ მხარეს, რომელსაც ზიანი მიადგება ამ ინფორმაციის გამჟღავნებით უნდა შეეძლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა უკავშირდება მაღალ სტანდარტს, ეთიკურ ნორმებს და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს პროცესის მონაწილეებს. შესაბამისად, პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობა ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით მაღალი უნდა იყოს.

## 2.7 მომრიგებლების, მედიატორებისა და არბიტრების კრიტერიუმები

მომრიგებლის, მედიატორის ან არბიტრის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება მხარეებისათვის, ვინაიდან არასწორად შერჩეულმა სპეციალისტმა შეიძლება მხარეთათვის არასასურველი შედეგი გამოიწვიოს და დახარჯოს მათი დრო. როგორც ზემოთ აღნიშნა აღნიშნული არის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის - თუ მხარე შეცდა ნეიტრალური პირის არჩევაში.

ნეიტრალური პირის არჩევისას მხარეები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ნეიტრალურ პირს აქვს დრო პროცესში მონაწილეობისათვის,<sup>585</sup> ასევე ისინი უნდა დარწმუნდნენ რომ ასეთ პირს აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს ის მინიმალური კრიტერიუმები რისი გამოყენებაც მხარეებს შეეძლებათ მედიატორის/მომრიგებლის/არბიტრის არჩევისას. აღნიშნული არის

---

<sup>585</sup> *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11 no. 2, 2010, p.448

საერთაშორისო პრაქტიკა. მაგალითად, თუ დავა განიხილება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იქნება მომრიგებლის/მედიატორის/არბიტრის ცოდნა და გამოცდილება ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებით ტექნიკური დავების გადაწყვეტის კუთხით, ან პროფესიული საინჟინრო გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით.

ადმინისტრაციული პროგრამის ფარგლებში უნდა შეიქმნას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსი, რომელშიც ჩარიცხულ პირს ექნება მომრიგებლად/მედიატორად/არბიტრად მუშაობის შესაძლებლობა ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტისას. ამ შემთხვევაში კორპუსის ფორმირება მხარეებისათვის იქნება დამხმარე მექანიზმი, რომელიც შესთავაზებს მათ კანდიდატებს. მაგალითად, საერთაშორისო გამოცდილებაში წარმოდგენილია FIDIC-ის პრეზიდენტთა სია<sup>586</sup>, სადაც თავმოყრილნი არიან სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებსაც უფლება აქვთ იყვნენ დავების განმხილველი/მომრიგებელი საბჭოები და მხარეები სარგებლობენ შესაძლებლობით ამ სიიდან აარჩიონ სასურველი კანდიდატი. მაგალითად საერთაშორისო სავაჭრო პალატას, რომელიც არის ინსტიტუციური არბიტრაჟი ასევე აქვს წარმოდგენილი არბიტრთა სია, რომლიდანაც მხარეებს უფლება აქვთ შეარჩიონ მათთვის სასურველი არბიტრის კანდიდატურა<sup>587</sup>. თუმცა აღნიშნული კორპუსის არსებობა მხარეებს არ უნდა უზღუდავდეს უფლებას მომრიგებლად/მედიატორად /არბიტრად აირჩიონ პირი, რომელიც არ არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსში. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება მხარეთა თავისუფალი ნება თავად შეარჩიონ მათთვის სასურველი კანდიდატი.

კანონის პროექტის ფარგლებში, იმისთვის, რომ მხარეებს გაუმარტივდეთ მომრიგებლის/მედიატორი/არბიტრის კანდიდატურის შერჩევა შესაძლოა დადგინდეს მინიმალური კრიტერიუმები, რასაც მხარეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ კანდიდატის შერჩევისას, მაგალითად როგორც არის განათლება, შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება, პროფესიულ წრეებში აღიარება, მედიატორად/მომრიგებლად/არბიტრად

<sup>586</sup> იხ. < <https://fidic.org/president-list> > [06.02.2022].

<sup>587</sup> იხ. <https://iccwbo.org/>

მუშაობის გამოცდილება. ამასთან, მხარეებს უნდა შეეძლოთ დაადგინონ სხვა კრიტერიუმებიც შეთანხმებით.

მორიგებელი/მედიატორი უნდა ემსახურებოდეს მხარეთა ნებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზოგჯერ საჯარო მოხელეები ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო პირს შორის დავაში შეიძლება იყვნენ საუკეთესო მომრიგებლები. აშშ-ში გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთა შესაძლებლობა იყვნენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები<sup>588</sup>. შესაბამისად, მედიაციის/მორიგების თავისებურების გათვალისწინებით მომრიგებლად/ მედიატორად შესაძლებელი უნდა იყოს საჯარო მოხელის არჩევაც. ამასთან, მომრიგებლად/მედიატორად საჯარო მოხელის არჩევის შემთხვევაში, შესაძლების საჯარო დაწესებულება ვალდებული უნდა იყოს საჯარო მოხელეს ხელი შეუწყოს მომრიგებლის/მედიატორის ვალდებულების შესრულებაში და არ უნდა შეზღუდოს იგი.

## 2.8 მედიაციისა და მორიგების პროცედურული ასპექტები

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციისა და მორიგებს პროცესი არის არაფორმალური და მხარეები არ უნდა შეიზღუდონ პროცედურული ასპექტებით, კანონზომიერების უზრუნველსაყოფად და იმისთვის რომ პროცესი იყოს თანმიმდევრული, კანონის პროექტით უნდა განისაზღვროს მინიმალური მოთხოვნები მედიაციისა და მორიგების პროცედურასთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნული არ უნდა იყოს შემზღუდველი და მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავად ჩამოაყალიბონ პროცედურული წესები მათი დავის განსახილველად და კონსესუსის მისაღწევად. მედიაციის/მორიგების პროცესში მხარეთა ლავირების დიაპაზონი მათივე ინტერესებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს.<sup>589</sup> სამართლიანი შედეგის მისაღწევად აუცილებელია,

<sup>588</sup> იხ. The Administrative Dispute Resolution Act of 1996. <<https://www.adr.gov/pdf/adra.pdf>> [06.02.2022]

<sup>589</sup> თობაძე ა., „მედიაციის სამართლებრივი პრესპექტივა მცირე და დომინანტ აქციონერთა ურთიერთბალანსის შენარჩუნების კონტექსტში“. თანამედროვე სამართლის მიმოხილვა №1, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2013, გვ.23.

მედიაციის/მორიგების პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს: ნებაყოფლობითობა, მხარეთა მიერ ურთიერთსანაცვლო ინტერესების გაზიარება, შედეგების საჯარო მნიშვნელობის აღიარება, ღირსეული მოპყრობა და პატივისცემა.<sup>590</sup>

როგორც აღინიშნა მედიაციის/მორიგების პროცესი შეიძლება დაიწყოს მხარეთა შეთანხმებით. ამ შემთხვევაში შეთანხმებისათვის აუცილებელი იქნება ორივე მხარის წერილობითი თანხმობა. ამასთან, როგორც აღინიშნა სასამართლომაც შეიძლება მიუთითოს მხარეებს მედიაციის/მორიგების პროცესის დაწყებისაკენ, რა დროსაც მხარეებმა უნდა გააფორმონ წერილობითი შეთანხმება პროცედურულ ნაწილზე შესათანხმებლად.

კანონის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა შესაძლებლობას შეთანხმება მედიაციის/მორიგების პროცესის შესახებ გააფორმონ როგორც დავის წარმოშობამდე, ასევე დავის წარმოშობის შემდეგაც. მედიაციის პროცესის დაწყების საფუძველი იქნება მხარეების ან ერთ-ერთი მხარის მიერ მედიატორისათვის/მომრიგებლისათვის მიმართვა. მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ წერილობით შეთანხმდნენ მედიატორის/მომრიგებლის კანდიდატურაზე და აირჩიონ ერთი ან სამი მედიატორი/მომრიგებელი.

პროცედურული ასპექტებისა და მხარეთა გამოუცდელობის გათვალისწინებით, მხარეები შეიძლება ვერ შეთანხმდნენ მომრიგებლის/მედიატორის კანდიდატურაზე, ასეთ შემთხვევაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ადმინისტრაციული პროგრამის სამდივნოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე დანიშნოს მედიატორი/მომრიგებელი. კონსულტაციის პროცესი უნდა წარიმართოს თითოეულ მხარესთან ინდივიდუალურად. კონსულტაციის პროცესში მხარეებმა სამდივნოს უნდა აცნობონ ის მოთხოვნები რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მომრიგებელი/მედიატორი. ხოლო მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე სამდივნო

---

<sup>590</sup> ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურდვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.11.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის კორპუსიდან აარჩევს მედიატორის/მომრიგებლის კანდიდატურას.

აღნიშნული მექანიზმი და პროცედურა წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით გაფორმებული FIDIC-ის ტიპის ხელშეკრულებებში განსაზღვრულ გამოცდილებას.<sup>591</sup> კერძოდ, ასეთი სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში, თუ მხარეები ვერ თანხმდებიან დავების განმხილველი/მომრიგებელი საბჭოს დანიშვნაზე, დამნიშნავი ორგანო მხარეთ კონსულტაციის საფუძველზე<sup>592</sup> არჩევს FIDIC-ის პრეზიდენტთა სიიდან შესაბამის კანდიდატურას, ზემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით.

თუ ერთ-ერთმა მხარემ მიმართა მომრიგებელს/მედიატორს, მნიშვნელოვანია მეორე მხარის ინფორმირება, ამ შემთხვევაში მომრიგებელმა/მედიატორმა მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება მომრიგებლისათვის/მედიატორისათვის მიმართვის თაობაზე.

მხარეთა ან ერთ-ერთი მხარის მიმართვის შემთხვევაში მომრიგებელმა/მედიატორმა უნდა გამოსცეს მედიაციის/მორიგების პროცედურული წესები ზოგადი პრაქტიკის გათვალისწინებით. მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ შეთანხმებით შეცვალონ მედიაციის/მორიგების პროცედურული წესები და შეატყობინონ მედიატორს/მომრიგებელს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიაციის/მორიგების პროცედურული წესების შეცვლაზე მედიატორი/მომრიგებელი უფლებამოსილი უნდა იყოს სამართლიანად დაადგინოს პროცედურული წესები, ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით.

დავის ეფექტურად და მოკლე ვადებში გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია კანონმა დაადგინოს ის მაქსიმალური ვადა, რა ვადაშიც შეიძლება ეს პროცესი დასრულდეს, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ეს ვადა შეიძლება იყოს 84 დღე<sup>593</sup>, ხოლო

---

<sup>591</sup> Sub-Clause 21.2, General Conditions, FIDIC Conditions of Contract for Construction, for Building and Engineering Works Designed by the Employer. Published by International Federation of Consulting Engineers, Geneva, Switzerland, Second Edition, 2017, p.101.

<sup>592</sup> იქვე, Sub-Clause 21.2, p.101.

<sup>593</sup> იქვე, Sub-Clause 21.4.3, p.103.

ასეთი ვადა არ უნდა იყოს შეუცვლელი, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია უნდა იყოს ამ ვადის გაგრძელება.

მედაციის/მორიგების პროცესში მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მედიატორს/მომრიგებელსა და მხარეებს შორის. პროცედურული სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს უფლება დამოუკიდებლად ეკომუნიკაციოს მედიატორს/მომრიგებელს. ნებისმიერი მიმოწერა მედიატორსა და ერთ-ერთ მხარეს შორის უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს. მედიატორის/მომრიგებლის კომუნიკაცია ერთ-ერთ მხარესთან უნდა მოხდეს მეორე მხარისათვის კომუნიკაციის ასლის გაგზავნით. თუმცა მედაციის/მორიგების პროცესის მიზნებიდან გამომდინარე პროცედურულ წესებში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მედიატორის/მომრიგებლის ინდივიდუალური ინტერვიუ თითოეულ მხარესთან. ასეთ შემთხვევაში ინტერვიუსათვის თითოეულ მხარეს უნდა დაეთმას იგივე დრო.

კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს მედიატორის/მომრიგებლის როლი მედაციის/მორიგების პროცესში და წარმოაჩინოს მედიატორის/მომრიგებლის დანიშნულება. მედიატორმა/მომრიგებელმა მედაციის/მორიგების პროცედურა უნდა აწარმოოს მხარეთა მიერ შეთანხმების მისაღწევად, მისი ფუნქცია არ არის გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, მედაციის/მორიგების პროცესის წარმატებით დასრულების მიზნით მხარეთა შეთანხმებით მედიატორმა/მომრიგებელმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს კონსესუსის მიღწევის პირობები და მოუმზადოს შეთანხმების პირობები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მედაციის/მორიგების პროცესში მედიატორმა/მომრიგებელმა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მედაცია/მორიგება სასამართლოში/არბიტრაჟში დავის დაწყებამდე კონსესუსის მიღწევის პროცედურა არის, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მედაციის/მორიგების პროცესის დასრულებამდე არ მიმართავენ არბიტრაჟს/სასამართლოს. იმ შემთხვევაში თუ ასეთი შეთანხმება არ იარსებებს მხარეებს შორის, ნებისმიერ მხარეს უნდა შეეძლოს მედიატორსათვის/მომრიგებლისათვის მიმართვის პარალელურად მიმართოს სასამართლოს/არბიტრაჟს. ამასთან, თუ არსებობს მხარეთა შორის შეთანხმება



მედიაციის/არბიტრაჟისათვის არ მიმართვაზე და ერთ-ერთმა მხარემ მიმართა სასამართლოს/არბიტრაჟს, სასამართლომ/ არბიტრაჟმა უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება მედიაციის/მორიგების პროცესის დასრულებამდე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს აქვს გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ეცდებიან მედიაციის/მორიგების წესით დავის მშვიდობიანი წესით გადაწყვეტას, კანონმა უნდა განსაზღვროს, რომ მედიატორის/მომრიგებლისათვის მიმართვით ჩერდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადები.

მედიაცია/მორიგება უნდა დასრულდეს გარკვეულ ეტაპზე. კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს მედიაციის/მორიგების დასრულების საფუძვლები. ასეთი შეიძლება იყოს მხარეების შეთანხმება მორიგების/მედიაციის პროცესის დასრულებაზე, მორიგების შეთანხმების გაფორმება, მხარეთა წერილობითი შეთანხმება მედიაციის/მორიგების შეწყვეტაზე, ერთ-ერთი მხარის წერილობითი უარი მედიაციის/მორიგების პროცესის გაგრძელებაზე, მედიაციისათვის/ მორიგებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვა, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ მედიაციის/მორიგების პროცესის ვადის გაგრძელებაზე.

მედიაციის/მორიგების პროცესის მხარეთა მორიგების შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში, მხარეებმა უნდა გააფორმონ მორიგება წერილობით და იგი უნდა დაამტკიცოს მედიატორმა/მომრიგებელმა. მორიგების შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ მედიატორმა/მომრიგებელმა და მხარეებმა.

მედიაციის/მორიგების პროცესის მხარეთა შეთანხმებით და მორიგებით დასრულება არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მორიგების პირობა შეიძლება შესრულდეს. შესაძლოა რომელიმე მხარის მიერ დაირღვეს შესაბამისი მორიგების პირობა. ამდენად, სავალდებულოა კანონის პროექტი ითვალისწინებდეს მორიგების აღსრულების მინიმალურ პროცედურულ მოთხოვნებს. მედიატორის/მომრიგებლის მიერ დამტკიცებული მორიგების შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი აღსრულებისათვის შესაბამის მხარეს უნდა შეემდოს სასამართლოსათვის მიმართვა და იგი უნდა აღსრულდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნული პროცედურები არის მინიმალური მოთხოვნები, რაც კანონის პროექტმა უნდა გაითვალისწინოს მედიაციის/მორიგების პროცესის კანონზომიერების, სამართლიანობის შესანარჩუნებლად და პროცესების გამარტივებულ ჩარჩოებში მოსაქცევად.

## 2.9 არბიტრაჟის პროცედურული ასპექტები

კანონის პროექტით არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოწესრიგდეს უფრო დეტალურად ვიდრე ეს მორიგებისა და მედიაციის შემთხვევაშია დასაშვები. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არბიტრაჟი ხასიათდება იმავე პრინციპებით როგორც სასამართლო, მისი გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა და არ ემსახურება მხარეთა მიერ კონსენსუსის მიღწევას და მორიგებას.

კანონის პროექტით უნდა განისაზღვროს, თუ რა არის არბიტრაჟის დაწყების საფუძველი, ამ შემთხვევაში არბიტრაჟის დაწყების საფუძველი იქნება მხარეთა შეთანხმება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე ან მოსარჩელის მოთხოვნა კანონის პროექტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავის არბიტრაჟის მიერ განხილვაზე. საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებაში მხარეები არ უნდა იყვნენ შეზღუდულნი და მათ ასეთი შეთანხმების გაფორმების უფლება უნდა ჰქონდეთ როგორც დავის წარმოშობამდე, ასევე დავის წარმოშობის შემდეგ.

იმისთვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავისუფლად შეძლონ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმება, აუცილებელია განისაზღვროს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების გასაფორმებლად ადმინისტრაციული ორგანო არ საჭიროებს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა პირის თანხმობას.

მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმებით შესაძლებელი უნდა იყოს შეიზღუდოს არბიტრაჟის უფლებამოსილება და მხარეები შეთანხმდნენ მხოლოდ გარკვეული კატეგორიის დავების არბიტრაჟის მიერ განხილვაზე.

იმისთვის, რომ არ მიეცეთ ადმინისტრაციულ ორგანოებს ფართო შესაძლებლობა დაიწყოთ არბიტრაჟის იურისდიქციაზე დავა და დასვან საკითხი საარბიტრაჟო

შეთანხმების გაუქმებაზე სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპზე მითითებით, კანონის პროექტში უნდა მიეთითოს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიძლება გაუქმდეს და ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო პირს შორის გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი ინტერესის საწინააღმდეგოდ დადებულ შეთანხმებად ან საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ დადებულ შეთანხმებად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არბიტრაჟის დაწყების საფუძველად, უნდა განისაზღვროს კერძო პირის მიმართვა კანონით განსაზღვრული დავის არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტაზე, თუ არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ პროცედურული სამართლიანობის პრინციპისა და არბიტრაჟის იურისდიქციის დასადგენად ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალოთ საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმება. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არაკეთილსინდისიერად უგულებელყოფს ასეთ დავალდებულებას და მაინც არ გააფორმებს საარბიტრაჟო შეთანხმებას, კანონის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს დამატებით ბერკეტებს. კერძოდ, მხარის მიერ სამდივნოსათვის საარბიტრაჟო მოთხოვნის წარდგენის შემდეგ სამდივნო უნდა ნიშნავდეს შესაბამის არბიტრს კანონის პროექტით განსაზღვრული პრინციპების გათვალისწინებით და კანონის პროექტმა ასეთი დანიშვნა უნდა განსაზღვროს, როგორც მხარეთა მიერ არბიტრის საბოლოო დანიშვნა. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული უნდა იყოს მიიღოს ასეთი დანიშვნა.

ვინაიდან, კანონის პროექტით გათვალისწინებულია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის შექმნა, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა მიმართოს სამდივნოს და წარუდგენს მოთხოვნა არბიტრაჟის შესახებ, რაც იქნება არბიტრაჟის პროცესის ინიცირების საფუძველი. სამდივნომ მხარის მოთხოვნა უნდა გაუგზავნოს ადმინისტრაციულ ორგანოს და შეატყობინოს არბიტრაჟის მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე. არბიტრაჟის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული უნდა იყოს წარადგინოს შეპასუხება

სამდივნოს მიერ დადგენილ ვადებში. ამ შემთხვევაში, შეპასუხებაში ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება ითხოვოს ვადა ან წარადგინოს პოზიცია არბიტრაჟის იურისდიქციასთან დაკავშირებითაც.

არბიტრაჟის მოთხოვნის წარდგენის შემდეგ მხარეებმა უნდა დაიწყონ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირების პროცესი. ამ შემთხვევაში მხარეები უნდა შეთანხმდნენ არბიტრთა რაოდენობაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟი უნდა იყოს ადმინისტრაციულ დავებში ეფექტური და სწრაფი, მხარეებს უნდა განესაზღვროთ ვადა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებისათვის. მხარეები მათი ინტერესებისა და საკითხის სირთულის გათვალისწინებით შეიძლება შეთანხმდნენ საკითხის ერთი ან სამი არბიტრის მიერ განხილვაზე. იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ერთი არბიტრის მიერ საქმის განხილვაზე, მხარეები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსში ჩარიცხული პირებისაგან შეარჩიონ არბიტრის კანდიდატურა. აღნიშნული არ უნდა უზღუდავდეს მხარეებს შესაძლებლობას შეთანხმდნენ ისეთი პირის კანდიდატურაზე, რომელიც არ არის ჩარიცხული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსში.

დროის ეფექტურობისა და ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, თუ მხარეები შესაბამის ვადაში ვერ შეთანხმდებიან არბიტრის კანდიდატურაზე ადმინისტრაციული პროგრამის სამდივნომ, მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა დანიშნოს არბიტრი კანონით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთი დანიშვნა უნდა იყოს საბოლოო. იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან სამი არბიტრის მიერ საქმის განხილვაზე, თითოეულმა მხარემ უნდა დაასახელოს ერთი არბიტრის კანდიდატურა, ხოლო დასახელებულმა არბიტრებმა უნდა შეარჩიონ პერზიდენტი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსში ჩარიცხულ პირთაგან.

კანონის პროექტში უნდა განისაზღვროს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირების შემდგომი პროცედურული ასპექტები. კერძოდ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირების შემდეგ მხარეები უნდა შეთანხმდნენ პროცედურულ წესებზე. როგორც წესი, დროის ეკონომიის პრინციპის გათვალისწინებით, პროცედურულ წესებზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებიდან კანონით განსაზღვრულ

ვადაში, ხოლო მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით შესაბამის ვადაში უნდა დაადგინოს პროცედურულ წესები. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დადგენილი წესები სავალდებულო უნდა იყოს ორივე მხარისათვის.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს ის მინიმალური მოთხოვნები, რაც პროცედურულ წესებში უნდა განისაზღვროს. კერძოდ, პროცედურულ წესებში უნდა აისახოს მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის ვადა; მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო სარჩელზე შეპასუხების წარდგენის ვადა; მტკიცებულებებისა და დოკუმენტების გამოთხოვისა და წარდგენის ვადები; მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის შეპასუხებაზე პასუხის წარდგენის ვადა; მოპასუხის მიერ შეპასუხების წარდგენის ვადა მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის შეპასუხებაზე; ზეპირი მოსმენის ჩატარების თარიღი და დღეების რაოდენობა; ზეპირი მოსმენის შემდეგ მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ საქმის მნიშვნელოვან გარემოებებზე წერილობითი პოზიციების წარდგენის ვადა და წარსადგენი წერილობითი პოზიციების მოცულობა; გადაწყვეტილების მიღების თარიღი.

არბიტრაჟის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება არის დროში ეკონომიურობა, რაც მხარეთა ხარჯებზეც აისახება. არბიტრაჟი ვერ იქნება ეფექტური, თუ არ მოხდა აღნიშნული პროცედურის დროით შეზღუდვა და იმავე შედეგს მივიღებთ, რა პრობლემაც არის წარმოშობილი სასამართლო სისტემაში. შესაბამისად, აუცილებელია კანონის პროექტით განისაზღვროს საარბიტრაჟო პროცესის ხანგრძლივობა და გადაწყვეტილების მიღების დრო. ამ შემთხვევაში, გონივრულობის ფარგლებში და საარბიტრაჟო პროცედურის დეტალების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო განხილვა, გადაწყვეტილების გამოცემის ჩათვლით უნდა დასრულდეს ტრიბუნალის ფორმირებიდან გარკვეულ ვადაში, მაგალითად 3 თვის ვადაში ან სხვა გონივრულ ვადაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ შეეძლება ამ ვადის ცვლილება. არბიტრაჟის პრინციპების გათვალისწინებით, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელი უნდა იყოს ამ ვადის ცვლილება. იმისთვის რომ არბიტრებმა შეძლონ სამართლიანი და თანმიმდევრული გადაწყვეტილების მიღება, ასევე იმისთვის რომ მხარეებს

გაუადვილდეთ საარბიტრაჟო მოსმენის შემდეგ წარსადგენი წერილობითი პოზიციის მომზადება საარბიტრაჟო მოსმენა შეიძლება ჩაწერილი იქნეს ტექნიკური საშუალებებით. საარბიტრაჟო მოსმენის ფარგლებში უნდა გაფორმდეს ოქმი/საარბიტრაჟო მოსმენის ჩანაწერი და ოქმი უნდა გადაეცეს ორივე მხარეს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, თითქმის ყველა ინსტიტუციურმა არბიტრაჟმა აღიარა საარბიტრაჟო მოსმენების ელექტრონული ფორმით ჩატარების შესაძლებლობა. აღნიშნული აღიარებულ უნდა იქნეს კანონის პროექტიცა.

როგორც აღინიშნა საარბიტრაჟო პროცესი სასამართლო პროცესის მსგავსია, თუმცა უფრო არაფორმალურ გარემოში, ვიდრე ეს სასამართლო სხდომის დარბაზია. შესაბამისად, კანონის პროექტში უნდა განისაზღვროს საარბიტრაჟო ტრიბუნალის საქმიანობის ძირითადი და მნიშვნელოვანი ასპექტები. კანონის პროექტში უნდა მიეთითოს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი უსმენს მხარეებს, იკვლევს მტკიცებულებებს, კითხავს მოწმეებს და ახორციელებს სხვა მოქმედებებს, რომელიც აუცილებელია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. საარბიტრაჟო ტრიბუნალს უნდა შეეძლოს მიიღოს ნებისმიერი მატერიალური და ზეპირი მტკიცებულება, დოკუმენტი, რომელიც საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილი უნდა იყოს გამორიცხოს არა მნიშვნელოვანი, ორჯერ განმეორებადი ან კონფიდენციალური/საიდუმლო დოკუმენტები მტკიცებულებებიდან. ამასთან, საარბიტრაჟო ტრიბუნალი ისევე როგორც სასამართლო უნდა დაეყრდნოს გადაწყვეტილებების მიღებისას შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, სტანდარტებს, რეგლამენტებს და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებს.

იმისთვის, რომ არ დაკნინდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ინკვიზიციურობის პრინციპი და საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღოს ყველა მტკიცებულებისა და დოკუმენტის გათვალისწინებით, კანონის პროექტით საარბიტრაჟო ტრიბუნალს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს წარუდგინოს

ასეთი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არ წარუდგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალს ასეთ დოკუმენტაციას/მტკიცებულებებს, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ეს გარემოება უნდა მიიღოს მხედველობაში გადაწყვეტილების მიღებისას. მნიშვნელოვანია კანონის პროექტში აღნიშნოს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ პრინციპებს, რომ არ მოხდეს ადმინისტრაციული დავების კომერციალიზაცია და შენარჩუნებულ იქნეს ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები არბიტრაჟის მიერ ადმინისტრაციული დავების განხილვისას.

კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს საარბიტრაჟო ტრიბუნალთან მხარეთა კომუნიკაციის წესი და პრინციპები. ამ შემთხვევაში არცერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის უფლება საარბიტრაჟო ტრიბუნალთან მეორე მხარისათვის შეტყობინების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე ეცდება საარბიტრაჟო ტრიბუნალთან მეორე მხარისათვის შეტყობინების გარეშე კომუნიკაციას, საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვალდებული უნდა იყოს აღნიშნული შესახებ განაცხადოს და მოამზადოს წერილობითი დოკუმენტი სადაც აღწერს კომუნიკაციას. აღნიშნული აღწერა უნდა გადაეცეს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში მეორე მხარემ უნდა ისარგებლოს უფლებით წარმოადგინოს არბიტრაჟში მისი მოსაზრება კომუნიკაციასთან დაკავშირებით.

საარბიტრაჟო პროცესი უნდა დასრულდეს სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებით. კანონის პროექტში უნდა აისახოს თუ რა სახის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს არბიტრაჟს. ამ შემთხვევაში არბიტრაჟმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ, საარბიტრაჟო სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ან საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საარბიტრაჟო პროცესის კონფიდენციალურობისა და ინდივიდუალურობის გათვალისწინებით, დაუშვებელი უნდა იყოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოყენება როგორც პრეცედენტი სასამართლოში ან არბიტრაჟში.

ამასთან, კანონის პროექტმა ცალსახად და სავალდებულო წესით უნდა მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ დაუშვებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოში

გასაჩივრება, გარდა თავად კანონის პროექტში გათვალისწინებული შემთხვევებისა. კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს არბიტრაჟის გაუქმების საფუძვლები და ამ შემთხვევაში მითითება შეიძლება გაკეთდეს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლით განსაზღვრულ ზოგად საფუძვლებზე, ვინაიდან ისინი რელევანტურია ადმინისტრაციული დავების შემთხვევაშიც.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მისი აღსრულება. შესაძლებელია, რომელიმე მხარემ არ შეასრულოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება. შესაბამისად, კანონის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მისი აღსრულების საკითხებს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია იმავე პრინციპების გათვალისწინება რაც გათვალისწინებულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით არბიტრაჟის გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის. კერძოდ, ერთ-ერთი მხარის მიერ არბიტრაჟის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უნდა უზრუნველყოს სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, დაუშვებელი უნდა იყოს არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულების უარყოფა ან აღსრულებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ იგი მიღებულია ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება აჩერებს აქტი მოქმედებას, გარდა ამავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულია არის დროებითი განჩინების მიღება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ დავებში ასევე დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობის მიზნებისათვის კანონის პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს გადაუდებელი არბიტრაჟის პრინციპი, რაც უკვე აღიარეს საერთაშორისო ინსტიტუციურმა არბიტრაჟებმა<sup>594</sup>. მოსარჩელე უფლებამოსილი

---

<sup>594</sup> იხ. Articl 29, ICC Rules of Arbitration <<https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/>>, [06.02.2022]



უნდა იყოს მოითხოვოს გადაუდებელი არბიტრაჟის ჩანიშვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების ან დროებითი განჩინების მიღების მიზნით. ამ შემთხვევაში მოსარჩელეს გადაუდებელი არბიტრაჟის მოთხოვნის უფლება ექნება თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს ხდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას, ან თუ არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება.

გადაუდებელი არბიტრაჟის დანიშნავს უფლება უნდა ჰქონდეს სამდივნოს, მიმართვიდან 1 სამუშაო დღის ვადაში და აღნიშნული უნდა შეატყობინოს მხარეებს. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებზე დაყრდნობით გადაუდებლად დანიშნულმა არბიტრმა მხარის მოთხოვნა უნდა განიხილოს 1 სამუშაო დღის ვადაში და მიიღოს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილება: ა) აქტის მოქმედების შეჩერების ან დროებითი განჩინების მიღების თაობაზე; ბ) აქტის მოქმედების შეჩერებაზე ან დროებითი განჩინების გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის განხილვაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა ისევე როგორც სამოქალაქო დავებში, მოსარჩელე არ უნდა იყოს შეზღუდული მიმართოს სასამართლოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები.

## **2.10 ინტერესთ კონფლიქტი**

კეთილსინდისიერება და მოუკერძოებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება არის ნებისმიერი მექანიზმისათვის, მათ შორის დავის გადაწყვეტის

ალტერნატიული მექანიზმებისათვის. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები უკავშირდება ღირებულებით ნორმებს. მედიაციის/მორიგების პროცესის წარმატებით დასრულებისათვის გადამწყვეტია მედიატორისადმი/მომრიგებლისადმი ნდობა.<sup>595</sup>

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრების შემთხვევაში კანონის პროექტი უნდა აწესრიგებდეს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს იმისთვის, რომ თავიდან იქნეს არიდებული არაობიექტური მიდგომა და მიკერძოებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული რისკი არა მხოლოდ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს უკავშირდება, ეს რისკი თანმდევია ყველა სახის მექანიზმისათვის როგორც სასამართლოსათვის, ასევე კვაზი-ორგანოებისათვის. მედიატორი/მომრიგებელი/ არბიტრი უნდა იყოს მხარეებისაგან დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მხარესთან.

კანონის პროექტმა უნდა განსაზღვროს, თუ რა ითვლება ინტერესთა კონფლიქტად და როდის არ აქვს პირს უფლება იყოს მედიატორი/მომრიგებელი/არბიტრი. ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს, შემთხვევა თუ იგი იყო/არის იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, მედიატორი ნოტარიუსი და სხვა, პროცესში მონაწილე პირის ნათესავია, ან არსებობს დასაბუთებული ეჭვი მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში. ნათესავად კანონის პროექტის მიზნებისათვის უნდა იქნეს განხილული იგივე პირთა წრე რაც განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით. იმ შემთხვევაში თუ მედიატორს/მომრიგებელს/არბიტრს აქვს ინტერესთა კონფლიქტი მხარესთან მან აღნიშნული შესახებ უნდა განაცხადოს. თუ აღნიშნული არ იქნა გაცხადებული და გამჟღავნებულ იქნა

---

<sup>595</sup> ცერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვალური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, გვ.35.

მედიაციის/მორიგების/არბიტრაჟის დასრულების შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება/შეთანხმება უნდა გაუქმდეს.

ამასთან, კანონის პროექტი უნდა ითვალსიწინებდეს გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მხარის შესაძლებლობას განაცხადოს არბიტრის აცილების შესახებ, არბიტრის დანიშნიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში, თუ ინტერესთა კონფლიქტის გარემოება მისთვის ცნობილი იყო. ასეთი აცილების განუცხადებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ არბიტრს ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს.

როგორც აღინიშნა შესაძლოა საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგებოდეს სამი არბიტრისაგან, ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი არბიტრის აცილების საკითხი უნდა განიხილოს სხვა არბიტრებმა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აცილებულ იქნა სამივე არბიტრი, არბიტრის აცილების საკითხი უნდა განიხილოს სამდივნოს მიერ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსიდან შერჩეულმა დამოუკიდებელმა არბიტრმა. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება ერთი არბიტრისაგან მისი აცილების საკითხი უნდა განიხილოს სამდივნოს მიერ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კორპუსიდან შერჩეულმა დამოუკიდებელმა არბიტრმა.

პრაქტიკაში შესაძლებელია, მედიატორის/მომრიგებლის/არბიტრის აცილების საფუძველი გამოვლინდეს მედიაციის/მორიგების/არბიტრაჟის პროცესში ან მათი დასრულების შემდეგ. მედიატორის/მომრიგებლის/არბიტრის ინტერესთა კონფლიქტი გონივრულად შეიძლება ხელყოფდეს ეთიკურ ურღვევობას და პროცესის სამართლიანობას.<sup>596</sup> ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში მედიატორმა/მომრიგებელმა/არბიტრმა უარი უნდა თქვას პროცესში მონაწილეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინტერესთა კონფლიქტი არ იყო გაცხადებული მედიატორის/მომრიგებლის/არბიტრის მიერ მას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, კერძოდ უნდა ამოირიცხოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის კორპუსიდან და აეკრძალოს მედიატორად/მომრიგებლად/არბიტრად მუშაობა. ასეთი

<sup>596</sup> ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.21.

მედიატორის/ მომრიგებლის/არბიტრის გადაწყვეტილებების ან/და დამტკიცებული შეთანხმებების აღსრულება სასამართლოს მიერ დაუშვებელი უნდა იყოს.

ინტერესთ კონფლიქტის კონტროლის მექანიზმები არის ღირებულებითი კატეგორია და მისი მკაცრი რეგლამენტაცია ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმებისადმი ნდობის ამაღლებას.

## **2.11 დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხარჯების განაწილება**

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციული პროგრამა ვერ იქნება ეფექტური, თუ არ იქნა შენარჩუნებული მისი ხარჯთეფექტურობა. შესაბამისად, საკანონმდებლო აქტის პროექტში საჭიროა განისაზღვროს მორიგების/მედიაციის/არბიტრაჟის ხარჯების განაწილების საკითხი იმგვარად რომ იგი ხელმისაწვდომ იყოს ყველა პირისათვის.

პროგრამის ფარგლებში შეიძლება განისაზღვროს, რომ, თუ მედიაციის/მორიგების თაობაზე შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარის მიერ გაწეულ ხარჯები შესამაბისმა მხარემ უნდა ანაზღაუროს, ხოლო მედიაციის/მორიგების პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯები მხარეებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს.

ადმინისტრაციულ დავაში მოსარჩელე ყოველთვის იქნება კერძო პირი, შესაბამისად მას შეიძლება არ ჰქონდეს სათანადო ფინანსური რესურსი ამ მექანიზმების გამოსაყენებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე ვერ უზრუნველყოფს მედიაციის/მორიგების ხარჯის ანაზღაურებას საპატიო გონივრული მიზეზით მისი ხარჯი ანაზღაურება უნდა განხორციელდეს პროგრამის ბიუჯეტიდან. კანონის პროექტით უნდა დადგინდეს საარბიტრაჟო დავის ხარჯების განაწილების პროცედურაც. საარბიტრაჟო სარჩელის პროგრამის ფარგლებში წარდგენის შემთხვევაში ბაჟი არ უნდა გადაიხდევიწებოდეს. ამასთან, საარბიტრაჟო პროცესის ხარჯები და არბიტრთა ანაზღაურება თანაბრად უნდა განაწილდეს მხარეთა შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ვერ უზრუნველყოფს საარბიტრაჟო ხარჯის გადახდას, აღნიშნულის

გადახდა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროგრამის ბიუჯეტიდან, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გადაიხადოს ხარჯის მეორე ნახევარი.

## 2.12 დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის მხარდაჭერა

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ადმინისტრაციული პროგრამა, რომელიც შექმნება სასამართლო სისტემის შიგნით დაკავშირებული იქნება სახელმწიფოს მიერ შესაბამის ხარჯების გაწევასთან. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა დაეკისროს ვალდებულება დავის განმხილველი ალტერნატიული მექანიზმის ადმინისტრაციული პროგრამა აღჭურვოს სათანადო მატერიალური რესურსით, როგორც არის შენობა-ნაგებობა, დამხმარე გუნდი, ტექნიკური საშუალებები. მატერიალური ბაზის გარეშე ვერ იქნება ადმინისტრაციული პროგრამის ეფექტურობა მიღწეული. კანონის პროექტში უნდა განისაზღვროს, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულება არის და იგი გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში.

ამასთან, პროგრამის მხარდაჭერის მიზნით უნდა შეიქმნას სამდივნო. სამდივნო შეიქმნება პროგრამის ფარგლებში მედიაციის/მორიგების/არბიტრაჟის პროცესების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, მხარეთა მოთხოვნების მისაღებად და კანონით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესასრულებლად.

სამდივნოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იქნება სათანადო ადმინისტრაციული რესურსი. ამ შემთხვევაში კანონის პროექტმა უნდა გაითვალისწინოს სამდივნოს ადამიანური რესურსები ოდენობას და საშტატო ნუსხის დამტკიცება. პირველ ეტაპზე აღნიშნულის დამტკიცებაზე უფლებამოსილად შეიძლება განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებზე პასუხისმგებელი უწყება. ამასთან, იუსტიციის სამინისტროს უნდა მიეცეს უფლება დანიშნოს სამდივნოს ხელმძღვანელი, რომელიც იქნება დამოუკიდებელი. პროცესების ეფექტურობისათვის, მიზანშეწონილია სამდივნოს ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს მინიმუმ 4 წლით. თუმცა კანონმდებელმა შეიძლება იმსჯელოს

სამდივნოს ხელმძღვანელის დანიშვნაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სხვა პირი ან ორგანო.

## დასკვნა

ნაშრომით წარმოდგენილი იქნა სამეცნიერო-კვლევითი მსჯელობა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებში განვითარების პერსპექტივაზე. გამოიკვეთა ახალი საკანონმდებლო რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პროგრამის შემუშავების აუცილებლობა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მოცემულობები:

1. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელება უკავშირდება დაგვიანებებს და მოქალაქეები ვერ იღებენ მართლმსაჯულებას გონივრულ ვადებში. წლობით გაგრძელებული დავები არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს და დაგვიანებული მართლმსაჯულება სასამართლოს პრაქტიკად იქცა. გადატვირთული სასამართლოების ფონზე მართლმსაჯულება ვერ ხორციელდება შესაბამისი ხარისხით და ფორმალურ-ტექნიკურ სახეს იღებს. აღნიშნულს ემატება მოსამართლეთა კორპუსის სიმცირე და შესაბამისი ტექნიკური-კომპეტენციის ნაკლებობა ინტერდისციპლინურ დავებში, როგორც არის საგადასახადო, გარემოსდაცვით, სამშენებლო დავები და სხვა. შესაბამისად, აუცილებელი ხდება სახელმწიფომ იმსჯელოს მართლმსაჯულების რეფორმაზე და კარი გაუხსნას ახალი მექანიზმების პროგრამას, რომელიც შეავსებს მართლმსაჯულების სისტემას და მხარს დაუჭერს მას.

2. გამოიკვეთა, რომ საქართველოში უკვე არსებობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, როგორც არის ადმინისტრაციული საჩივარი, ომბუდსმენის ინსტიტუტი. ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნა მოლაპარაკება, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი და იდენტიფიცირებულ იქნა, რომ არ საჭიროებს საკანონმდებლო რეგლამენტაციას, იმდენად რამდენადაც აღნიშნულ პროცესს მხოლოდ მოდავე მხარეები წარმართავენ და არ საჭიროებს მესამე პირის ჩართულობას. ნაშრომში მსჯელობის საგანია კვაზი-ორგანოები - სახელმწიფო შესყიდვებისა და საგადასახადო დავების განმხილველი საბჭოები და განათლების

დარგში საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დავების ფარგლებში - სააპელაციო საბჭო. თუმცა აღნიშნული ალტერნატიული მექანიზმები არასაკმარისია სასამართლოების განსატვირთად და სასამართლოებში დავების რაოდენობის შესამცირებლად. შესაბამისად, საჭირო გახდა დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმების განვითარებაზე მსჯელობა.

3. იდენტიფიცირებულ იქნა, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია მორიგების/მედიაციის/არბიტრაჟის ინსტიტუტების დამკვიდრება ადმინისტრაციულ დავებში. ნაშრომში წარმოჩენილ იქნა მედიაციის/მორიგების/არბიტრაჟის მექანიზმების სარგებლიანობა ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის მიზნებისათვის. პირველ რიგში, მორიგება/მედიაცია ხელს უწყობს მხარეთა მიერ დავის მშვიდობიან გადაწყვეტას, ხოლო არბიტრაჟი არის ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სავალდებულო გადაწყვეტილების გამოცემას უფრო მოკლე ვადებში ვიდრე სასამართლო. აღნიშნული მექანიზმები საშუალებას აძლევს მხარეებს შეარჩიონ შესაბამის დარგში/სფეროში ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე არბიტრი/მომრიგებელი/მედიატორი, რომელიც უზრუნველყოფს დარგის/ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით ტექნიკური დავების ეფექტურ გადაწყვეტას. ნაშრომში ავტორისეული თეორიების საფუძველზე იდენტიფიცირდა ადმინისტრაციული დავები, რომელშიც შესაძლებელია მედიაციის/მორიგების/არბიტრაჟის გამოყენება.

4. ნაშრომის ფარგლებში მოხდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავების იდენტიფიცირება რამდენიმე მეთოდითა და ნიშნით. კერძოდ, პოზიტიური ტაქსაციის მეთოდით, ნეგატიური ტაქსაციის მეთოდით, ენუმურაციის მეთოდით, განისაზღვრა დარგობრივი ადმინისტრაციული დავები. ნაშრომში კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმში განსახილველი ადმინისტრაციული დავების კატეგორიზაციისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები იქნებოდა პირთა წრე, ადმინისტრაციული დარგის სპეციფიკა, დასაცავი მიზანი და თავად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სახე.

ნაშრომში იდენტიფიცირდა ის დავები, რომლებთან მიმართებითაც შესაძლებელია მედიაციის/მორიგებისა და არბიტრაჟის გამოყენება. ალტერნატიულ მექანიზმებში



განსახილველ დავათა კატეგორიზაციისათვის ავტორის მიერ შემუშავდა სამი მეთოდი, აბსოლუტურად გამორიცხვის მეთოდი, ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდი და არჩევანის თავისუფლების მეთოდი. თითოეულ მეთოდს განესაზღვრა კრიტერიუმები. აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდის კრიტერიუმებით სრულად გამოირიცხა დავების ალტერნატიულ მექანიზმში განხილვა. ასეთ დავებად განისაზღვრა სამართალდარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, საკითხის სასკ-ის VII<sup>1</sup>- VII<sup>21</sup> თავებში განსაზღვრული საქმისათვის მიკუთვნება, სააღსრულებო წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, მოდავე კერძო ფიზიკური ან იურიდიული პირის უარი, პოპულარული სარჩელი.

ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის კრიტერიუმებით განისაზღვრა დავები რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მედიაციისა და მორიგების ინსტიტუტების გამოყენება და პირველ ეტაპზე გამოირიცხა არბიტრაჟის გამოყენება. მედიაციისა და მორიგების გამოყენება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ყველა დავაზე, გარდა აბსოლუტური გამორიცხვის მეთოდით განსაზღვრული დავებისა. ამასთან, განისაზღვრა ის საკითხები, რომლებიც რეკომენდირებულია მედიაციის/მორიგების გზით გადაწყდეს. ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდის შესაბამისად მორიგების/მედიაციის გამოყენება რეკომენდირებულად იქნა მიჩნეული სამშენებლო და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ დავებზე და სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებზე. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ სამომავლოდ ალტერნატიული შესაძლებლობის მეთოდით განსაზღვრული დავები არ შეიძლება განხილულ იქნეს საარბიტრაჟო წესით. საარბიტრაჟო წესით განსახილველი დავების ზუსტი ჩამონათვალი უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით, თუმცა სამომავლოდ შესაძლოა გაფართოვდეს ეს ჩამონათვალი, თუ ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პროგრამა წარმატებით განხორციელდა.

არჩევანის თავისუფლების მეთოდის კრიტერიუმებით განისაზღვრა დავები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მხარეთა არჩევანით ან მოსარჩელის სავალდებულო წესით მოთხოვნისას არბიტრაჟის გამოყენება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში

იდენტიფიცირდა განათლების, საჯარო სამსახურისა და საგადასახდო სამართლის დარგები, სადაც მხოლოდ ერთი კერძო პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვის მიზნით წარმოებული დავა შეიძლება განხილულ იქნეს არბიტრაჟის მიერ.

5. ნაშრომში ფართოდ განვითარდა მსჯელობა ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში დავის განხილველი მექანიზმების თავისებურებებზე და ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ ზოგიერთი სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში უკვე გამოიყენება არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი. კერძოდ, საჯარო-კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებებსა და საერთშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსებით გაფორმებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში. ამასთან ნაშრომმა ფართოდ იმსჯელა ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ფარგლებში დავის წარმოშობის შემთხვევაში საჯარო ინტერესის დაცვის ვალდებულების საკითხზე. ნაშრომში იდენტიფიცირდა ზემოაღნიშნული კარგი პრაქტიკის სხვა სახის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში გამოყენების მიზანშეწონილობა და შემოთავაზებულ იქნა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებში არბიტრაჟის დანერგვის რეკომენდაცია.

6. ნაშრომმა შემოგვთავაზა საჯარო ინტერესის ფართო განმარტება. დადგინდა, თუ რას მოიცავს ზოგადად საჯარო ინტერესის შინაარსი ადმინისტრაციული სამართლის მიზნებისათვის. საჯარო ინტერესის დაცვის მიზნის ფარგლებში განვითარებულ იქნა მსჯელობა, ხომ არ შეუქმნიდა მორიგების, მედიაციის ან არბიტრაჟის ინსტიტუტში დავის განხილვა საფრთხეს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების აღნიშნულ მიზანს. გამოიკვეთა, რომ მედიაციას და მორიგებას, როგორც დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის მექანიზმს, დავის კონსესუსით დასრულების მიზანი აქვს. მიუხედავად იმისა საჯარო ინტერესთან დაკავშირებულ დავაში მონაწილეობს, თუ არა ყველა დაინტერესებული პირი, აღნიშნული არ გამორიცხავს იმ პირებთან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროცესში ხელახალი მედიაციის/მორიგების პროცესის წარმოებას. უფრო მეტიც, მედიაციის/მორიგების პროცესის მოქნილობა და არაფორმალურობა ხელს უწყობს საზოგადოების ფართო წრის ჩართულობასა და დაინტერესებას საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით წარმოებულ მედიაციის/მორიგების პროცესში.

რაც შეეხება, არბიტრაჟს, როგორც ნაშრომში განისაზღვრა პირველ ეტაპზე არბიტრაჟის მიერ განსახილველ დავებს მიეკუთვნება განათლების, საგადასახადო და საჯარო სამსახურის სფეროში ერთი კერძო პირის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით წარმოებული დავები, რომელთა ფარგლებშიც საჯარო ინტერესის დაცვის საკითხი ვერ იქნება წარმოჭრილი. აღნიშნული შეიძლება წამოიჭრას ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებში. როგორც აღინიშნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებები იდება საჯარო მიზნით და სწორედ მის ფარგლებში არბიტრაჟში წარმოებულ დავებში დადგება საჯარო ინტერესის დაცვის საკითხი. ნაშრომში განვითარებულია მსჯელობა, რომ არბიტრაჟში არსებობს საჯარო ინტერესის დაცვის ბერკეტები და აღნიშნული გათვალისწინებულ იქნა ასევე საკანონმდებლო რეკომენდაციის ფარგლებშიც, ვინაიდან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს მხარეებისათვის. კერძოდ არბიტრაჟს მიენიჭა მისი ინიციატივით დოკუმენტების გამოთხოვის შესაძლებლობა საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის მიზნებისათვის. საჯარო ინტერესის დაცვის ბერკეტად მიჩნეულ იქნა „საჯარო წესრიგის“ დარღვევის საფუძველზე არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, საჯარო ინტერესის ცნება მოიცავს საჯარო წესრიგსაც. საჯარო წესრიგის საფუძველით არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება იქნება ფარი იმისთვის რომ არ მოხდეს საჯარო ინტერესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების აღსრულება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების კონტექსტში „საჯარო წესრიგი“ განსხვავდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი „საჯარო წესრიგის“ შინაარსისაგან და იგი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის კონტექსტშიც განიმარტება. შესაბამისად, არბიტრაჟსაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებში საჯარო ინტერესის იმგვარად დაცვის ვალდებულება წარმოეშობა, როგორც სასამართლოს. თუმცა ამ შემთხვევაში „საჯარო წესრიგის“ საფუძველით არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა არ უნდა იქცეს არბიტრაჟის გადაწყვეტილების აპელაციის მექანიზმად და უნდა დასაბუთდეს მაღალი ღირებულებისათვის, საზოგადოებრივი სარგებლის/ კეთილდღეობისათვის, ზიანის მიყენება, მისი დარღვევა.

7. გამოიკვეთა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ახალი ადმინისტრაციული პროგრამის შექმნის აუცილებლობა და განისაზღვრა მათი ადგილი. კერძოდ, ახალი პროგრამა იქნება მართლმსაჯულების სისტემის მხარდამჭერი და ხელს შეუწყობს დაგვიანებების აღმოფხვრას. ნაშრომის მიგნებების გათვალისწინებით რეკომენდირებულ იქნა აღნიშნული პროგრამის პირველ ეტაპზე სასამართლოს სისტემაში შექმნა, აშშ-ს წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით. დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებთან დაკავშირებული საკითხები დღეის მდგომარეობით „ნორმალიზდება“ და ხდება ფორმალური სამართლებრივი სისტემის ნაწილი.<sup>597</sup> შესაბამისად, კანონის უზენაესობის კონტექსტში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმების ახალი პროგრამა შეავსებს სასამართლო რეფორმას, გვერდს აუვლის დისკრედიტებულ და არაეფექტურ სასამართლოს, გაზარდის კმაყოფილებას დავების გადაწყვეტით, მართლმსაჯულებას ხელმისაწვდომს გახდის, შეამცირებს დაგვიანებას დავების გადაწყვეტაში.<sup>598</sup> ამდენად, თავდაპირველ ეტაპზე სამომავლოდ სასამართლოს გარეთ განვითარების პერსპექტივით, მიზანშეწონილად იქნე მიჩნეული ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის ალტერნატიული პროგრამის განვითარება სასამართლო სისტემაში.

8. ნაშრომის მიგნებების გათვალისწინებით, მომზადებულ იქნა რეკომენდაცია საკანონმდებლო რეგულაციაზე, რომელმაც მოიცვა შემდეგი საკითხები: განისაზღვრა კანონის პროექტის მიზანი და ევროპის საბჭოს მოთხოვნებთან დაახლოების სულისკვეთება; განისაზღვრა დავის გადაწყვეტის ადმინისტრაციული პროგრამის მიზანი, სასამართლოს სისტემაში მისი ფორმირების საკითხი და დამოუკიდებლობის პრინციპები; განისაზღვრა კანონის პროექტის მიზნებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის კანონის პროექტით განსაზღვრულ დავებში გამოსაყენებელი მექანიზმები მორიგება/მედიაცია/არბიტრაჟი; განისაზღვრა მედიაციის/მორიგების ინიცირების საფუძვლები - მხარეთ შეთანხმება და სასამართლოს

<sup>597</sup> *Langer R.* The Juridification and Technicisation of Alternative Dispute Resolution Practices. *Canadian Journal of Law and Society*, 13, no. 1, 1998, p.171.

<sup>598</sup> *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.,* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. 1998, Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998, p.7.

მითითება; განისაზღვრა არბიტრაჟის ინიცირების საფუძვლები - მხარეთა შეთხმება და მოსარჩელის მოთხოვნა სავალდებულო არბიტრაჟზე; განისაზღვრა დავების სახეები, რომლებიც შესაძლებელია მორიგების/მედიაციის წესით გადაწყდეს, ამასთან მიეთითა რომ აუცილებელია მორიგების/მედიაციის გამოყენება სამშენებლო, გარემოსდაცვით და ზიანის ანაზღაურების დავებთან დაკავშირებით; განისაზღვრა არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავები - ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები და განათლების, საგადასახადო და საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები, რომლებიც უკავშირდება ერთი პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; განისაზღვრა, თუ რა შემთხვევაში არის დაუშვებელი ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება; წარმოდგენილია წინადადება მედიაციის/მორიგების პროცედურებთან დაკავშირებით და მედიატორის/მომრიგებლის როლი მედიაციის/მორიგების პროცესში; განისაზღვრა არბიტრაჟის პროცედურები, არბიტრაჟის უფლებამოსილებები მტკიცებულებების გამოთხოვაზე და მასალების შეგროვებაზე; განისაზღვრა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურები და გადაუდებელი არბიტრაჟის ფორმირების საკითხები, როდესაც აუცილებელია აქტის მოქმედების შეჩერება და დროებითი განჩინების მიღება; განისაზღვრა კონფიდენციალურობასთან და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები; წარმოდგენილია წინადადება მომრიგებელთა/მედიატორთა/ არბიტრთა კორპუსის ფორმირებაზე და მათი შერჩევის კრიტერიუმებზე; წარმოდგენილია წინადადება ალტერნატიულ მექანიზმებში ხარჯების განაწილებაზე; განისაზღვრა ადმინისტრაციული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის საკითხები, პროგრამის სამდივნოს ფორმირებისა და მისი ხარჯების განაწილების პრინციპები.

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი
3. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 11/09/2014.
4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 08/12/2009.
5. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996.
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.
7. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.
8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 54, 12/10/2010.
10. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 18/05/2005.
11. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 47, 05/08/2010.

12. საქართველოს კანონი „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 240140000.05.001.017771, 04/06/2015.
13. საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო: 240080010.05.001.018845, 24/05/2018.
14. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009.
15. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19, 28/04/2005.
16. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 37, 14/07/2005.
17. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009.
18. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999, 2005 წლის 14 ივლისამდე მოქმედი რედაქცია.
19. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტიზე „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/101770>> [06.02.2022]
20. განმარტებითი ბარათი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ საქართველოს კანონის პროექტზე. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/112411>> [06.02.2022].
21. განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159500?>>, [06.02.2022].

22. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159511?>>, [06.02.2022].

### **სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის №ბს-898-(კ-19) განჩინება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივნისის №ბს-305(კ-19) განჩინება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის №ბს-448(გ-19) განჩინება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 აგვისტოს განჩინება №ბს-377-374 (გ-17).
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება №ბს-610-604 (გ-16).
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის განჩინება №ბს-515(გ-19).
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 9 ივლისის განჩინება №ბს-807 (გ-19).
8. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2019 წლის 21 იანვრის №3/01-2018 გადაწყვეტილება
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის №2ბ/5858-13 განჩინება.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება.

### **ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა**



1. *ადეიშვილი ქ.*, კონფიდენციალურობის როლი მედიაციის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019.
2. *გაწერელია ა., გეგენავა დ., ზომერმანი კ.პ., კობახიძე ი., როგავა ზ., სვანიშვილი ს., ტურავა პ., ყალიჩავა კ., ხუბუა გ.* საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო. თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, ტომი 3, თბილისი, 2016.
3. *გეწაძე შ.* დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ადმინისტრაციულ დავებში (საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივები). მემორანდუმის ხელმძღვანელი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები, „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“. თბილისი, 2017.
4. *თოხაძე ა.*, „მედიაციის სამართლებრივი პრესპექტივა მცირე და დომინანტ აქციონერთა ურთიერთბალანსის შენარჩუნების კონტექსტში“. თანამედროვე სამართლის მიმოხილვა №1, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2013.
5. *კალანდაძე დ.*, კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის პროცესში და ქართული საკანონმდებლო რეალობა. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019.
6. *კიკილაშვილი გ.* ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016.
7. *კოპალეიშვილი მ., ტურავა პ., ხარშილაძე ი., ლორია ხ., გვარამაძე თ., ღვამიჩავა თ.* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018.

8. *კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ.* ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. პაატა ტურავას რედაქტორობით, თბილისი, გამომცემლობა სიესტა, 2008.

9. *მაისურაძე თ.*, თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპთა ურთიერთმიმართება მედიაციის ეთიკური ურღვევების უზრუნველყოფის პროცესში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2019.

10. *ოქროპირიძე ბ.*, მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2012, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

11. *ტურავა პ.* ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, მესამე გამოცემა, თბილისი, 2020.

12. *ტყემალაძე ს., კობალაძე მ., მალიძე მ., მჟავანაძე მ., გაგუნაშვილი ე., გველესიანი თ.*, არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2018.

13. *ტყემალაძე ს.*, „საჯარო წესრიგი“ როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მისი ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მიმოხილვა)“, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, 2013.

14. *ფიცხელაური ნ.*, ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობებთან. სადისერტაციო ნაშრომი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.

15. *ყანდაშვილი ი.*, „საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები“, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2018.

16. ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურდვევობის საფუძველი. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2016, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2017.

17. ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2013, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2014.

18. გერცვაძე გ., არევაძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური კ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივა საქართველოში. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013.

19. წულაძე ა., „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“. სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2016.

20. წურწუმია ს., მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №18, გამოცემა 3, ტომი 7, 2021.

21. წურწუმია ს., ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების არბიტრაჟში განხილვის პერსპექტივა. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, №17, ტომი 7, გამოცემა 2, 2021.

## ანგარიშები

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2020 <<http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=c2f122ad-9047-43a7-9f93-44d615a997ac>>, [06.02.2022].

2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2021 <<http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=19539b18-4d67-42d9-80a0-12b91622ca28>>, [06.02.2022].

3. დავების განხილველი საბჭოს აპარატის სტატისტიკური ანგარიში, 2019, გვ.3, <<https://taxdisputes.gov.ge/4045>> [06.02.2022]
4. დავების განხილველი საბჭოს აპარატის სტატისტიკური ანგარიში, 2020, გვ.1 <https://taxdisputes.gov.ge/4045> [06.02.2022]
5. მონაცემები საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული საგადასახადო საქმეების შესახებ. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-14.pdf>> [06.02.2022].
6. მონაცემები საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2020 წლის 9 თვეში საგადასახადო დავებზე განხილული საკასაციო საჩივრების შესახებ <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-20.pdf>>[06.02.2022].

#### **უცხოენოვანი ნორმატიული მასალა**

1. The Administrative Dispute Resolution Act of 1996.
2. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on good administration, CM/Rec(2007)720, June 2007.
3. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on judicial review of administrative acts, Rec(2004)20, 15 December 2004.
4. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001.
5. Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, New-York, 10 June 1958.
6. ICC Rules of Arbitration.

#### **უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. Frydlander v. France [2000] ECHR, no. 30979/96.

2. Katte Klitsche de la Grange v. Italy [1994] ECHR, no.12539/86.
3. Papachelas v. Greece [1999] ECHR, no.31423/96.
4. Comingersoll S.A v. Portugal [2000] ECHR, no.35382/97.

### უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები

1. *Applebey G.* What is Alternative Dispute Resolution. Holdsworth Law Review, vol. 15, no. 1, 1991-1992.
2. *Aaran F.*, Alternative Dispute Resolution: Alleviating Burdens All Round. International Tax Review, vol. 25, no. 7, 2014.
3. *Blank N.D., Lansing C. Scriven L.C.*, Alternative Dispute Resolution: 1994 Survey of Florida Law, Nova Law Review, 19, no. 1, 1994.
4. *Bousta R., Sagar A.* Alternative Dispute Resolution in French Administrative Proceedings. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.
5. *Bogdan F.*, The Incidence of Mediation before Referral to the Administrative Litigation Court, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, 19, 2016.
6. *Brans E.H.P.* Liability for Damage to Public Natural Resources - Standing, Damage and Damage Assessment. Kluwer Law International, 2001.
7. *Brown S., Cervenak Ch., Fairman D.* Alternative Dispute Resolution Practitioners Guide. Center for Democracy and Governance Bureau for Global Programs, Field Support, and Research U.S. Agency for International Development, Washington, 1998.
8. *Cappelletti M.*, Alternative Dispute Resolution Process within the Framework of the World-Wide Access-to-Justice Movement, Modern Law Review 56, no. 3, 1993.
9. *Cărăușan M.V.* Alternative Dispute Resolutions Within Administrative Contracts: Attributes and Enforcements. Law Review, vol. VIII, issue 2, 2018.
10. *Comba M., Caranta R.*, Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). Administrative Dispute

Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.

11. *Conradsen I. M., Gotze M.*, Administrative Appeals and ADR in Danish Administrative Law. Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.

12. *Davis W., Turku H.* Access to Justice and Alternative Dispute Resolution. *Journal of Dispute Resolution*, no. 1, 2011.

13. *Dayton K.*, The Myth of Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Iowa Law Review*, vol. 76, no. 5, 1991.

14. *Detho I.A.* Alternative Dispute Resolution Mechanisms, Access in Community and Public Administrative Bodies: A Mapping of Select Districts in Sindh, Legal Aid Society, 2018.

15. *Devine K.A.*, Alternative Dispute Resolution: Policies, Participation, and Proposals. *Review of Litigation*, vol. 11, no. 1, 1991.

16. *De Werra J.*, Can Alternative Dispute Resolution Mechanisms Become the Default Method for Solving International Intellectual Property Disputes. *California Western International Law Journal*, vol. 43, no. 1, Fall 2012.

17. *Dwight G.*, Making Alternative Dispute Resolution Mandatory: The Constitutional Issues. *Oregon Law Review*, vol. 68, no. 2, 1989.

18. *Evans R.J.*, The Administrative Dispute Resolution Act of 1996: Improving Federal Agency Use of Alternative Dispute Resolution Processes. *Administrative Law Review*, vol. 50, no. 1, 1998.

19. FIDIC Conditions of Contract for Construction, for Building and Engineering Works Designed by the Employer. Published by International Federation of Consulting Engineers, Geneva, Switzerland, Second Edition, 2017.

20. *Galera S., Acosta P., Soleto H.*, ADR Tools in Spanish Administrative Law. *Dragos D.C., Neamatu B.*, Editors, Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.

21. *Gangl A.*, Procedural Justice Theory and Evaluations of the Lawmaking Process. *Journal Political Behavior* 25, 2003.
22. *Gellhorn W., Dunlop J.T., Edwards H.T., Kuhl C.B.* Alternative Means of Dispute Resolution in Government: A Sense of Perspective. *Administrative Law Journal*, 1, no. 2, 1987.
23. General Conditions of Contract, Standard Procurement Document, Request for Bids Small Works (One-Envelope Bidding Process).
24. *Gibson K.*, Promises and Problems in Alternative Dispute Resolution for the Elderly. *Elder's Advisor*, 2, no. 3, 2001.
25. *Goss J.*, An Introduction to Alternative Dispute Resolution. *Alberta Law Review*, vol. 34, no. 1, 1995.
26. *Guglyuvatyy E., Evans Ch.* Administrative Approaches to Tax Dispute Resolution: Alternative Perspectives from Australia and Russia. *Journal of Comparative Law*, 10, no. 2, 2015.
27. *Harter P.J.*, Dispute Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. *Villanova Law Review*, Vol.29, Iss.6, 1983.
28. *Hoellering M.F.* Alternative Dispute Resolution and International Trade. *New York University Review of Law & Social Change*, vol. 14, no. 3, 1986.
29. *Hoffman Sh.*, Mandatory Arbitration: Alternative Dispute Resolution or Coercive Dispute Suppression, *Berkeley Journal of Employment and Labor Law*, vol. 17, no. 1, 1996.
30. *Howlett R.G.* Contract Negotiation Arbitration in the Public Sector. *University of Cincinnati Law Review*, 42, no. 1, 1973.
31. *James M.*, Alternative Dispute Resolution and the Rule of Law in International Development Cooperation. *Journal of Dispute Resolution*, no. 1, 2011.
32. *Kaltsa A., Kourtesi T.* Implementation of Private Law Principles in Administrative Contracts. *The European Public Law*, 6, no. 3, 2000.
33. *Kaufman I.R.*, Reform for a System in Crisis: Alternative Dispute Resolution in the Federal Courts. *Fordham Law Review*, vol. 59, no. 1, 1990.
34. *Kleefeld J.C.*, Class Actions as Alternative Dispute Resolution. *Osgoode Hall Law Journal*, vol. 39, no. 4, 2001.

35. *Lamari M.R.* The Role of Alternative Dispute Resolution in Government Construction Contract Disputes. *Hofstra Law Review*, Vol. 23, Iss. 1, 1994.
36. *Langbroek P., Remac M., Willemsen P.* The Dutch System of Dispute Resolution in Administrative Law. *Administrative Dispute Resolution in European Administrative Law*, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.
37. *Langer R.* The Juridification and Technicisation of Alternative Dispute Resolution Practices. *Canadian Journal of Law and Society*, 13, no. 1, 1998.
38. *Langrod G.* Administrative Contracts - A Comparative Study. *American Journal of Comparative Law*, 4, no. 3, 1955.
39. *Leatherbury Th.S., Cover M.A.*, Keeping Public Mediation Public: Exploring the Conflict between Confidential Mediation and Open Government. *SMU Law Review*, vol. 46, no. 5, 1993.
40. *Lebovits G., Hidalgo L.R.* Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. *Cardozo Journal of Conflict Resolution* 11, no. 2, 2010.
41. *Levin A.L., Golash D.*, Alternative Dispute Resolution in Federal District Courts. *University of Florida Law Review*, vol. 37, no. 1, 1985.
42. *Marrani D., Farah Y.* ADR in the Administrative Law: A Perspective from the United Kingdom. *Administrative Dispute Resolution in European Administrative Law*, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.
43. *McGrath D.* Public Interest Privilege. *Dublin University Law Journal*, 22, 2000.
44. *Mithcell G.J.*, Alternative Dispute Resolution in Canada-United States Trade Relations. *Maine Law Review*, vol. 40, no. 2, 1988.
45. *Nelson D.W.*, Alternative Dispute Resolution: A Supermarket for Law Reform, *New Mexico Law Review* 14, no. 3, 1984.
46. *Pascariu L.T.* Some Ideas for a Comparative Analysis of the Administrative Contracts. *European Journal of Law and Public Administration*, 3, no. 1, 2016.
47. *Ozbek M.S.*, Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. *Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi* 11, no. Special Edition, 2009.



48. *Pryor W., O'Boyle R.M.*, Public Policy ADR: Confidentiality in Conflict. *SMU Law Review*, vol. 46, no. 5, 1993.
49. *Rabinovich-Einy O., Katsh E.* Access to Digital Justice: Fair and Efficient Processes for the Modern Age. *Cardozo Journal of Conflict Resolution*, 18, no. 3, 2017.
50. *Rayner W.B.*, Arbitration: Private Dispute Resolution as an Alternative to the Court. *University of Western Ontario Law Review*, vol. 22, no. 1, 1984.
51. *Readey J.A.*, Alternative Dispute Resolution - A Trial Lawyer's Primer. *Insurance Counsel Journal*, vol. 53, no. 2, 1986.
52. *Riggs D.A., Dorminey E.K.* Federal Agencies' Use of Alternative Means of Dispute Resolution. *Administrative Law Journal*, 1, no. 1, 1987.
53. *Rosenfeld S. J.*, It's Time for an Alternative Dispute Resolution Procedure. *Journal of the National Association of Administrative Law Judiciary*, vol. 32, no. 2, 2012.
54. *Sandu A. M., Pagarin M.S.*, Study on Administrative Contracts. *Contemporary Readings in Law and Social Justice*, 4, no. 2, 2012.
55. *Sararu C.S.*, Arbitration Settlement of Disputes concerning Administrative Contracts in Romania. *Juridical Tribune*, vol.8, no. Special Issue, 2018.
56. *Sararu C.S.*, The Interpretation of Administrative Contracts. *Juridical Tribune*, vol. 4, no. 1, 2014.
57. *Silberman R. G.*, Alternative Dispute Resolution of Employment Discrimination Claims. *Louisiana Law Review*, vol. 54, no. 6, 1993-1994.
58. *Singer L.R.*, Nonjudicial Dispute Resolution Mechanisms: The Effects on Justice for the Poor. *Clearinghouse Review*, 13, no. 8, 1979.
59. *Smith W.F.* Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. *Missouri Journal of Dispute Resolution*, 1984.
60. *Sossin L.*, Designing Administrative Justice, *Windsor Yearbook of Access to Justice* 34, no. 1, 2017.
61. *Spiroska E., Ristovska M.* Needs Assessment and Sustainability of Alternative Dispute Resolution (ADR) in Civil Disputes Resolving. *Balkan Social Science Review* 2, 2013

62. *Stamato L., Jaffe S.*, Mediation and public policy: Variations on a consensus theme. *Mediation Quarterly*, vol. 9, no. 2, 1991.

63. *Stelkens U.*, Administrative Appeals in Germany. *Administrative Dispute Resolution in European Administrative Law*, Editors *Dragos D.C., Neamatu B.*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2014.

64. *Stukenborg Ch.* The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. *University of Dayton Law Review*, 19, no. 3, 1994.

65. *Talibah P.*, Alternative Dispute Resolution: A Study of the History and Function of ADR Techniques as Mechanisms for International Peacekeeping. *Thurgood Marshall Law Review* 25, no. Issues 1 & 2, 1999-2000.

66. *Thompson L.C.*, International Dispute Resolution in the United States and Mexico: A Practical Guide to Terms, Arbitration Clauses, and the Enforcement of Judgments, 24 *SYRACUSE J. IN T'L. & CoM.* 1, 1997.

67. *Vučetić D.*, Is Mediation Viable in Administrative Matters?. *Law and Politics* Vol. 14, No 4, 2016.

68. *Warfield W.*, The Implications of Alternative Dispute Resolution Processes for Decisionmaking in Administrative Disputes, *Pepperdine Law Review* 16, no. 5, 1989.

69. *Winkle K.M.V.* Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. *LBJ Journal of Public Affairs* 9, 1997.

70. *Zack A.M.*, Can Alternative Dispute Resolution Help Resolve Employment Disputes. *International Labour Review*, vol. 136, no. 1, 1997.

71. *Zollers F.E.*, Alternative Dispute Resolution and Product Liability Reform. *American Business Law Journal*, vol. 26, no. 3, Fall 1988.

### ელექტრონული მასალა/წყაროები

1. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/101770>
2. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/112411>
3. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159500?>

4. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/159511?>
5. [https://www.adr.gov/;](https://www.adr.gov/)
6. [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4)
7. [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2b59)
8. [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805d5bb1](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805d5bb1)
9. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-14.pdf>
10. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-20.pdf>
11. <https://tcc.court.ge/ka/Statistics;>
12. <https://www.adr.gov/pdf/adra.pdf;>
13. <http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=c2f122ad-9047-43a7-9f93-44d615a997ac>
14. <http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=19539b18-4d67-42d9-80a0-12b91622ca28>
15. <https://taxdisputes.gov.ge/4045>
16. [https://www.tsu.ge/gr\\_count.php/publishing-house/single/717](https://www.tsu.ge/gr_count.php/publishing-house/single/717)
17. <http://pubdocs.worldbank.org/en/885201576685661155/SPDRequestforBidsSMALLWORKS-One-Envelope-December-2019.docx>
18. <https://www.icaew.com/-/media/corporate/files/technical/ethics/public-int-rep-web.ashx?la=en>
19. <https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/rules-of-arbitration/>
20. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
21. <https://fidic.org/president-list>
22. <https://www.newyorkconvention.org/english>
23. [file:///C:/Users/s.tsurtsunia/Downloads/UNDP\\_GE\\_DG\\_Arbitration\\_Study\\_20180312\\_geo%20\(1\).pdf](file:///C:/Users/s.tsurtsunia/Downloads/UNDP_GE_DG_Arbitration_Study_20180312_geo%20(1).pdf)
24. [http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian Commercial Law Review II Issue GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/5072Georgian_Commercial_Law_Review_II_Issue_GEO.pdf)
25. <https://iccwbo.org/>